ია ვაშაკიძე

ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში

კავკასიოლოგიური სერია, VIII



იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი
Ibero-Caucasian International Research centre

კავკასიოლოგიური სერია, VIII

ია ვაშაკიძე

ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი
Ibero-Caucasian International Research centre

Caucasiological Series, VIII

Ia Vashakidze

Principles of Term Creation in Georgia of the Second Half of the 19th Century

Tbilisi
2009

XIX საუკუნის მეორე ნახევარი უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდია ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიაში, როცა, რუსეთის იმპერიის ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის საპირისპიროდ, ვითარდება ეროვნული მეცნიერება და მწერლობა; მოწინავე ქართველი საზოგადოება დაინტერესებულია წინა საუკუნეების კულტურული ტრადიციების აღდგენითა და, ამავე დროს, ევროპის განვითარებული ქვეყნების მიღწევებით. ამ პერიოდში იწყება სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის ახალი ეტაპი, რამაც გამოიწვია საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზეც.

წინამდებარე წიგნი ტერმინთქმნადობის ისტორიული სურათის წარმოდგენის მოკრძალებული ცდაა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალების მიხედვით. ნაშრომი სამსახურს გაუწევს ტერმინოლოგებს, სამწიგნობრო ენის ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და სტუდენტებს.

რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. დამანა მელიქიშვილი

რეცენზენტები: **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**
პროფ. მანანა ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. რევაზ შეროზია
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
პროფ. რუსუდან საღინაძე

© ი.ვაშაკიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ვაშაკიძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-745-8

სარჩევი

წინასიტყვაობა.....6

შესავალი: ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.....9

თავი I. ქართული სამეცნიერო ენის მდგომარეობა XIX საუკუნის II ნახევარში.....26

1.1. პოლიტიკური ფონი; ანტიეროვნული სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პოლიტიკის ასპექტები.....26

1.2. 60-იანელები რეაქციონერთა წინააღმდეგ. სამეცნიერო ტერმინოლოგია - სახელმწიფო ენის სტატუსის აღდგენისათვის ბრძოლის მთავარი იარაღი.....40

1.3. ილია ჭავჭავაძის ადგილისათვის ქართული სამეცნიერო ენის ისტორიაში.....45

1.4. სალიტერატურო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის ახალი ეტაპი.....52
1.4.1. სალიტერატურო ენის საორიენტაციო სტილის განსაზღვრა; ორთოგრაფიული რეფორმა.....52
1.4.2. მოწინავე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება სხვა ენებიდან მომდინარე ლექსიკისადმი.....61
1.4.3 სალიტერატურო ქართულის პრაქტიკული საკითხები.....66

1.5. ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებანი XIX საუკუნის II ნახევარში.....78

თავი II. ქართული ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების ძირითადი მიმართულებები XIX საუკუნის II ნახევარში.....88

2.1. ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული პრობლემები.....88
2.1.1. ლექსიკოლოგიური ძიებების გააქტიურება.....88
2.1.2. ლექსიკოგრაფიის პრობლემატური საკითხების მომწიფება.....105

2.1.3. კლასიკური ლექსიკოგრაფიული ნაშრომების გამოცემა.....109

2.2.დარგობრივი ტერმინოლოგია და სახელმძღვანელოები.....110

2.3.ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზა.....111
2.3.1. არქაული ქართული სამწიგნობრო ენის ტერმინების გააქტიურების საკითხი.....112
2.3.2. ხალხური მეტყველებიდან მომდინარე მასალის დამუშავება.....120
2.3.3. ტერმინოლოგიური პრობლემები და ქართული პრესა.....130

2.4. ტერმინთქმნადობა ტრადიციული მოდელების მიხედვით.....139
2.4.1. ქართული ფუძით ნაწარმოები ტერმინები.....139
2.4.2. რუსული ტერმინების მიხედვით შექმნილი ქართული ტერმინები.....143
2.4.3. საერთაშორისო ტერმინების ბაზაზე წარმოებული ქართული ტერმინები.....170

2.5. სესხება.....193
2.5.1. ორიენტაცია მკითველის განათლების დონეზე.....193
2.5.2. ინტერნაციონალიზმების რაოდენობის ნორმირება..... 197
2.5.3. ინტერნაციონალიზმთა რუსულის გზით სესხების შედეგები....201

ძირითადი დასკვნები.....204

The General Outline of the Work.....209

დამუშავებული ტექსტები.....214
დამოწმებული ლექსიკონები.....216
დამოწმებული ლიტერატურის სია.....217
დამოწმებული პერიოდული გამოცემები.....226

საძიებელი.....207

წინასიტყვაობა

ქართული სამეცნიერო ტერმინთქმნადობა ემყარება ცნობილ მწიგნობართა და მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ისტორიულად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელშიც გათვალისწინებულია ორი მუდმივმოქმედი პროცესი:

1. სამწერლობო ენის სისტემატიზაციასა და ნორმალიზაციასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა;

2. სიტყვათშემოქმედების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

შუა საუკუნეებში ტერმინთშემოქმედების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესო ნაშრომები აქვთ: პროფ. დამანა მელიქი'შვილს, პროფ. ზურაბ სარჯველაძეს, პროფ. ედიშერ ჭელიძესა და სხვებს. კვლევის ამ ეტაპზე დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს ილია ჭავჭავაძის, მის თანამედროვეთა თუ შემდგომი პერიოდის მოღვაწეთა ნააზრევი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი, სრულიად სამართლიანად, ახალ ეტაპად ითვლება სალიტერატურო ენის ისტორიაში. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ენობრივი რეფორმა და ტერმინთშემოქმედება, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება; მან "ივერიის" რედაქციაში გარს შემოიკრიბა ქართული ენის გულშემატკივართა მთელი წრე და, რუს ხელისუფალთა რეაქციული პოლიტიკის პირობებში, ქართული პრესა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის პროპაგანდის მძლავრ კერად აქცია.

ილია ჭავჭავაძემ განავითარა ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია, რომელიც, განსაკუთრებული სისრულით X-XI-XII საუკუნეების მეცნიერ-ლექსიკოგრაფთა მოღვაწეობის დროს გამოვლინდა, ხოლო XVII-XVIII საუკუნეებიდან, მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების გამოცოცხლებასთან ერთად,

გაგრძელდა (ეს პროცესი, პირველ რიგში, სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათალიკოსის სახელებთან არის დაკავშირებული).

სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში ილიამ შექმნა ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების გარკვეული სისტემა. ამავე დროს, მის კონცეფციაში ერთგვარად შეჯამდა XIX საუკუნის 50-იანი და მომდევნო წლების მოწინავე ინტელიგენციის თეორიული შეხედულებანი.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაიზარდა ქართველი საზოგადოების დაინტერესება ენათმეცნიერული საკითხებით. თბილისის მსგავსად, ქუთაისშიც შეიქმნა ქართული ენის მცოდნეთა წრე "გრამატიკული ტერმინებისა და ფორმების" გასარჩევად (ზ. ჭიჭინაძე, 1886, გვ. 117-118). შესაბამისად, უფრო სისტემური სახე მიიღო სამეცნიერო ენაზე მუშაობამ, ჩამოყალიბდა ტერმინთშემოქმედების ზოგადი პრინციპები. ამით ნიადაგი მომზადდა შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც თანამედროვე ტერმინოლოგიის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

საკითხზე მსჯელობისათვის დავამუშავეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, სხვადასხვა ავტორთა კრიტიკული შენიშვნები, აღნიშნულ პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები, პრესისა და პერიოდულ გამოცემათა მასალები, ძველი წერილობითი წყაროები, ლექსიკონები, სხვადასხვა დროს ჩაწერილი და გამოცემული დიალექტური ტექსტები; გავეცანით შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას (იხ. დამოწმებული ლიტერატურის სია).

წყაროების შესწავლამ მიგვიყვანა გარკვეულ დასკვნებამდე; კერძოდ:

XIX საუკუნის მეორე ნახევარი უნდა ჩაითვალოს ერთგვარი გარდატეხის ხანად ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიაში, როცა იწყება სამწიგნობრო ენისა და მწერლობის აღორძინება.

ამ პროცესის ორგანული ნაწილია და, ამავე დროს, ბიძგის მიმცემიც მოწინავე საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა მოღვაწეობა. მათ ნაშრომებში გამოიკვეთა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ტერმინთშემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოებითი საშუალებანი; ამავე დროს, სამწიგნობრო ენაში გზა გაეხსნა ინტერნაციონალიზმებს და გაჩნდა ქართული სამეცნიერო ენის მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრების პერსპექტივა (მიმდინარე მოვლენები დააჩქარა ევროპასა და რუსეთში საყოველთაოდ განხორციელებულმა ენის დემოკრატიზაციის პროცესებმა).

აღნიშნული პერიოდისათვის სპეციალური ლექსიკა ქმნადობის პროცესშია - ხელახლა იხვეწება სამეცნიერო სტილი, ტერმინოლოგიური მუშაობის გზები და მიმართულებები; ტრადიციული ყალიბების ფონზე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი სამეცნიერო ენისათვის უფრო მისაღები წარმოება, ასევე - უცხო ლექსიკის სესხებისათვის გასათვალისწინებელი ორთოგრაფიული ნორმები, რის შედეგადაც სამეცნიერო ენა დამძიმებულია, ერთი მხრივ, ლექსიკური სინონიმებითა და პარალელიზმებით, მეორე მხრივ - ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმებით.

XIX საუკუნის II ნახევრის ტერმინთშემოქმედების მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი ჩართულობა ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიული განვითარების უწყვეტ პროცესში. ის არის შედეგი წინა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობისა და, თავის მხრივ, საფუძველი ახალი საეტაპო ცვლილებებისათვის.

წინამდებარე წიგნის ძირითადი დებულებები მოხსენებების სახით წაკითხულ იქნა სხვადასხვა დროს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებზე.

შესავალი

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ტერმინოლოგიის საფუძველს საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკა, სიტყვაწარმოება და გრამატიკა შეადგენს; შესაბამისად, სამწერლობო ენაში მიმდინარე ყველა ძირეული თუ უცხოენობრივი გავლენით გამოწვეული პროცესი მასშიც აისახება, რაც განპირობებულია სისტემასა და ქვესისტემას შორის არსებული მჭიდრო კავშირით. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ტერმინოლოგიის დარგში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები პარალელურად სალიტერატურო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის საკითხებსაც წყვეტდნენ. მათ მიერ გამომუშავებული ორიგინალური სტილი და კვლევის პრინციპები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამწერლობო ენისა და ტერმინოლოგიის სფეროში მუდმივი ძიების პროცესზე.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალების მიხედვით, გაბედულად შეიძლება იმის თქმა, რომ სამეცნიერო ენას, ლექსიკითა და სიტყვაწარმოებითი საშუალებებით მდიდარი სალიტერატურო ქართულის საფუძველზე, თავიდანვე ჰქონდა სრულყოფილი განვითარების პერსპექტივა.

VIII-IX საუკუნეების ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის - გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით ტაო-კლარჯეთში გაჩაღებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად, ჩამოყალიბდა ეროვნული ლიტერატურულ-ფილოლოგიური სკოლა, რომელმაც "შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება" (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 97), განავითარა აგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობა, აღზარდა მთარგმნელ-გადამწერთა სპეციალური

კადრები და ნიადაგი მოამზადა მეცნიერებისა და განათლების კიდევ უფრო მეტად სრულყოფისათვის მომდევნო პერიოდში.

X-XI-XII საუკუნეები სამართლიანად არის მიჩნეული საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ზეობის ხანად. ამ დროისათვის, როდესაც დამთავრდა საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერ ფეოდალურ მონარქიად ქცევის პროცესი, შეიქმნა საუკეთესო პირობები კულტურულ-ლიტერატურული განვითარებისათვის; "ქართველმა მოღვაწეებმა და მწერლებმა... დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობით იმდენი შეძლეს, რომ თავიანთი ერი და ქვეყანა იმდროინდელი ერებისა და ქვეყნების დაწინაურებული ყოფა-ცხოვრებისა და გონებრივი საუნჯის თანამოზიარედ გახადეს, ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება განავითარეს და ძლიერი ეროვნული თვითშემეცნება შეჰქმნეს" (ივ. ჯავახიშვილი, 1983, გვ. 292). ჯერ კიდევ წინა პერიოდის გასულს "სავსებით ფეხმოკიდებული სასულიერო-ლიტერატურული შემოქმედება" უფრო "გიგანტური ნაბიჯებით" წავიდა წინ და გამდიდრდა "ახალი მიმართულებებითა და ჟანრებით, როგორიცაა: მეტაფრასტიკა, ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, პოეზია..." (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 60); მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, "საქართველოს ძლიერების ხანა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ამ დროს "მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწაფა" (ივ. ჯავახიშვილი, 1983, გვ. 298).

X-XI-XII საუკუნეებში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას წარმართავდნენ ისეთი ცნობილი მწიგნობრები და საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი, საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე, ქართული ფილოსოფიური ენის სისტემატიზატორი, "საღვთო ფილოსოფოსი" იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი და მწერალი, ქართული დოგმატიკური

და კანონიკური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი არსენ იყალთოელი და სხვები. მათი მეშვეობით ამოქმედდნენ და ინტენსიურ მუშაობას შეუდგნენ უმაღლესი განათლების კერები ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

საზღვარგარეთული ცენტრებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: 1) ათონის ივერთა მონასტერთან არსებული ლიტერატურული სკოლა, რომელმაც "უეჭველად ახალი პერიოდი შექმნა ქართული კულტურის განვითარებაში თავისი განმაახლებელი მუშაობით: 1. ფილოსოფიაში, 2. ენაში, 3. ლიტერატურაში, 4. სამკურნალო მედიცინაში, 5. პოლემისტობაში (ანუ ლიტერატურული პაექრობის დარგში), 6. პედაგოგიკაში, 8. კალიგრაფიაში და სხვ." (გ. თავზიშვილი, 1938, გვ. 22-23); 2) შავი მთის და 3) პეტრიწონის ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია "განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას"; ამით ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 107).

ამავე პერიოდს უკავშირდება საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრების - იყალთოსა და გრემის აკადემიების დაარსება.

XI-XII საუკუნეების ქართველი მოღვაწენი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბერძნულ ენაზე შექმნილი მდიდარი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ლიტერატურით; წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი ორიგინალური ლიტერატურული მოღვაწეობა ახლა გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობით შეიცვალა. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ბერძნულიდან ქართულად თარგმნის მეთოდოლოგია, "საფუძველი ჩაეყარა ფუნქციურ სტილთა თეორიას, რომელიც მეცნიერულ-ფილოსოფიური, ლოგიკურ-ღვთისმეტყველური თუ ისტორიულ-რიტორიკული ხასიათის თხზულებებისათვის განსხვავებული ენობრივი სტილის შემუშავებას გულისხმობდა" (დ. მელიქიშვილი, 1988, გვ. 90).

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის მთარგმნელობით მეთოდში ჯერ კიდევ ათონელებმა შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა, დედანთან შედარებით, თარგმანისათვის შეემატებინათ და მოეკლოთ კიდეც, ანუ გადმოექართულებინათ და არაზუსტად ეთარგმნათ. ექვთიმე ათონელის "კლება-შემატების" მეთოდი შემდეგ უარყო გიორგი მთაწმინდელმა, რომელმაც სასულიერო წიგნების ზუსტ თარგმნას მიჰყო ხელი (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 61; კ. დანელია, 1983, გვ. 250, 356; დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 156-157);[1] ამასთან დაკავშირებით, ხელმეორედ თარგმნა "სახარება", "დავითნი", ასევე - ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲ" და გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმისათვის". "ეს, თავისთავად ც, ამავე დროს, წარმოადგენდნენ საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს", ასეთი ხასიათის ლიტერატურის თარგმნამ... მოითხოვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა" (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 157).

გიორგი მთაწმინდელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში. მაშინ, როცა ძველ ქართულ თარგმანებში რომელიმე ცნება ხშირად მთელი შესიტყვებითაა გადმოცემული,

---

[1] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ბერძნული დედნიდან ზუსტად, ანუ ზედმიწევნით თარგმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო დიდ ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობასთან გათანასწორებისა და მეტოქეობის სურვილი, რაც, სხვათა შორის, პრაქტიკული მიზნითაც იყო გამოწვეული: შეენარჩუნებინათ ქართული საეკლესიო-ლიტერატურული კულტურის კერების დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 60-61), მაგრამ, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ნათარგმნ სამეცნიერო-თეოლოგიურ ლიტერატურაში უხვად გაბნეული, სხვადასხვა ცნების გამომხატველი ტერმინების საბოლოო დადგენა; ტერმინოლოგიური უზუსტობანი ხშირად იწვევდა გაუგებრობას და მიზეზი ხდებოდა ეკლესიიდან განკვეთისაც კი (დ. მელიქიშვილი, 1983).

გიორგი მთაწმინდელი აწარმოებს ერთსიტყვიან ტერმინს. იგი ცდილობს, ზუსტად გადმოსცეს ბერძნული ტერმინის ცნებითი შინაარსი. "გიორგი მთაწმინდელის თარგმანებში, უძველესი ქართული თარგმანებისაგან განსხვავებით, აშკარად იგრძნობა ბერძნული დედნის გავლენა ტერმინთა წარმოებასა და კომპოზიციაში" (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 159).

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმე კიდევ უფრო წინ წასწია ეფრემ მცირემ, რომელმაც იოანე დამასკელის "დიალექტიკის" მისეული თარგმანის წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბა მთარგმნელობითი თეორია. ამ თეორიის მიხედვით, დედნის აზრი "მარტივად, შეუზავებლად და შეუხამებლად" უნდა გადმოცემულიყო, ხოლო, რადგანაც "ყოველ თარგმანს შინაარსის გასაცხადებლად ჩვენს ენაზე" ხშირად სიტყვის შემატება ესაჭიროებოდა, ეს შემატებანი, ძირითად ტექსტში რომ არ არეოდათ, ადგილ-ადგილ კიდეზე ანუ აშიაზე უნდა წაეწერათ. ეფრემ მცირემ "ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებების ფართო და თავისუფალი გამოყენებით... შექმნა უმდიდრესი ახალი ლექსიკა, მთელი რიგი მოხდენილად და მოხერხებულად ნაწარმოები ტერმინები, რომელთაც, გაუძლეს რა დროის გამოცდას, დამკვიდრდნენ ქართულ სალიტერატურო ენაში" (**წინადადება, განაზღვრება, განუყოფელება, ოგივეობა, ცნობიერება, წართქმა**...); ეფრემ მცირემ საფუძველი ჩაუყარა ქართული სამეცნიერო და კერძოდ ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემატიზაციას, დახვეწა და დაზუსტება კი შემდგომი თაობების საქმე იყო. სწორედ ამ მიზნით, XI საუკუნის მოღვაწე არსენ იყალთოელი ხელმეორედ თარგმნის იოანე დამასკელის "დიალექტიკას" (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 160-161).

არსენ ვაჩეს ძე იყალთოელი, დავითის ისტორიკოსის მოწმობით, "თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენისა და განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა" ("ქართლის ცხოვრება",1955, გვ. 356), "ბერძნულის შესატყვისად სათანადოდ

ხვეწს“ და, ეფრემისგან განსხვავებით, კიდევ უფრო აზუსტებს ქართულ ტერმინებს (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 161).

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპის წარმომადგენელია იოანე პეტრიწი, რომელმაც მიზნად დაისახა შეექმნა ენა, “მესხუედ მდაბრიონთაგან“, “ადვილთა და ჩუეულთა სათარგმანოთა“ ენისაგან (დ. მელიქიშვილი, 1975, გვ. 59; 1983, გვ. 166).

როგორც ნიკო მარი აღნიშნავდა, სწორედ იოანე პეტრიწს “უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე მზამზარეულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც არაჩვეულებრივად ზუსტად და ლაკონურად გადმოსცემს ქართული ძირებით ყველა იმ ტერმინს, რომლებიც ევროპულ ენებში ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით არსებობს“ (**Марр Н.Я. “Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI-XII века“(ЗВО, т. XIX, СПБ, 1909 г.,стр. 35,** დამოწმ., დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 166).

იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსის “კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმანის წინასიტყვაობასა და ე.წ. ბოლოსიტყვაობაში ჩამოაყალიბა საკუთარი მოსაზრებანი ფილოსოფიური ენის რაობაზე, “სპეციალურად შეეხო ფილოსოფიურ ცნებათა შესატყვისი ტერმინების დადგენის საკითხს და კონკრეტული მაგალითების... მოხმობით უჩვენა ქართული სპეციალური ტერმინის შექმნის გზა შესაბამისი ბერძნული ტერმინის მიხედვით“ (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 166).

ძველი ქართული ტერმინოლოგიური წარმოების ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა შემდეგში: ფილოსოფიური ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული ძირეული მასალისაგან, ასევე ქართული დერივაციული აფიქსების გამოყენებით, ხოლო თუ სესხება მაინც გარდაუვალი ხდებოდა, გამორიცხული იყო უცხო (ბერძნულ) აფიქსთა კომბინაცია ქართულ ძირთან; საამისოდ “უსაზღვროდ ფართო გასაქანი უნდა მიეცათ თავისთავად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებებისათვის, მაქსიმალურად გამოემზეურებინათ და

გამოეყენებინათ მისი შესაძლებლობანი, განეახლებინათ არქაული, მივიწყებული და გაქვავებული ფორმები და მოდელები, ამასთანავე ერთად, გზა გაეხსნათ ცოცხალი, სალაპარაკო ენაში არსებული პერსპექტიული ფორმებისათვის“ (დ. მელიქიშვილი, 1988, გვ. 133). ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში დაინერგა ძველ ქართულში შედარებით იშვიათი, მაგრამ მაინც გამოცდილი საშუალება ტერმინთა საწარმოებლად; მაგალითად: არაბრუნებადი სიტყვების გასუბსტანტივება ბრუნების გზით - **არსი, ძერვისი, იმპრესიონისი, დირსი**... შდრ.: **მახი, თუთი, შუნაი, აწი, აქაი, ოდესმეი, ოდესი, შორისი, მყისი, ზენაი, კერძოი** (დ. მელიქიშვილი, 1988, გვ. 148-149); “დეკლინაციის სუფიქსების, კერძოდ, ნათესაობითის, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების დაბოლოებების, ასევე, **-მიერ, შორის, -ებრ, -გან, კერძო**... თანდებულების სადერივაციო აფიქსების ფუნქციით გამოყენება: **მეშვეობითი, ცხოვლობითი, სულითი, ჟამითი, მრგულივი, მწუობრივი, ძალადი, განრიცხუადი, შეჯგომადი, კუალადი**... **მცურვალთაგანი, თბეთაგანი**... **გონებრივი, დახაბამებრი, ერთებრი**... **ჟამის-შორისი, ცხოველთა-შორისი**... **სიტყუსმიერი, ჟამისმიერი, ჟამის-ქუეშე, ზედაკერძოი, სიტყუათაშინაი**... არაპროდუქტიული, არქაული მოდელები: **გაგონე, მოქენე, მაცნე, მეტრფე, მეწადე**... (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 171; 1975, გვ. 99, 106).

X-XI-XII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მიერ შემუშავებული ბევრი ტერმინოლოგიური ერთეული, როგორიცაა: **არსი, არსება, არსებითი, ძლიერება, გონება, გონიერება, აგებულება, განცდა, ვითარება, ნივთი, ნივთიერი, სულიერი. უგუნური, უგუნურება, უძლური, უძლურება, ცნობიერება, მოძღვრება, ჰეშმარიტება, უმეცრება, მეცნიერება, სიბრძნე, მიმართება, უკვდავება, რაოდენობა, შემოქმედებითი, მხგავსი, ცვალებადი, ხელოვნება**... ახლაც პირვანდელი მნიშვნელობით იხმარება (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 91).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: ძველ ქართულ აკადემიებში გაჩაღებული მეცნიერული მუშაობის შედეგად, ჩამოყალიბდა სპეციალური ტერმინოლოგია, "გამომუშავდა განსაკუთრებული მეცნიერული სტილი, შეიქმნა სამეცნიერო კვლევის ტრადიცია" (გ. თავზიშვილი, 1938, გვ. 91).

მაგრამ ამ ტრადიციას მომდევნო პერიოდში განვითარების საშუალება აღარ მისცემია. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ბუნებრივი განვითარება შეაფერხა XIII-XVI საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურმა კრიზისმა; ჯერ მონღოლთა, შემდეგ ოსმალთა შემოსევებმა და განუწყვეტელმა თარეშმა, რასაც ზედ დაერთო ფეოდალური შინააშლილობა, დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ყოფას, გაწყდა კავშირი ქრისტიანულ დასავლეთთან, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კერებთან. ეს პერიოდი ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისა ნაკლებად შესწავლილია, თუმცა "არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღორძინების კლასიკური ხანის ეს შემდგომი პერიოდიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო უინტერესო მეცნიერულ-ტერმინოლოგიური ძიების თვალსაზრისით" (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 92).

XVII საუკუნიდან, ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის აღორძინებასთან დაკავშირებით, დაიწყო ტერმინოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობა. ეს პროცესი უკავშირდება გამოჩენილ მეცნიერ-ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანს, რომელსაც "იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის შემდეგ... წილად ხვდა ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარება და გამდიდრება (ალ. ღლონტი, 1971, გვ. 230). საბასთვის.. ამოსავალი იყო იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური შეხედულებანი და ტერმინოლოგია. მან პეტრიწისაგან ისესხა გრამატიკული, ფილოსოფიური, არითმეტიკული, გეოგრაფიული, ასტრონომიული და სამკურნალო ცნებები და მათ საფუძველზე შეავსო "თავისი შეხედულებათა სისტემა; ს.ს. ორბელიანი აქტიურად იყენებდა იოანე პეტრიწის შრომებს ლექსიკონის შედგენისას; მას

"პეტრიწისაგან უსწავლია... სიტყვათა განმარტების ტექნიკა და ლექსიკონის შედგენის ხერხები, პეტრიწის შრომიდანვე აუღია ცალკეულ სიტყვათა განმარტებებიც (ალ. ღლონტი, 1983, გვ. 57-59). ს.ს. ორბელიანის "სიტყვის კონა" პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელიც დღესაც ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს.ს. ორბელიანმა აღადგინა წინა საუკუნეებში გაწყვეტილი ენათმეცნიერული კვლევა-ძიების ტრადიცია. მის მიერ წამოწყებული საქმის გამგრძელებლებად მოგვევლინენ: ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი, კათალიკოსი ანტონ I, დავით რექტორი, დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, სიმონ და ნიკო ეგნატაშვილები, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები და სხვ.

ვახტანგ VI-მ (1675-1737) უშუალო მონაწილეობა მიიღო ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის გასრულებაში და სწორედ მან შეარქვა ამ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს "სიტყვის კონა" (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 93). მნიშვნელოვან ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენს კომენტარები, რომლებიც ვახტანგმა ქართულ სტამბაში 1712 წელს დაბეჭდილ "ვეფხისტყაოსანს" დაურთო; ამით მან მეცნიერული საფუძველი მოუმზადა რუსთველოლოგიურ კვლევას. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, ვახტანგისეულ კომენტარებს, ანუ "თარგმანს" მრავალი მეცნიერული ღირსება აქვს; იგი "წარმოადგენს სპეციალური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდას, რაც, უთუოდ, მეტად მნიშვნელოვანია თავისი შედეგით". მართალია, სალექსიკონო მასალა ანბანის რიგზე არ არის დალაგებული, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური ნაკლია ნაშრომისა; მთავარია ის, რომ ვახტანგმა კარგად გაართვა თავი ძნელად გასაგები სიტყვების ზუსტად და სხარტად ახსნის საქმეს (ა. შანიძე, 1986, გვ. 59). ასევე ინტერესმოკლებული არაა "სპარსულ-ქართული ლექსიკონი", რომელიც ერთვის ვახტანგის მიერ სპარსულიდან ნათარგმნ ულუღ-ბეგის ერთ ასტრონომიულ ნაშრომს ("ზიჯი");

ლექსიკოგრაფიული შრომის შედეგებს ვპოულობთ აგრეთვე "ქილილა და დამანას" თარგმანში. როგორც აღნიშნავენ, ვახტანგის მდიდარ ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას საბას ხელი ამჩნევია (ალ. ღლონტი, 1971, გვ. 221-222).

ტერმინოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით, საყურადღებო უნდა იყოს ვახტანგ VI-ის მიერ სწავლულ კაცთა კომისიის მოწვევა, რომელსაც უნდა შეედგინა მეცნიერების სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები. როგორც ცნობილია, ვახტანგის მიერ 1707 წელს დაარსებულ ქართულ სტამბაში, სხვა წიგნებთან ერთად, იბეჭდებოდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 94).

ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756) მეცნიერულ ნაშრომში: "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიას "დასაბამიდან" XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე და საქართველოს ტერიტორიის პირველ საფუძვლიან და დეტალურ გეოგრაფიულ აღწერილობას, აგრეთვე მის მიერვე რუსულიდან ქართულად ნათარგმნ სახელმძღვანელოში: "მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია" მრავლადაა გაბნეული გეოგრაფიულ-ისტორიული და საბუნებისმეტყველო ტერმინები.

ანტონ კათალიკოსმა (1720-1788) შეადგინა პირველი "ქართული ღრამმატიკა" ყრმათათვის. მისი პირველი რედაქცია დაიწერა 1753 წელს სომეხი გრამატიკოსის მხითარ აბა სებასტიელის გრამატიკის უშუალო გავლენითა და გამოყენებით, ხოლო მეორე რედაქცია (რომელშიც ანტონი უფრო დამოუკიდებელია) - 1767 წელს; გამოცემულია რაფ. ერისთავის რედაქტორობით (1885 წელს). "ქართული ღრამმატიკის" მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდი იყო; ანტონის გრამატიკულ კანონებსა და სამი სტილის თეორიას მეტ-ნაკლებად ანგარიშს უწევდა ყველა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე,

მწერალი თუ პოეტი, დაწყებული ანტონის თანამედროვეებიდან, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 3).

ანტონის ტერმინოლოგიური მუშაობა ძირითადად განისაზღვრა ძველი ქართული მწერლობიდან საჭირო ლექსიკური ერთეულების მოძიებით, ბერძნულიდან თუ სომხურიდან თარგმნით, კალკირებით; მაგალითად, იოანე პეტრიწი თავის "განმარტებაში" და შემდეგ ს.ს. ორბელიანი, პეტრიწზე დაყრდნობით, იყენებენ ბერძნულ ტერმინებს: "ოქსია", "ვარია", "პერისპომენი", "მაკრა", "ვრაქია", "დანია", "ფსილი". მათგან განსხვავებით, ანტონმა ეს ტერმინები ქართულად თარგმნა: **მახვილი, ნელიადი, მოხრილი, ბრჭყე, ლიტონი** ანუ **წყლტუა, გრძელი, მოკლე** ანუ **კლებული** (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 41-44).

ანტონის უდიდესი ღვაწლია ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის დადგენა: **ახო, ხმოვანი, მარცვალი, ძირი, მთრგი, არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მოძღეობა, სახელზმნა, საზოგადო სახელი, დადებითი ხარისხი, მდედრობითი, მამრობითი, მარტოვი, რთული, კნინობითი, უკუთქმითი, ორობითი, ბრუნვის ნიშანი, ჩვენებითი ნაცვალსახელი, ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, შორისდებული, ბრუნვა, წრფელობითი, სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, დაწყებითი, მოთხრობითი, წოდებითი, რიცხვი, მსოლობითი, დრო, აწმყო, მყოფადი, ნამყო, პირი, პირის ნიშანი, მაწარმოებელი, მოქმედებითი, ვნებითი, ბრძანებითი, პირნაკლი, მძიმე, წერტილი**... (ალ. ფოცხიშვილი, 1870, გვ. 3). როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, ყველა ეს ტერმინი უშუალოდ ანტონის შექმნილი არ არის, მაგრამ მისი გრამატიკის მეშვეობით დაინერგა. ანტონის სახელმძღვანელო, რომელმაც, თავის მხრივ, X-XII საუკუნეებში შემუშავებული ენობრივი ნორმები და ტერმინოლოგია მიიღო, საფუძვლად დაედო შემდგომში არქიმანდრიტ გაიოზის (1781), არქიეპისკოპოს ვარლამის (1802), იესე ჩოლოყაშვილის (1818) და სხვათა სახელმძღვანელოებს,

რომლებიც "ანტონის გრამატიკის შინაარსის გამარტივებულ გადმოცემას წარმოადგენდა, ანდა ძირითად მომენტში ანტონის გაგებას ემყარებოდა" (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 101).

გარდა ქართული ენის გრამატიკისა, ანტონმა შეადგინა გეოგრაფიის, არითმეტიკის, რიტორიკის, კატეხიზმოს, ღვთისმეტყველების, მეტაფიზიკის, ლოგიკის და სხვა დარგის სახელმძღვანელოები, რომლებითაც სწავლობდნენ მის მიერვე გახსნილ სემინარიებში თბილისსა და თელავში.

"ანტონი გამოჩენილი ფილოსოფოსია მეთვრამეტე საუკუნისა, მან გააცოცხლა ჩვენში ტრადიციები კლასიკური ხანის ფილოსოფიური აზროვნებისა და ფილოსოფოსებისა, უფრო კი იოანე პეტრიწისა" (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 382). განუზომელია მისი ღვაწლი ძველი ქართული ფილოსოფიური თხზულებების მოძიებასა და თარგმნაში; ანტონ კათალიკოსმა ჩამოაყალიბა მთელი ჯგუფი (ფილიპე ყაითმაზაშვილი, ნიკოლოზ მღვდელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, დოსითეოზ ნეკრესელი...), რომლებიც მუშაობდნენ, ძირითადად, სომხურიდან ქართულად ფილოსოფიური ნაშრომების თარგმანზე (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 169). ამავე დროს, ცნობილია ანტონ კათალიკოსის უარყოფითი დამოკიდებულება პროკლე დიადოხოსის "კავშირნის" ახალი თარგმანისადმი სომხური რედაქციის მიხედვით (1757), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ქართული (იოანე პეტრიწისეული) რედაქციის თარგმანს (1248) - კ. კეკელიძე, 1980, გვ. 383-384.

ანტონმა თარგმნა "წიგნი კატიღორია. სიმეტნეჲ", ბაუმაისტერის ლოგიკა, მეტაფიზიკა, ითიკა და "საზღვარი ფილოსოფიისა" (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 384). 1762 წელს ვლადიმირში მან ასევე თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ვოლფის ფილოსოფია, რომლის VI ნაწილს "ექსპერიმენტული ფიზიკა" ეწოდა, ხოლო VII-ს "თეორიული ფიზიკა". ქ. ვოლფის ქართული თარგმანი წარმოადგენდა პირველ ქართულ სახელმძღვანელოს ფიზიკაში,

"ამდენად, ანტონ I-ის ღვაწლი ფიზიკური ტერმინოლოგიის დადგენაში განუზომელია" (ვ. პარკაძე, 1982).

ანტონ I-ის მოწაფემ და შემდეგში თელავის სემინარიის რექტორმა დავით ალექსი-მესხიშვილმა მრავალი სახელმძღვანელო შეადგინა სემინარიის მოწაფეთათვის; ამავე დროს, გადაწერა და შეავსო სულხა-საბა ორბელიანის ლექსიკონი. ამ ლექსიკონზე მისი მუშაობა გამოიხატა:

ა) ახალ, საბასათვის უცნობ სიტყვათა შეტანაში (**ბანი, რესპუბლიკა, ხატირი, ხილენციო, ხიმბოლო, ხიმეტრია, ტირანობა, დორიზონტი, ხრონიდლოგია**...) დავით რექტორმა 300-ზე მეტი ახალი სიტყვა შეიტანა საბას ლექსიკონში. თავისი მუშაობით მან საბას ნაშრომს ენციკლოპედიური ლექსიკონის სახე მისცა;

ბ) საბას მიერ აუხსნელად დატოვებულ სიტყვათა ახსნაში (**ბითლიხი, ადინა, ალაბი, ალექსანდრია, ალიხარჩული, ამაკრო, არდაველი, არაყი, მდოგვი, ხურაძი, უნაბი**...);

გ) საბას ახსნათა დამატებაში (რექტორს არ მოსწონს, ან არ აკმაყოფილებს საბას მიერ ახსნილი სიტყვები და მათ თავიდან განმარტავს: **არყი, გაჯი, გვადრუცი, გულგული, ვარდობინა, ვარხვი, ვაშლატამი**...);

დ) გრამატიკულ ცნებათა შეტანასა და

ე) წყაროთა მითითებაში (ვუკ. ბერიძე, 1936, გვ. 322-327).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ "სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის დავით რექტორისეულ რედაქციას, ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის ამ პირველ ცდას, უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს; ენისა და ტერმინოლოგიის ხაზით იძლევა რიგ უეჭველად საყურადღებო ახსნა-განმარტებებს ცოდნის ყველა დარგიდან, აგრეთვე მასალებს სალიტერატურო ენის ისტორიისათვის" (ვუკ. ბერიძე, 1936, გვ. 332).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით (1767-1819) და იოანე (1768-1830) ბატონიშვილების ლექსიკოგრაფიული

ძიებანი და საბას "ქართული ლექსიკონის" დამატებანი; სამართლიანად წერს ლ. ქუთათელაძე: "მათი შენამატი ქართულ ლექსიკონში მრავალფეროვანია, დგას იმდროინდელი ენათმეცნიერების დონეზე და ასახავს ავტორთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს" (ლ. ქუთათელაძე, 1967, გვ. 9).

მრავალმხრივი მოღვაწის დავით ბატონიშვილის ლექსიკონში "საერთო ხმარების სიტყვათა გვერდით მოთავსებულია საბუნებისმეტყველო ცნება-ტერმინების ვრცელი, სპეციალისტთა მონაცემებზე დაყრდნობილი განმარტებები". მას არ აკმაყოფილებდა განსამარტის მხოლოდ განსაზღვრა, მისი ამოცანა იყო, მკითხველისათვის მიეწოდებინა ამომწურავი ცნობები ამა თუ იმ ცნების გარშემო. "ამგვარი ახალი მოთხოვნილებებით და პრინციპებით გამოვიდნენ XVIII საუკუნის ენციკლოპედისტები" (ლ. ქუთათელაძე, 1967, გვ. 38).

ლექსიკონზე მუშაობის დროს დავით ბატონიშვილის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ ს.ს. ორბელიანის "სიტყვის კონა" და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონი (1787-1791 წ.წ.).

განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლისა და მეცნიერის იოანე ბატონიშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ბუნებისმეტყველების სპეციალური რუსულ-ქართული ლექსიკონი (1814 წ.), რომელიც პირველი ცდაა **დარგობრივი ლექსიკონის** შედგენისა (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 95); იოანე ბატონიშვილმა თარგმნა "სამკურნალო წიგნი", შეადგინა "მცირე ლექსიკონი სნეულებათა და წამალთა", "ბუნების ლექსიკონი", საბუნებისმეტყველო ვრცელი ლექსიკონი "მდელოთა, ნერგთა, მხეცთა, მფრინველთა, და ქვეწარმავალთა, აგრეთვე სხვა მეტალთა და ბუზთა"; თარგმნა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ექვსტომეული და ბოლოში დაურთო მ. ვ. ლომონოსოვის თანამედროვისა და თანამებრძოლის

პროფ. ნ. გ. კურგანოვის ნაშრომის (Российская универсальная грамматика, 1769 г.) ბოლოს დამატების სახით შეტანილი უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებანი,

რომლებიც გამოკრებით გადმოიღო (ლ. ქუთათელაძე, 1975, გვ. 44-45).

იოანე ბატონიშვილმა შეადგინა ენციკლოპედიური ხასიათის ქართული ლექსიკონი, რომელიც, სამწუხაროდ, არასრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შემორჩენილია მასალა მხოლოდ "ა" ასოზე და ისიც ნაწილობრივ. როგორც ლ. ქუთათელაძე შენიშნავს, აქ განმარტებული 660 სალექსიკონო ერთეულიდან 268 სიტყვა-ტერმინი სრულიად ახალია, დანარჩენი კი პირველწყაროდან მომდინარეა" (ლ. ქუთათელაძე, 1975, გვ. 12). ქართული ტერმინების განმარტებებს შემდგენელი განუწყვეტლივ ეძიებდა როგორც სპეციალურ ლექსიკონებსა და წყაროებში, ისე ხალხში; ლექსიკონში დიდი რაოდენობით შეჰქონდა, ერთი მხრივ, ძველი, სხვა ენებთან ისტორიული ურთიერთობის მანძილზე შეძენილი სიტყვები, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი, დასავლური სამყაროდან (რუსეთის გზით) შემოსული ლექსიკური ერთეულები.

დავით და იოანე ბატონიშვილები "არამარტო საბას ტრადიციების გამგრძელებლები არიან, არამედ ავტორები ახალი ტიპის ორენოვანი, სამენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონებისა" (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 94).

მხოლოდ ლექსიკოგრაფიული მუშაობით არ განისაზღვრება დავით და იოანე ბაგრატიონების მეცნიერული ღვაწლი; მათ თარგმნეს და შეადგინეს სახელმძღვანელოები გრამატიკის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების დარგიდან; იოანე ბატონიშვილმა თარგმნა "ფრანგი სენსუალისტების მეთაურის - აბატ კონდილიაკის "ლოგიკა" და შოტლანდიელი მორალისტ-ფილოსოფოსის - ადამ ფერგიუსონის "ზნეობითი ფილოსოფია" (გ. ქიქოძე, 1985, გვ. 298); საყურადღებოა მისი ენციკლოპედიური ხასიათის ლიტერატურული ნაშრომის "ხუმარსწავლის ანუ კალმასობის" ფილოსოფიური ნაწილი, რომელიც შეიცავს, ძირითადად, ბიზანტიელ ფილოსოფოსთა ტრაქტატების ძველ ქართულ თარგმანთა გადამუშავებას; ასევე,

ინტერესმოკლებული არაა დავით ბატონიშვილის ფილოსოფიური ნაშრომი: "კატეგორია შემოკლებული".

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, დავით და იოანე ბაგრატიონების ფილოსოფიური ნაშრომები (ანტონ კათალიკოსის თხზულებებთან ერთად), "დიდად ჩამოუვარდება ძველი დროის ქართველ ფილოსოფოსთა თარგმანებს (გადატვირთულია ფსევდოარქაიზმებით, ხელოვნური ფორმებით და სხვ.), მაგრამ... მათ მაინც ამჩნევიათ ამ უკანასკნელთა კეთილი გავლენის კვალი", რაც ვლინდება სიტყვაწარმოების სფეროში. ისინი ძირითადად იყენებენ XI-XII საუკუნეების ფილოსოფოსთა მიერ შექმნილ ტერმინებს, ან მათგან შერჩეულ ყალიბებს ააქტიურებენ ახალ ტერმინთა წარმოებისას (დ. მელიქიშვილი, 1983, გვ. 170).

თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ერთი მხრივ, წინამორბედთა (საბა, ვახტანგ VI...) ნაღვაწს ემყარება, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმძღვანელოს წარმოადგენს მომდევნო თაობების ბევრი ლექსიკოგრაფისათვის; მაგალითად, მისგან ყოფილა დავალებული დავით ჩუბინაშვილი. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი განმარტება იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ექვსტომეულში შეტანილია თეიმურაზ ბაგრატიონის ხელით (გ. შარაძე, 1979, გვ. 3, 11).

დაახლოებით ამავე პერიოდს ეკუთვნის მამა-შვილის – სიმონ და ნიკო ეგნატაშვილების ქართული ლექსიკონი, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მაღალმეცნიერული ღირსებებით.

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული ნაშრომები დღესაც სახელმძღვანელოს წარმოადგენს სპეციალისტებისათვის. მისი ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები მნიშვნელოვანი წყაროა დარგობრივი ტერმინოლოგიის ისტორიის შესასწავლად.

"ქართულ ლექსიკონს", ისევე როგორც დავით, იოანე ბატონიშვილებისა და სხვა წინამორბედთა ლექსიკონებს, ასაზრდოებს ორი ძირითადი წყარო: ქართული საბას

ლექსიკონის სახით და რუსული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის სახით. ავტორს საბასგან უსესხებია "ლექსიკონის აგების ძირითადი პრინციპები, წყაროების გამოყენებისა და დამოწმების მეთოდიკა, სიტყვათა ანოტირება-განმარტებათა მთავარი ნაწილი", ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონისაგან შეუთვისებია "საბასაგან განსხვავებული პრინციპები" და სალექსიკონო მასალა ქართული სიტყვების რუსული თარგმანისათვის (ალ. ღლონტი, 1983, გვ. 158). ეს არის, ფაქტობრივად, ახალი ქართული ენის ლექსიკონი, რომლის მასალაც ემყარება მწიგნობრულ და ზეპირ მეტყველებას; უპირატესად შერჩეულია ისეთი ფონდი, "რომელიც საერთო იყო ეპოქებისათვის და მემკვიდრეობით გადმოეცა XIX საუკუნესაც" (ალ. ღლონტი, 1983, გვ. 163).

პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორის დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით ფასეულია მისი "საუნჯე ქართულისა ენისაჲ" (1887-1890), რომლის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ ს.ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის სალექსიკონო მასალები. ა.შანიძის შეფასებით, საყურადღებო ნაშრომებია ქართულ-რუსულ-ფრანგული (1840) და რუსულ-ქართული (1846) ლექსიკონებიც, "რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ ქართული ენის სიტყვობრივი საუნჯის გამომზეურების თვალსაზრისით"(ა.შანიძე,1984, წინასიტყვაობა).

ზემოხსენებულ ქართველ მწიგნობართა ღვაწლის მოკლე მიმოხილვა დაკვირვების საშუალებას იძლევა სამწიგნობრო ენისა და ტერმინოლოგიის ისტორიული განვითარების პროცესზე, თუ როგორ ყალიბდებოდა ენობრივი მოვლენების გადაწყვეტის კონკრეტული გზები და მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც სახელმძღვანელო იყო გარკვეული თაობებისა თუ ჯგუფის მკვლევართათვის.

თავი I

ქართული სამეცნიერო ენა XIX საუკუნის II ნახევარში

1.1. პოლიტიკური ფონი; ანტიეროვნული სახწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პოლიტიკის ასპექტები

სამწიგნობრო ენის ფორმირებისა და ფუნქციონირების ხარისხი უშუალოდ არის დამოკიდებული სახელმწიფო მმართველობის კურსზე. ამავე დროს, სახელმწიფო მმართველობა ემყარება (თუ ირჩევს) ეროვნული ცნობიერების საძირკველს - ჩვენს შემთხვევაში, "ყოველთა ქართველთა" გამაერთიანებელ ენას. მაგალითისათვის, საკმარისია, გავიხსენოთ პირველი ქართული სახელმწიფოს დამაარსებლის მეფე ფარნავაზის ეპოქა, როდესაც ქართული ანბანი ოფიციალურ დამწერლობად იქცა და **ქართველთა დედაენას** მიენიჭა **სახელმწიფო ენის სტატუსი**.[2] როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მოვლენათა მჭიდრო, ურთიერთგამომდინარე კავშირთან (სამწიგნობრო ენა სახელმწიფო), რომლის წარმოჩენასაც შევეცდებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებული ვითარების ფონზე.

ქართული ენისა და ტერმინოლოგიის მდგომარეობა, ბუნებრივია, განსაზღვრა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა.

აღნიშნული პერიოდისათვის, როდესაც რუსულმა მმართველობამ სამოქალაქო სახე მიიღო, განსაკუთრებით გამოაშკარავდა დამპყრობელთა უარყოფითი დამოკიდებულება

---

[2] საკითხი დაწვრილებით არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში; იხ. მაგ: მ. ტაბიძე, 2005, გვ. 9-51; ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 60-70.

ყოველივე ეროვნულისა და, პირველ რიგში, ქართული განათლებისადმი. ჟურნალი "ცისკარი" წერდა:

"ეს სამოც და სამი წელიწადია, რაც ჩუმნ რუსების მფარველობის ქვეშა ვართ... მაგრამ ჩუმნში არაფერი ცვლილება არ მოუხდენია განათლებასა. არამც თუ ცვლილება, ვერც კი გაგვიგია, არის სადმე განათლება, თუ არა, საშმელია ის რაღაც განათლება თუ სასმელი. განათლება ჯერ ძრიელ შორს არის ჩუმნ ცხოვრებაზედ" ("ცისკარი", 1865, № 6, გვ. 41).

რუს ხელისუფალთა ანტიქართული კურსი არც მომდევნო ათწლეულებში შეცვლილა. როგორც "კვალის" 1893 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ, ქართულ მეცნიერებასა და კულტურას ამ დროს არ ჰქონია "არც საზოგადო პოლიტიკური მნიშვნელობა, არც ნივთიერი ძალ-ღონე და შეძლება, არა სჭერია მეთაურობისა და თაოსნობის ადგილი... არ ჰქონია მინიჭებული არავითარი პატივი, არავითარი სავალდებულო საზრუნებელი, არც არავითარი უფლება..." ("კვალი", 1893, № 17, გვ. 13).

უფრო მძაფრია მომდევნო განცხადებაც:

"თამარ მეფის დროიდან მოკიდებული, ვიდრე მდგომარე საუკუნის სამოც წლებამდე, ჩვენს ერს სული ეხუთებოდა, თავისუფლად ამოსუნთქვაც არ ძალ-ედვა. სამოც წლებში კი ჩვენი ერიც სხვათა ერთა ტაფაში მოჰყვა... გათავისუფლდა მხოლოდ de jure (კანონით) და საქმით კი ბევრად წინ არ წაუწევია... აკი ამიტომაც არის, რომ ჩვენ **სამეცნიერო ასპარეზზედ არაფრის გაკეთება შეგვიძლია**, ამიტომაც არის, რომ **სამეცნიერო ტერმინოლოგია არ გვაქვს შემუშავებული** და გამოკვეთილი; ამიტომაც არის, რომ ჩვენ, - ღვიძლ ქართველებს, ქართული არ გვესმის და **უცხო ენაზედ ძლურტული** მოგვწონს!" ("კვალი", 1893, № 22, გვ. 13).

განსაკუთრებით სავალალო იყო ქართული ენის დევნა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ვიმოწმებთ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს:

"ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველგვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები - კი, მაგალითად, ქართული ენა, ყოველგან გამოდევნილია... ქართულის ენის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი" (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 365);

"ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა", პირველ რიგში, ენას მისწვდა, როგორც "არსებით ნიშანს ეროვნობისა"; მას "მოედანი აღარ ჰქონდა სავარჯიშოდ"; აღარ ისმოდა "დარბაისლური ქართული საუბარი... საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა" (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 39, 80).

ქართული სიტყვიერების დამახინჯება იმ ზომამდე მივიდა, იმდენად დაეკარგა ჩვენს ენას თავისი "კილო და შინაარსი", რომ ზოგჯერ უბრალო სიტყვების აზრიც კი გაუგებარი იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის. მაგალითად, გაზეთ "კვალის" რედაქციას წერილობითი კითხვა გაუგზავნეს, რათა მკითხველებისათვის განემარტა სიტყვა "ნახატებიანი". ამასთან დაკავშირებით, დაიბეჭდა სარედაქციო წერილი, სადაც აღნიშნულია:

"ის კი იციან, ვითომც "უნარი", "მასლაათი", "საბაბი", "უზური", "ხამუშ-ხამუშ", "ლისტი" ქართული სიტყვები იყოს და "ნახატი", "ნახატები" და "ნახატებიანი" კი აღარ იციან. აი, ამისთანა შემთხვევისათვის არის ნათქვამი: "მამის სული დავიწყებიათ და მამინაცვლის სულს ჰფიცვენო" ("კვალი", 1893, № 13, გვ. 7).

ქართული ენის მძიმე მდგომარეობაზეა, ასევე, საუბარი ქართული პრესის სხვადასხვა გამოცემაში ("დროება", 1878, № 263, "ივერია", 1902, № 125, გვ. 3; "განათლება", 1914, № 4, გვ. 312...)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ რუს ხელისუფალთაგან ქართული სამწიგნობრო ენის დევნა-შევიწროება **ქართველური ცნობიერების დაშლისათვის** მიზანმიმართულად განხორციელებული ქმედება იყო. საამისოდ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოიყენეს **განათლების**

სფერო. ქართული ენა იზღუდებოდა "არამცთუ სასამართლო უწყებასა და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში" (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 281), არამედ თვით სკოლებშიც, სადაც უნდა დარწეულიყო ეროვნული მეცნიერების აკვანი.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე სკოლებიდან ქართული და სხვა ადგილობრივი ენების დევნის საკითხი თითქოს არ დამდგარა. ეს ჩანს კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის ნეველროვის 1867 წლის 25 ივნისის "ჰუმანურ საფუძვლებზე" დამყარებული დებულებიდან, რომ ყოველგვარი განათლება უნდა დაწყებულიყო მშობლიური ენის შესწავლით (ტრ. ხუნდაძე, 1940, გვ. 17); მაგრამ ანტიეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის ამ მოჩვენებითმა ჰუმანურობამ მალე იჩინა თავი: 1871 წლის დეკემბრის თათბირის დადგენილებით, **ქართული** და სხვა **ადგილობრივი ენები არასავალდებულო საგნებად იქნენ მიჩნეული**, რითაც, ფაქტობრივად, ნიადაგი მომზადდა სასწავლებლებიდან ქართული ენის სრულებით განდევნისა და სწავლების რუსულ ენაზე შემოღებისათვის.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის - იანოვსკის მიერ შემუშავებული 1881 წლის სასწავლო გეგმის თანახმად, ქართული ენის საათების საპირისპიროდ, იზრდებოდა რუსული ენის გაკვეთილების რაოდენობა; კერძოდ, სოფლის სკოლებში რუსული ენის სწავლება უნდა დაწყებულიყო პირველი სასწავლო წლის II ნახევრიდან, ნაცვლად III წლისა, ხოლო ქართული ენის გაკვეთილები საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც ამას რუსულის სწავლება მოითხოვდა. 1881 წლის სასწავლო გეგმა კიდევ უფრო რეაქციული გეგმით შეიცვალა 1889 წლის 2 მაისს.

განათლების მზრუნველთა ანტიქართული ინტერესები აშკარად გამომჟღავნდა 1880 წლის აგვისტო-სექტემბერში გამართულ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობაზე; აქ სიტყვით გამოსულმა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა - სემიონოვმა სცადა დაემტკიცებინა, რომ ქართულ ენაზე არ იყო არც გეოგრაფიის, არც არითმეტიკის,

არც ისტორიის, არც ფიზიკისა და სხვა საგნების წიგნები და ტერმინები, რის გამოც მათი ქართულ ენაზე სწავლება შეუძლებელი იქნებოდა ("დროება", 1880, № 208, გვ. 2-3; ტრ. ხუნდაძე, 1940, გვ. 40).

აღნიშნულმა განცხადებამ ქართველი ინტელიგენციის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ყრილობაზევე სემიონოვის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდნენ: მ. ღამბაშიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ბ. ფხაკაძე ("დროება", 1880, № 208, გვ. 3). "დროების" 1880 წლის № 209-ში დაიბეჭდა ს. მ. -ს საპასუხო წერილი: "ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები" (გვ. 1-2), ხოლო № 212-ში - რაფიელ ერისთავის წერილი: "რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?" (გვ. 1-2). ავტორი, "გალექსილ თუ პროზად დაწერილ", "სამღვთო თუ საერო წიგნებზე" დაყრდნობით, იხსენებდა XII საუკუნის საქართველოს მაღალგანვითარებულ მეცნიერებასა და კულტურას, ასევე "აღორძინების" პერიოდის მიღწევებს. ფიზიკისა და "სამუნჯიბო" (ასტრონომიული), გეოგრაფიის, არითმეტიკისა და გეომეტრიის, ქიმიის, სამედიცინო, სამხედრო და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მდიდარი ტერმინოლოგიის მიმოხილვის საფუძველზე, იგი ასკვნიდა, რომ ქართულ ენას საკმაოდ მკვიდრი საფუძველი ჰქონდა მეცნიერული ლიტერატურის შემუშავებისათვის და "სასესხებლად არ გახდომია" ბევრი ტერმინი, რომელიც თუნდაც რუსულში მხოლოდ ლათინური ან სხვა ენიდან ნასესხობის სახით არსებობდა (გვ. 2).

ანტიქართული სასწავლო გეგმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო პოლიტიკა, ძირითადად, წარიმართა რამდენიმე ასპექტით:

I. გიმნაზიებსა და სემინარიებში **შეიზღუდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება;** მაგ., როგორც იაკობ გოგებაშვილი შენიშნავს, ეგზარქოს პავლეს დროს "მოსპეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში აუცილებელ შემთხვევაში საღმრთო ისტორიისა და კატეხიზმოს

სწავლებისას... შეკვეცეს ქართული ლიტერატურის პროგრამა, სავალდებულოდ გახადეს ქართული სასულიერო ლიტერატურის უსათუოდ რუსულ ენაზე სწავლება, და აგრეთვე შეზღუდეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში ამავე ენის გაკვეთილებზე" (ი. გოგებაშვილი, 1954, გვ. 145).

II. ქართულ ენაზე სწავლების თავიდან არიდების მიზნით, იმპერიის მესვეურებმა **დაიწყეს ხსვადახსვა კუთხის ქართველთა ხსვადახსვა ეთნიხად გამოცხადება**. ამის დასტურია გორის საოსტატო სემინარიის გამგეობის მიერ თუშ, ხევსურ, ინგილო...მოსწავლეთა განსხვავებული "გვარტომობის" წარმომადგენლებად ცნობა, რაც ილია ჭავჭავაძემ სათანადოდ ამხილა თავის წერილში: "ვიცინოთ თუ ვიტიროთ?!" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 230).

აღნიშნული თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორის - ა. სტოიანოვის "სამეცნიერო" მოღვაწეობა. შევეცდებით წარმოვადგინოთ მისი ნააზრევი:

ა. სტოიანოვი სვანურის კვლევას "უმთავრეს საკითხთა" რიცხვს მიაკუთვნებს; იგი მიუთითებს თავის თანამედროვე მეცნიერებაში სვანურთან მიმართებით არსებულ ორ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაზე:

1. სვანური ძალიან ახლო მონათესავეა ქართულისა;

2. სვანური სრულიად განსხვავებული ენაა.

ა. სტოიანოვს თითქმის ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია ორივე პოზიცია სათანადო არგუმენტებისა და ლინგვისტური მასალის არქონის გამო (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 238). "ლაბირინთიდან" თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად იგი თვლის ლინგვისტური მასალის (სიტყვების, სიმღერების, ზღაპრების...) შეგროვებას და სიტყვასიტყვით თარგმნას. მხოლოდ მაშინ "ფლექსიები, ძირები, ზმნის დროები და სახეები თვითონ ამეტყველდებიან" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 348).

შენიშვნა: ლინგვისტური კვლევის თანამედროვე შედეგები მართლაც ნათლად მეტყველებენ, რომ სვანური დიალექტები

საერთოქართველური ენობრივი მოდელის ანალოგიური ქვესისტემებია და ძირითადი ლექსიკური ფონდიც ზოგადქართულია (მსჯელობისათვის იხ.· ტ. ფუტკარაძე, 2005; თ. გვანცელაძე, 2006).

სახალხო განათლების პრობლემებზე საუბრისას ა. სტოიანოვი ეხება "საჩოთირო" საკითხს და წერს:

"სვანებისთვის მშობლიური ენა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, არის სვანური ენა. თუმცა ამბობენ, რომ სვანური დამახინჯებული ქართულია, მაგრამ, საკვირველია, სვანებს ერთი სიტყვაც არ ესმით ქართული. მცირეოდენნი ლაპარაკობენ ქართულად უშგულში, ლაპარაკობენ თავადები, დიაკვნები, ეკლესიის მსახურები... ბოქაულები. მსურს გავიგო, კიდევ ვინ იცის, ან ესმის ქართული სვანეთში?" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 283).

ა. სტოიანოვი სვანეთს განიხილავს დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტით; მისთვის სვანების სამშობლი სვანეთია და არა, ზოგადად, საქართველო. როგორც ქვემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტიდან ჩანს, ა. სტოიანოვისათვის არც იმერეთი მოიაზრება საქართველოში. აი, მისი საგანმანათლებლო "შეგონებებიც":

"თუკი სვანს ვასწავლით, უნდა ვასწავლოთ ჯერ სვანურად, შემდეგ რუსულად" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 283);

"მე თვითონ მომხრე ვარ პირველდაწყებითი განათლების სამშობლოს ენაზე ("**на языке родины**") მიღებისა. **საქართველოსთვის და იმერეთისთვის** მე სამშობლოს ენად ქართულ ენას მივიჩნევ და ვთვლი აუცილებლად პირველდაწყებითი სკოლისათვის, როგორც საშუალებას რუსული ენის შესასწავლად. მაგრამ სვანებისთვის სრულიად სხვაგვარადაა საქმე. ასეთ საშუალებად სვანეთში ქართული ენა ვერ იქნება; თუ სკოლის მასწავლებლად იქნებიან რუსულის არმცოდნე მღვდლები, მაშინ, რა თქმა უნდა, სვან ბავშვებს უნდა ასწავლონ ქართულად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ისინი რუსულს ვერასოდეს ისწავლიან, მაგრამ თუ მასწავლებლად იქნებიან

რუსული ენის მცოდნენი, მაშინ **სად არის საფუძველი სვანურ სკოლაში ქართული ენის არსებობისა?**" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 284).

აქვე, ა. სტოიანოვი სვანურს განიხილავს, როგორც სვანთა სამშობლო ენას, ხოლო ქართულს როგორც საურთიერთო საშუალებას რუსულის არმცოდნე ლეჩხუმელებთან და მეგრელებთან, ისევე, როგორც ყარაჩაულს - რუსულის არმცოდნე ყარაჩაელებთან (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 284).

ა. სტოიანოვი ვერ უარყოფს, რომ სვანეთის ეკლესიები სავსეა ქართულად დაწერილი სასულიერო წიგნებით; აღნიშნულ ფაქტს იმით ხსნის, რომ სვანეთი ოდესღაც განიცდიდა ქართული კულტურის გავლენას, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ და "გავლენის მტვერი დარჩა მხოლოდ საეკლესიო მტვერში" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 284). საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, წიგნის ავტორი დასძენს, რომ აღნიშნული ხელნაწერები ხუცურით არის შესრულებული. არადა, სწორედ ეს ფაქტი მოწმობს, რომ ისტორიულად შემუშავებული სამწიგნობრო ქართულის საეკლესიო სტილი ერთიანი იყო ქვეყნის როგორც ცენტრალურ, ისე განაპირა რეგიონებში.

პროფ. ა. ცაგარელი ყურადღებას ამახვილებს ა. ი. სტოიანოვის მიერ ჩაწერილი სვანური ტექსტების მოუწესრიგებელ ფონეტიკურ მხარეზე და აცხადებს, რომ ამ სახით მისი ლინგვისტური მიზნებისათვის გამოყენება შეუძლებელია (ა. ცაგარელი, 1880, გვ. 12-13). მკვლევარი მიანიშნებს "ლუშნუ ანბანის"[3] გამოუსადეგარობაზე მაშინ, როცა ა. სტოიანოვი მტკიცედ იცავს ამ ანბანით გათვალისწინებულ ნორმებს.

---

[3] სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართველთა დაშლის მიზნით, შეიქმნა სვანური საანბანო წიგნი "ლუშნუ ანბანი", რომელიც გენერალმა ი. ბართოლომეიმ 1864 წელს გამოაქვეყნა; ამავე დანიშნულების იყო რუსული გრამატიკის საფუძველზე შედგენილი მეგრული საანბანო წიგნიც: "Мингрельская азбука", რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა თბილისში (თ. გვანცელაძე, 2000, გვ. 121).

ა. სტოიანოვის დემაგოგიური შეხედულებების საპასუხოდ, ჟურნალ "მოამბის" 1903 წლის VII ნომერში დაიბეჭდა ივ. მარგიანის წერილი: "ორიოდე სიტყვა სვანური ენის შესახებ" (კომენტარებისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2008-ა).

ივ. მარგიანი ამხელს რეაქციონერ პედაგოგს, ერთი მხრივ, სვანურის, მეორე მხრივ, ქართულისა და მეგრულის არცოდნაში. მოჰყავს მაგალითები, თუ როგორ ამახინჯებს ა. სტოიანოვი მისთვის გაუგებარ სვანურ ტექსტს, "სიტყვებს სულ ასხვაფერებს და რაღაც სხვა ენას ჰქმნის", ასევე, "...სიტყვების ახსნაში (ლექსიკონს გულისხმობს - ი. ვ.) იმდენი შეცდომა აქვს, "რომ ვერაფერს ვერ გაუგებთ: სადაც "ფ" უნდა, იქ რუსულად "პ"-სა სწერს, სადაც "დ", იქ "ჩ"-ს, სადაც "ღ", იქ "გ"-ს და ასე ამგვარად თავისებურს ანბანს ჰქმნის" (ივ. მარგიანი, 1903, გვ. 43).

ივ. მარგიანისთვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ა. სტოიანოვის განცხადება, რომ ასე არაადეკვატურად ჩაწერილ მასალას ის "კმაყოფილებით დადებს იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ ენების რომელ ოჯახს ეკუთვნის სვანური ენა" (ა. სტოიანოვი, 1876, გვ. 348). პუბლიკაციის ავტორი აქვე განაგრძობს:

"დარწმუნებული ვარ, რომ ბ. სტოიანოვი ამ სიტყვების თქმის დროს სრულებით არ შეჰკითხებია თავის თავს: ვიცი კი ქართული, სვანური, მეგრული ენები (თუ კილო?), რომ ამისთანა გამბედავი და მაღალმნიშვნელოვანი აზრი წარმოვსთქვაო?! და ამათი ცოდნა კი საჭიროა სვანური კილოკავის წარმოდგომის ასახსნელად. არა, არ შეჰკითხებია, თორემ ამასაც არ იტყოდა, რადგან სვანური სიტყვების თითქმის 2/3 სულ ქართული სიტყვებია, ხოლო დანარჩენი 1/3 ზოგი მოჩმახული, ზოგი მოგონილი, ზოგი ნასესხები და ზოგი რა... " (ივ. მარგიანი, 1903, გვ. 44).

წერილის ბოლოს ივ. მარგიანს მოჰყავს სამასამდე სიტყვა ქართულ-სვანურის ერთი ძირიდან მომდინარეობის დასამტკიცებლად. აქვე შევნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძის არქივში დაცულია ბესარიონ ნიჟარაძის მიერ ამავე პერიოდში

შედგენილი სვანურის სალექსიკონო მასალა. როგორც ჩანს, ილია იყო ამ ეროვნული საქმის ორგანიზატორი (იხ. ქვემოთ: გვ. 109).

ქართული ენა ხელაღებით იდევნებოდა სამეგრელოსა და სოხუმის ოლქის სკოლებშიც. "მწყემსის" 1892 წლის №№ 20-ში ვკითხულობთ:

"ეს დაუპატიჟებელი სტუმრები და მომხრენი მეგრელებისა თავის ახალს წეს-წყობილებას ამართლებენ იმ ყველასათვის ცნობილი პედაგოგიური ჭეშმარიტებით, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველს ხალხში პირველდაწყებითი სწავლა უსათუოდ უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტიც, რომ იგივე ბატონები სხვა ადგილს და სხვა გარემოებაში სრულებით ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას" (გვ. 2).

როგორც მაშინდელი პრესა იუწყება, აღნიშნული რეგიონის არცერთ სკოლას არ ჰქონდა ქართული ენის სწავლების იურიდიული უფლება იმ მოსაზრებით, რომ "მეგრელი ქართველი არ არის, მეგრელებს საკუთარი ენა აქვთ და მხოლოდ ეს ენა, მეგრული ენა ჩაეთვლება მათ სამშობლო ენადო" ("განათლება", 1914, № 3, გვ. 223). ამ შეხედულების გავრცელებას ხელს უწყობდნენ ისინი, ვისაც "არც მეგრელებისა და სამეგრელოს წარსულისა და აწმყოსი და არც მეგრულისა და ქართულის დამოკიდებულებისა არაფერი გაეგებოდა" ("განათლება", 1914, № 1, გვ. 57).

ამავე პოზიციის გამოხატულება იყო საღმრთო ლიტურგიისა და ლოცვების მეგრულად თარგმნის მცდელობაც, რამაც, ბუნებრივია, მოწინავე საზოგადოების შესაბამისი რეაქცია გამოიწვია. კერძოდ, ჟურნალ "მოამბის" 1892 წლის მე-20 ნომერში დაიბეჭდა დეკანოზ ვ. ღამბაშიძის წერილი: "რამდენად გონივრული და წესიერია მეგრულს ენაზე ლიტერატურის შექმნა და თარგმნა საღმრთო ლიტურგიის და ლოცვებისა, რომლებიც ძველის დროიდგანვე სრულდება სამეგრელოში ქართულს ენაზე?"

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული წერილის სათაურშივე გამოკვეთილია ავტორის მართებული პოზიცია.

ქართველთა გათიშვის აღმაშფოთებელ ფაქტებს ვაწყდებით ასევე, XIX საუკუნის ბოლოს გამოცემული **თბილისის სამაგიდო კალენდრის** სხვადასხვა ნომერშიც; კერძოდ, კალენდრის გამომცემელმა - ვ. გერცენშტეინმა, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა სტატისტიკურ ცნობებს თბილისის მოსახლეობის სრული რაოდენობისა თუ ეროვნულ-სარწმუნოებრივი განაწილების შესახებ, რუსების, სომხების, ფრანგების, გერმანელების...გვერდით ცალ-ცალკე ეროვნების წარმომადგენლებად მიუთითა: **იმერლები, მეგრელები, თუშები...**

ვიმოწმებთ 1898 წლის კალენდრის ასლს:

ТИФЛИССКИЙ

НАСТОЛЬНЫЙ КАЛЕНДАРЬ СТАТИСТИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ

ПО ГОР ТИФЛИСУ ЗА 1898 ГОДЪ.

Распределение их по национальност	Мужч.	Жен.	Всего	По вероисповеданіям	Об Пол.
Армянъ	34.133	27.007	61.140		
Айсоръ	1.815	597	2.412	Православныхъ	75 400
Грековъ	587	374	961	Раскольниковъ	2. 842
Грузинъ	18.184	15.157	33.341	Римско-католиковъ	4. 098
Евреевъ	1.531	1.298	2.829		
Имеретинъ	3.658	1.689	5.347	Протестантовъ	2. 531
Курдовъ	153	79	232		
Лезгинъ	45	3	48	Армяно-Григоріанъ	55.125
Мингрельцевъ	696	337	1.033		
Немцевъ	1.494	1.042	1.536	Армяно-Католиковъ	7. 018
Осетинъ	1.242	742	2.284		
Персіанъ	4.406	1.601	6.007	Евреевъ	2. 784
Поляковъ	2.056	1.432	3.488		

Пшавцевъ	30	5	35	Сунитовъ	2. 934
Русскихъ	18.937	10.921	29.858		
Татаръ	2.263	1.326	3.589	Шіитовъ	6. 997
Тушинъ	152	134	386		
Хевсуровъ	172	32	204	Езидовъ	75
Чеченцевъ	351	164	515	Прочих исповеданій	5. 449
Прочаніоналын.	6.410	2.930	9.340	Всего	165. 250
Всего	98 285	66.965	165. 250		

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, "ივერიის" 1902 წლის მეცამეტე ნომერში დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის წერილი: "ქართველი ერის დაქუცმაცება", რომელიც, მოგვიანებით, 1904 წელს გამოქვეყნდა ვ. გუნიას "საქართველოს კალენდარში".

წერილის ავტორი აღშფოთებას ვერ მალავს ვ. გერცენშტეინისადმი, რომელსაც "ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გარდაუქცევია, თუშები, იმერლები, მეგრელები... ცალკე ხალხებად და ერთი ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ პატარა სხეულად მოუჩვენებია!" იგი დაუფარავად ამხელს ანტიქართული პოლიტიკის მესვეურთ, რომელთათვისაც "ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის" (ი. გოგებაშვილი, 1990, გვ. 343-345).

იაკობ გოგებაშვილის მთელი პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა, მის რჩეულ ნაწერებთან ერთად, ნათელი მაგალითია ქართველთა ენისა და ეროვნული ღირსების შემლახველთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა.

III. იყო დიდი მცდელობა, მოსწავლე ახალგაზრდობაში აღმოეფხვრათ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და

გეოგრაფიის ცოდნა; ეს ნათლად ჩანს იანოვსკის წერილიდან სამმართველოს უფროსისადმი, როცა სახალხო სკოლის მასწავლებელმა ვლადიმერ აღნიაშვილმა ითხოვა საბავშვო ჟურნალ "ცისიერის" გამოცემის უფლება: "თუ თქვენი აღმატებულება ნებას დართავს ბ. აღნიევს გამოსცეს ქართულ ენაზე ჟურნალი "ცისიერი", ვფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა გამორიცხვა ჟურნალის ნომრებიდან განყოფილებების: ბიოგრაფიები, ნარკვევები და მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან..."(ცენტრალ. არქივის ფონდი, 107-ე სერია, საქ. № 5135; დამოწმ.: ტრ. ხუნდაძე, 1940, გვ. 78).

არათუ საბავშვო გამოცემები, არამედ, საერთოდ, "ქართული ჟურნალ-გაზეთობა შესაბრალის მდგომარეობაში იყო" (ილია, 1987, გვ. 204).

IV. შეუნებულად მიმდინარეობდა მუშაობა რეაქციული სახწავლო გეგმის მხარდამჭერთა მოსაშუადებლად. ასეთმა მიდგომამ, ნაწილობრივ, შედეგი გამოიღო; საზოგადოების წინაშე მხილებულ იქნენ:

ა) სახწავლო სახტემაში ჩართული მუშაკები; კერძოდ, გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებელი ნათიევი, რომელმაც, ვითომდა სწავლების გაადვილების საბაბით, სცადა ქართული სიტყვების რუსული ასოებით წარმოდგენა დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 231), მასწავლებელი გაბიჩვაძე, რომელმაც ქართული და რუსული წერის სისტემებში არსებული განსხვავების მოსპობისა და მოსწავლეთათვის რუსულ წერაში დახელოვნების მიზნით, შეადგინა ქართული დედანი ნაწილობრივ დაქანებული ასოებით (ტრ. ხუნდაძე, 1940, გვ. 81-82; იხ., ასევე, სარედაქციო წერილი: "ბ-ნი ტერ-გასპარიანცი და გადაგვარებული მასწავლებლები", "განათლება", 1914, № 1, გვ. 65).

ბ) სახწავლო პროცესთან დაკავშირებული საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლები. როგორც ილია ჭავჭავაძის თანამედროვე არტემ ახნაზაროვი იგონებს, გიმნაზიის მოსწავლეთა "მშობლებს შორის, ჩვენდა სამარცხვინოდ, ორიოდე

ისეთიც აღმოჩნდა, რომელთაც გიმნაზიის დირექტორს... თხოვნა მიართვეს, ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლით და ნუ აცდენთ, რადგან ქართული რუსული ენის შესწავლას ხელს უშლისო" (ილია, 1987, გვ. 204).

დამაფიქრებელი იყო გამარუსებელი პოლიტიკის გავლენა მოსახლეობის გაუცნობიერებელ ნაწილზე. იაკობ გოგებაშვილის შენიშვნით, "მომაკვდინებელი სენი" "მშობლიური ენის აბუჩად აგდებისა" შეეპარა "არა მარტო გადაბირებულს მოხელეთა ოჯახებსა და ზოგიერთა გაფუქსავატებულს არისტოკრატებსა, არამედ თვით... განათლებულს დასსა" (ი. გოგებაშვილი, 1954, გვ. 206).

გაზეთ "შრომის" 1882 წლის № 46-ში (გვ. 3) ვკითხულობთ: "ზოგიერთი რუსები და ჩვენი გარუსებული ტეტიებიც კი... გაიძახიან გულკეთილის მთავრობის წინაშე: რად უნდათ ქართველებს, დედა-ენაზედ სწავლების ნება რომ მივსცეთ, მაგათ ენაზედ არავითარი მეცნიერების გარდაცემა არ შეიძლებაო"

არა მხოლოდ სასწავლო სისტემაში იყო ქართული ენის სიღარიბის დამტკიცების მცდელობა; გაზეთ "ივერიის" 1902 წლის № 115-ის მოწინავე წერილის თანახმად, ერთმა ექიმმა, "ტომით სომეხმა", ტფილისის სამკურნალო საზოგადოების კრებაზე საჯაროდ განაცხადა, რომ სამკურნალო ცნობათა ხალხში გავრცელება ქართული ენის საშუალებით შეუძლებელი იყო, რადგანაც ქართულ ენას არ ჰქონდა "ჯერ-ჯერობით" შემუშავებული ამ საგნისათვის სამეცნიერო ტერმინოლოგია, "ქართული ენა ღარიბი იყო ამა თუ იმ სამკურნალო ცნების გამოსახატავად" ("ივერია", 1902, № 115, გვ. 1); ასევე, ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრების მსვლელობისას სილოვან ხუნდაძის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არ ურთავდნენ წლიურ ანგარიშში რუსულ ტექსტთან ერთად ქართულს, ბანკის გამგეობას მიზეზად ქართულ ენაზე საჭირო ტერმინების არქონა დაუსახელებია. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი "ივერია" წერდა:

"ვისაც ქართული ენის წარსული და აწმყო ცოტათი მაინც გათვალიწინებული აქვს, იგი ქართულს ენას თავის დღეში არ წამოჰკიდებს ზურგზე ასეთს გაღატაკებას. საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და, აბა, რა საფიქრებელია, ამ სახელმწიფოს ცხოვრება ისე ვიწროდ ყოფილიყოს წრე-შემოვლებული, რომ უბრალო საფინანსო ცნებანიც არ ჰქონდეს. ფილოსოფიური ტრაქტატები და თხზულებები იწერებოდა ქართულს ენაზედ და ასე როგორ დაეცა ქართული ენა, რომ უბრალო ბანკის აგარიშიც კი ამ ენაზე არ დაიწეროს!" ("ივერია", 1902, № 115, გვ. 1).

XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში არაიშვიათად ვხვდებით ქართული სამეცნიერო ენის მოწინააღმდეგეთა მხილების ფაქტს ("ცისკარი", 1865, № 6, გვ. 41; "დროება", 1878, № 263; 1881, № 33; "კვალი", 1893, № 13, გვ. 7; № 17, გვ.13; № 22, გვ.13; "ივერია", 1902, № 125, გვ. 3; "განათლება", 1914, № 4, გვ. 312...). განათლების მესვეურთა ანტიქართული პოლიტიკის საპირისპიროდ, იწყება ეროვნულ ძალთა გაერთიანება.

1.2. 60-იანელები რეაქციონერთა წინააღმდეგ. სამეცნიერო ტერმინოლოგია - სახელმწიფო ენის სტატუსის აღდგენისათვის ბრძოლის მთავარი იარაღი

რუს რეაქციონერთა წინააღმდეგ მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის განსწავლულ და მებრძოლი ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ 60-იანელთა თაობას, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებების თანახმად, სწორედ სამოციანელები დაუპირისპირდნენ "რუსეთის მთავრობას... წესწყობილებას... რუსეთის წარმომადგენლებს ჩვენში, რომელნიც უხეშად, ბრიყვულად გვიფურთხებდნენ და ფეხქვეშ გვითელავდნენ ყველა იმას, რაც ჩვენთვის წმინდას შეადგენდა" (ი. მანსვეტაშვილი, 1985, გვ. 76).

ახალგაზრდა თაობამ განვლო "გზა გოლგოთისა... ეკლიანი გვირგვინისა, გზა ოხვრისა და გოდებისა... სიმშილისა და მწყურვალობისა", რასაც თან ერთვოდა საზოგადოების მხრიდან გულგრილობა, "მონარქისტ რუსების სისინი" "ქართველ პატრიოტების" მიმართ და "დაუცხრომელი მტრობა მეფის მთავრობისა" (ი. მანსვეტაშვილი, 1985, გვ. 83).

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა "ძლიერად და თავგანწირვით" დაიცვეს დედაენა. მათი ბრძოლის შედეგად, **აღდგა ქართული ენის სავალდებულო სწავლება სახელმწიფო სემინარიაში**. "ამ საბით, ერთს უწყებაში მაინც მიენიჭა ქართულს ენას უფლება" (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 283). **სამოციანელებმა**, ასევე, წამოჭრეს ეროვნული განათლების უმაღლესი ცენტრის **ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი**[4], რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ XX საუკუნის II ათწლეულის ბოლოს გადაწყდა (1918).

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამოციანელები დედაენაზე განათლებას თავისუფალი, დამოუკიდებელი, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის, კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვებიდან:

---

[4] 1871 წელს, რუსეთის იმპერატორის საქართველოში ჩამობრძანებასთან დაკავშირებით, ქართველმა საზოგადოებამ შეადგინა მიმართვა უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნით. როგორც ცნობილია, კრიტიკულ მომენტში, ლოიალურად განწყობილმა ნაწილმა შეცვალა თხოვნის შინაარსი და, ნაცვლად უნივერსიტეტისა, სამხედრო სასწავლებლის გახსნა სთხოვა იმპერატორს, რაც ამ უკანასკნელის ინტერესსაც წარმოადგენდა. საბოლოოდ, საზოგადოებაში თავი იჩინა დაპირისპირებამ, რომელიც ისტორიაში "თაობათა ბრძოლის" მეორე ეტაპის სახელით არის ცნობილი. ამ თემაზე შეიქმნა ილია ჭავჭავაძის "გამოცანები" და "კიდევ გამოცანები", აკაკი წერეთლის "ფარშევანგი", "ხარაბუზა ღენერალს" და სხვა ლექსები, რომლებშიც მხილებულ იქნენ "შამათა" თაობის წარმომადგენლები, მათ შორის - გრიგოლ ორბელიანიც. თაობათა ბრძოლასთან დაკავშირებით, იხ. გვ. 52-66).

"ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა..."(ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 278).

მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ იმ საყოველთაოდ გაზიარებული დებულებით, რომ "ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დასდებოდა" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 314-315); ამდენად, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მათ ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში გადაუდებელ ამოცანად დაისახეს სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში მწერლის დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობის არაერთი მაგალითი დასტურდება. ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 47-94).

ვითარება ამ მხრივ, მართლაც, არასახარბიელო იყო; 1886 წლის გაზეთი "ივერია" წერდა:

"სამეცნიერო ლიტერატურა ქართულს ენაზედ ძალიან ნაკლებად არის, მეცნიერების პაწაწა, თვალთ უჩინარი კვირტები ჩვენში ძლივ-ძლივ ნასკვს იკეთებენ. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ მეცნიერება ერთად-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან ჩვენის ცხოვრების განკარგება და აღმატება, წინმსვლელობის გზის ჩვენება და ჩვენი კეთილდღეობის მაგარ ნიადაგზე დადგენა, მაგრამ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაზე ვინ ფიქრობს, როდესაც პირველდაწყებითი სახელმძღვანელოებიც კი ასეთის უსაჭიროესის საგნებისა, როგორც ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია, ასტრონომია და სხვ. არ გვაქვს... სამეცნიერო ენა და ერთობ ტერმინოლოგია ჯერ ჩვენში დადგენილი და შემუშავებული არ

არის“ (“შეხის ამბავი - რუსულიდგან ნათარგმნი შარაშიძის მიერ“ (“ივერია“, 1886, №№ 6, გვ. 3-4).

ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში არაერთგზის შენიშნავს ქართული სამეცნიერო ენის მძიმე მდგომარეობაზე:

“ჩვენი ენა... ჯერ მომზადებული არ არის, დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურს ინტელიგენციასაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირებლად და საკმაო განცხადებით...“(ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 93);

“ჯერჯერობით ენა და მწერლობა იმდენად ვერ შეგვიმუშავებია, რამდენადაც საჭირო და სანატრელია“ (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 313);

“ჩვენ წინადვე ბოდიშს ვიხდით... რომ აქ იძულებულნი ვიქნებით, ბევრი იმისთანა სიტყვები ქართული თუ უცხო ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტისმეტად აბრკოლებს კაცსა და, იმას გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა...“(ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 27);

“ჩვენდა სამწუხაროდ, მაგ მეცნიერებისათვის (პოლიტიკურ ეკონომიაზე საუბრობს - ი. ვ.) ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თითონ ეგრეთწოდებული ფრაზეოლოგია“ (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 27);

“როგორი სიტყვიერება ვიხმაროთ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლოდ აგვიხსნას?“ (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 207);

"ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის: იმ საგნისთვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი (ხიზნებთან დაკავშირებით - ი. ვ.), ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა

ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული“ (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 140).

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, არტურ ლაისტი 1884 წლის “ივერიის“ № 5-ში წერს:

“...ქართულ მეცნიერებას ჯერ ვერ მიუღწევია თვითარსებობამდის“ (გვ. 126);

“[სამეცნიერო] წიგნებისათვის ჯერ ტერმინოლოგია სრულებით არა გვაქვს გამოკვლეული“ - ვკითხულობთ “ივერიის“ 1886 წლის № 29-ში (გვ. 3);

1893 წლის “კვალი“ მიუთითებდა: “ქართულ ენაზედ სამეცნიერო ლიტერატურა, ტერმინების უქონლობის გამო, ჯერ ვერ არის შემუშავებული“ (“კვალი“, 1893, № 25, გვ. 14); ამავეს შენიშნავდა პირველი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსი, პროფ. ვასილ პეტრიაშვილი თავისი ერთ-ერთი გამოკვლევის შესავალში (ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 3).

სამეცნიერო ენის პრობლემა ვერც XX საუკუნის ათწლეულისათვის გადაიჭრა, თუმცა მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები კვლავინდებურად განაგრძობენ ბრძოლას ქართული სახელმძღვანელოებისა და ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის. მათთვის ცხადია, რომ “ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ სკოლას შეუძლია აღზარდოს“(მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დამოწმ. დ. მელიქიშვილი, 1995, გვ. 24), უცხო ენაზე შეძენილი ცოდნა ისეთი მტკიცე და საფუძვლიანი არ იქნებოდა, როგორც დედა-ენაზე (“განათლება“, 1914, № 1, გვ. 2); “სასწავლო ლიტერატურის ანუ მეცნიერების ენის“ (დ. ყიფიანი, დამოწმ. ს. ხუციშვილი, 1955, გვ. 58) დაქვეითების მიზეზი იყო რუს დამპყრობელთა ანტიეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც სკოლის მერხიდანვე ზღუდავდა მოზარდის დაინტერესებას ეროვნული კულტურით, ახშობდა მისწრაფებას ქართული მეცნიერული ტრადიციების აღდგენისადმი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართველი საზოგადოება ირჩევს

ლოგიკურად სწორ გზას სამწიგნობრო ენის "წინმსვლელობისთვის" ზრუნვისა.

1.3. ილია ჭავჭავაძის ადგილისათვის ქართული სამეცნიერო ენის ისტორიაში

ილია ჭავჭავაძე, რომლის ნაწარმოებებიც 60-იანელთა სამოქმედო პროგრამად იქცა, პირველი იყო, ვინც გაბედულად აღიმაღლა ხმა ცარიზმის "უმეცარი მოხელეობისაგან" უფლებააყრილი ქართული ენის დასაცავად. "ორიოდ სიტყვაში" იგი წერდა:

"სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ - კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 26-27).

რეაქციული საგანმანათლებლო კურსის მესვეურთაგან ქართული ენის საერო თუ სასულიერო, დაწყებითი თუ საშუალო სასწავლებლებიდან დევნის პირობებში ილიამ, გამოჩენილი პედაგოგების (უშინსკი, დისტერვეგი, პესტალოცი...) მონაცემებზე დაყრდნობით, განავითარა მსჯელობა, რომ "ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება" (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 358), "თუ ჩვენ არ დავაწყებინებთ ერს თავისის დედა-ენის სწავლებას და, თუნდაც მის მაგიერ სხვა, ძალიან მახლობლის ენის სწავლებას მოვაყოლებთ, მაშინ უფრო უარესს ვიზამთ: სრულებით შევშლით ერის გონებითს განვითარებას... მის სულიერს ბუნებასაო" (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 277).

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონების თანახმად, თვით იაკობ გოგებაშვილი, "ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის

ხელშეუხებლობის", ილიას მიაშურებდა კრიტიკულ მომენტში (ილია, 1987, გვ. 439-440).

ილია ჭავჭავაძე ებრძოდა ანტიქართული პოლიტიკის გამტარებლებს; კერძოდ, 1880 წელს ამხედრდა იანოვსკის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი რეაციული სასწავლო გეგმით მოინდომა ჩვენი დედა-ენის მოსპობა სკოლებში. მისი პასუხი დაწერილი იყო "პედაგოგიის ისეთი ღრმა ცოდნით, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ასე ზედმიწევნით როგორ შეუთვისებია დედა-აზრები ჩვენი მეცნიერებისაო" (ილია, 1987, გვ. 72). 1882 წელს ილია ჭავჭავაძემ ასევე დაუფარავად ამხილა "მოსკოვის უწყებანის" სულისჩამდგმელი კატკოვი, რომელმაც "მასხარად აიგდო საქართველოს დროშა და ცხად-ჰყო... თვისი დიდი სიძულვილი ქართველ ერისადმი" (ილია, 1987, გვ. 72-73).

როდესაც ქართული ენა იდევნებოდა სასწავლებლებიდან თუ სხვა ოფიციალური დაწესებულებებიდან, "ჩვენი ინტელიგენცია რუსულ ენაში ვარჯიშობდა ყველგან და საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა ქართულად სულ არ ეხერხებოდა", ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული სათავადაზნაურო ბანკის ყრილობებიც კი "დიდი ასპარეზი გამოდგა სამშობლო ენაზე ლაპარაკისათვის, გარდა ამისა, რომ ზოგიერთ მათგანს საერთოდ ლაპარაკიც შეასწავლა" (ილია, 1987, გვ. 528).

უაღრესად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის შეხედულება ენის რაობაზე, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისტორიაში:

"...ენა ადამიანისა მისი სიტყვიერება მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ... ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის... ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას" (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 29-30).

ილია "მუდამ ფხიზელ გუშაგად უდგა ქართულ ენას და ხელმძღვანელობას უწევდა ყოველგვარ საქმიანობას, რაც კი ხელს უწყობდა მის შემდგომ განვითარებას" (ივ. გიგინეიშვილი, 1989, გვ. 20). ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში

მან წინ წამოწია **ეროვნული მეცნიერული ენისა და ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხი**. პირველ რიგში კი, სცადა გაებათილებინა ცრუ ბრალდება, თითქოს ქართული ენა მოუქნელი და ღარიბი იყო მეცნიერული ცნებების გამოსახატავად:

"მე ვლაპარაკობ იმ უსაფუძვლოდ და ტყუილ-უბრალოდ გავრცელებულს ხმაზე, ვითომც არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც წიგნებია ამისათვის და არც არის რამე, ღირდეს შესასწავლად, ავარჯიშებდეს კაცის გონებას..."(ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 282-283).

ქართული ენის შესაძლებლობების გამოსავლენად ილიას ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით უწევდა მუშაობა. ამიტომაც წერდნენ თანამედროვენი, რომ იგი, ერთსა და იმავე დროს, იყო "პოეტი-ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, სიტყვა-კაზმული მწერალი, მეცნიერი და მასთანავე ევროპიულის განათლებით აღჭურვილი ღრმა მოაზრე... ფინანსისტი, ეკონომისტი, პუბლიცისტი, ხელოვანი მგოსანი..."(ზ. ჭიჭინაძე, 1897, გვ. 3), "რომანისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც" (მ. წერეთელი, 1987, გვ. 518).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა მოიცავს "საქართველოს ისტორიის, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ხელოვნების, ესთეტიკის, პედაგოგიკის, სამართლისა და სხვა საკითხებს" (გ. შალამბერიძე, 1966, გვ. 298), რომლებიც გაშუქებულია მოწინავე რუს და ევროპელ მეცნიერთა თეორიული თუ პრაქტიკული ნაშრომების ღრმა ცოდნის საფუძველზე.

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლასთან ერთად, ილია აკვირდებოდა შესაბამისი დარგების სპეციალურ ლექსიკასაც, რომელთან მიმართებითაც შეიმუშავა ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების სახელმძღვანელო პრინციპები.

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის, როგორც ტერმინოლოგის, ხედვა და ენობრივი ალღო; იგი **ტერმინთქმნადობის ტრადიციული გზის გამგრძელებელია**.

ვითვალისწინებთ რა ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას, უფრო თვალსაჩინო ხდება მისი ღვაწლი სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიაში. აქ პარალელის გავლება შეიძლებოდა XI-XII საუკუნეების მეცნიერ-ფილოსოფოსებსა და ტერმინოლოგიურ მუშაობაში დიდი გამოცდილების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებთან, რომელნიც უშუალოდ ამ საპასუხიმგებლო საქმით იყვნენ დაკავებულნი; ილია ჭავჭავაძის, როგორც ტერმინოლოგის მდგომარეობა კი სრულიად განსხვავებული იყო.

როდესაც ვმსჯელობთ ილიას დამსახურებაზე სამეცნიერო ენის ისტორიაში, უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის პრობლემა, რომელიც იდგა XIX საუკუნის 60-იანი წლების სალიტერატურო ქართულის წინაშე: "მემკვიდრეობა, რომელსაც თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა; ანტონ პირველისა და მისი სკოლის მიერ XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის I ნახევარში ნორმირებული სალიტერატურო ენა; ილიას თანამედროვე ქართული მწერლობა თავის პრაქტიკულ და თეორიულ გადაწყვეტათა სიჭრელით..."(თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 38).

სამეცნიერო ენის განვითარება შეუძლებელი იყო იმ საკითხების მოგვარების გარეშე, რომლებიც საკამათო იყო ჯერ კიდევ 50-იანი წლების საზოგადოებისათვის. ქვემოთ დაწვრილებით გვექნება ამ საკითხებზე საუბარი, აქ კი მოკლედ შევნიშნავთ, რომ არსებული პრობლემის ახლებური გადაწყვეტით ილია ჭავჭავაძე ქართული ენის რეფორმატორად მოგვევლინა.

იონა მეუნარგია ილიას ქართული ენის კანონმდებლად სახელდებს (ი. მეუნარგია, 1987, გვ. 506). ენის კანონმდებელია იგი "არა იმ გაგებით, რომ შეიმუშავა რაიმე თეორიული

გრამატიკული სისტემა, ანდა თავისებური სალიტერატურო ნორმები... ილიას მიერ არჩეულ გზა-კვალს სხვებიც მიჰყვებოდნენ და, როგორც ისტორიამ დაადასტურა, ეს გზა სავსებით გამართლებულია მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის შინაგანი კანონზომიერებების თვალსაზრისით" (შ. ძიძიგური, 1965, გვ. 88).

ილია ჭავჭავაძის, როგორც ტერმინთშემოქმედის მეთოდოლოგიური პრინციპები განიხილება სამწერლობო ენის დემოკრატიზაციისათვის გატარებულ რეფორმებთან მჭიდრო კავშირში. სპეციალური ლექსიკის მოწესრიგება მან ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აქცია. ილია მუდმივ ძიებაში იყო, რასაც პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული მასალაც მოწმობს. 1885 წელს ილია სწერდა იონა მეუნარგიას:

"ზოგიერთმა **ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა** მოწონების და დაწუნების ღაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: **значит свет нас заметил.** უარარაობას კიდევ ესა სჯობია" ("ილია", 1987, გვ. 507).

შ. ძიძიგურის მითითების თანახმად, ნეოლოგიზმი ენაში ფეხს მოიკიდებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შემუშავებულია ენის მიხედვით, ენაში უკვე არსებული მასალის საფუძველზე. ქართულის მორფოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინებით, ილიამ შეიმუშავა მთელი რიგი ნეოლოგიზმებისა, რომლებიც დამკვიდრდა ენაში: **შინაარსი**, **აგებულება**, **სინამდვილე**, **დარებულება**, **ადებ-მიცემობა**, **გაკვრით** და სხვ. (შ. ძიძიგური, 1974, გვ. 77-78). მკვლევარის პოზიციასთან მიმართებით, ყურადღებას იქცევს ილიას თანამედროვის - მ. პეტრიძის (პეტრე უმიკაშვილის) სიტყვები:

"ილია ჭავჭავაძემ მისცა... ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება, **მიმართულება**, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის"

(მ. პეტრიძე, 1872, გვ. 272). იონა მეუნარგიას მოწმობით, ილიამ შექმნა სიტყვები: **სულთა სწრაფვა**, **თვალთახედვის ახარი** ("ილია", 1987, გვ. 507). მწერლის ტერმინოლოგიურ მიგნებებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ილია აქტიურად იყო ჩართული ტერმინთშემოქმედების პროცესში. მაგალითად, ცნობილია, რომ 1882 წლის 21 ნოემბერს თბილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში გამართულა კრება, სადაც აზრთა სხვადასხვაობა იყო არითმეტიკისა და ფიზიკის ძველ სახელმძღვანელოებში არსებული ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სწორი მიმართულება მისცა საზოგადოებას ("შრომა", 1882, № 46, გვ. 3).

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ტერმინოლოგიის საკვანძო საკითხებზე დღესაც საყურადღებოა დარგის სპეციალისტთათვის; კერძოდ, ილიამ:

ა) მართებულად შენიშნა მეცნიერული ტერმინის ზოგადობრივი სიტყვისგან განსხვავების აუცილებლობა, რასაც მოწმობს მისი მსჯელობა სიტყვა "კაპიტალის" შესახებ:

"განა იგი "კაპიტალი", რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და ეს საყველპუროდ ხსენებული "კაპიტალი" (ქონება ი.ვ.) ერთიდაიგივეა?" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 266).

ბ) დახვა ტერმინის ხიზუსტის დაცვის საკითხი:

"ლექსიკონი ვულგარულს თუ უკაცრაოდ არ ვიქნები, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს, მოვალეა, ამ მხრივაც სიტყვა ახსნას" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 266).[6]

გ) გაითვალისწინა შეზვევის მომენტი ახალი სიტყვის დამკვიდრებასთან დაკავშირებით:

"რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი იმ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ,

---

[6] მოგვიანებით ამავე პოზიციას ავითარებს კ. გამსახურდია წერილში: "ლექსიკოგრაფიული შენიშვნები" (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 11).

ისიც გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ, სანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონი" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 471). ამავე აზრის არიან ფ. ბობილევი და ნ. ბერძენიშვილი (იხ., ქვემოთ: გვ. 63-64).

დ) ტერმინოლოგიური სიტყვაკმნადობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ქართული ენის ლექსიკას, როგორც ტერმინოლოგიის ძირითად ბაზას და, ასევე, ტრადიციულ სიტყვაწარმოებით საშუალებებს.

ე) ძველი თაობის წარმომადგენლებთან გამართულ პოლემიკაში სწორად განსაზღვრა უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულება, როცა გამიჯნა "საჭირო" და "არასაჭირო" სიტყვების, თანამედროვე ტერმინოლოგიით, "ნასესხობისა" და "ბარბარიზმის" ცნებები (იხ. ქვემოთ, გვ. 61-66). ასეთი პოზიციით მან გზა გაუხსნა ენაში ზომიერად შერჩეულ უცხო ლექსიკას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სამეცნიერო ენის თანამედროვე სტანდარტებთან გათანაბრებისათვის წამოწყებულ მუშაობაში.

ილია ჭავჭავაძის კონცეფციის საყრდენი დებულებების მართებულობას მოწმობს მისი პრაქტიკული მოღვაწეობაც; პუბლიცისტურ წერილებში მწერალი შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს, შესაბამისად - განსხვავებულ დარგობრივ ლექსიკას. მისი მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ტერმინთშემოქმედების ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ქმედითუნარიანია თანამედროვე ეტაპზეც.

მწერლის ყოველი წამოწყება სამეცნიერო ენის წარმატებისათვის არ დარჩენილა მოწინავე საზოგადოების მხრიდან სათანადო გამოხმაურების გარეშე და პირიქით, არ მომხდარა საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ილიას თავისი სიტყვა არ ეთქვა. სწორედ ამ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებამ განსაზღვრა ტერმინთშემოქმედებითი პროცესების ერთიანი ფონი, რაზეც მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

1.4. სალიტერატურო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის ახალი ეტაპი

XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან დაიწყო სალიტერატურო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის ახალი ეტაპი, რომელიც ისტორიაში თაობათა ბრძოლის სახელით არის ცნობილი. ბრძოლის დაწყების მიზეზი გახდა რევაზ ერისთავის მიერ თარგმნილი რუსული პიესა - კოზლოვის "შეშლილი", რომელიც 1861 წლის ჟურნალ "ცისკარში" დაიბეჭდა. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა ჯერ კიდევ სტუდენტი ილია ჭავჭავაძე. მან თავის წერილში: "ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდგან შეშლილის თარგმანზედა" პოლემიკის თემად აქცია ეპოქის მიხედვით უკვე მომწიფებული საკითხები.[7]

1.4.1. სალიტერატურო ენის ერთიანობა და სათანადო სტილის განსაზღვრა. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, ქართული ენის ბუნებრივ განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია XVIII საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწე ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო სკოლამ, რომელმაც გაიზიარა იმ დროისათვის საკმაოდ მოარული "ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია" და ცნო სამგვარი, კერძოდ: მაღალი, საშუალო და დაბალი სტილით წერის საჭიროება (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 020; ივ. გიგინეიშვილი, 1989, გვ. 24; ე. ბაბუნაშვილი, 1963, გვ. 29), თუმცა, ამავე დროს, არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომ "ანტონს არასოდეს დაუცავს სამი სტილის თეორია და, რაც მთავარია, იგი იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის მთელს საქართველოში, რასაც მიაღწია კიდეც" (თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 42-43).

---

[7] თაობათა ბრძოლის საკითხი დაწვრილებით არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. თემიდან გამომდინარე, არსებულ ძირითად მიმოხილვას გვერდი ვერ ავუარეთ (ი. ვ.).

როგორც მიჩნეულია, საშუალო და, განსაკუთრებით, დაბალი სტილი ანტონისათვის არსებობდა თეორიულად. პრაქტიკულად ის წერდა მძიმე, მწიგნობრული ენით (ე. ბაბუნაშვილი, 1963, გვ. 30), მიჰყვებოდა რა X-XII საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომების სტილს[8].

ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხს მიეძღვნა ჯერ კიდევ უფროსი თაობის წარმომადგენელთა კრიტიკული წერილები. მაგალითად:

ლ. არდაზიანი შენიშნავდა: "ეხლანდელი ყმაწვილ კაცები ორ წყალ შუა არიან. იმათ არ იციან, რომლის ენით სწერონ: საღმთო წიგნურის ფორმით, თუ შეჰქმნან პროზა საერო ენაზე. ჰგრძნობენ საღმთო წიგნების ენის სიმძიმესა და ურგებობას, და მასთანავე შიშობენ წერასა საეროს ფორმით" (ლ. არდაზიანი, 1859, გვ. 84). წერილის ავტორს "ლიტერატურის დაწინაურების" აუცილებელ პირობად მიაჩნდა "ერთის ენით" წერა, ხოლო ეს ენა უნდა ყოფილიყო არა "სამღთო წიგნური", რომლის ფორმებიც "სრულებით არ მიუდგებოდნენ" თანამედროვე ფორმებს, არამედ - "საერო ენა" (იქვე, გვ. 84-85).

მეტყველებისა და წერის ერთგვაროვნებაზე მიუთითებდა ალ. ჟამბაკურ-ორბელიანი წერილში: "ქართული უბნობა ანუ წერა"-

"ჩუმნი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიტყჳ, ერთგვარი უნდა იყოს: რაგუარად ილაპარაკონ, ისე დაიწეროს და რაგუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკონ" (ალ. ორბელიანი, 1860, გვ. 97).

---

[8] სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ბრძოლა ენის დემოკრატიზაციისათვის, უარყოფითად მოეკიდნენ ანტონის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას და უგულებელყვეს მისი ღვაწლი ქართული მეცნიერული ენისა და აზროვნების ისტორიაში. "მიუღებელი რაც იყო ანტონის მიერ შექმნილ სალიტერატურო ენაში - ეს არის ძველი (X-XII ს.ს.) ორთოგრაფია და პირადად ანტონის მეცნიერული სტილი" (თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 43), მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ანტონმა გააცოცხლა ჩვენში კლასიკური ხანის მეცნიერული ტრადიციები, X-XII საუკუნეების მოღვაწეთა მიერ შემუშავებული ენობრივი ნორმები და ტერმინოლოგია, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ქართულ სამეცნიერო ენას (იქვე).

წერილის ავტორი, "საღმრთო-ეკლესიური", მდაბიური" ანუ "დარბაისლური" და "გლეხკაცურის" ენის გარჩევის შემდეგ, "საშუალ", "დარბაისელთ" ენას მიიჩნევდა უმჯობესად:

"საშუალო ანუ დარბაისელთ ენა ასეთი უნაკლულო ენა არის, რომ დიაღ ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც და კარგათაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვერება", "მგონია ყველანი დამეთანხმნენ უწინდელს ქართულს საეროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ... " (იქვე, გვ. 97, 102).

დიმიტრი ბაქრაძე მოძველებულად მიიჩნევდა რუსთაველის ენას. ანტონისეული "სხოლასტიკის" გავლენაზე მსჯელობის შემდეგ მან წარმოაჩინა ერთიანი სამწერლობო ენის ფორმირებისათვის აუცილებელი ორი ძირითადი წყარო: "პირუელი - თჳთ ცხოველი საზოგადო თუ დარბაისლური ენა; მეორე - ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცავენ უკეთესს საზოგადო საუბარსა" (დ. ბაქრაძე, 1860, გვ. 328).

ამავე თემას ეხებოდა ბაქარ-ქართლელის (დიმიტრი ბაქრაძისავე) "წერილი რედაქტორთან" ("ცისკარი", 1860, № 2, გვ. 153-156), დიმიტრი ყიფიანის "რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე" (ს. ხუციშვილი, 1955, გვ. 55), ჟურნალ "ცისკრის" სარედაქციო წერილი ("ცისკარი", 1960, №2, გვ. 176-183) და სხვ.

ერთი მხრივ, "მოქნილი, ნარნარა" ზეპირი მეტყველებისა და ანტონ კათალიკოსის სქოლასტიკის ჩარჩოებში მოქცეული "მთვლემარე... ც" ცალ-ცალკე არსებობა, მეორე მხრივ, მოუწესრიგებელი ორთოგრაფია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ერთიანი სამწიგნობრო ენის განვითარებას.

პრობლემა, რომელმაც თვით ანტონის სკოლის მიმდევრებში დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, გადაიჭრა ილია ჭავჭავაძის აქტიური ჩარევით. კერძოდ:

ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ამაოდ შეახსენებდა საზოგადოებას განსხვავებული სტილით წერის საჭიროებას; მაგალითად, სარდიონ ალექსიევ-მესხიევი თავის

წერილში: "უსტარი ანტიკრიტიკული" მრავალმნიშვნელოვნად ეკითხებოდა ილია ჭავჭავაძეს, თქვენი ნაწერი რომელ სტილს ეკუთვნისო ("ცისკარი", 1861, № 6, გვ. 255). საპასუხო წერილში ილიამ ლოგიკურად დაასაბუთა "სამი სტილის თეორიის" უსაფუძვლობა:

"სამგვარად განყოფა ენისა ძველი უსაფუძვლობაა... რომელიც, ვიდრე იყო თავის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროებდა კაცის მეტყველებასა და აზრსა" (ი.ჭავჭავაძე, 1986, გვ. 100); ქვეყნად არ არსებობდნენ "მაღალნი და დაბალნი საგანნი", რომელთა გამოსახატავადაც საჭირო იქნებოდა "მრავალშტოიანი ენა", ყოველი საგანი მაღალი იყო თავის კვალობაზე და, აქედან გამომდინარე, ღირსი ერთნაირად გამოთქმისა.

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, სამოციან წლებში გაჩაღებული ბრძოლა ახალი ქართულისათვის, ფაქტობრივად, იყო ბრძოლა "არა ახალი ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა და უკვე არსებულის გამოყენებისათვის ლიტერატურაში; ეს იყო ბრძოლა ახალი ქართულის უფლებისათვის (არნ. ჩიქობავა, 1989, გვ. 10), რომელსაც მხარს უმაგრებდა ენის დემოკრატიზაციის უკვე სავსებით გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პრინციპები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში (თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 40).

ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება "ხალხის სიტყვის გამოთქმას", "ხალხის ენაში მონახულ ცოცხალ ფაქტებს" და, "დარბაისლური" ქართულის ნაცვლად, ცოცხალი სასაუბრო მეტყველება დასახა ერთიანი სამწერლობო ენის საფუძვლად. ცოტა უფრო ადრე იგივე აზრი იყო წარმოჩენილი ჟურნალ "ცისკრის" 1860 წლის № 2-ში:

"ლიტერატურასი პირველი ღირსება ის არის, რომ ცხოველს, სასაუბრო ენას დაუახლოვდებოდეს, რამდენადაც კი შეიძლება" (სარედაქციო წერილი: 'სხუა და სხუა ანბავი", "ცისკარი", 1860, № 2, გვ. 180).

ძველი თაობის წარმომადგენლებმა "ენის დაქვეითების საწინდრად მიიჩნიეს ხალხური ძირეული სიტყვების

ამოტივტივება“ (შ. ძიძიგური, 1965, გვ. 93); “ანტონის ც მადიდებლები“ (არნ. ჩიქობავა, 1989, გვ. 16) თუ “დარბაისელთ ენის“ მომხრენი უსაფუძვლოდ სდებდნენ ილია ჭავჭავაძეს ბრალს, რომ იგი, თუმცა “უნებურად და შეუგნებლად“, მაგრამ “უწყალოდ ამახინჯებდა და ამდაბლებდა ქართულს სიტყვიერებასა“, “ჭიზიკებრ ჰკოდავდა და... ზნეობრივად ჰრყვნიდა“ (ა. სარდიონ-მესხიევი, 1861); “ნახშირის მოედანზე შუა ბაზარში“ კრებდა “ნამდვილს ქართულს სიტყვებს“ (გ. ბარათოვი, 1861) და “უშურშრის ლექსებით“ ამძიმებდა “პატიოსნურსა და დარბაისლურს ენას“ (ბ. ჯორჯაძე, 1861).

ილია ჭავჭავაძემ მეცნიერული სიზუსტით დაასაბუთა, რომ “უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე ვარგისიანია“, “ხალხია ენის კანონის დამდები“ (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 43, 480).

თაობათა შორის გამართულ ბრძოლაში, როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანმაც მიიღო მონაწილეობა. იგი “ახალთაობას ქართული ენის წახდენას უჩიოდა... მაგრამ არა იმიტომ, რომ “შვილებმა“ ახალი სალიტერატურო ენა შემოიღეს და გრიგოლ ორბელიანი ძველი ენის დამცველი იყო, არამედ იმის გამო, რომ “შვილები“ ზოგჯერ სალიტერატურო ენის ელემენტარულ უცოდინარობას იჩენდნენ“ (კ. მეძველია, 1946, გვ. 47). პოეტმა თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა ლექსში: “პასუხი შვილთა“:

“აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი, საბრალოს... ვაი, ჩვენს ენას!
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!.. “

გრიგოლ ორბელიანის საპასუხოდ დაწერილ ლექსში: "პასუხის პასუხი" ილია ჭავჭავაძემ ისევ ძველი თაობის წარმომადგენელთ დასდო ბრალად მშობლიური ენის ღირსების შელახვა:

"...ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთათ?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.
ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა... "

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, "სამწერლობო ენის ყველა დარგის გადახალისება-განახლების, მისი გამდიდრებისა და შეკრების დროს ილია ემყარებოდა ხალხურ ენას - ამ დაუშრეტელ წყაროს ენობრივი სიმდიდრისას" (ი. ქავთარაძე, 1957, გვ. 205). სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოვებამ "მაქსიმალურად შეკვეცა განსხვავება წიგნსა და ზეპირ მეტყველებას შორის, მწერლის ენასა და სოფლელის ენას შორის" (ა. შანიძე, 1987, გვ. 112).

ხალხის მეტყველებაზე დაფუძნებული სალიტერატურო ქართულის პერსპექტიულობაზეა საუბარი 1886 წლის "ივერიის" ერთ-ერთ პუბლიკაციაში:

"ერისათვის საჭიროა, როგორც ხელოვნური (მხატვრული - ი.ვ.), ისე პოპულიარული სამეცნიერო წიგნები თეორიულის და სამოსაქმო (პრაქტიკული - ი.ვ.) ხასიათისა. ამ გვარი წიგნები უსათუოდ მდაბიო, ადვილად გასაგების ენით უნდა იყოს დაწერილი... " ("ივერია", 1886, № 33, გვ. 2).

ორთოგრაფიული რეფორმა. არანაკლებ დამაფიქრებელი იყო ქართული ორთოგრაფიის საკითხი. ანტონ კათალიკოსის მიერ შემუშავებულმა ხელოვნურმა ორთოგრაფიულმა ნორმებმა, უკიდურესობამდე სტილიზებულ ენასთან ერთად, უარყოფითი გავლენა იქონია სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებაზე.

ქართული მართლწერის გამარტივების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ნიკო და დავით ჩუბინაშვილები მიუთითებდნენ (ლ. ლეჟავა, 1989, გვ. 95, შენიშვნა 26); მაგალითად, ნ. ჩუბინაშვილი ზ, ჲ, ჰ, ჳ ასოთა შესახებ ამბობდა:

"ამათ ოთხთა ასოთაგან საგონებელ არს საკმაოდ მხოლოდ ჰ, ვინათგან ზ შესაძლებელ არს დაწერად ჰეე, ჲ - ჰიე და ჳ - ჰოე" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 103); ასევე: "გამოთქმა ასოჲ ჳ უფრორე ეკუთვნის ენასა ლეკთასა, რომელთაცა საუბარი არს ფრიადითა ძალის დატანებისა ხორხისათა, ხოლო ქართულსა შინა საუბარსა სხვაობა ასოთა ხ და ჳ კნინღა არა რაჲმე იპოვების, რამეთუ მათ მხარეთა შინა, სადაცა გამოიღებენ ხ, არა სადა ისმის გამოთქმა ჳ და სადაცა ხმარობენ ჳ, ყოველივე ლექსთა გამოსთქმენ ამით ასოჲთა და არა სადა სჩანს ხ"(იქვე, გვ. 106).

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის პოზიცია. კერძოდ, მან მართებულად შეაფასა ენის განვითარების ბუნებრივი პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა ტრადიციული ნორმების გადასინჯვა და მათში გარკვეული ცვლილების შეტანა:

"კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცს" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 30).

"ძველ წიგნებში ხმარებული" ორთოგრაფიული ნორმების უცვლელად გადმოტანა უკვე არ შეესაბამებოდა თანამედროვეობის მოთხოვნებს. ჲ, ჳ, ჯ, ჴ, ზ და ფ ასოთა ზედმეტობის საკითხი, მართალია, უფრო ადრეც დაისვა (იხ. ზემოთ), მაგრამ მისი პრაქტიკული გადაწყვეტა ილიას დამსახურებაა.

დამოკიდებულება მოძველებული ასოებისადმი ილიამ თავის "ორიოდ სიტყვაში" გამოხატა ("ცისკარი", 1861, № 6, გვ. 557-558, სქოლიო), ხოლო მეცნიერულად დაასაბუთა "პასუხში":

"იქნება ჩვენს უწინდელს ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის ["უ" და "ვ"; "ი" და "იე"; "ე" და "ი"; "ჯ" და "ვი; "ჱ" და "ჰოი"] (და სწორედაც უნდა ყოფილიყო, რადგან შემოუღიათ), მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედავ, - და თუ ხედავს ვინმე, ის ანბანთ თეორეტიკით კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიაქციოს ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები. ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა ანბანთ თეორეტიკა" (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 37); ან კიდევ:

"ეგ ასო [ფ] ახალი შემოღებულია, არ ვიცი კი - რისთვის. ეგ ასო ქართულ ენაზე "ფ"-ად იცვლებოდა ხოლმე, მაგ. ფილოსოფია. ამას გარდა, ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი), მაგ ასოს ხმას ვერც კი გამოათქმევინებთ, "ჶ"-ს მაგივრად სულ "ფ"-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯერ არ გაამეორებინებთ. სჩანს, ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის..."(ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 38).[9]

"ანბანთ თეორეტიკის" დამცველთა შეხედულებით, ორთოგრაფიის გამარტივებას უნდა გამოეწვია სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვათა შორის განსხვავების წაშლა. ამის მაგალითად, სარდიონ ალექსიევ-მესხიევი იმოწმებს სიტყვებს:

---

[9] შემდეგ ხანებში ილია და, მასთან ერთად, "ივერიის" რედაქცია კვლავ დაუბრუნდა ასო "ჶ"-ს ხმარებას, რასაც სამართლიანად შენიშნავდნენ: სფირიდონ ჩიტორელიძე, იგივე მიხეილ ყიფიანი ("... მეტისა და არასაჭირო ასოების განდევნაში "ივერიის" რედაქტორიც ერია და ახლა კი ასო ჶ დიდი პატივისცემით ეკიდება (ა. შანიძე, 1987, გვ. 102), სილოვან ხუნდაძე ("ივერია" ძალიან ჰბაძავს ანტონს (კათალიკოზს) და კიდეც სესხულობს იქიდამ სიტყვებსა და ასოებს, როგორც, მაგ., მებრვე, ასო ჶ, სრულიად შეუფერებელია ჩვენი ენისათვის" ("თეატრი", 1986, № 13, გვ. 133); პეტრე მირიანაშვილი ("რიჶმის მაგიერ უნდა იყოს "რითმიო" ("თეატრი", 1886, № 11, გვ, 115) და სხვები.

"ხელი" და "ჴელი" (იხ.: "ცისკარი", 1861). საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძემ "უკეთესი ფილოლოგების" აზრი განავითარა, რომ ასოები "მხოლოდ სიტყვებში სცხოვრობენ, სიტყვის მიხედვით არიან შემდგარნი და მხოლოდ სიტყვის ძალით არსებობენ ქვეყანაში" (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 36).

ლოგიკურად სწორია ილიას მსჯელობა სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორზე წინადადებაზე, რომლის ფუნქციასაც ვერ იტვირთებს ერთი კონკრეტული ასო:

"განა ასოები აძლევს აზრსა სიტყვასა? თუ ეგრე არის, მაშ "დაარიგე" (ქაღალდის დარიგება) და "დაარიგე" (დარიგების მიცემა) სხვადასხვა "დ"-ებით უნდა დაიწეროს. "ააგე" (ააშენე) და "ააგე" (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს... ესე რომ მივყვეთ... ათასი სხვა ასო უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან" (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 401).

ილია ჭავჭავაძის მართებულ პოზიციას კიდევ უფრო ამყარებს ანბანისა და მართლწერის გამარტივების საყოველთაო ხასიათი აღნიშნული პერიოდისათვის. რუსული ანბანიდან მოძველებული ასოების ამოღებასთან დაკავშირებით, ილია შენიშნავს:

"...ეხლა მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც... მე მომყავს ეს, როგორც ფაქტი, რომელიც ამტკიცებს სურვილს, რომ განმარტივდეს ანბანიც და მართლწერაც" (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 38).

ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებული **ენის დემოკრატიზაციის რეფორმები,** კერძოდ, სალიტერატურო ენის საორიენტაციო სტილის განსაზღვრა და ორთოგრაფიის გამარტივება, ერთიშეხედვით, საწინააღმდეგო მიმართებაშია ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულ ნორმებთან, მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. კერძოდ:

"ის დიდი შედეგი, რომელსაც ანტონ პირველმა მიაღწია სალიტერატურო ქართულის ნორმირებაში, შუალედური და, ამავე დროს, შემაკავშირებელი რგოლია XII საუკუნეში იოანე პეტრიწისა და მისი სკოლის, ხოლო XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმებისა" (თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 43).

ანტონ კათალიკოსის დიდ დამსახურებაზე მიუთითებდა თავად ილია ჭავჭავაძეც (1953, გვ. 48-49):

"ნურავინ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წამომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა..."

1.4.2. მოწინავე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება სხვა ენებიდან მომდინარე ლექსიკისადმი. XIX საუკუნის 50-იანი წლების საზოგადოებისათვის ასევე საკამათო თემას წარმოადგენდა "სალიტერატურო ენის ორიენტაციის სხვადასხვა ასპექტები: ტერმინოლოგიისა და საერთოდ, ლექსიკის განვითარება, ფრაზის ქართული ბუნების დაცვა და სხვ." (თ. უთურგაიძე, 1989, გვ. 42).

ჟურნალ „ცისკრის" გარშემო შემოკრებილი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულების გარკვევა. ბევრი იწერებოდა „ზოგიერთი ევროპიული ლექსის" სესხებაზე; გამოითქმებოდა სხვადასხვა მოსაზრება; მაგალითად:

უცხო სიტყვების ზომიერ შემოტანას მხარს უჭერდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ყიფიანი, ივანე კერესელიძე, ფადეი ბობილევი და სხვები.

დიმიტრი ბაქრაძე წერდა: "ყოველი საუკუნე და ყოველი ისტორიული მოპოება, იდეათა და წესდებულებათა შეცვლა, მოითხოვენ ახალ გამოთქმათა და ფრაზებსა, რომელნიც უწინ არ ყოფილან, და, თუ ყოფილან ერთს ხალხში, არ ყოფილან სხუა ხალხებში"; აქედან გამომდინარე, დასაშვები იყო "უცხო თესლთ

ლექსების“ შემოტანა ქართულში, თუკი საზოგადოება ხედავდა ამის საჭიროებას: “არ უნდა დავივიწყოთ, რომ ენის აჭრელება არ არის საქებარი, რომ უსაჭიროდ ჩუენს ენას არ უნდა გაურიოთ უცხო სიტყვები“ (დ. ბაქრაძე, 1860, გვ. 331-332).

მოგვიანებით იგივე აზრი განავითარა დიმიტრი ყიფიანმა თავის “ქართულ გრამატიკაში“ 1882 წელს; “ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის საჭირო“ სიტყვები ისე უნდა შეეთვისებინა ენას, როგორც “მდინარე წყალი პატარ-პატარა წყაროებს ითვისებს“, მაგრამ, ამასთანავე, დიდი სიფრთხილე და წინდახედულება იყო საჭირო, რომ არ “აეთვალისწუნებინათ“ ძველი სიტყვები, წინაპართაგან “ნაღვაწი და შემუშავებული“ (დ. ყიფიანი, 1882, გვ. 62-63).

არანაკლებ საინტერესოა გაზეთ **“Кавказ”**-ის რედაქტორის - ფადეი ბობილევის წერილი: “კვლავ ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც ამავე გაზეთის 1857 წლის №№ 92-ში დაიბეჭდა (დამოწმ. ს. ხუნდაძე, 1955, გვ. 108-109). მასში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ “ყოველგვარი სიახლე პირველად უცხოა და ნელ-ნელა, არა უცბად ინერგება“ (იქვე, გვ. 109). ამ შეჩვევის მომენტზე ამახვილებს ყურადღებას ნიკოლოზ ბერძენიშვილიც: “არ ვკამათობ, რომ აუცილებელია შემოტანილ იქნეს ჩვენში... არა ერთი ამგვარი ფრაზა ახალი ცნებების გამოსახატავად, მაგრამ პირველ ხანებისათვის არ იქნებოდა ცუდი მათი მოკლე განმარტებები შენიშვნებში“ (ს. ხუნდაძე, 1956, გვ. 81).

ანალოგიურად მსჯელობს ილია ჭავჭავაძეც, ენაში ახალი სიტყვების შემოტანასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ).

ალექსანდრე ორბელიანის წერილში ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძისადმი იგრძნობა ერთგვარი მერყეობა, თუ რა გზა აირჩიოს საზოგადოებამ უცხო სიტყვების შემოტანისას: პირდაპირ სესხება თუ თარგმნა? ვიმოწმებთ ნაწყვეტს აღნიშნული წერილიდან, კერძოდ, მსჯელობას სიტყვა “კრიტიკის“ შესახებ:

"უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე! "კრიტიკას" თარგმნიან: ზოგნი გარკვევას, ზოგნი დაფასებას, ზოგნი გაკიცხვას, ზოგნი განსჯას და ზოგნი გარჩევას. ოჰო! თუ ამთენი სახელი ჰქუან ქართულად კრიტიკას, სწორეთ ვიტყვი, კარგი დიდი და განიერი მაფრაშა ყოფილა, რომ ამთენი ჩუმნი სახელი შიგ ეტევა!" (ალ. ორბელიანი, 1857, გვ. 63).

უცხო სიტყვების შემოტანას სალიტერატურო ქართულში რადიკალურად ეწინააღმდეგება „იმერთ თავადი ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც ამ ფაქტს „წაბაძვის ან ძველი სიტყვების დავიწყების შედეგად თვლის და ამიტომ მოუწოდებს საზოგადოებას:

„უმჯობეს არს გავიხსენოთ დავიწყებულნი სიტყუანი და სასმენელნი ჩუმნნი შევაჩჯოთ მათ, ვირეღა სრულიად დავივიწყოთ მოფარულნი ჩუმნგან და ნაცულად მათსა შევიწყნაროთ უცხო... ნაცულად **სალიტერატურისა** ვჰსთქუათ **შეტყუმლებისა**, ხოლო ნაცულად **ჟურნალისა ოქმი, ოქმი,** ნაცულად **რედაკტორისა** ვიხმაროთ დიდის ხნიდამ ცნობილი ჩუმნდა **მესტანბე** ანუ **აღმბეჭდველი,** ნაცულად **პოეზიისა მოშაირობა** და **მოლექსეობა,** ნაცულად **პროზისა წართქმა** ანუ **წარმოთქმით წერა, კრავატი** შავსცუალოდ **ცხედრად** ანუ **ხარიცელად, კრეხლი საგარძელად** და ესრეთ შემდგომნი" (ი. ლორთქიფანიძე, 1857, გვ. 45).

მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით, ჩანს შემდეგი:

- წერილის ავტორი, რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილის პოზიციას გამოხატავს, ვერ აცნობიერებს მეცნიერებისა და კულტურის ცნებების ამსახველ საერთაშორისო ტერმინთა სესხების აუცილებლობას;

საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არის ნათელი სალიტერატურო ქართულში შემოსული უცხო ლექსიკური ნაკადის არაერთგვაროვნება: წერილის ავტორი ერთ ჭრილში განიხილავს საერთაშორისო (**პროზა, პოეზია**...) და საკუთრივ რუსულ (**კრავატი, კრეხლი**...) სიტყვებს.

უცხოენოვანი სიტყვებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის თეორიული შეხედულებები.

„მამათა“ თაობის წარმომადგენლებმა ილიას ბრალად დასდეს ქართული „მშვენიერსიტყვაობის“ დამდაბლება უცხო „ლექსების“ შემოტანით: „**ფორმა**“, „**სიუჟეტი**“ (ს. ალექსიევ-მესხიევი, 1861), „**ესტეტიკური**“, „**სენტიმენტალური**“, „**დრამმატიზმი**“...[10]

ბრალდების პასუხად, ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან „საჭირო“ და „არასაჭირო“ უცხო სიტყვებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით **ნასესხობებსა** და **ბარბარიზმებს** და მსჯელობს მათ შორის არსებულ განსხვავებაზე:

„მე ოსტროვები, ლინიები და სხვა გარმიანული სიტყვები... ამისთვის დავძრახე, რომ მაგის **თანახწორ მნიშვნელობის სიტყვები** არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს... თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: **თანახწორ მნიშვნელობის სიტყვები** და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ

---

[10] სრულად ვიმოწმებთ ნაწყვეტებს ბარბარე ჯორჯაძისა და რევაზ ერისთავის წერილებიდან:

"...მერმეთ ვსთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელს გონებას, მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქუს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამმატიზმი და სხუანი... მაშ თჳთონ რაღათ დაიცინება: "ცისკარში" შეგეხუმდრია გარმონიული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრა ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყუნენ თავის უშვერობითაო..." (ბ. ჯორჯაძე, 1861, გვ. 40-41);

"... ორიგინალი, სენტიმენტალი და პლასტიკაც კი რო განემარტა როგორათაც კონსტრუქცია და კაპიტალია ჩუმნ ქართუმლთათვის ურიგო არ იქნებოდა; თჳთ თავ. ჭავჭ. უშვერობათ მიაჩნია რუსულის ლექსების ხმარება, რომელნიც ზოგი ერთებს უხმარიათ, მაგალ. ლინიები, ოსტროვები და სხვა..." (რ. ერისთავი, 1861, გვ. 89).

დაეძრახება, ის ცრუობს, - რომელიცა ძრახავს მაგგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 49).

ილია ჭავჭავაძე მართებულად თვლის, რომ ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება არის ისტორიული აუცილებლობის შედეგი: „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჭელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“ (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 72); „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“ (ი. ჭავჭავაძე, 1957, გვ. 70), ოღონდ, ენის სიწმინდის დასაცავად, სესხება უნდა მოხდეს ქართულში არსებული ტრადიციული ლექსიკური მონაცემების „თანასწორი მნიშვნელობის“ მქონე სიტყვათა გათვალისწინებით. სწორედ ამით აიხსნება ილია ჭავჭავაძის დაინტერესება, ერთი მხრივ, ძველ ხელნაწერებსა და სიგელ-გუჯრებში გაბნეული ქართული სამეცნიერო ტერმინების მოძიებითა და, მეორე მხრივ, ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვებით (იხ. ქვემოთ; ასევე: ი. ვაშაკიძე, 1991, გვ. 98-100; ი. ვაშაკიძე, 2009).

ილიას, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვიმსჯელოთ, ენის გამდიდრების საშუალებად მიაჩნია როგორც **ნასესხები ლექსიკა**, ისე **ხალოშორიხი სიტყვები**:

“ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს. რუსული **очаг** და ჩვენებური “ოჯახი“ მონგოლური სიტყვაა, **башка** თათრულია, თუ სპარსული, სიტყვიდან “ბაშ“, **сакля** “სახლი“ ქართულია, **религия, профессия, поэзия, литература** და ათასი სხვა მაგისთანა, სულ სხვა ენის სიტყვებია, - ... ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, მოდით და წინ გადაუდგეს ან ენაწმინდა ქართველი, ან ენაწმინდა სომეხი და დაუჟინოს, - ჩვენ გჯობივართო“ (ი. ჭავჭავაძე, 1957, გვ. 70).

საესებით მისაღებია ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ უცხო სიტყვების შემოტანასთან დაკავშირებით, რომელთაც “მთელი კაცობრიობა... ხმარობს“ და “ყოველს ხალხსა, ცოტაოდენს განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია“(ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 48). პოზიცია

კიდევ უფრო ნათელი ხდება სიტყვა **„კრიტიკის“** შესახებ მსჯელობისას:

„კრიტიკა - ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ "არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“ (ი. ჭავჭავაძე, 1986, გვ. 31).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა მნიშვნელოვანია როგორც სალიტერატურო ენის საერთაშორისო სიტყვებთან მიმართების, ისე ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების **ხელხებაბ** გააქტიურების თვალსაზრისით, რაც პრინციპულ საკითხად რჩება სამეცნიერო ენის ისტორიის ყველა ეტაპზე (იხ. ქვემოთ).

1.4.3. ხალიტერატურო ქართულიბ პრაქტიკული ხაკითხები (მოხაგვარებელ ხაკითხთა მოცულობა და წინაპირობები). სამწიგნობრო ქართულის შემდგომი განვითარებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **პრაქტიკული ხახიათიბ გრამატიკული ხაკითხებიბ** გადაწყვეტა; კერძოდ:

I. გადახინჯვახ ხაჭიროებდა ხაკუთრივ ქართული გრამატიკული ფორმებიბ ორთოგრაფია: სახელთა ბრუნება, კომპოზიტების მართლწერა, ზმნებში პირისა და რიცხვის კატეგორიების გამოხატვა და სხვ.,

II. დახდგენი იყო უცხოენოვანი ხამეცნიერო ლიტერატურიბ თარგმნახთან დაკავშირებული ნორმები, კერძოდ: უცხო ძირებისა და ქართული ყალიბების კომბინაცია და უცხო კონსტრუქციების ქართული ენის ბუნების დაცვით გადმოღება.

აღნიშნული საკითხების მომწიფებას წინ უსწრებდა გარკვეული მომენტები:

ა) საკუთრივ ენის გახალხურების პროცესი, რომელიც 60-იანი წლებიდან დაიწყო, რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა და შედეგად მოჰყვა სალიტერატურო ქართულში პარალელურ ფორმათა გაჩენა ("წავიდენ" თუ "წავიდნენ", "აღვიარებ" თუ "ვაღიარებ", "წითელ ვარდის" თუ "წითელი ვარდის " (ლ. ლეჟავა, 1988, გვ. 6);

ბ) გრამატიკის სხვადასხვა რედაქციის არსებობა. 1886 წლის "ივერიის" ერთ-ერთი პუბლიკაციის მიხედვით, ეს იყო "ყოვლად შეუმუშავებლობა, გაუგებრობა, გაუვლელი მღვიმე", რასაც "წარმოადგენდნენ ჩვენი გრამატიკის წიგნები სახელმძღვანელოები" ("ივერია", 1886, № 17, გვ. 1-2). აღნიშნული ფაქტი განაპირობებდა "შეუფერებელი და ერთმანეთთან შეუწონებელი აზრების" სიმრავლეს ("ივერია", 1886, № 18, გვ. 1) და, აქედან გამომდინარე, ქმნიდა უხერხულობას სასწავლო სისტემაში; როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლენი, პროგრამის ძალით, იძულებულნი იყვნენ, "ამ ბნელაში გამოეკვლიათ ის, რაც თვით შემდგენლებს ვერ შეეგნოთ" (იქვე, გვ. 3). იაკობ გოგებაშვილი მართებულად შენიშნავდა:

"ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული და მოგაგონებთ დახურულს და გაუვალს ტევრსა; უგრამატიკო გრამატიკა თვითონაც წაუხდენს, გაურყვნის მეტყველებას მოწაფეებსა და ლიტერატურასაც დაუშლის, ენა-უმდიდროს მათ" ("ივერია", 1886, № 25, გვ. 1).

გ) გამოუცდელობა და ელემენტარული პრაქტიკული ჩვევების არქონა სამეცნიერო ლიტერატურის შეთხზვისა თუ თარგმნის დროს, რასაც მოწმობს ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმებისა და ფრაზების მომრავლება. მაგალითად, მიხეილ ნასიძე თავის ფელეტონში: "ორი საგრამატიკო საგანი" მსჯელობს კრიტიკოსების მთავარი შენიშვნის ობიექტზე:

"საიდამ იწყობს ეხლანდელი კრიტიკოსი თავის წერილს? - ენიდამ, ენის დაწუნებიდამ. არცა სტყუვის: უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალის მწერლებისა სწერს ქართულ სიტყვებით, და არა ქართულად", "ბევრს ადგილს ჰპოვებთ, სადაც ქართული ენა ჯვარცმულია" ("ივერია", 1886, № 17, გვ. 1).

იგივე აზრია გატარებული "ივერიის" 1886 წლის № 7-ის სარედაქციო წერილში, რომელიც ეხება შარაშიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი ჟივოტოვსკის სასწავლო-საკითხავი ბროშურის - "მეხის ამბავის" ენას:

"თვითონ თარგმანზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ენა ბევრს ადგილას ბორძიკობს; აზრის გამოხატვას, წინადადებათა დაწყობილებას და მიხვრა-მოხვრას ერთობ სიცოცხლე აკლიათ. ეს უკანასკნელი გარემოება ყოველთვის სახეში უნდა იქონიოს,[11] ვისაც რომლისამე საკითხავი წიგნის შედგენა ან გადმოთარგმნა უნდა" ("ივერია", 1886, № 7, გვ. 4);

ცნობილია, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ბევრი ნასესხობა შემოვიდა ქართულში, თუმცა მათი საბოლოო დამკვიდრებისათვის ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი შესაფერისი ყალიბი.

არტურ ლაისტი შენიშნავდა, რომ ქართულ ენას ბევრი უცხო სიტყვა შეუთვისეს იმ მიზნით, რომ იგი ქცეულიყო თანამედროვე ენად "ევროპიულ ცივილიზაციისა"; ამავე დროს, "მომეტებული ნაწილი ქართველ მწერლებისა ამახინჯებდნენ ევროპულ სიტყვებს, უმატებდნენ მათ ქართულ დაბოლოვებას და იმაზედ კი სრულიად არა ზრუნავდნენ, რაოდენად გაუგებარნი ხდებოდნენ ამის გამო ეს სიტყვები" (ა. ლაისტი, 1884, გვ. 93).

ამავე თვალსაზრისით, საყურადღებოა პეტრე მირიანაშვილის პარიზიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია გაზეთ "ივერიის" რედაქციისადმი:

---

[11] კონსტრუქცია: "**სახეში მაქვს**" / "**მხედველობაში მაქვს**", რუსული ფრაზის (**иметь в виду**) მიხედვით შეიქმნა.

"იმედი მაქვს, ჩემი(ს) ენის გრამატიკულ(?) ფორმებს არ შემიცვლით. ვწერ გენიალს, სოციალს, ადმინისტრატივს, და საზოგადოდ უცხო დასართავ სახელებს ისე ვხმარობ, როგორც არიან ძირეულ ენაში" ("ივერია", 1886, № 12, გვ. 1).

წარმოდგენილი მასალა მოწმობს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ორთოგრაფიული ნორმები შეუმუშავებელია; ტერმინის ამა თუ იმ დაბოლოებით გაფორმება დამოკიდებულია პიროვნულ არჩევანზე.

პრობლემის გადაჭრის გზები. მოწინავე საზოგადოება მართებულად მიიჩნევდა, რომ სამწერლობო ენის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა მისი **ნორმების მოწესრიგებას**; ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო:

ა) ენის გრამატიკულად შესწავლა, მისი უტყუარი, მაგრამ, აღნიშნული პერიოდისათვის, "წყვდიადით მოსილი" კანონების გამოკვლევა და ფლობა, რათა საბოლოოდ გადაეღობათ გზა უმართებულო ფორმებისათვის. ამ მხრივ, წამოწყებულ მუშაობას დიდი ბიძგი მისცა გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე მიხეილ ნასიძესა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამართულმა პოლემიკამ ("ივერია", 1886, № 17, 18, 25, 26, 41, 42, 50, 51, 52, 58).

ბ) პრაქტიკული დონისძიებების გატარება, რაშიც განსაკუთრებული წვლილი ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის. მან მთავარ ამოცანად აქცია **ფრანგის ქართული ბუნების დაცვა**, რაზეც აშკარად მეტყველებს მწერლის მოღვაწეობა ყოველდღიურ გაზეთ "ივერიაში."

როგორც თანამედროვენი (გ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი, ი. მანსვეტაშვილი) იგონებენ, ილია დიდ დროს ანდომებდა საგაზეთო მასალის მოსმენასა და შესწორებას ენის მხრივ; თანამშრომელი კითხულობდა დასაბეჭდ წერილს და ილია უკარნახებდა, როგორ უნდა გაესწორებინა ესა თუ ის უხერხული გამოთქმა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა "ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას და დასურათებით,

ცოცხალი აზრის გამოთქმას". თავად "ღრმა მცოდნე" ქართული ენისა "ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი - წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი" (ილია, 1987, გვ. 77-78, 483).

სოფრომ მგალობლიშვილის მითითებით, ილია კრიტიკულად იყო განწყობილი ანტონ ფურცელაძის მიმართ, რომელსაც "საზოგადოდ... არად მიაჩნდა სიწმინდე ენისა, სისუფთავე სტილისა, თვით სწერდა, როგორც მოხვდებოდა და კავშირს "და"-ს ღმერთს აცლიდა ხშირი და უალაგო-ალაგას ხმარებითა" ("ილია", 1987, გვ. 487).

აქვე, უკომენტაროდ წარმოვადგენთ ილია ჭავჭავაძის სხვა თანამედროვეთა მოგონებებს:

ზაქარია ჭიჭინაძე: "ქართული ენის ცოდნაში ილია ჭავჭავაძეს ცალი არა ჰყავდა, ამის ენის ცოდნით აღტაცებული იყო დ. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძის ენას ნამდვილს საჭირო ენად სთვლიდა, ასე ლაპარაკი და წერა არც ერთს ქართველ მწერალს არ შეუძლიანო" (ზ. ჭიჭინაძე, 1897, გვ. 71);

გრიგოლ ყიფშიძე: "ქართული ილიას ხელში მეტადრე ბოლოსა და ბოლოს, თავის თავს აჭარბებს, განვითარების უმაღლეს ხარისხამდე ადის და ოქროს სხივებივითა ბრწყინავს. თითქო "სილბო აქვს ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა..." (ილია, 1987, გვ. 80);

ი. მანსვეტაშვილი: "[ილია] ხონელს (ცნობილი პუბლიცისტი ილია ბახტაძე ი.ვ.)... ძალიან უყვარდა რუსიციზმები"; "ილიას ეს ზნე ხონელისა ეუცხოვებოდა" და "რა წამს კი ყურს მოჰკრავდა რუსიციზმს... მაშინვე დაიწყებდა მის ქართულად მონათვლას. გვიკვირდა, რა დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე, შევიდოდა სიტყვიერების სივრცე-სიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებისას და ქართულ ენის სიმდიდრიდან ისეთს მარგალიტებს გადმოგვიფენდა... ფელეტონს სულ სხვა ფერი

დაედებოდა, ქართული ნათელ-მირონი ეცხებოდა, სმენასაც ატკბობდა და გულსაც ალხობდა“ (“ილია“, 1987, გვ. 406).[12]

აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსიციზმების წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება XX საუკუნეშიც. აღნიშნული მოვლენის უარყოფით შედეგები ქართული ენის გულშემატკივართა მძაფრი კრიტიკის საგანი ხდება. მაგალითად, კ. გამსახურდია თავის წერილში: “სალიტერატურო ქართულისათვის“ მსჯელობს რუსული კონსტრუქციების **для, чтобы, с целью**-ს ბადლად გავრცელებულ უმართებულო ფორმებზე (“თესვის კამპანიის ჩატარების მიზნით“, “ბიუჯეტის განხილვის მიზნით“, შდრ.: “თესვის კამპანიის ჩასატარებლად“, “ბიუჯეტის განსახილველად“; ასეთივეა: “ფსიქოლოგიის ხაზით“, “რიგი მეცნიერები“...) და საზოგადოებას მოუწოდებს ენის სიწმინდის დაცვისაკენ (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 32, 262). ამ ტიპის ფორმები არაერთგზის გახდა ქართული ენის ნორმებზე მომუშავე სპეციალისტთა განხილვის საგანი.

ანალოგიურია მწერლის მსჯელობა ე.წ. “დეპეშურ სტილთან“ დაკავშირებით, რაც “ამერიკანიზმის“ ცუდი ზეგავლენის შედეგად მიაჩნია; მაგალითად დამოწმებული აქვს თეტრისა და კინოსტუდიის პლაკატებსა და აბრებზე ამოკითხული “ჩიქორთული“ - “კაცი თოფით“, შდრ.: “თოფიანი

---

[12] ქართული ენის პრაქტიკული საკითხებით ილიას დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს იონა მეუნარგიას მოგონებაც: “სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან: “**господин**“ ილიამ თქვა, “უფალი მესხის“ თქმას“ბატონი მესხის“ თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც “ამხანაგი“ და ვერც “მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგული ენიდან “**monsieur**“ ვერც დიდი რევოლუციის “**citoyen**“-მა და ვერც კომუნის “**compagnon**“-მა (ილია, 1987, გვ. 506-507).

კაცი“ (იქვე, გვ. 97). საინტერესოა ის ფაქტი, რომ კ. გამსახურდიამ ეს მოსაზრება 1948 წელს გამოთქვა. ვფიქრობთ, დღევანდელი ვითარება, გარკვეულ შემთხვევებში, სწორედ იმ ნორმებს ემორჩილება, რაც მწერალმა მაშინ საკამათო თემად აქცია (ვგულისხმობთ, თუნდაც გასაყიდი პროდუქციისთვის განსაზღვრული სახელწოდებების ფორმას). აქ საკითხი მიემართება ენის შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივას, რომლისთვისაც ბიძგის მიმცემი შეიძლება იყოს, როგორც შიდა, ისე გარეენობრივი ფაქტორები. საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და აქ აღარ შევჩერდებით.

ილია **ლაგდა მწიგნობრულ ფორმებს,** სიფრთხილეს იჩენდა დიალექტიზმების მიმართ. იონა მეუნარგიას მოგონების თანახმად, იგი, “მაგრამ“ კავშირის ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებდა სამწიგნობრო ქართულში დამკვიდრებულ “გარნას“; არ მოსწონდა “იმერელთა წერილებში“ ნახმარი ფორმები: “ვღებულობ“, “ამნაირად“; სადაც კი მოხვდებოდა, მაშინვე შლიდა და ზემოდან აწერდა სიტყვებს: “ვიღებ“, “ამგვარად“ (ილია, 1987, გვ. 507).

მწერლის არჩევანს ის ფაქტიც მოწმობს, რომ მან წინ წამოწია სიტყვა **მამული** სამწიგნობრო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობა, დიალექტური (ქიზიყ., იმერ., გურ., ლეჩხ.) სემანტიკის საპირისპიროდ (იხ. ქვემოთ, გვ. 92-96).

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ილიამ ფართო მსჯელობის საგნად აქცია **ენის ნორმალიზაციის საკითხები**. სწორედ მან შემოიღო წესად, რომ “ნომრის მასალა უნდა წაკითხულიყო რედაქციის წევრთა კრებაზე; აქ სწორდებოდა ენა წერილებისა და ამ სახით იგზავნებოდა სტამბაში“; “არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი, არც ერთი კორესპონდენცია ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, ვიდრე მთელი სიგრძე-სიგანით, ძირიან-ფესვიანად“ არ გადამუშავდებოდა, “მთელი კოლეგია, ილიას მეთაურობით... გულდასმით ასწორებდა, ამზადებდა მასალას დასაბეჭდათ“ (ილია, 1987, გვ. 77-78, 483, 405).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ილია ჭავჭავაძეს განუზრახავს "ქართული ენის მცოდნეთა" კომისიის მოწვევა "განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი ახსნილიყო და დადგენილიყო მწერლობაში სახმარებლად" (ა. შანიძე, 1987, გვ. 115-119; არნ. ჩიქობავა, 1987, გვ. 278; გ. შალამბერიძე, 1966, გვ. 60-61; ლ. ლეჟავა, 1988, გვ. 6-7).

როგორც სტამბურად დაბეჭდილი უწყების შემორჩენილი ცალიდან ჩანს, კრება უნდა შემდგარიყო (1886 წლის) 8 მარტს, "ივერიის" რედაქციის შენობაში. უნდა განეხილათ ისეთი სადავო გრამატიკული საკითხები, როგორიცაა: მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ("ცოდვილი პირისა", "ცოდვილის პირისა" თუ "ცოდვილ პირისა"...); ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება ("კაცად" თუ "კაცათ"?); ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარება ზმნებში; უცხო სიტყვათა -ულ, -ურ, და -ებურ სუფიქსებით წარმოება; -ებ-იან და ნარ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმება; "რა" ნაწილაკის ხმარება; ქართული და რუსული წინადადებების აგებულებაში მსგავსება-განსხვავების ძიება... (ა. შანიძე, 1987, გვ. 119).

ა. შანიძის მითითებით, აღნიშნული საკითხები "იმდენად რთული იყო პრაქტიკულად ამა თუ იმ სახით ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით, რომ არა თუ ერთ სხდომაზე, არამედ ათსა და ოც სხდომაზედაც ვერ გადაწყდებოდა საბოლოოდ" (ა. შანიძე, 1987, გვ. 119).

სადავო გრამატიკული საკითხებით დაინტერესებაზე მეტყველებს 1886 წლის "ივერიის" № 68-ის ფოსტა: მასში წარმოდგენილია რედაქციის მიმართვა უცნობი მკითხველისადმი:

"თქვენი ფრიად საყურადღებო წერილი არ დავბეჭდეთ, იმიტომ რომ მაგ საგრამატიკო საგანზედ ბევრი სხვა წერილებიც მოგვივიდა და გაზეთი ამდენს წერილებს ერთსა და იმავე საგანზედ ვერ აუვიდოდა ისე, რომ მკითხველები არ შეეწუხებინა. ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბნა, რამოდენადაც შესაძლოა, ქართულის ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამატიკო საგნები

გაგვერკვია. ამას უკვე შევუდეგით კიდეც და თქვენი წერილიც ქართული ენის მცოდნეთა კრებას თავის დროზედ წარედგინება სხვათა შორის განსახილველად. ამა კრებათა ნაღვაწი და ნაკვლევი თავის დროზედ ვფიქრობთ დავბეჭდოთ...“(“ივერია“, 1886, № 68, გვ. 4).

როგორც ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს, “ქართული გრამატიკული კანონების შემუშავება იქამდის საყურადღებო გახდა თფილისის ქართველთათვის“, რომ უკვე “მრავალნი საუბრობდნენ ამ საგანზე და მეცადინეობდნენ, რომ ქართული სხვადასხვა გრამატიკები“ მოეპოვებინათ როგორმე, “გვარიანათ გაეცნოთ“ (ზ. ჭიჭინაძე, 1886, გვ. 118). თბილისის მსგავსად, ქუთაისშიც შემდგარა ქართული ენის მცოდნეთა წრე “ქართული ენის გრამატიკული ტერმინებისა და ფორმების“ გასარჩევად და მათ “ერთხელ და სამუდამოდ... დასამტკიცებლად“ “საგრამატიკო ლიტერატურაში“ (იქვე, გვ. 117).

ილია ჭავჭავაძის თაოსნობით წამოწყებულ მუშაობას სადავო გრამატიკული საკითხების გადასაწყვეტად უთუოდ უნდა მოჰყოლოდა შედეგი; “თუ საყოველთაო ხმარებისათვის არა, “ივერიის“ რედაქციის თანამშრომელთათვის მაინც მუშაობის პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა ერთგვარი მკვიდრი წესები, რომელთაც მტკიცედ იცავდა ილია თავის გაზეთში. ასეთი იყო, მაგალითად, -დნენ დაბოლოება ზმნებში“ (ა. შანიძე, 1987, გვ. 120), მსაზღვრელ-საზღვრულის სრული დაბოლოებისა (“თავისის თითების“) და ჰ-, ს- პრეფიქსთა ხმარების წესები, -მა//-მ და არა -მან მოთხრ. ბრუნვის ნიშნად (ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 3), ასევე, -**ებან** ფორმანტის დამკვიდრება ზოგიერთი უცხო სიტყვის საწარმოებლად. ამ უკანასკნელ შემთხვევასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ნაწყვეტი გაზეთ “ივერიის“ 1886 წლის № 12-ის სარედაქციო წერილიდან:

“ჩვენ თანახმანი ვართ, რომ აქამდე ხმარებული ჩვენ მიერ დაბოლოვება სიტყვებისა არ ეშესაბამება ქართულის ენის თვისებას, მაგალითებრ: გენიალური, ან გენიოსური, სოციალური, ადმინისტრატიული, დრამატიული და მებრვე სხვანი. არც ჩვენ

მოგვწონს ამ გვარი ფორმა და ჩვენის ენის წინააღმდეგად მიგვაჩნია. მაგრამ ვერც კორესპონდენტის (იგულისხმება პ. მირიანაშვილი) მიერ ნარჩევს დაბოლოვებას მივიღებთ: სახელდობრ, გენიალ, სოციალ, ადმინისტრატივ და მებრვე სხვათა. ჩვენ ამ გვარს შემთხვევაში უკვე გვიხმარია სხვა ფორმა, ჩვენის ფიქრით, უფრო შესაფერი ქართულის ენისა, მაგალითებრ, ყმურის მაგიერ **ყმებური**, ღვთიურის მაგიერ **ღვთაებური**, კაცურის მაგიერ **კაცებური** და მებრვე სხვანი. ამ გვარი დაბოლოვება უკვე შეწყნარებულია ჩვენის ენის მიერ, მაგალითებრ: **ჩვენებური**, **სხვაგნებური**, **ხაქებური** და სხვანი. ჩვენა გვგონია, რომ ეს საკმაოდ მოსახდენი ფორმაა და, გარდა ამისა, ძველადვე დაჩემებული და ხმარებული, მაგალითებრ: "ქართლის ცხოვრებაში" ჰსწერია: "შენ გიბრძანებია... კვალად ნათესავთა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 319; ქვევიდამ მეექვსე სტრიქონი). ჩვენის ფიქრით, შესაფერია ვიხმაროთ: გენიალ ანუ გენიოსურის მაგიერ **გენიოსებური**, სოციალ ანუ სოციალურის მაგიერ **სოციალებური**, ადმინისტრატივ, ანუ ადმინისტრატიულის მაგიერ **ადმინისტრატებური**, დრამატიულის მაგიერ **დრამატებური**, დემოკრატიულის მაგიერ **დემოკრატებური** და მებრვე სხვანი..." ("ივერია", 1886, № 12, გვ. 1).

მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, ილია **-ებურ** ფორმანტის საკითხს კვლავ ღიად ტოვებდა "ქართული ენის მცოდნეთაგან" "უტყუარი განაჩენის" გამოსატანად (იქვე, გვ. 1).

როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდანაც ჩანს, **-ებურ** ტრადიციული სიტყვამაწარმოებელი აფიქსია, "ძველადვე დაჩემებული და ხმარებული". ს.ს. ორბელიანთან დასტურდება - **ებრი**: "მისი მსგავსი" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 229); შდრ.: **უებრო**: "უსწორო თუ უამხანაგო", აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 155). ცალკე არის წარმოდგენილი **-ებან**: "მსგავსადსავით, მსგავსად" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 458).

ნ. ჩუბინაშვილის მითითებით, **-ებრ** არის "თანდებული მსგავსების დამნიშვნელი და მიმღები ნათესავობითის ბრუნვისა", რომელსაც სიტყვის წინა პოზიციაში "დაერთვის ასო **მ** (**მებრ სატად**)". **-ებრ** ზოგჯერ "თვინიერ ბრუნვისა" დაერთვის სახელს და "შესცულის... ზმნისზედად (ანგელოსებრ)"; "კუალად მარცვალნი: **ებრი**, **ებრივი**, **ებური** შესცულიან მათ ზედშესრულად: ანგელოსებრი... კაცობრივი, გინა ჩემებური." შემდგენელი აქვე მიუთითებს **-ებრ** ფორმანტის დიალექტურ ("მდაბიურ") ვარიანტსაც: "ცხენსა**ეფ**... გინა ჩემსა**ეფ**..." (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 208).

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ანალოგიურადაა წარმოდგენილი **ებრ/ებრივ** და **ებრი/ებური/ებრივი** დაბოლოებები (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 487); **მებრვე** განმარტებულია, როგორც "მსგავსადვე, также" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 695).

როგორც აკაკი შანიძე შენიშნავს, ილიას და მის "ივერიას", რა თქმა უნდა, ზოგიერთი შეცდომა ჰქონდა ენის მხრივ, მაგ., ჰარბი ხმარება ჰ- და ს- პრეფიქსებისა ზმნის ფორმებში, ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, **მაგალითებრ**, **მებრვე** და სხვა..." (ილიას სამრეკლო, 1987, გვ. 108).

ი. გრიშაშვილის მითითებით, **მებრვე** თავისთავად ძველი სიტყვაა და უნდა ნიშნავდეს "მსგავსს", "თანაგვარს", დღესაც უცვლელადაა დატოვებული ზოგიერთ ფორმაში (**ჩვეულებისამებრ**, **დანიშნულებისამებრ**...). მისი პარალელური ფორმაა **-ებრი** ("სიმაღლით ცებრი"); ილიამ ეს სიტყვა გამოიყენა რუსული "**и тому подобный**"-ის სანაცვლოდ ("**და მებრვე სხვაა**"), მაგრამ ქართულმა მწერლობამ არ მიიღო და შემდეგში "ივერიაც" იძულებული გახდა, **მებრვეს** ნაცვლად შემოეღო სულხან-საბა ორბელიანის "**და მისთანანი**" (ი. გრიშაშვილი, 1937, გვ. 2).

მართალია, **-ებურ** ბოლოსართით ნაწარმოები ფორმები ვერ გავრცელდა ენაში, მაგრამ მთავარი ეს არ არის; აქ არსებითი მნიშვნელობა იმას ენიჭება, რომ მართებულია შესაფერისი ყალიბის ძიების ილიასეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს

საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული სიტყვაწარმოებითი საშუალებების მაქსიმალურად ამოქმედებას. აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულადაც გვეჩვენება სილოვან ხუნდაძის შენიშვნის ტონი:

"აუღია ერთ დიაკონს ძველი სამოციქულო... ბევრი ჩხრეკის შემდეგ წასწყდომია ფორმას "ყმებური" და გარდაუწყვეტია, რომ ამის შემდეგ ხონელებურიც შეიძლება და ქარაფშუტებურიცო... ეხ, თქვე მართლაც და დიაკვნებო და დიაკვნებურებო!" (ს. ხუნდაძე, 1886, გვ. 133).

ზემოაღნიშნული იმის ნათელი დადასტურებაა, აზრთა როგორ მწვავე დაპირისპირებაში ისახებოდა სწორი გზა სალიტერატურო ენისათვის უფრო პერსპექტიული ფორმების დასადგენად.

XIX საუკუნის II ნახევრის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა უდავო დამსახურებაა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოსაწესრიგებლად წამოწყებულ მუშაობას უფრო ფართო ხასიათი მიეცა - თბილისში მოღვაწეებს აქტიურად დაუჭირა მხარი ქუთაისის ინტელიგენციამაც. ამ მხრივ, საყურადღებო დასკვნების საფუძველს მოგვცემს სილოვან ხუნდაძის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა.

ქართული სამწიგნობრო ენის სიწმინდის დაცვისა და ნორმალიზაციის საქმეში გაწეული ღვაწლი კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდება აღნიშნული პოლიტიკური ვითარების ფონზე.

როდესაც ენა სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგანია, სახელისუფლებო აპარატი თავისი ხელქვეითი ორგანიზაციებით მუდმივად მეთვალყურეობს მის განვითარებას; ამდენად, ენის "ორთოგრაფიის უნიფიცირება, ერთობლივ კალაპოტში ჩასმა" (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 121) შედარებით ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ენა ასეთ ხელშეწყობას მოკლებული იყო.

1.5. ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებანი XIX საუკუნის II ნახევარში

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებების დასადგენად, აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური ნიშნით განსხვავებულ მეორე ეპოქასთან - XI-XII საუკუნეებთან შეპირისპირება ვარჩიეთ, როცა სახელმწიფოებრივად დაწინაურებულ საქართველოში საუკეთესო პირობები შეიქმნა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის სრულყოფილი განვითარებისათვის.

I. XI-XII საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკური ზეობიდან გამომდინარე, არსებობდა რეალური საფუძველი ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნისათვის, სამეცნიერო ენა განუწყვეტლივ იხვეწებოდა (იხ. ზემოთ);

XIX საუკუნისათვის რუსეთისაგან დაპყრობილ, დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, როცა გამარუსებელი პოლიტიკა საგანმანათლებლო მუშაობას სავსებით გამორიცხავდა (ვუკ. ბერიძე, 1952, 30; ი. ვაშაკიძე, 1991, 32-40), ასეთი რეალური საფუძველი აღარ არსებობდა.

II. ძველი ქართველი მწიგნობრები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ანტიკური ფილოსოფიის პირველწყაროებით, ბერძნულ დედანზე მუშაობდნენ უშუალოდ, დამატებითი ენობრივი გავლენისაგან დამოუკიდებლად. ქართულ მეცნიერებას ჰქონდა თავისუფალი არჩევანის უფლება, პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებთან;

რუსეთზე პოლიტიკური დაქვემდებარების პერიოდში კი:

ა) გაწყდა უშუალო კავშირი ცივილიზებულ დასავლეთთან. მაგალითად, "დროების" 1882 წლის №№ 258-ში ვკითხულობთ:

"...ტერმინების საერთოდ შემუშავება და შემოღება უველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს გვეჭირვებოდა, რადგანაც ჩვენმა ისტორიულმა მდგომარეობამ საკმაოდ დაგვაშორა

ევროპის განათლებას და, ამასთან ერთად, თითონ საჭირო ტერმინოლოგიასაც“ (გვ. 2).

ბ) ტერმინოლოგიური ხიბლები ქართულში, ძირითადად, ინერგებოდა რუსულიდან და რუსულის შუალობით, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა, ერთი მხრივ, საერთაშორისო ტერმინთა დაწერილობასა და წარმოთქმაში, მეორე მხრივ, რუსულენოვანი ბარბარიზმების მოძალებაში. ამის მაგალითები საკმაოდ დასტურდება აღნიშნული პერიოდის გამოცემებში. ვიმოწმებთ რამდენიმეს:

“**ალხიმიკებს** ღვინისათვის ჯოჯოხეთი დაურქმევიათ...” (“გუთნისდედა“, 1865, № 1, გვ. 9).

“...ამის ქვემორე **ტაბლიცაში** ჩანს, ღვინო რომელ ნაწილებს შეიცავს: წყალი, შაქარი ყურძნისა და ხილისა, **глицерин, камеди, пектин**... ვაშლის სიმჟავე, მუხის სიმჟავე...” (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 29).

“ყველა ამ ნივთეულებებს, რომელნიც მე ვახსენე (**цинковый купарос, железный купарос, марганцовая соль**), ნაბშირ-ძმარი, **корболебая кислота, хлориновая известь**, მდუღარეს და მის ორთქლს ის თვისება აქვთ, რომ ჩვენდა საბედნიეროთ, სულ აქარწყლებენ ხოლმე სახადის გადამდებელ თვისებაებს“ (“ივერია“, 1878, № 20, გვ. 9).

“[ავადმყოფმა] ქინაქინა უნდა მიიღოს დღეში სამჯერ თვითო-თვითო **ბარაშკა**“ (“ივერია“, 1878, № 20, გვ. 10).

“იატაკი თუ ხისაა, უნდა გაირეცხოს ჯერ ცხელის წყლით და შემდეგ “ **железный купарос**“-ით“ (“ივერია“, 1878, № 20, გვ. 20).

რუსული ენის ასეთ არასასურველ გავლენას მოწინავე საზოგადოების შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა:

“ივერიაში“...ერთხელ შევხვდი რუსულს სიტყვას, ქართულად ხმარებულს, ქართულის კარგად მცოდნესაგან. ეს სიტყვა გახლავთ “სმაროდინა“, რომელსაც ფშაველები “მოცხარს“ ანუ “ხუნწს“ ეძახიან... “ (“ივერია“, 1888, № 192, გვ. 3).

ბარბარიზმებით დამძიმებული იყო სახელმძღვანელოების ენაც. 1893 წლის "კვალის" ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნულია:

"სამწუხაროდ, ჩვენი ცნობილი პედაგოგების ხელსამძღვანელოებიც[13] სავსეა **რუსიციზმებითა**, რუსულად ნაფიქრი და ქართულ ენაზე გადმოღებული, **რუსული ლექსთა თხზვა** ხშირია მათ ნაწერებში" ("კვალი", 1893, № 49, გვ. 6);

"ივერიის" 1903 წლის მე-4 და მე-13 ნომრებში დაიბეჭდა გრიგოლ ყიფშიძის წერილი სათაურით: "წმინდა ქართული". წერილის ავტორმა ამხილა თანამედროვეები სამწიგნობრო ენისადმი უყურადღებობაში:

"ჩვენი მწერლების შეცოდება, რასაკვირველია, უფრო **რუსულის გავლენით** წარმოსდგება. ჩვენს ენას აფუჭებს უფრო რუსიციზმები... " ("ივერია", 1903, № 4, გვ. 2);

"...გვერდობზე დაქანებულივით, რა-კი ერთხელ მივეცით თავი რუსულის გავლენას, აღარ გვინდა შევჩერდეთ, შევეთვისეთ თითქო ამ **ქართულის შემბღალველ გამოთქმას** და ვჯიუტობთ, ხელს აღარ ვანძრევთ... " ("ივერია", 1903, № 13, გვ. 2).

ქართული ენის გულშემატკივართათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სამწიგნობრო ენის განთავისუფლება ყოველგვარი არასაჭირო გავლენისაგან. მათი მოწოდება, რომ ევროპული განათლების მიღება არ ნიშნავს ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის უცხოენოვანი ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით შემუშავებას, აქტუალურია თანამედროვე ეტაპზეც. აი, ეს მოწოდებებიც:

"შევიძინოთ განათლება ევროპიელთაგან: რუსთა, ფრანგთა, გერმანელთაგან, გარნა **ნუ წავახდენთ და ნუ გავრყვნით ჩვენს ენას** ნურც რუსიციზმებით, ნურც გალიციზმებით და ნურც გერმანიზმებით" ("ივერია", 1903, № 4, გვ. 2)

"ძალიან მონატრული ვარ ქართული ენა ვნახო განწმენდილი იმ არასასურველ ჟუჟყისაგან, რომელსაც

---

[13] თვით "ხელსამძღვანელო" რუსული " **руководитель**-ის" კალკია.

რუსიციზმი, ევროპეიზმი და სხვა ჯანაბეიზმი ჰქვიან“ (ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

III. ქართულ სამეცნიერო ენას რუხული ჩაენაცვლა. ჟურნალ “განათლებაში“ ვკითხულობთ:

“განათლებულ ერად არ ჩაითვლება ის ხალხი, რომელსაც ბუნებისმეტყველება თავის დედა-ენაზე არ განუვითარებია... ბუნების მეცნიერება, მედიცინა, ფსიხოლოგია... ესე ყველა სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული. აბა, გამორიცხეთ საშუალება ზემოთ დასახელებულ მეცნიერებათა რუსულ ენით შესწავლისა; ვსთქვათ არ ვიცით უცხო ენა, მაშინ ჩვენ, ქართველები, ვეგვანებოდით ნახევრად ველურ ხალხს...”(“განათლება“, 1914, № 5, გვ. 73).

ქართველი მეცნიერები (ეროვნული უნივერსიტეტის არარსებობის გამო) უმაღლეს განათლებას რუსულ ენაზე იღებდნენ იმპერიის სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ოდესა...); ამიტომ, ბუნებრივია, სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა მათ უფრო რუსულ ენაზე ეხერხებოდათ. მაგალითად, ვასილ კაკაბაძე წერილში: “წყალი და მისი გაწმენდის საჭიროებანი“ შენიშნავდა, რომ ვინაიდან მეცნიერული და “სპეციალური საგნების ტერმინოლოგია“ ქართულ ენაზე, ჯერჯერობით, “რიგიანად შემუშავებული“ არ იყო, **გაგებას გახაღვილებლად**, “ზოგიერთი სიტყვები“ **რუხულად უნდა წარმოედგინა** (ვ. კაკაბაძე, 1914, № 6, გვ. 414, სქოლიო).

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება დაკვირვება ე.წ. “საბჭოთა პერიოდის“ ქართულ სამეცნიერო ენაზეც, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, **რუხული ენის მაგალითად** ვითარდებოდა. დავიმოწმებთ ნაწყვეტს რ. ღამბაშიძის წიგნიდან: “ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986); კერძოდ, პატივცემული მეცნიერი, ეროვნულ ენებზე ტერმინოლოგიის შედგენის საკითხთან დაკავშირებით, მსჯელობს:

“სიტყვანის სამუშაოს ის ძირითადი ეტაპი, რომელიც ცნებათა გამოვლენასთან, ანუ... ამა თუ იმ დარგის “ლოგიკური სქემის“ შედგენასთანაა დაკავშირებული“, “უკვე გაკეთებული“

რუსული სინამდვილისათვის (და **ქართულისთვის ხომ ახლაც, როგორც სხვა ენისთვის, საორიენტაციოდ სწორედ რუსული ენის სიტყვანია მიჩნეული**), ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვანის საკითხთან დაკავშირებული ყველა სირთულე მოხსნილია ქართულში. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ჩვენ რუსულიდან აღებულ მზამზარეულ სიტყვანს ვთარგმნიდეთ და რომ ჩვენი ამოცანა მხოლოდ ქართული შესატყვისების დაძებნაში მდგომარეობდეს... მთელ რიგ დარგებში ასეთი გამზადებული სიტყვანი შეიძლება არც რუსულ ენაზე არსებობდეს... არც როდესმე დადგეს რუსულისთვის ამა თუ იმ ლექსიკონის შედგენის პრაქტიკული საჭიროება... სიტყვანის შედგენა არაა უბრალო ინვენტარიზაცია რუსულ თუ სხვა რომელიმე ენაზე შექმნილი ტერმინებისა..."(რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 169-170).

ზემოთ წარმოდგენილი ამონარიდი აშკარად მოწმობს საბჭოთა პერიოდისდროინდელი ქართული სამეცნიერო ენის **ხელოვნურად სწორხაზოვან კურსს** რუსულენოვანი ორიენტირის მიხედვით და ამ ფონზე - ქართველი მეცნიერის ერთგვარ პროტესტს, რომ, მიუხედავად წინასწარ განსაზღვრული ენობრივი სტანდარტებისა, არ შეიძლება ეროვნული ტერმინოლოგიის სპეციფიკური მომენტების (დარგობრივი თავისებურებების) ძიებაზე ყურადღების მოდუნება, მხოლოდ მოწოდებული ჩარჩოებით დაკმაყოფილება.

IV. XI-XII საუკუნეების მეცნიერ-ლექსიკოგრაფები ინტენსიური მუშაობით ქმნიდნენ „მწყობრ სისტემას მეცნიერული ტერმინოლოგიისა"; ისინი მიზანმიმართულად იყენებდნენ ქართულ ძირეულ და აფიქსურ მასალას („ენის მდიდარ სიტყვაწარმოებით პოტენციას") სესხების თავიდან ასაცილებლად (დ. მელიქიშვილი, 1988, 158). სწორედ მათი შემოქმედების ნაყოფია ბევრი ლექსიკური ერთეული (იხ. ზემოთ) დღესაც რომ თავდაპირველი მნიშვნელობით იხმარება.

XIX საუკუნის II სახევრის საქართველოში ნაკლებად იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სისტემატურად იმუშავებდნენ სიტყვაწარმოებით მექანიზმებზე სამწიგნობრო ქართულში. შესაბამისად, სამეცნიერო ენაში **ფართოდ გაიხსნა გზა დუბლეტებისა და ხელოვნურ წყვილებს,** რაც სპეციალური ლექსიკის ჩამოყალიბების პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

დავიმოწმებთ ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიდან მოძიებულ მასალას. შდრ.: **თემობრივი - თემობითი - სათემო; ნაკეთი - ნაკეთარი - ნაკეთები; მოჭირნახულე - ჭირნახულის მომქმედი; გენახობა - მევენახობა - გენახის ხაქმე; ხა-პოლიტიკ-ი - პოლიტიკ-ურ-ი; ხა-სპეციალ-ი - სპეციალ-ურ-ი; ხა-სტატისტიკ-ი - სტატისტიკ-ურ-ი - სტატისტიკ-ის**... (დაწვრილებით, იხ. ქვემოთ გვ.143-146, 187).

V. ყველასათვის ცხადია, რომ "იმ ერს, რომელსაც მოეპოვება საკუთარი აკადემიები და უნივერსიტეტები, ენა ამ დაწესებულებებში უმუშავდება და უვითარდება" (ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469); ძველი ქართველი მწიგნობრები უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებში - ათონის, შავი მთის, პეტრიწონის ლიტერატურულ სკოლებში, გელათის აკადემიაში... მეთოდურად მუშაობდნენ სამეცნიერო ენასა და ფუნქციურ სტილზე. ამას მოწმობს: ექვთიმე ათონელის „კლება-შემატების" მეთოდი, გიორგი მთაწმინდელის ზუსტი თარგმანის თეორია, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის ორიგინალური სისტემური შეხედულებები და სხვ. (იხ., ზემოთ). ქართული საგანმანათლებლო კერები მეტოქეობას უწევდნენ ქრისტიანული ცივილიზაციის მაშინდელი საჭეთმპყრობლის ბიზანტიის კულტურულ ცენტრებს ("ვნატრი ელადსა, / თვით მას - გელათსა ...); "იქ მთელი დასი ქართველ მოღვაწეთა შეუდგა ქართული ენის შემუშავებას..."("ივერია", 1886, № 313, გვ. 3);

XIX საუკუნის II ნახევარში, უნივერსიტეტებისა და აკადემიების არარსებობის გამო, ცალკეულ მოღვაწეებს ან გარკვეულ ჯგუფებს ქაოსურად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით უნდა ჩამოეყალიბებინათ ლოგიკურად სწორი, მეცნიერული პოზიცია. ეს იყო **სტიქიური და არა მკაფიოდ რეგლამენტირებული საყოველთაო პროცესი.**

საყურადღებოა, რა შეფასებას აძლევს კ. გამსახურდია XIX საუკუნის ქართული ენის ისტორიას სწერილში: "ქართული მართლწერის კონფერენციისათვის" (1929):

"ასი წლის განმავლობაში ქართული ენა სახელმწიფო ენათა სიიდან გამორიცხული იყო. ქართული ენა სტიქიურად

იზრდებოდა როგორც გაურანდავი ყვერი: არც მომვლელი ჰყავდა მას და არც ყალიბის მიმცემი“ (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 495).

ტერმინოლოგიური მუშაობის სტიქიურობაზე მეტყველებს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის უქონლობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მემკვიდრეობითი ცოდნის უგულებელყოფა.

კრიტიკის, როგორც მეცნიერული შემოწმების არარსებობამ, რაც ზოგჯერ პიროვნული დამოკიდებულების შედეგიც იყო, ბევრ არაპროფესიონალს გაუხსნა გზა. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ:

“საზოგადოდ შენიშნულია: ვინც კი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას შეახებს ხელს, თუ გინდ მბღაჯნავიც იყოს, ყველა დავით აღმაშენებლობას ჩემულობს. ეს კი სულ იმისი ბრალია, რომ კრიტიკა არ გაგვაჩნია. ჩვენში ეზარებათ, ემძიმებათ კრიტიკის წერა, “ეჰ, აუტკივარი თავი რად ავიტკიო, რათ მოვიძულო ავტორიო... ამისთანა შეხედულება სწორედ რო სამშობლოს ღალატად მიმაჩნია“ (ილ. ალხაზიშვილი, 1914-ა, გვ. 320).

ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო, ხშირად ვერ ითვალისწინებდნენ წინა წლებში მიღწეულ შედეგებს; კერძოდ, რა ღვაწლი იყო გაწეული ამა თუ იმ ტერმინის შემოსატანად თუ შესამუშავებლად. მაგალითად, 1863 წლის საგაზეთო წერილში ერთხელ უკვე ახსნილი **ტერმომეტრი** (იხ., “გუთნისდედა“, 1863, № 7, გვ. 102, შენიშვნა) 60-იანი წლების ბოლოს, ხოლო შემდეგ 70-იანი წლების პუბლიკაციებში ისევ თავიდან განემარტება მკითხველებს (იხ., “სასოფლო გაზეთი“, 1869, № 21, გვ. 7; № 23, გვ. 4; “გუთნისდედა“, 1875, № 8, გვ. 2-3)[14].

საყურადღებოა, ასევე, “ბუნების მეტყველების მოყვარის“ შენიშვნა მინერალოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის წიგნების შემდგენელ ვ. აღნიაშვილისადმი, რომ მან არ იხელმძღვანელა ოცდაათი და ოცდახუთი წლის წინანდელ პერიოდულ

[14] ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ტერმინი ახალი შემოსულია და საზოგადოება ჯერ არ არის მზად, პირდაპირ, ახსნის გარეშე მიიღოს.

გამოცემებში ("გუთნისდედა", "სასოფლო გაზეთი", "ცისკარი"...) დაბეჭდილი "პირველდაწყებითი" ზოოლოგიით, ანატომიით, მცენარის "ჰისტიოლოგიით"; ამ შემთხვევაში მისი ტერმინები "უფრო მოხერხებულნი და საზოგადო სახმარებელნი გამოვიდოდნენ". წერილის ავტორი განაგრძობს:

"ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ მემკვიდრეობით ცოდნას ქართულ ენაზედ არ მივუყვებით, იმდენათ გაველურებული და გახეპრეულებული ვართ, რომ ჩვენს მეტს, ან თუ ვისმე უშრომია, ან თუ ვისმე რამე უკეთებია, არა გვგონია" ("კვალი", 1893, № 30, გვ. 15-16).

ტერმინოლოგიური მუშაობის არასაყოველთაო ხასიათმა განაპირობა:

ა) საზოგადოების მხრიდან გულგრილობა. 1882 წლის 21 ნოემბერს თბილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში ჩატარებული ტერმინების დამდგენი კრებისადმი მიძღვნილ საგაზეთო ინფორმაციაში მითითებულია:

"სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, როგორც გვაჩვენა ამ პირველს საღამოზედ ხალხის სიმცირემ, ჩვენს საზოგადოებას ძალიან გულ-გრილად შეუხედავს ამ დიდის საქმისათვის, ასე ცოტა რომ დაესწრო" ("შრომა", 1882, № 46, გვ. 3).

საზოგადოების გარკვეული ნაწილი საერთოდ უარყოფითად ეკიდებოდა განათლების ფართოდ გავრცელებას, "უმეცრული გამბედაობით" ამტკიცებდა მეცნიერული ცნობების გაგებისა და გათავისების შეუძლებლობას. ამის გამოძახილია ი. ალექსანდრიძის "ბიბლიოგრაფიული შენიშვნა" "ივერიის" 1886 წლის № 29-ში:

"მე მგონია, საზოგადოება სრულიად შეიცვლის თავის შეცდომილს აზრს ფიზიკის შესახებ და დარწმუნდება, რომ ფიზიკის ზოგიერთი განყოფილების შესწავლა სრულიად შესაძლოა ყმაწვილებისათვის, დამერწმუნება, რომ ამ გვარი ფიზიკური ცნობები ყმაწვილებისათვის გაუგებარი ფილოსოფიური ტრაქტატები არ არის, როგორც კრიტიკოსს, ბ-ნ კავთელს სჩვენებია" (იქვე, გვ. 3).

ბ) მეცნიერთა განზე გადგომა. ქართველ მკვლევართა ზოგი წარმომადგენელი აქტიური მოღვაწეობისაგან თავს იკავებდა. ამასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე წერდა:

"ჩვენცა გვყავს თითო-ოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გარეთ არიან და ამ სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰღალადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა, მაგრამ ღაღადი ჯერ არავის ესმის" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 291).

როგორც 1886 წლის "ივერია" იუწყებოდა, აღნიშნული პერიოდისათვის მოქმედ სამეურნეო, ტექნიკურ, გეოგრაფიულ და საექიმო საზოგადოებებში თითქმის არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ერია, რომელიც თავისი შრომით გაამდიდრებდა მეცნიერებას კავკასიის შესახებ. გაზეთი მოუწოდებდა მეცნიერების გულშემატკივართ:

"ყველა ჰუმანებურს, ყველა რეალებურს ბუნების სამეტყველო მეცნიერებას დიდი და ფართო ნიადაგი აქვს ჩვენში და მხოლოდ მხვნელსა და მთესველს მოელის. მოდით აქ, თქვენს ქვეყანაში, "სადა არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა" ("ივერია", 1886, № 46, გვ. 2).

ქართველ მეცნიერთა განზე გადგომა, ნაწილობრივ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ მათ, საერთო ვითარებიდან გამომდინარე, **არ ჰქონდათ ბირობები ინტენსიური მუშაობისათვის**. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ალ. მირიანაშვილის შენიშვნა:

"სანამ ქართველ კაცს ქართულის ცოდნა პურს არ აჭმევს, ვერც მწერალნი გაიმარჯვებენ სასურველად და დიდი უსამართლობაც იქნება ქართველ საზოგადოებას მოეთხოვოს უმეტესი მარჯვი ლიტერატურის წინმსვლელობაში... ყოველი გატაცებული მეცნიერი, რაც უნდა გენიოსი იყოს, ადვილად მიატოვებს თავის სამეცნიერო გამოძიებათა, კალამს, როდესაც მას კუჭი ომს გამოუცხადებს..."(ალ. მირიანაშვილი, 1886, გვ. 2).

გ) ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების გააქტიურება. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდნენ "ტეტიობის მოტრფიალენი", რომელთაც უარყვეს ისტორიის, არქეოლოგიის, კლასიკური ლიტერატურის გამოძიება და შესწავლა; ისინი უარყოფდნენ "არამხოლოდ ქართულს ლიტერატურას, თვით განათლებულ ერთა ლიტერატურასაც კი და, უკანასკნელ, წარმოიდგინეთ, მეცნიერებასაც, რადგანაც საჯაროდ გაიძახოდნენ, რომ "ჩვენ არ გვედარვინ-ბოკლებაო" ("კვალი", 1893, № 20, გვ. 4).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ტერმინოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით, "სავსებით მოდუნებული იყო" (ვუკ. ბერიძე, 1952, გვ. 30); მისგან განსხვავებით, 60-იანი წლებიდან იწყება სამეცნიერო აზრის ერთგვარი გამოცოცხლება. საზოგადოებას, ძირითადად პრესის საშუალებით, მიეწოდება ნათარგმნი თუ ორიგინალური სამეცნიერო თხზულებები და, შესაბამისად, მეტი გასაქანი ეძლევა სპეციალურ ლექსიკას.

ამავე დროს, მწიფდება სამეცნიერო ენის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი არაერთი პრობლემატური საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც ცნობილ მოღვაწეთა სახელებთან არის დაკავშირებული.

თავი II

ქართული ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების ძირითადი მიმართულებები XIX საუკუნის II ნახევარში

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტერმინოლოგია მზამზარეულად იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ სიტყვათა მარაგს და მას სპეციალური დარგის კუთვნილებად აქცევს. აქედან გამომდინარე, **ტერმინოლოგიური მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მახალის მოძიება-დადგენა.** ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა XIX საუკუნის II ნახევრიდან, როცა საქართველოში დაიწყო ტერმინოლოგიური მუშაობის აღმავლობა.

2.1. ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ბრობლემები

2.1.1. ლექსიკოგრაფიული ძიებების გააქტიურება. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აქტიურად ჩაება ლექსიკოლოგიურ მუშაობაში. ამაზე მეტყველებს, ერთი მხრივ, მწერლის თეორიული შეხედულებები, მეორე მხრივ თანმიმდევრული პრაქტიკული მუშაობა, რამაც რეალობად აქცია ენის ლექსიკური მარაგის მეცნიერული დანიშნულებით გამოყენების პერსპექტივა.

მოკლედ ჩამოვაყალიბებთ მწერლის შეხედულებებს:

ილია განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ქართული ენის **ლექსიკის მოძიებისა და შესწავლის** საქმეს; მართებულად მიაჩნდა, რომ სწორედ ლექსიკაში იყო ჩამარხული ერის ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილი საფეხურები. ამის

თვალსაჩინო მაგალითია **"წყალ"** და **"თხოვება"** ფუძეების ილიასეული ანალიზი:

"განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობლები არიან, მაგალითებრ: "წყალობა", მოწყალე, - შემიწყალე, მოწყალება. აქ უველგან "წყალი" ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ "წყალობა" ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია... ან ქალის "გათხოვება", მითხოვება... არ გვეუბნება, რომ უწინდელს ქართველის ცოლის შერთვაში "თხოვებას" რაღაც ადგილი სჭერია?" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 79-80).

საყურადღებოა მწერლის დაკვირვება სიტყვებზე: **"მიცვალება"**, **"მიცვალებული"**:

"სიტყვა "მიცვალება", მიცვალებული... მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ გარდაცვლას, სხვა სახედ გადასვლას, ნუთუ ამაში გონების ხელმოსაკიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან?" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 80).

ილია ჭავჭავაძის მსჯელობა საქართველოს სოციალური სინამდვილის ამსახველ სიტყვებზე: **"სამკვიდრო"**, **"მკვიდრი"**, **"მდგმური"**... თამამად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ცნებასა და ტერმინს შორის ზუსტი შესატყვისობის დადგენის ცდად:

"ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც სამკვიდროს ეძახის", "ჩვენში ბინადარს მცხოვრებს "მკვიდრი" ჰქვიან და არა "მდგმური", როგორც ზოგიერთს ენაშია" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 189).

ცალკე განხილვის საგანია ილია ჭავჭავაძის დაკვირვება ლექსიკური მონაცემების საშუალებით (სიტყვა "**აჩუახ**" მაგალითზე) ერთა კულტურული ურთიერთობის კვლევის შესაძლებლობებზე, რამაც მეცნიერების წინაშე დასახა საკითხის სიღრმისეული კვლევის მეტად "საგულისხმო და მნიშვნელოვანი" პერსპექტივა (ივ. ჯავახიშვილი, 1957, გვ. 163).

საყურადღებოა ცნებაგაღარიბებული სიტყვების ილიასეული ფორმულირება: "**დედნა ხაგანი**, **დედნა სახელიცა**", რაც ასევე გამოდგებოდა სიტყვის მოძველებული ტერმინოლოგიური ღირებულების შესაფასებლად.

ილია მტკივნეულად განიცდის ენაში ცნებაგაღარიბებული სიტყვების გაჩენას, როგორც ეროვნული შეფერხების ფაქტს, საზოგადოების "გონებითი" ცხოვრების დაქვეითებიდან გამომდინარე. ამის საილუსტრაციოდ, მწერალი მსჯელობს სიტყვებზე: **ქართველი, მამული**, **დედაკაცი**...

წარმოვადგენთ ნაწყვეტებს მწერლის წერილებიდან:

"ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა", "**ქართველი** ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის..." (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 74, 46);

"საერთო სახელი **ქართველი** კერძოობითად გავხადეთ, **მამული** დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოგრად და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 81);

"ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა... ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი

ხუხულების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ... ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა... ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? **ქართველობა** გათავთავდა, **მამული** - აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 81-82);

"**დედაკაცი**"...ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს "დედაკაცი" მდაბიოთა სახელიღაა" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 423);

"ქართველისთვის "დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც "დედა-ენასა" ეძახის, უფროსს ქალაქს - "დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას -"დედა-ბოძს", უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს - "დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს "დედა-აზრს" გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი "გუთნის-დედას. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული!... სიტყვა "ქალი" განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა "დედა" და მასთან ერთად "კაცი"...ამიტომაც "დედაკაცის" "ქალამდე" ჩამოსვლა და "მამაკაცის" "ვაჟამდე" - ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნა... აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა... სად ქალობა და სად დედაკაცობა!..ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული... ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის - სახლია პატიოსანის შრომისა... ვაი, რომ "დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო "ქალები-"ღა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სათავე ჩვენის უბედურებისა" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 428-429).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების შესწავლის საფუძველზე, დასაბუთებულია, რომ "ეთნონიმი **ქართველი** თავიდანვე ზოგადეროვნული მნიშვნელობის საკუთარი სახელია და არა სატომო სახელი" (ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 181); შესაბამისად, მნიშვნელობის დავიწროება ამ სიტყვაში მოგვიანებით, სავარაუდოდ, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებულობის დროიდან უნდა მომხდარიყო (შდრ.: დავით გურამიშვილი: "**ქართველებან** [ქართლელების - ი.ვ.] აღმა ხნული **კახელებმა** დაღმა ფარცხეს...). საკითხის ისტორიისათვის, იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 160-181.

სალექსიკონო მონაცემებისაგან განსხვავებით (იხ. ქვემოთ, სქოლიო), **მამული** ქართული ენის რიგ დიალექტებში (იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში...) **ვენახის** სინონიმს წარმოადგენს; ასევე, "ქიზიყში მამულად ვენახი იგულისხმება თითქმის ყოველთვის"(ლ. ასათიანი, 1978, გვ. 94). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების მიხედვით მოძიებულ მევენახეობის ლექსიკაში არ დასტურდება **მამული ვენახის** მნიშვნელობით. თანამედროვე ტერმინოლოგიაც ასევე მკაფიოდ განარჩევს **მამულიდან** და **ვენახის** ცნებებს.

სამწიგნობრო ქართულისათვის მკვიდრი ფორმაა **დედაკაცი** ("დედაკაცი ერთი სპარსი მოგვი" "შუშანიკის წამება"; "დედაკაცი სიძვისაჲ" "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"...). ს. ს. ორბელიანის განმარტებით, მისი სინონიმებია: **დიაცი, დედა** და **ქალი**. მოგვიანებით, როგორც მომდევნო პერიოდის სალექსიკონო მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნულ ლექსემებს შორის უკვე თავს იჩენს ნიუანსობრივი განსხვავება,[15]

---

[15] მეტი გარკვეულობისათვის, წარმოვადგენთ განსახილველი ფორმების შესახებ არსებულ სალექსიკონო მონაცემებს:

ქართველი - грузин; ქართველობა, ქართველური... (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ.1328); ს.ს. ორბელიანთან დასტურდება **საქართველო** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 63);

კერძოდ, **ქალი**, **დედაკაცთან** შედარებით, უფრო მორიდებული მიმართვის ფორმად აღიქმება, რაც ილია ჭავჭავაძის მსჯელობის თემად იქცა.

მწერლის პოზიცია ზემოაღნიშნულ სიტყვებთან დაკავშირებით, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ილია ჭავჭავაძე ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასთან უშუალო კავშირში განიხილავს სამწიგნობრო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის საკითხს. აქედან გამომდინარე, **სიტყვის პოლისემიის შემთხვევაში, იგი უპირატესობას ანიჭებს სამწიგნობრო ენაში ისტორიულად დაცულ მნიშვნელობას, როგორც ამხანაგს დიალექტური განშტოებებისათვის.**

სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია ლექსემა "მამულში" მისი ძირითადი მნიშვნელობის გააქტიურება, რაც ილია ჭავჭავაძის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "სამოციან წლებში ყველაზედ უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა "მამული"...რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე

მამული - "მამისეული" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 432); "სამშობლო ქვეყანა... **отечество**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 266); "სამშობლო ქვეყანა, მამა პაპისაგან დანაშთენი... მიწა, **отечество**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 665).

დედაკაცი - "დიაცი/დედა" (ს.ს. ორბელიანი, 1991, 214, 220); "ზოგადი სახელი მდედრთა, ხოლო პატივისცემით დედა ანუ ქალი, **жена, женщина**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 203); "ზოგადი სახელი მდედრთა, **женщина**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 473).

ქალი - "დიაცი ჩჩვილით ბებრამდე ქალი არს" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 211); "ასული, შვილი, ხოლო ზოგად ეწოდების მდედრთა მცირიდამ ვიდრე ბებრამდე, უფრო პატივისცემით, **женский пол**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 399); "ასული, შვილი, გარნა ზოგად ეწოდების მდედრთა მცირიდამ ვიდრე სიბერემდე, უფრო პატივის ცემისათვის... **дочь, девица, дама**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1325).

გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით კვლავ დაიპირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისა..." (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 226).

ილია ჭავჭავაძე მართებულად მიიჩნევდა, რომ ქართულ ენას, თავისი ლექსიკური მარაგის სახით, "საკმაო მასალა" ჰქონდა და "მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხებაღა" იყო საჭირო, რომ მეცნიერულ ენასა და ტერმინოლოგიაში გაჩენილი დიდი ხარვეზი შეევსო (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 93). ამას მოწმობს მწერლის ტერმინთშემოქმედებაც.

აღნიშნული თვალსაზრისით, ჩვენ შევისწავლეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილი დარგობრივი ლექსიკა (დაწვრილებით იხ., ი. ვაშაკიძე, 1991; ასევე: ი. ვაშაკიძე, 2005) და, საანალიზო მასალის საფუძველზე, გამოვყავით რამდენიმე მომენტი; კერძოდ, ილია **ქართულ ან ქართულ ლექსიკაში უკვე დამკვიდრებულ ერთეულებს**:

I. უცხო ტერმინების შესატყვისად არსებს. აქვე შევნიშნავთ, რომ პარალელურად მითითებული ქართული და უცხო სიტყვების სემანტიკა, ზოგ შემთხვევაში, სრულიად არ გადაფარავს, უფრო მეტიც, სცილდება ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად არსებითია **უცხოენოვან მახასიათებელთან ქართული მახასიათებლის გათანასწორების, ქართული ლექსიკის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ტენდენცია**, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად XIX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ტერმინოლოგიური მუშაობისთვის. წარმოვადგენთ მაგალითებს:[16]

ა) სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

Статуя – ლეკვი. Статуя < ლათ. **statua** - "ადამიანის ან ცხოველის ქანდაკება, რომელიც ნატურალური ზომისაა ან მასზე დიდია" (უცხო სიტყ. ლექს., 1989, გვ. 478).

---

[16] ადგილის სიმცირის გამო, ცალკეული შემთხვევების გარდა, მოვერიდეთ კონტექსტების წარმოდგენას საანალიზო ფორმებისათვის.

მოგვწონს ამ გვარი ფორმა და ჩვენის ენის წინააღმდეგად მიგვაჩნია. მაგრამ ვერც კორესპონდენტის (იგულისხმება პ. მირიანაშვილი) მიერ ნარჩევს დაბოლოვებას მივიღებთ: სახელდობრ, გენიალ, სოციალ, ადმინისტრატივ და მებრვე სხვათა. ჩვენ ამ გვარს შემთხვევაში უკვე გვიხმარია სხვა ფორმა, ჩვენის ფიქრით, უფრო შესაფერი ქართულის ენისა, მაგალითებრ, ყმურის მაგიერ **ყმებური**, ღვთიურის მაგიერ **ღვთაებური**, კაცურის მაგიერ **კაცებური** და მებრვე სხვანი. ამ გვარი დაბოლოვება უკვე შეწყნარებულია ჩვენის ენის მიერ, მაგალითებრ: **ჩვენებური**, **სხვაგნებური**, **საქებური** და სხვანი. ჩვენა გვგონია, რომ ეს საკმაოდ მოსახდენი ფორმაა და, გარდა ამისა, ძველადვე დაჩემებული და ხმარებული, მაგალითებრ: "ქართლის ცხოვრებაში" ჰსწერია: "შენ გიბრძანებია... კვალად ნათესავთა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 319; ქვევიდამ მეექვსე სტრიქონი). ჩვენის ფიქრით, შესაფერია ვიხმაროთ: გენიალ ანუ გენიოსურის მაგიერ **გენიოსებური**, სოციალ ანუ სოციალურის მაგიერ **სოციალებური**, ადმინისტრატივ, ანუ ადმინისტრატიულის მაგიერ **ადმინისტრატებური**, დრამატიულის მაგიერ **დრამატებური**, დემოკრატიულის მაგიერ **დემოკრატებური** და მებრვე სხვანი..." ("ივერია", 1886, № 12, გვ. 1).

მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, ილია **-ებურ** ფორმანტის საკითხს კვლავ ღიად ტოვებდა "ქართული ენის მცოდნეთაგან" "უტყუარი განაჩენის" გამოსატანად (იქვე, გვ. 1).

როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდანაც ჩანს, **-ებურ** ტრადიციული სიტყვამაწარმოებელი აფიქსია, "ძველადვე დაჩემებული და ხმარებული". ს.ს. ორბელიანთან დასტურდება - **ებრი**: "მისი მსგავსი" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 229); შდრ.: **უებრო**: "უსწორო თუ უამხანაგო", აღებულია იოანე პეტრიწის თარგმანებიდან (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 155). ცალკე არის წარმოდგენილი **-ებრ**: "მსგავსადსავით, მსგავსად" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 458).

1.5. ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებანი XIX საუკუნის II ნახევარში

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებების დასადგენად, აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური ნიშნით განსხვავებულ მეორე ეპოქასთან - XI-XII საუკუნეებთან შეპირისპირება ვარჩიეთ, როცა სახელმწიფოებრივად დაწინაურებულ საქართველოში საუკეთესო პირობები შეიქმნა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის სრულყოფილი განვითარებისათვის.

I. XI-XII საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკური ზეობიდან გამომდინარე, არსებობდა რეალური საფუძველი ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნისათვის, სამეცნიერო ენა განუწყვეტლივ იხვეწებოდა (იხ. ზემოთ);

XIX საუკუნისათვის რუსეთისაგან დაპყრობილ, დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, როცა გამარუსებელი პოლიტიკა საგანმანათლებლო მუშაობას სავსებით გამორიცხავდა (ვუკ. ბერიძე, 1952, 30; ი. ვაშაკიძე, 1991, 32-40), ასეთი რეალური საფუძველი აღარ არსებობდა.

II. ძველი ქართველი მწიგნობრები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ანტიკური ფილოსოფიის პირველწყაროებით, ბერძნულ დედანზე მუშაობდნენ უშუალოდ, დამატებითი ენობრივი გავლენისაგან დამოუკიდებლად. ქართულ მეცნიერებას ჰქონდა თავისუფალი არჩევანის უფლება, პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებთან;

რუსეთზე პოლიტიკური დაქვემდებარების პერიოდში კი:

ა) გაწყდა უშუალო კავშირი ცივილიზებულ დასავლეთთან. მაგალითად, "დროების" 1882 წლის № 258-ში ვკითხულობთ:

"...ტერმინების საერთოდ შემუშავება და შემოღება ყველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს გვეჭირვებოდა, რადგანაც ჩვენმა ისტორიულმა მდგომარეობამ საკმაოდ დაგვაშორა

ევროპის განათლებას და, ამასთან ერთად, თითონ საჭირო ტერმინოლოგიასაც" (გვ. 2).

ბ) ტერმინოლოგიური ხიბლები ქართულში, ძირითადად, ინერგებოდა რუსულიდან და რუსულის შუალობით, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა, ერთი მხრივ, საერთაშორისო ტერმინთა დაწერილობასა და წარმოთქმაში, მეორე მხრივ, რუსულენოვანი ბარბარიზმების მოძალებაში. ამის მაგალითები საკმაოდ დასტურდება აღნიშნული პერიოდის გამოცემებში. ვიმოწმებთ რამდენიმეს:

"**ალხიმიკებს** ღვინისათვის ჯოჯოხეთი დაურქმევიათ..." ("გუთნისდედა", 1865, № 1, გვ. 9).

"...ამის ქვემორე **ტაბლიცაში** ჩანს, ღვინო რომელ ნაწილებს შეიცავს: წყალი, შაქარი ყურძნისა და ხილისა, **глицерин, камеди, пектин**... ვაშლის სიმჟავე, მუხის სიმჟავე..." (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 29).

"ყველა ამ ნივთეულებაებს, რომელნიც მე ვახსენე (**цинковый купарос, железный купарос, марганцовая соль**), ნახშირ-ძმარი, **корболебая кислота, хлориновая известь**, მდუღარეს და მის ორთქლს ის თვისება აქვთ, რომ ჩვენდა საბედნიეროთ, სულ აქარწყლებენ ხოლმე სახადის გადამდებელ თვისებაებს" ("ივერია", 1878, № 20, გვ. 9).

"[ავადმყოფმა] ქინაქინა უნდა მიიღოს დღეში სამჯერ თვითო-თვითო **ბაბაშკა**" ("ივერია", 1878, № 20, გვ. 10).

"იატაკი თუ ხისაა, უნდა გაირეცხოს ჯერ ცხელის წყლით და შემდეგ " **железный купарос**"-ით" ("ივერია", 1878, № 20, გვ. 20).

რუსული ენის ასეთ არასასურველ გავლენას მოწინავე საზოგადოების შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა:

"ივერიაში"...ერთხელ შევხვდი რუსულს სიტყვას, ქართულად ხმარებულს, ქართულის კარგად მცოდნესაგან. ეს სიტყვა გახლავთ "სმაროდინა", რომელსაც ფშაველები "მოცხარს" ანუ "ხუნწს" ეძახიან... " ("ივერია", 1888, № 192, გვ. 3).

ბარბარიზმებით დამძიმებული იყო სახელმძღვანელოების ენაც. 1893 წლის "კვალის" ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნულია:

"სამწუხაროდ, ჩვენი ცნობილი პედაგოგების ხელსამძღვანელოებიც[13] სავსეა **რუსიციზმებით**, რუსულად ნაფიქრი და ქართულ ენაზე გადმოღებული, **რუსული ლექსი** ხშირია მათ ნაწერებში" ("კვალი", 1893, № 49, გვ. 6);

"ივერიის" 1903 წლის მე-4 და მე-13 ნომრებში დაიბეჭდა გრიგოლ ყიფშიძის წერილი სათაურით: "წმინდა ქართული". წერილის ავტორმა ამხილა თანამედროვეები სამწიგნობრო ენისადმი უყურადღებობაში:

"ჩვენი მწერლების შეცოდება, რასაკვირველია, უფრო **რუსულის გავლენით** წარმოსდგება. ჩვენს ენას აფუჭებს უფრო რუსიციზმები... " ("ივერია", 1903, № 4, გვ. 2);

"...გვერდობზე დაქანებულივით, რა-კი ერთხელ მივეცით თავი რუსულის გავლენას, აღარ გვინდა შევჩერდეთ, შევეთვისეთ თითქო ამ **ქართულის შემბღალველ გამოთქმას** და ვჯიუტობთ, ხელს აღარ ვანძრევთ... " ("ივერია", 1903, № 13, გვ. 2).

ქართული ენის გულშემატკივართათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სამწიგნობრო ენის განთავისუფლება ყოველგვარი არასაჭირო გავლენისაგან. მათი მოწოდება, რომ ევროპული განათლების მიღება არ ნიშნავს ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის უცხოენოვანი ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით შემუშავებას, აქტუალურია თანამედროვე ეტაპზეც. აი, ეს მოწოდებებიც:

"შევიძინოთ განათლება ევროპიელთაგან: რუსთა, ფრანგთა, გერმანელთაგან, გარნა **ნუ წაგახდენს და ნუ გავრყვნის ჩვენს ენას** ნურც რუსიციზმებით, ნურც გალიციზმებით და ნურც გერმანიზმებით" ("ივერია", 1903, № 4, გვ. 2)

"ძალიან მონატრული ვარ ქართული ენა ვნახო განწმენდილი იმ არასასურველ ჰუჭყისაგან, რომელსაც

---

[13] თვით "ხელსამძღვანელო" რუსული " **руководитель**-ის" კალკია.

რუსიციზმი, ევროპეიზმი და სხვა ჯანაბეიზმი ჰქვიან“ (ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

III. ქართულ სამეცნიერო ენას რუხული ჩაენაცვლა. ჟურნალ “განათლებაში“ ვკითხულობთ:

“განათლებულ ერად არ ჩაითვლება ის ხალხი, რომელსაც ბუნებისმეტყველება თავის დედა-ენაზე არ განუვითარებია... ბუნების მეცნიერება, მედიცინა, ფსიხოლოგია... ესე ყველა სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული. აბა, გამორიცხეთ საშუალება ზემოთ დასახელებულ მეცნიერებათა რუსულ ენით შესწავლისა; ვსთქვათ არ ვიცით უცხო ენა, მაშინ ჩვენ, ქართველები, ვეგვანებოდით ნახევრად ველურ ხალხს...”(“განათლება“, 1914, № 5, გვ. 73).

ქართველი მეცნიერები (ეროვნული უნივერსიტეტის არარსებობის გამო) უმაღლეს განათლებას რუსულ ენაზე იღებდნენ იმპერიის სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ოდესა...); ამიტომ, ბუნებრივია, სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობა მათ უფრო რუსულ ენაზე ეხერხებოდათ. მაგალითად, ვასილ კაკაბაძე წერილში: “წყალი და მისი გაწმენდის საშიროებანი“ შენიშნავდა, რომ ვინაიდან მეცნიერული და “სპეციალური საგნების ტერმინოლოგია“ ქართულ ენაზე, ჯერჯერობით, “რიგიანად შემუშავებული“ არ იყო, **გაგების გასაადვილებლად**, “ზოგიერთი სიტყვები“ **რუხულად უნდა წარმოედგინა** (ვ. კაკაბაძე, 1914, № 6, გვ. 414, სქოლიო).

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება დაკვირვება ე.წ. “საბჭოთა პერიოდის“ ქართულ სამეცნიერო ენაზეც, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, **რუხული ენის მაგალითით** ვითარდებოდა. დავიმოწმებთ ნაწყვეტს რ. ღამბაშიძის წიგნიდან: “ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986); კერძოდ, პატივცემული მეცნიერი, ეროვნულ ენებზე ტერმინოლოგიის შედგენის საკითხთან დაკავშირებით, მსჯელობს:

“სიტყვანის სამუშაოს ის ძირითადი ეტაპი, რომელიც ცნებათა გამოვლენასთან, ანუ... ამა თუ იმ დარგის “ლოგიკური სქემის“ შედგენასთანაა დაკავშირებული“, “უკვე გაკეთებულია

რუსული სინამდვილისათვის (და **ქართულისთვის ხომ ახლაც, როგორც სხვა ენისათვის, ხარისხიანად სწორად რუსული ენის ხიტყვანია მინისეული**), ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვანის საკითხთან დაკავშირებული ყველა სირთულე მოხსნილია ქართულში. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ჩვენ რუსულიდან აღებულ მზამზარეულ სიტყვანს ვთარგმნიდეთ და რომ ჩვენი ამოცანა მხოლოდ ქართული შესატყვისების დაძებნაში მდგომარეობდეს... მთელ რიგ დარგებში ასეთი გამზადებული სიტყვანი შეიძლება არც რუსულ ენაზე არსებობდეს... არც როდესმე დადგეს რუსულისთვის ამა თუ იმ ლექსიკონის შედგენის პრაქტიკული საჭიროება... სიტყვანის შედგენა არაა უბრალო ინვენტარიზაცია რუსულ თუ სხვა რომელიმე ენაზე შექმნილი ტერმინებისა..."(რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 169-170).

ზემოთ წარმოდგენილი ამონარიდი აშკარად მოწმობს საბჭოთა პერიოდისდროინდელი ქართული სამეცნიერო ენის **ხელოვნურად სწორხაზოვან კურსს** რუსულენოვანი ორიენტირის მიხედვით და ამ ფონზე - ქართველი მეცნიერის ერთგვარ პროტესტს, რომ, მიუხედავად წინასწარ განსაზღვრული ენობრივი სტანდარტებისა, არ შეიძლება ეროვნული ტერმინოლოგიის სპეციფიკური მომენტების (დარგობრივი თავისებურებების) ძიებაზე ყურადღების მოდუნება, მხოლოდ მოწოდებული ჩარჩოებით დაკმაყოფილება.

IV. XI-XII საუკუნეების მეცნიერ-ლექსიკოგრაფები ინტენსიური მუშაობით ქმნიდნენ „მწყობრ სისტემას მეცნიერული ტერმინოლოგიისა"; ისინი მიზანმიმართულად იყენებდნენ ქართულ ძირეულ და აფიქსურ მასალას („ენის მდიდარ სიტყვაწარმოებით პოტენციას") სესხების თავიდან ასაცილებლად (დ. მელიქიშვილი, 1988, 158). სწორედ მათი შემოქმედების ნაყოფია ბევრი ლექსიკური ერთეული (იხ. ზემოთ) დღესაც რომ თავდაპირველი მნიშვნელობით იხმარება.

XIX საუკუნის II სახევრის საქართველოში ნაკლებად იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სისტემატურად იმუშავებდნენ სიტყვაწარმოებით მექანიზმებზე სამწიგნობრო ქართულში. შესაბამისად, სამეცნიერო ენაში **ფართოდ გაისხნა გზა დუბლეტებსა და ხანონიმურ წყვილებს,** რაც სპეციალური ლექსიკის ჩამოყალიბების პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

დავიმოწმებთ ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიდან მოძიებულ მასალას. შდრ.: **თემობრივი - თემობითი - სათემო; ნაკეთი - ნაკეთარი - ნაკეთები; მოპირნახული - მოპირნახულის მომქმედი; გენახობა - მეგენახობა - გენახის ხაქმე; ხა-პოლიტიკ-ი - პოლიტიკ-ურ-ი; ხა-სპეციალ-ი - სპეციალ-ურ-ი; ხა-სტატისტიკ-ი - სტატისტიკ-ური - სტატისტიკ-ის**... (დაწვრილებით, იხ. ქვემოთ გვ.143-146, 187).

V. ყველასათვის ცხადია, რომ "იმ ერს, რომელსაც მოეპოვება საკუთარი აკადემიები და უნივერსიტეტები, ენა ამ დაწესებულებებში უმუშავდება და უვითარდება" (ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469); ძველი ქართველი მწიგნობრები უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებში - ათონის, შავი მთის, პეტრიწონის ლიტერატურულ სკოლებში, გელათის აკადემიაში... მეთოდურად მუშაობდნენ სამეცნიერო ენასა და ფუნქციურ სტილზე. ამას მოწმობს: ექვთიმე ათონელის „კლება-შემატების" მეთოდი, გიორგი მთაწმინდელის ზუსტი თარგმანის თეორია, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის ორიგინალური სისტემური შეხედულებები და სხვ. (იხ., ზემოთ). ქართული საგანმანათლებლო კერები მეტოქეობას უწევდნენ ქრისტიანული ცივილიზაციის მაშინდელი საჭეთმპყრობლის ბიზანტიის კულტურულ ცენტრებს ("ვნატრი ელადსა, / თვით მას - გელათსა ...); "იქ მთელი დასი ქართველ მოღვაწეთა შეუდგა ქართული ენის შემუშავებას..."("ივერია", 1886, №313, გვ. 3);

XIX საუკუნის II ნახევარში, უნივერსიტეტებისა და აკადემიების არარსებობის გამო, ცალკეულ მოღვაწეებს ან გარკვეულ ჯგუფებს ქაოსურად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით უნდა ჩამოეყალიბებინათ ლოგიკურად სწორი, მეცნიერული პოზიცია. ეს იყო **სტიქიური და არა მართველი რეჟიმის ხელშეწყობით განვითარებული საყოველთაო პროცესი.**

საყურადღებოა, რა შეფასებას აძლევს კ. გამსახურდია XIX საუკუნის ქართული ენის ისტორიას სწერილში: "ქართული მართლწერის კონფერენციისათვის" (1929):

"ასი წლის განმავლობაში ქართული ენა სახელმწიფო ენათა სიიდან გამორიცხული იყო. ქართული ენა სტიქიურად

იზრდებოდა როგორც გაურანდავი ყვერი: არც მომვლელი ჰყავდა მას და არც ყალიბის მიმცემი“ (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 495).

ტერმინოლოგიური მუშაობის სტიქიურობაზე მეტყველებს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის უქონლობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მემკვიდრეობითი ცოდნის უგულებელყოფა.

კრიტიკის, როგორც მეცნიერული შემოწმების არარსებობამ, რაც ზოგჯერ პიროვნული დამოკიდებულების შედეგიც იყო, ბევრ არაპროფესიონალს გაუხსნა გზა. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ:

“საზოგადოდ შენიშნულია: ვინც კი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას შეახებს ხელს, თუ გინდ მბღაჯნავიც იყოს, ყველა დავით აღმაშენებლობას ჩემულობს. ეს კი სულ იმისი ბრალია, რომ კრიტიკა არ გაგვაჩნია. ჩვენში ეზარებათ, ემძიმებათ კრიტიკის წერა, “ეჰ, აუტკივარი თავი რად ავიტკიო, რათ მოვიძულო ავტორიო... ამისთანა შეხედულება სწორედ რო სამშობლოს ღალატად მიმაჩნია“ (ილ. ალხაზიშვილი, 1914-ა, გვ. 320).

ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო, ხშირად ვერ ითვალისწინებდნენ წინა წლებში მიღწეულ შედეგებს; კერძოდ, რა ღვაწლი იყო გაწეული ამა თუ იმ ტერმინის შემოსატანად თუ შესამუშავებლად. მაგალითად, 1863 წლის საგაზეთო წერილში ერთხელ უკვე ახსნილი **ტერმომეტრი** (იხ., “გუთნისდედა“, 1863, № 7, გვ. 102, შენიშვნა) 60-იანი წლების ბოლოს, ხოლო შემდეგ 70-იანი წლების პუბლიკაციებში ისევ თავიდან განემარტება მკითხველებს (იხ., “სასოფლო გაზეთი“, 1869, № 21, გვ. 7; № 23, გვ. 4; “გუთნისდედა“, 1875, № 8, გვ. 2-3)[14].

საყურადღებოა, ასევე, “ბუნების მეტყველების მოყვარის“ შენიშვნა მინერალოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის წიგნების შემდგენელ ვ. აღნიაშვილისადმი, რომ მან არ იხელმძღვანელა ოცდაათი და ოცდახუთი წლის წინანდელ პერიოდულ

[14] ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ტერმინი ახალი შემოსულია და საზოგადოება ჯერ არ არის მზად, პირდაპირ, ახსნის გარეშე მიიღოს.

გამოცემებში ("გუთნისდედა", "სასოფლო გაზეთი", "ცისკარი"...) დაბეჭდილი "პირველდაწყებითი" ზოოლოგიით, ანატომიით, მცენარის "ჰისტიოლოგიით"; ამ შემთხვევაში მისი ტერმინები "უფრო მოხერხებულნი და საზოგადო სახმარებელნი გამოვიდოდნენ" წერილის ავტორი განაგრძობს:

"ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ მემკვიდრეობით ცოდნას ქართულ ენაზედ არ მივყვებით, იმდენათ გაველურებული და გახეპრევებული ვართ, რომ ჩვენს მეტს, ან თუ ვისმე უშრომია, ან თუ ვისმე რამე უკეთებია, არა გვგონია" ("კვალი", 1893, № 30, გვ. 15-16).

ტერმინოლოგიური მუშაობის არასაყოველთაო ხასიათმა განაპირობა:

ა) საზოგადოების მხრიდან გულგრილობა. 1882 წლის 21 ნოემბერს თბილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში ჩატარებული ტერმინების დამდგენი კრებისადმი მიძღვნილ საგაზეთო ინფორმაციაში მითითებულია:

"სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, როგორც გვაჩვენა ამ პირველს საღამოზედ ხალხის სიმცირემ, ჩვენს საზოგადოებას ძალიან გულ-გრილად შეუხედავს ამ დიდის საქმისათვის, ასე ცოტა რომ დაესწრო" ("შრომა", 1882, № 46, გვ. 3).

საზოგადოების გარკვეული ნაწილი საერთოდ უარყოფითად ეკიდებოდა განათლების ფართოდ გავრცელებას, "უმეცრული გამბედაობით" ამტკიცებდა მეცნიერული ცნობების გაგებისა და გათავისების შეუძლებლობას. ამის გამოძახილია ი. ალექსანდრიძის "ბიბლიოგრაფიული შენიშვნა" "ივერიის" 1886 წლის № 29-ში:

"მე მგონია, საზოგადოება სრულიად შეიცვლის თავის შეცდომილს აზრს ფიზიკის შესახებ და დარწმუნდება, რომ ფიზიკის ზოგიერთი განყოფილების შესწავლა სრულიად შესაძლოა ყმაწვილებისათვის, დამერწმუნება, რომ ამ გვარი ფიზიკური ცნობები ყმაწვილებისათვის გაუგებარი ფილოსოფიური ტრაქტატები არ არის, როგორც კრიტიკოსს, ბ-ნ კავთელს სჩვენებია" (იქვე, გვ. 3).

ბ) მეცნიერთა განზე გადგომა. ქართველ მკვლევართა ზოგი წარმომადგენელი აქტიური მოღვაწეობისაგან თავს იკავებდა. ამასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე წერდა:

"ჩვენცა გვყავს თითო-ოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ გარეთ არიან და ამ სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰღალადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა, მაგრამ ღაღადი ჯერ არავის ესმის" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 291).

როგორც 1886 წლის "ივერია" იუწყებოდა, აღნიშნული პერიოდისათვის მოქმედ სამეურნეო, ტექნიკურ, გეოგრაფიულ და საექიმო საზოგადოებებში თითქმის არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ერია, რომელიც თავისი შრომით გაამდიდრებდა მეცნიერებას კავკასიის შესახებ. გაზეთი მოუწოდებდა მეცნიერების გულშემატკივართ:

"ყველა ჰუმანებურს, ყველა რეალებურს ბუნების სამეტყველო მეცნიერებას დიდი და ფართო ნიადაგი აქვს ჩვენში და მხოლოდ მხვნელსა და მთესველს მოელის. მოდით აქ, თქვენს ქვეყანაში, "სადა არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა" ("ივერია", 1886, № 46, გვ. 2).

ქართველ მეცნიერთა განზე გადგომა, ნაწილობრივ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ მათ, საერთო ვითარებიდან გამომდინარე, **არ ჰქონდათ პირობები ინტენსიური მუშაობისათვის**. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ალ. მირიანაშვილის შენიშვნა:

"სანამ ქართველ კაცს ქართულის ცოდნა პურს არ აჭმევს, ვერც მწერალნი გაიმარჯვებენ სასურველად და დიდი უსამართლობაც იქნება ქართველ საზოგადოებას მოეთხოვოს უმეტესი მარჯვი ლიტერატურის წინმსვლელობაში... ყოველი გატაცებული მეცნიერი, რაც უნდა გენიოსი იყოს, ადვილად მიატოვებს თავის სამეცნიერო გამოძიებათა, კალამს, როდესაც მას კუპი ომს გამოუცხადებს..."(ალ. მირიანაშვილი, 1886, გვ. 2).

გ) ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების გააქტიურება. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდნენ "ტეტიობის მოტრფიალენი", რომელთაც უარყვეს ისტორიის, არქეოლოგიის, კლასიკური ლიტერატურის გამოძიება და შესწავლა; ისინი უარყოფდნენ "არამხოლოდ ქართულს ლიტერატურას, თვით განათლებულ ერთა ლიტერატურასაც კი და, უკანასკნელ, წარმოიდგინეთ, მეცნიერებასაც, რადგანაც საჯაროდ გაიძახოდნენ, რომ "ჩვენ არ გვედარვინ-ბოკლებაო" ("კვალი", 1893, № 20, გვ. 4).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ტერმინოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით, "სავსებით მოდუნებული იყო" (ვუკ. ბერიძე, 1952, გვ. 30); მისგან განსხვავებით, 60-იანი წლებიდან იწყება სამეცნიერო აზრის ერთგვარი გამოცოცხლება. საზოგადოებას, ძირითადად პრესის საშუალებით, მიეწოდება ნათარგმნი თუ ორიგინალური სამეცნიერო თხზულებები და, შესაბამისად, მეტი გასაქანი ეძლევა სპეციალურ ლექსიკას.

ამავე დროს, მწიფდება სამეცნიერო ენის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი არაერთი პრობლემატური საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც ცნობილ მოღვაწეთა სახელებთან არის დაკავშირებული.

თავი II

ქართული ტერმინოლოგიური ხიტყვათშემოქმედების ძირითადი მიმართულებები XIX საუკუნის II ნახევარში

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტერმინოლოგია მზამზარეულად იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ სიტყვათა მარაგს და მას სპეციალური დარგის კუთვნილებად აქცევს. აქედან გამომდინარე, **ტერმინოლოგიური მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მახალის მოძიება-დადგენა.** ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა XIX საუკუნის II ნახევრიდან, როცა საქართველოში დაიწყო ტერმინოლოგიური მუშაობის აღმავლობა.

2.1. ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული პრობლემები

2.1.1. ლექსიკოგრაფიული ძიებების გააქტიურება. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აქტიურად ჩაება ლექსიკოლოგიურ მუშაობაში. ამაზე მეტყველებს, ერთი მხრივ, მწერლის თეორიული შეხედულებები, მეორე მხრივ თანმიმდევრული პრაქტიკული მუშაობა, რამაც რეალობად აქცია ენის ლექსიკური მარაგის მეცნიერული დანიშნულებით გამოყენების პერსპექტივა.

მოკლედ ჩამოვაყალიბებთ მწერლის შეხედულებებს:

ილია განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ქართული ენის **ლექსიკის მოძიებისა და შესწავლის** საქმეს; მართებულად მიაჩნდა, რომ სწორედ ლექსიკაში იყო ჩამარხული ერის ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვლილი საფეხურები. ამის

თვალსაჩინო მაგალითია "**წყალ**" და "**თხოვება**" ფუძეების ილიასეული ანალიზი:

"განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობლები არიან, მაგალითებრ: "წყალობა", მოწყალე, - შემიწყალე, მოწყალება. აქ ყველგან "წყალი" ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ "წყალობა" ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია... ან ქალის "გათხოვება", მითხოვება... არ გვეუბნება, რომ უწინდელს ქართველის ცოლის შერთვაში "თხოვებას" რაღაც ადგილი სჭერია?" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 79-80).

საყურადღებოა მწერლის დაკვირვება სიტყვებზე: "**მიცვალება**", "**მიცვალებული**":

"სიტყვა "მიცვალება", მიცვალებული... მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ გარდაცვლას, სხვა სახედ გადასვლას, ნუთუ ამაში გონების ხელმოსაკიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან?" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 80).

ილია ჭავჭავაძის მსჯელობა საქართველოს სოციალური სინამდვილის ამსახველ სიტყვებზე: "**სამკვიდრო**", "**მკვიდრი**", "**მდგმური**... თამამად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ცნებასა და ტერმინს შორის ზუსტი შესატყვისობის დადგენის ცდად:

"ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც სამკვიდროს ეძახის", "ჩვენში ბინადარს მცხოვრებს "მკვიდრი" ჰქვიან და არა "მდგმური", როგორც ზოგიერთს ენაშია" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 189).

ცალკე განხილვის საგანია ილია ჭავჭავაძის დაკვირვება ლექსიკური მონაცემების საშუალებით (სიტყვა "**აჩუას**" მაგალითზე) ერთა კულტურული ურთიერთობის კვლევის შესაძლებლობებზე, რამაც მეცნიერების წინაშე დასახა საკითხის სიღრმისეული კვლევის მეტად "საგულისხმო და მნიშვნელოვანი" პერსპექტივა (ივ. ჯავახიშვილი, 1957, გვ. 163).

საყურადღებოა ცნებაგაღარიბებული სიტყვების ილიასეული ფორმულირება: "**დიდნა ხაგანი, დიდნა სახელიცა**", რაც ასევე გამოდგებოდა სიტყვის მოძველებული ტერმინოლოგიური ღირებულების შესაფასებლად.

ილია მტკივნეულად განიცდის ენაში ცნებაგაღარიბებული სიტყვების გაჩენას, როგორც ეროვნული შეფერხების ფაქტს, საზოგადოების "გონებითი" ცხოვრების დაქვეითებიდან გამომდინარე. ამის საილუსტრაციოდ, მწერალი მსჯელობს სიტყვებზე: **ქართველი, მამული, დედაკაცი**...

წარმოვადგენთ ნაწყვეტებს მწერლის წერილებიდან:

"ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა", "**ქართველი** ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის..." (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 74, 46);

"საერთო სახელი **ქართველი** კერძოობითად გავხადეთ, **მამული** დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოგრად და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 81);

"ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა... ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი

ხუხულების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ... ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აიცსო ჩვენი ენა... ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? **ქართველობა** გათავთავდა, **მამული** - აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 81-82);

"დედაკაცი"...ეს დიდი სახელი დაიფუძა, შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს "დედაკაცი" მდაბიოთა სახელიღაა" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 423);

"ქართველისთვის "დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც "დედა-ენასა" ეძახის, უფროსს ქალაქს - "დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას -"დედა-ბოძს", უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს - "დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს "დედა-აზრს" გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი "გუთნის-დედას. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული!... სიტყვა "ქალი" განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა "დედა" და მასთან ერთად "კაცი"...ამიტომაც "დედაკაცის" "ქალამდე" ჩამოსვლა და "მამაკაცის" "ვაჟამდე" - ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნა... აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუძვაა... სად ქალობა და სად დედაკაცობა!..ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული... ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის - სახლია პატიოსანის შრომისა... ვაი, რომ "დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო "ქალები-"ღა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სათავე ჩვენის უბედურებისა" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 428-429).

სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების შესწავლის საფუძველზე, დასაბუთებულია, რომ "ეთნონიმი **ქართველი** თავიდანვე ზოგადეროვნული მნიშვნელობის საკუთარი სახელია და არა სატომო სახელი" (ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 181); შესაბამისად, მნიშვნელობის დავიწროება ამ სიტყვაში მოგვიანებით, სავარაუდოდ, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებულობის დროიდან უნდა მომხდარიყო (შდრ.: დავით გურამიშვილი: "**ქართველებიs** [ქართლელების - ი.ვ.] აღმა ხნული **კახელებმა** დაღმა ფარცხეს...). საკითხის ისტორიისათვის, იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 160-181.

სალექსიკონო მონაცემებისაგან განსხვავებით (იხ. ქვემოთ, სქოლიო), **მამული** ქართული ენის რიგ დიალექტებში (იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში...) **ვენახის** სინონიმს წარმოადგენს; ასევე, "ქიზიყში მამულად ვენახი იგულისხმება თითქმის ყოველთვის"(ლ. ასათიანი, 1978, გვ. 94). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების მიხედვით მოძიებულ მევენახეობის ლექსიკაში არ დასტურდება **მამული ვენახის** მნიშვნელობით. თანამედროვე ტერმინოლოგიაც ასევე მკაფიოდ განარჩევს **მამულიs** და **ვენახის** ცნებებს.

სამწიგნობრო ქართულისათვის მკვიდრი ფორმაა **დედაკაცი** ("დედაკაცი ერთი სპარსი მოგვი" "შუშანიკის წამება"; "დედაკაცი სიძვისაჲ" "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"...). ს. ს. ორბელიანის განმარტებით, მისი სინონიმებია: **დაცი, დედა** და **ქალი**. მოგვიანებით, როგორც მომდევნო პერიოდის სალექსიკონო მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნულ ლექსემებს შორის უკვე თავს იჩენს ნიუანსობრივი განსხვავება,[15]

---

[15] მეტი გარკვეულობისათვის, წარმოვადგენთ განსახილველი ფორმების შესახებ არსებულ სალექსიკონო მონაცემებს:

ქართველი - грузин; ქართველობა, ქართველურად... (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ.1328); ს.ს. ორბელიანთან დასტურდება **საქართველო** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 63);

კერძოდ, **ქალი**, **დედაკაცთან** შედარებით, უფრო მორიდებული მიმართვის ფორმად აღიქმება, რაც ილია ჭავჭავაძის მსჯელობის თემად იქცა.

მწერლის პოზიცია ზემოაღნიშნულ სიტყვებთან დაკავშირებით, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ილია ჭავჭავაძე ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასთან უშუალო კავშირში განიხილავს სამწიგნობრო ენის სისტემატიზაციისა და ნორმალიზაციის საკითხს. აქედან გამომდინარე, **ხატყვის პოლიხემიის შემთხვევაში, იგი უპირატესობას ანიჭებს სამწიგნობრო ენაში ისტორიულად დაცულ მნიშვნელობას, როგორც ამხანაგის დიალექტური განშტოებებისათვის.**

სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია ლექსემა "მამულში" მისი ძირითადი მნიშვნელობის გააქტიურება, რაც ილია ჭავჭავაძის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "სამოციან წლებში ყველაზედ უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა "მამული"...რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე

მამული - "მამისეული" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 432); "სამშობლო ქვეყანა... **отечество**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 266); "სამშობლო ქვეყანა, მამა პაპისაგან დანაშთენი... მიწა, **отечество**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 665).

დედაკაცი - "დიაცი/დედა" (ს.ს. ორბელიანი, 1991, 214, 220); "ზოგადი სახელი მდედრთა, ხოლო პატივისცემით დედა ანუ ქალი, **жена, женщина**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 203); "ზოგადი სახელი მდედრთა, **женщина**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 473).

ქალი - "დიაცი ჩჩვილით ბებრამდე ქალი არს" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 211); "ასული, შვილი, ხოლო ზოგად ეწოდების მდედრთა მცირიდამ ვიდრე ბებრამდე, უფრო პატივისცემით, **женский пол**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 399); "ასული, შვილი, გარნა ზოგად ეწოდების მდედრთა მცირიდამ ვიდრე სიბერემდე, უფრო პატივის ცემისათვის... **дочь, девица, дама**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1325).

გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისა..." (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 226).

ილია ჭავჭავაძე მართებულად მიიჩნევდა, რომ ქართულ ენას, თავისი ლექსიკური მარაგის სახით, "საკმაო მასალა" ჰქონდა და "მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხებაღა" იყო საჭირო, რომ მეცნიერულ ენასა და ტერმინოლოგიაში გაჩენილი დიდი ხარვეზი შეევსო (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 93). ამას მოწმობს მწერლის ტერმინთშემოქმედებაც.

აღნიშნული თვალსაზრისით, ჩვენ შევისწავლეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილი დარგობრივი ლექსიკა (დაწვრილებით იხ., ი. ვაშაკიძე, 1991; ასევე: ი. ვაშაკიძე, 2005) და, საანალიზო მასალის საფუძველზე, გამოვყავით რამდენიმე მომენტი; კერძოდ, ილია **ქართულ ან ქართულ ლექსიკაში უკვე დამკვიდრებულ ერთეულებს**:

I. უცხო ტერმინების შესატყვისად არჩევს. აქვე შევნიშნავთ, რომ პარალელურად მითითებული ქართული და უცხო სიტყვების სემანტიკა, ზოგ შემთხვევაში, სრულიად არ გადაფარავს, უფრო მეტიც, სცილდება ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად არსებითია **უცხოენოვან მახალახთან ქართული მახალის გათანასწორების, ქართული ლექსიკის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ტენდენცია**, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად XIX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ტერმინოლოგიური მუშაობისთვის. წარმოვადგენთ მაგალითებს:[16]

ა) ხელოვნური ტერმინოლოგია

Статуя – ლესკუმა. **Статуя** < ლათ. **statua** - "ადამიანის ან ცხოველის ქანდაკება, რომელიც ნატურალური ზომისაა ან მასზე დიდია" (უცხო სიტყ. ლექს., 1989, გვ. 478).

---

[16] ადგილის სიმცირის გამო, ცალკეული შემთხვევების გარდა, მოვერიდეთ კონტექსტების წარმოდგენას საანალიზო ფორმებისათვის.

მაგალითად, რაფიელ ერისთავის მიერ 1873 წელს ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებით, ჟურნალი "გუთნისდედა" წერდა:

"არამცთუ ბოტანიკური წოდებანი, და ყველა სამეცნიერო წოდებანი ჩვენ თარგმანებში გვაჩერებენ, რათგან ვერსად ვერ ვპოულობთ წოდებათ იმ ნივთთა და საგანთა, რომლისაც გადმოღება გვსურებია ჩვენ ქართული ენისათვის. ამგვარი ულექსიკონობა აძლევს დიდს დაბრკოლებას ქართულ ენაზედ რამე ბუნებით სამეცნიერო თხზულებათა და წიგნთა შეთხზვისა თუ გადმოღებისას" ("გუთნისდედა", 1873, № 17, გვ. 7).

"დროების" 1884 წლის № 144-ში დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის წერილი: "აზრი სრულის რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე," სადაც წამოჭრილია ქართული ენის "უუსრულესი და უკილო" ლექსიკონის შედგენის საკითხი. ამ აზრს 1888 წლის 21 ივლისის "ივერიის" მოწინავე სტატიით გამოეხმაურა ა. სარაჯიშვილი. აღნიშნულ წერილებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის (პ. გაჩეჩილაძე, 1959, გვ. 197).

მოსე ჯანაშვილის წერილში: "ქართველები და ქართული ენა" ("ივერია", 1895, № 206) გამოხატულია გულისტკივილი იმის გამო, რომ "თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვაცნობოს მისი მშვენიერება, თვალწინ გადაგვიშალოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებამა და ჭკუამ"; წერილის ავტორი გადაუდებელ ამოცანად თვლიდა "აუარებელი" მასალის შეკრებას, აღნუსხვასა და შესწავლას; "ეს ამირანისა დარი შრომა" რომ შესრულდებოდა, მაშინ "ჩვენი, ისეც მდიდარი ლექსიკონი," ერთიორად გაიზრდებოდა, ხოლო "ენამზეობაც ჩვენი ენისა" იმატებდა, "უფრო გაბრწყინდებოდა" (ივერია, 1895, გვ. 1-2).

1897 წლის დასაწყისში "ცნობის ფურცელში" რამდენჯერმე დაიბეჭდა ივანე როსტომაშვილის განცხადება, რომ აპირებდა რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემას. საზოგადოებაში

თანდათან მომწიფდა აზრი, რომ "ლექსიკონის შედგენა... ერთი კაცის ხელთ არ არის და არც უნდა იყვეს", ყველას უნდა მიეღო "შრომა და მონაწილეობა გამოცემაში და მეტადრე შედგენაში" ("ცნობის ფურცელი", 1897, № 206; დამოწმ. პ. გაჩეჩილაძე, 1959, გვ. 199).

გაზეთ "ივერიის" 1897 წლის № 118-ში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი: "ლექსიკონი და მისი დაბეჭდვის საჭიროება". იგი აუწყებდა საზოგადოებას გაბრიელ ბარნაბიშვილის გადაწყვეტილებას დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის ხელახალი და შევსებული გამოცემის თაობაზე. რედაქცია იწონებდა გ. ბარნაბიშვილის განზრახვას, მაგრამ უმჯობესად მიიჩნევდა "ენის საუკეთესოდ მცოდნეთა კომისიის" შექმნას მასალის გადასასინჯავად. ამას მოჰყვა "განდეგილის" (დომინიკა ერისთავისა) "მცირე შენიშვნა" "ივერიის" იმავე წლის № 124-ში.

"ივერიის" 1900 წლის № 79-ში დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის საპროგრამო წერილი: "ქართული სიტყვის მოყვარეთა მიმართ". წერილი შეიცავდა მითითებას, თუ როგორ უნდა შეკრებილიყო სალექსიკონო მასალა და შედგენილიყო ლექსიკონი; წერილის ავტორის აზრით, მუშაობა უნდა წარმართულიყო სამი კუთხით:

1) "ზოგი შეგნებული და მწიგნობარი" დაკვირვებოდა "ჩვენი ერის ცხოველ საუბარსა და ჩვენის ცხოვრებისა და კულტურის აღმნიშვნელი სიტყვები" ჩაეწერა "განმარტებითა და ჩვენებით";

2) ზოგს თვალ-ყური ედევნებინა "ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისათვის" და იქიდან ამოეკრიბა სალექსიკონო მასალა;

3) ზოგს კი, ვინც "ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლით იყო აღძრული", ძველი ხელნაწერებიდან ამოეწერა სიტყვები წყაროების მითითებით (პ. მირიანაშვილი, 1900, გვ. 2).

პეტრე მირიანაშვილის წერილის კვალდაკვალ, "ივერიის" ამავე წლის სხვადასხვა ნომერში ახალი სალექსიკონო მასალები

წარმოადგინეს: თედო რაზიკაშვილმა, ლადო ბზვანელმა (ვლადიმერ ნაცვლიშვილმა), ნიკო აბდუშელიშვილმა და სხვებმა (პ. გაჩეჩილაძე, 1959, გვ. 210).

2.1.3. კლასიკური ლექსიკოგრაფიული ნაშრომების გამოცემა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ისტორიაში პირველად, დაიბეჭდა და ხელმისაწვდომი გახდა კლასიკური ლექსიკოგრაფიული ნაშრომები.

1873 წელს გამოიცა რაფიელ ერისთავის ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, რომლის შევსებული რედაქციაც შეცვლილი სახელწოდებით: "მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან" 1884 წელს გამოვიდა.

ამავე, 1884 წელს, რაფიელ ერისთავის რედაქტორობით, დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა".

ნიკო ჩუბინაშვილის "ფასეული შრომები იმთავითვე არქივში ჩაკეტილი აღმოჩნდა, ვერ იქონია გავლენა ჩვენი მწიგნობრობის განვითარებაზე "(ალ. ღლონტი, 1983, გვ. 164); გამოიცა მხოლოდ 1961 წელს ალექსანდრე ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით.

დავით ჩუბინაშვილს დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, რომ თავისი ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის ნებართვა მიეღო. ლექსიკონი ნაკვეთებად იბეჭდებოდა, სრული გამოცემა დამთავრდა 1890 წელს, თორმეტი წლის შემდეგ მისი გასრულებიდან. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ლექსიკონი გამოსვლისთანავე მოძველებული აღმოჩნდა, აღარ შეეფერებოდა ქართული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეს და მოწინავე საზოგადოების წინაშე დაისვა მისი ხელმეორე, შევსებული სახით გამოცემის საკითხი (იხ. "ივერია", 1897, № 118, გვ. 2);

1896 წელს, კონსტანტინე ყიფიანის რედაქტორობით, დაიბეჭდა "რუსულ-ქართული ლექსიკონი ასტრონომიისა, ზოოლოგიისა, მინერალოგიისა და სხვადასხვა ტერმინებისა და ტექნიკური სიტყვებისა";

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ცნობილია ლ. აღნიაშვილის, თ. სახოკიას რუსულ-ქართული ლექსიკონებისა და კ. ბაღაშვილის ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონის გამოცემის ფაქტი (პ. გაჩეჩილაძე, 1959, გვ. 202).

2.2. დარგობრივი ტერმინოლოგია და სასკოლო სახელმძღვანელოები

ენის ლექსიკური ბაზის შესავსებად წარმართული მუშაობის კვალდაკვალ, მომწიფდა სპეციალური ტერმინოლოგიის დადგენისა და, შესაბამისად, ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი.

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ 1882 წლის 21 ნოემბერს თბილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში გაიმართა კრება, რომელმაც გადაწყვიტა არითმეტიკასა და ფიზიკაში სახმარი ახალი ტერმინების საკითხი ("შრომა", 1882, № 46, გვ. 3).

"მინამ ტერმინები არ შემუშავდება ანუ გამოიკვლევა ქართულს ენაზედ, მანამ შეუძლებელია რიგიანი სწავლის მსვლელობა ქართულს სკოლებში" - წერდნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები: ანდრო ღულაძე და იოსებ მრევლიშვილი, რომელთაც ითავეს არითმეტიკის ტერმინოლოგიის შეკრება და საზოგადოებას მოუწოდეს აქტიური ჩაბმისაკენ ამ საქმეში ("დროება", 1882, № 225, გვ. 2-3). მოწოდებას სათანადო გამოხმაურება მოჰყვა; "დროების" 1882 წლის № 254-ში დაიბეჭდა მ. ქვლივიძის წერილი: "ქართული სამეცნიერო ტერმინების გამომკვლეველი კრების საყურადღებოდ". წერილის ავტორი აანალიზებდა ქართულ და რუსულ თვლის სისტემაში გამოყენებულ ტერმინებს (გვ. 1-3).

"დროების" ამავე წლის № 258-ში საზოგადო განხილვისათვის დაიბეჭდა პირველ სპეციალურ სხდომაზე მიღებული არითმეტიკის ტერმინების სია (გვ. 2).

სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში; "დროების" 1885 წლის №№ 187-ში პოლიეკტო კვიცარიძემ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი "საგრამატიკო თერმინოლოგია"(გვ. 2-3), რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო მის სახელმძღვანელოს.

სამეურნეო ჟურნალ "მოსავალში" დაიბეჭდა "მასალა სამეცნიერო სიტყვათკრებულის შესადგენი", სადაც წარმოდგენილი იყო მემცენარეობაში, მესაქონლეობასა და მეფუტკრეობაში ხმარებული ტერმინები ("მოსავალი", 1911, № 9, გვ.13).

1862 წელს გამოიცა არითმეტიკის პირველი სახელმძღვანელო, რომელიც პეტრე ფოგელის მიხედვით შეიმუშავეს ვახტანგ თულაშვილმა და მიხეილ ყიფიანმა (პ. ღვინაძე, 1984, გვ. 28). მომდევნო წლებში გამოვიდა ვახტანგ ყიფიანის (1873), ივანე როსტომაშვილის (1876), რაჟდენ ჯაჯანაშვილის (1886), მიხეილ ყიფიანის (1888), ანტონ ნატროშვილის (1889), ეგნატე ხრამელაშვილის (1906) და სხვათა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები არითმეტიკაში, ალგებრასა და გეომეტრიაში; გამოიცა ქართული ენის გრამატიკები დიმიტრი ყიფიანის (1882), პოლიეკტო კვიცარიძის (1888), არისტო ქუთათელაძის (1889), სილოვან ხუნდაძის (1907) რედაქტორობით.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ, როგორც უცხოენოვანი წყაროების მიხედვით შემუშავებულ, ისე ორიგინალურ სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ტერმინებს ავტორთაგან უფრო **შემოქმედებითი მიდგომის** კვალი ეტყობა, სისტემატიზებული ტერმინოლოგიის ჯერ კიდევ არარსებობის გამო (პ. ღვინაძე, 1984, გვ. 28).

2.3. ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზა

ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების გააქტიურებასთან ერთად, გამოიკვეთა ტერმინოლოგიის

ლექსიკური ბაზის შევსებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებები, კერძოდ:

- არქაული ქართული სამეცნიერო ტერმინების მოძიება

ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე მასალის დამუშავება

სისტემატურად ფუნქციონირებადი საინფორმაციო საშუალებების (პრესის, პერიოდული გამოცემების) ენაზე დაკვირვება

2.3.1. არქაული ქართული სამწიგნობრო ენის ტერმინების გავრცელების ხარისხი. XIX საუკუნის II ნახევრის მოწინავე საზოგადოება მართებულად აფასებს არქაული სამწიგნობრო ქართულის სპეციალური სიტყვების მნიშვნელობას სამეცნიერო ენის ფუნქციონირებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია საზოგადოების ყურადღება ეკლესია-მონასტრებში დაცული "დიდძალი გუჯრების, სიგელებისა და სხვა ნაწერებისკენ", რომლებიც გამოუქვეყნებლად იყო მიმალული და დროთა განმავლობაში... იკარგებოდა, ჰფუჭდებოდა და იღუპებოდა" (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 170). მწერლის მითითებით, დაუყოვნებლივ უნდა შეედგინათ ამ ძვირფას ხელნაწერთა კატალოგები "რომელსამე გაზეთში" დასაბეჭდად, ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად, რითაც "დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევდნენ... ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც" (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 190).

როგორც გრიგოლ ყიფშიძე შენიშნავს, მწერლის ქაღალდებში არაერთი სია მოიპოვებოდა საღმრთო წერილისა თუ სხვა სახის თხზულებებიდან ამოწერილი სიტყვებისა და გამოთქმებისა (ილია, 1987, გვ. 80). სწორედ ამგვარი მუშაობის შედეგი იყო, რომ ილია თავის პუბლიცისტურ წერილებში აქტიურად იყენებდა ძველ ქართულ სამეცნიერო ტერმინებს, როგორიცაა: **შაბი, რკინის არჯაბი, კარი, ცილა, მარმარილო, ალიბარწყალი, ხელიხუფალი, ხელიხუფლება, ხიზანი, დალა, კულუხი, ქვაბლი, საკომლო, სახახი, საქვრივო** და სხვ.

აღნიშნული თვალსაზრისით, საყურადღებოა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ძველი ხელნაწერების მოძიება-შესწავლისაკენ. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი "ივერია" აუწყებდა საზოგადოებას, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერ თხზულებებში გაბნეული იყო მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ამსახველი უხვი ტერმინოლოგიური მასალა, "ლამაზისა და გასაგების ენით დაწერილი", რომელიც სათანადო დამუშავებას საჭიროებდა ("ივერია", 1902, № 115, გვ. 1).

მოწინავე საზოგადოება აშკარად გრძნობს ქართველი ერის "კეთილდღეობის" ხანაში შექმნილი სპეციალური ლექსიკის შეკრების საჭიროებას ტერმინოლოგიური მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის ("შრომა", 1882, № 46, გვ. 3).

1892 წლის "მწყემსის" № 15-16-ში დაიბეჭდა ვ. ღამბაშიძის საპროგრამო წერილი: "ზოგიერთი მოსაზრებანი ქართული ენის სამეცნიერო ტერმინების შეკრების შესახებ და სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენის გეგმა" (ვ. ღამბაშიძე, 1892, გვ. 10-12). წერილის ავტორმა რამდენიმე ძირითად მომენტზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, პირობითად, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ა) ტერმინოლოგიურ ძიებებს უნდა მისცემოდა **საყოველთაო ხასიათი**; ამ უმნიშვნელოვანესი საქმის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა "შრომის დანაწილებითა და საზოგადო ძალების დახმარებით";

ბ) "კარგი სიტყვები, ქართულის ენის ზედმიწევნით მცოდნე პირთაგან წინად შემოღებულნი", არ უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ "არხივებში ხავსმოდებულ სიტყვებად", "რამოდენიმე ქურუმების სავალალო საგნად"; საჭირო იყო **"ვამია ვითარებაჲ გამო მიფერცლილი, გაფანტული ენის ხიმდიდრის" შეკრება;**

გ) მოძიებული მასალა თემატურად უნდა დაეყოთ, რომ "დალაგებულ შეჯგუფულად და სახელმძღვანელოდ

მოსამარჯვებლად დაბეჭდილიყო“, შეედგინათ **სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონები.**

ტერმინოლოგიური მუშაობისათვის “წინდაწინვე განსაზღვრული დაწვრილებითი **პროგრამისა** და **გეგმის**“ აუცილებლობაზე მიუთითებენ, ასევე: დიმიტრი ყიფიანი - თავის “გრამატიკაში“ (დ. ყიფიანი, 1882, გვ. 62-63), სილოვან ხუნდაძე წერილში - “ქართული ლექსიკონი“ (ს. ხუნდაძე, 1895, გვ. 5), “განდეგილი“ - “მცირე შენიშვნაში“ (“ივერია“, 1897, № 124, გვ. 3), იხ., ასევე, “ცნობის ფურცელი“, 1897, № 206 (დამოწმ. პ. გაჩეჩილაძე, 1959, გვ. 199) და სხვ.

სხვა საგაზეთო პუბლიკაციებში ასევე საუბარია **სპეციალური კრებებისა** თუ “**ლიტერატორთა ამხანაგობების**“ მოწვევის საჭიროებაზე, რათა აღკვეთილიყო საერთო აზრის გაუთვალისწინებლად, “მარტო თავის ქეიფზე“ მოღვაწეობა ტერმინოლოგიაში; ამავე დროს, მუშაობის სრულყოფილად წარმართვისათვის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ შესაბამისი პროფესიული განათლებისა და სამწერლობო ენას დაუფლებულ (“სწავლით აღჭურვილ“) პირებს, **ხალხური ენის, ძველი ტერმინების მცოდნეებს**, რომლებიც ითავებდნენ საჭირო მასალის შეკრებისა და დადგენის საქმეს (“დროება“ 1882, № 258, გვ. 2; ასევე: თ. კიკვიძე, 1893, გვ. 14; ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

ტერმინოლოგიის დარგში მოღვაწეთ კარგად ესმოდათ, რომ ძველი სამეცნიერო ტერმინების მოძიებითა და გააქტიურებით შესაძლებელი იყო საერთო ენაში მოზღვავებული უცხოენოვანი ნაკადის თავიდან არიდება (შდრ.: “იმერთ თავადის“, ირ. ლორთქიფანიძის წერილი “ჰსჯა“, რომელიც ჟურნალ “ცისკრის“ 1857 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა).

ამასთან დაკავშირებით, რაფიელ ერისთავი თავის გამოცემული ს.ს. ორბელიანის “ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ სჯობდა, სწორედ ის **დაძველებული** და **გაბუნდოვანებული სიტყვები განეახლებინათ** და შემოეტანათ “ლიტერატურაში

სახმარებლად", ვიდრე სხვა ენას დასესხებოდნენ (რ. ერისთავი, 1884, გვ. 2).

ანალოგიურად მსჯელობს პეტრე მირიანაშვილი წერილში: "საერო ენა და სათემო კილო":

"თუ ენის სიწმინდით არის გამოწვეული ნამდვილი სიტყვის ხმარება... როცა თვითონ საგანიც უცხოა, პირდაპირ მოვალე ვართ, ვიხმაროთ შინაური ქართული უცნობი (ე.ი. ძველი, ხმარებიდან გამოსული - ი.ვ.) სიტყვა უცხო უცნობი სიტყვის მაგიერ, რადგან ორსავე შემთხვევაში სიტყვა უცნობი გამოდის. მაგ.: **ერეხი**, **მწვალებლობა**" (პ. მირიანაშვილი, 1888, გვ. 3).

ზემოთ წარმოდგენილი პოზიციის უშუალო გამოძახილია ის ფაქტი, რომ საზოგადოებისათვის მეტნაკლებად **გაუცხოებული ძველი სამეცნიერო ტერმინები გამოუენებიათავე განმარტება**, ისევე როგორც ახლად შეთვისებული ნასესხობები. ვიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან:

"იქ მიწა **ხახოა**, ესე იგი საერთოა" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 49).

შდრ.: "ბანკს თავისი **ფინანსები** აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონება" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 267);

"**ხაკომლი** ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 187),

შდრ.: "სავაჭრო **ბალანსი** იმასა ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 195);

"Исполнительный". "**ხელისუფლება**" სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტურლამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა **მხელე**. თვითონ დასტურლამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ "**ხელისუფლად**" წოდებულ არიან " (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 41),

შდრ.: "**ფრიტრედერობა** წარმომდგარია ინგლისური სიტყვისაგან free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს,

ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებას“ (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 327) და სხვ.

საზოგადოება სწორად საზღვრავს, რომ ახალი სიტყვების დამკვიდრება ენაში იტორიული აუცილებლობით გამოწვეული პროცესია (ი. ჭავჭავაძე), მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს წინა საუკუნეებში შემოუშავებული ძველი სიტყვების უგულებელყოფას. სწორედ ამაზე მიუთითებს “განდეგილი“ თავის “მცირე შენიშვნაში“:

“ყოველი ახალი გამოკვლევა სულ ერთია, ბუნების მოვლენათა შეეხება იგი, თუ სხვა რასმე, - საჭიროებს ახალს სახელს, ახალს სიტყვას, მაგრამ ამავ დროს სამარისაკენ როდი ისტუმრებს ძველს სიტყვებს, თუნდაც ახლად გამოგონილი ტერმინი უფრო საგნის შესაფერად იყოს მონათლულ-სახელწოდებული“ (“ივერია“, 1897, № 124, გვ. 3).

ძველი სამეცნიერო ტერმინების უცოდინარობისა და ტერმინთქმნადობის პროცესში საკუთრივ ქართული ენობრივი მასალის გაუთვალისწინებლობის შედეგად, გარკვეულმა პრობლემებმა იჩინა თავი აღნიშნული პერიოდის სამეცნიერო ენაში; კერძოდ:

I. გზა გაეხსნა ბარბარიზმებს. მაგალითად, 900-იან წლებში ვ. რცხილაძე თავისივე თარგმნილ პროფ. როსკოს “ქიმიაში“ იყენებს რუსულ ტერმინს: **კუპაროსი.**

როგორც ილია ალხაზიშვილი შენიშნავს, “ქართულად კუპაროსს ჰქვიან **არჯახპი**... არჯასპი მწვანე, ანუ რკინის არჯასპი, **зеленый купорос, железный купорос,** ძაღა“ (ი. ალხაზიშვილი, 1914, გვ. 7).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **არჯახპი** სომხურიდან შემოსული სიტყვაა, რომელმაც თავის დროზე განდევნა ქართული **მიწალები,** იგივეა, რაც “შავის საღებავი მიწა“ (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 68).

ტერმინი **არჯახპი** ასევე ახსნილია ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან: “ძაღა, მიწალები, მომწუანო შავის საღებავი,

ხმარებული ტყავთათვის მეპრატაკეთაგან, ანუ მელნისთჯს, **купорос** " (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 140); ("მეპრატაკე ტყავის მოქმედი"; ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 465). "ძაღა, მიწალები, შაბიამანი, **купорос**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 48).

ილ. ალხაზიშვილი საყვედურობს მთარგმნელს: "რა ტერმინიც გაბატონებულია ქართულს ენაში, იმას ნუღა სთარგმნით; ეს იმიტომ გემართებათ, რომ **არ გასცნობიხართ ქართულს ძველს სამეცნიერო ლიტერატურას**" (ი. ალხაზიშვილი, 1914, გვ. 7).

II. გაჩნდა უცხოენოვანი ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით შემუშავებული ტერმინები (კალკები); მაგ.:

ცილოგვარი ნივთიერება < (რუს.) **белковое вещество** ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 9, გვ. 5); შდრ.: **ცილა** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 336; ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 435; დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1594);

უჯრედი < (რუს.) **клетка** < (ლათ.) **cellula**; შდრ.: **ბაში** < **დახაბაში** (ი. ალხაზიშვილი, 1914-ა, გვ. 318)

ტერმინ **უჯრედის** წარმომავლობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ილ. ალხაზიშვილის მსჯელობა: "რუსის მეცნიერებმა ამ ასიოდე წლის წინათ აიღეს და ლათინურიდან პირდაპირ გადმოსთარგმნეს ცელულა **cellula**, რადგან უკეთესი არა მოეძებნებოდათ რა; ქართველებმაც თავი არ შეიწუხეს და **უჯრედი** დაანათლეს... ქართველებს გვაქვს საუცხოო ტერმინი: **ბაში**... ეს სიტყვა... გვამცნევს, რომ იგია **დახაბაში** ყოვლისა სიცოცხლისა... სამაგიეროს რას გვეუბნება დამსხვრეული **უჯრედი?**!" (ილ. ალხაზიშვილი, 1914-ა, გვ. 318).

სამწუხაროა, რომ სწორედ უცხო ტერმინის სიტყვასიტყვითი თარგმანი - **უჯრედი** დამკვიდრდა თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, ხოლო ილ. ალხაზიშვილის ეს საყურადღებო მიგნება დაიკარგა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, დავიმოწმებთ ნაწყვეტს ლ. ცაგარლის წერილიდან - "ანატომიურ, პსიხოლოგიურ ტერმინების და სხვა და სხვა დარგის სიტყვების შესახებ": "როცა ენას არ მოეპოვება რაიმე ტერმინი, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ როცა არის, არ ვიცით და ამიტომ შემოგვაქვს და თან ენის სიღარიბეზე გავკივით, ეს დიდი დანაშაულია" (ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

III. მოხდა სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობის გადაწევა; მაგალითად, რძის ნაწარმის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი **თეთრეული** იქცა რუსული **белё**-ს შესატყვისად ("გუთნისდედა", 1875, № 7). ვიმოწმებთ ნაწყვეტს: "ამ ბოლოს დროებში ჩვენმა ინსტიტუტისა და ზავედენიის ქალებმა, ესე იგი რუსულათ დასდილებმა **თეთრეული** დაარქვეს **белё**–ს, როდესაც ქართულად **белё** არის **ხარეცხი. თეთრეული** არის **молочное**. ვაი, ქართული ენის ბრალიცა ამ რუსინკაებისა და ამათ მსგავსების გადამკიდე!" ("გუთნისდედა", 1875, № 7, გვ. 2).

IV. შემუშავდა არამარცვლოვანი ფორმები გამოუსადეგარი, "მკვდრად დაბადებული სიტყვები", როგორიც იყო, მაგალითად, "უსულო, უნიადაგო, უკანონოდ შეთხზული" **მართლიერება** "ძველის მწერლობის ენაში არსებული" **სამართლის** (**სამართლე/ხელი**) ნაცვლად. ამასთან დაკავშირებით, პ. მირიანაშვილი შენიშნავს: "**მართლისაგან** პირდაპირი ზმნა კეთდება **მართლება** (/**გამართლება**) და არა **მართლიერი**, რომელიც არ არსებობს. აქედან ზმნის წარმოება ხომ მეტისმეტია. მაშინ ხომ დაუსრულებლად გვექნება... **მართლიერებანი**, **მართლიერებიანეული**, **მართლიერებიანება**

ამბობენ, **მართლიერება** ძველს მწერლობაში იპოვება, როგორც ტერმინიო. საინტერესოა, შევიტყოთ მაინც, რომ **სამართლის წიგნის** მაგიერ ვიხმაროთ **მართლიერების წიგნი**..." (პ. მირიანაშვილი, 1888, გვ. 3);

V. ასევე, ძველი ქართული ტერმინოლოგიის გვერდის ავლითა და უცხო ენის გავლენით, **განვითარდა** ე.წ. **ჰარბი**

სინონიმია: ტრადიციული სოციალური ტერმინის **ყმის** სინონიმად შემოუშავდა **ქვეშევრდომი** < რუსული სიტყვიდან: **Подданный**, რომელიც, თავის მხრივ, ლათინური სიტყვის (**subditus**) კალკია.

ამ ფაქტის პასუხად, ჟურნალ "გუთნისდედის" 1873 წლის №№ 16-ში დაბეჭდილ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: "ჩვენში სიტყვა **ყმა** ჰნიშნავდა, რასაც ჰნიშნავს რუსული **Подданный**. დროთა ცვლილებამ... გადააქცია ყმა **Подданный** ყმათ **Крепостной** და ეს მნიშვნელობა მისცა" (იქვე, გვ. 2).

ყმა ს.ს. ორბელიანთან განმარტებულია, როგორც "მის ალაგში მოსახლე; მსახური და ფრდილი" (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 267). **ფრდილი** იგივეა, რაც "სყიდული" (იქვე, გვ. 198), ნაწარმოებია **ფარდიდან** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 183).

ნიკო ჩუბინაშვილი განავითარებს საბასეულ განმარტებას (**ყმა** არის "მებატონის აგარაკში მოსახლე") და მიუთითებს რუსულ შესატყვისებს: "**Раб**, **подданный**, **крестьянин**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 414).

ანალოგიურია დავით ჩუბინაშვილისეული განმარტებაც: "ვისისამე მამულზედ მოსახლე გლეხი; ქვეშევრდომი, მონა; **крестьянин помещичий**; **подданный**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1380).

ზემოთ წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, **ყმის** მნიშვნელობა მართლაც ფართოა, მასში მოაზრებულია როგორც **крестьянин помещичий / Крепостной**, ისე **подданный**. ეს უკანასკნელი შემოუშავდა პოლონური **poddany**, **poddanstwo**-ს მიხედვით, ხოლო ტერმინის პირველწყაროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ლათინური: **subditus** (მ. ფასმერი, 1987, გვ. 296).

ქვეშევრდომი არ დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, არც ნიკო ჩუბინაშვილთან, რაც გვარწმუნებს მის გვიანდელობაში. დავით ჩუბინაშვილთან მითითებულია

აღნიშნული ტერმინის უშუალო წარმომავლობა ზმნის საწყისი ფორმისაგან: "**ქვეშევრდომი... подчиниться, ქვეშევრდომი,** ზედ. **დამორჩილებული ვმა, подданный**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1337); როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, **ქვეშევრდომს** ჯერ კიდევ არა აქვს დაკანონებული დამოუკიდებელი ტერმინოლოგიური ღირებულება, განხილულია, როგორც ზედსართავი სახელი.

თანამედროვე ქართულში დასტურდება როგორც ჩვენს ისტორიულ ყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული, სოციალური ურთიერთობის ამსახველი ტრადიციული ტერმინი **ყმა/ ყმაგლეხი** (ქეგლ-ი, ტ.VII, 1962, გვ. 555-556), ისე - უცხო ენის ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით შემუშავებული **ქვეშევრდომი.** თუკი თავიდან **ქვეშევრდომი ყმის** სინონიმად შემუშავდა, დღეს მისი მნიშვნელობა მკვეთრად განსხვავებულია (ეს სავსებით ლოგიკურია ორი სინონიმური ფორმისათვის ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში). შდრ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ქვეშევრდომს 2 ახსნა აქვს, სავარაუდოდ, თავდაპირველი მნიშვნელობის საფუძველზე განვითარებული: 1. ძვ. პირი, - რომელიც ითვლება ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქედ; 2. იგივეა, რაც ხელქვეითი" (ქეგლ-ი, VII, 1962, გვ. 314-315).

2.3.2 ხალხური მეტყველებიდან მომდინარე მასალის დამუშავება. ტერმინოლოგიური სიტყვათქმნადობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხალხური მეტყველებიდან მომდინარე მასალას, როგორც სპეციალური ლექსიკის შევსებისა და გამდიდრების წყაროს.

ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია სამწერლობო ენის დემოკრატიზაციის პრობლემასთან, რომელიც გააქტიურდა 60-იან წლებში "მამათა" და "შვილთა" შორის გამართულ პოლემიკაში (იხ. ზემოთ).

ენის დემოკრატიზაციის რეფორმებმა და "60-იანელთა" ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე ორიენტაციამ, ბუნებრივია, განაპირობა ქართველური დიალექტური მასალის დიდი ნაკადით

შემოსვლა სამწერლობო ენაში. ცხადი იყო, რომ ზომიერად შერჩეული კილოური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სრული დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება.

აღნიშნული პოზიციის მართებულობაში გვარწმუნებს ძველ ქართველ მწიგნობართა სამუშაო გამოცდილება; კერძოდ, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისათვის ისინი აქტიურად არჩევდნენ ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში არსებულ ფორმებსა და მოდელებს. მაგალითად, იოანე პეტრიწმა მეგრული **ჭანი** სამხმიანი საგალობლის მეორე ხმის აღსანიშნავად გამოიყენა (ტ. ფუტკარაძე, 2001, გვ. 232).

ძველ ქართველ მწიგნობართა მიერ დანერგილი მეთოდის კვალდაკვალ, XIX საუკუნის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები მიდიან ლოგიკურად სწორ გადაწყვეტილებამდე დიალექტური მასალის ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენების საკითხში.

ილია ჭავჭავაძე სამეცნიერო ენის წარმატებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის ცოცხალ მეტყველებაში დაცულ სიტყვებს. ამასთან დაკავშირებით, იონა მეუნარგია იხსენებს:

"ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა თავის სიტყვიერებისათვის. დღეს ამა და ამ გლეხმა ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა თქვაო, - იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად, მახსოვს, იყო სიტყვა **პეიტარი**. აზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში, აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს ჩქმევია. ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა..."(ილია, 1987, გვ. 509).

ხალხური სასაუბრო კილოდან მომდინარე სიტყვები თუ შესიტყვებები, რომლებიც ილიამ თავის პუბლიცისტურ წერილებში გამოიყენა, დღეისათვის ტერმინოლოგიური ღირებულებისაა; მაგ.: **უკლერტო ჰაჰა**, **შრიალი** და **სველი ჰაჰა**, **ჩუმი დუდღი**, **დახურული** და **ახდილი დუდღი**, **მცქრალი**

ღვინო, **ჭაჭარტა ღვინო // ჩიხირი**, **მოჭირებული ფერი**, **ხაშმის ჭია**, **ბოგანა ჭია** და სხვ. (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 93-153). ანალოგიური კვალიფიკაცია ეძლევა ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსაც:

ჭედის გატეხა/ცის გახსნა - ახლად დაყენებული ღვინის თავზე მომდგარი ჭაჭის ჯოხით დარევა (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 107);

ზეზე დუღილი - ღვინის თავახდილ ჭურჭელში დუღილი (ი. ჭავჭავაძე. 1956-ა, გვ. 112);

წების მატება - ყურძნის წვენში სიტკბოს მატება დამწიფების შედეგად (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 90);

ღვინის დაწვა - ღვინის გაფუჭება (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 101).[17]

თუ იმ პოზიციიდან ამოვალთ, რომ ტერმინის ღირებულება მისი სისხარტითა და ეკონომიურობით განისაზღვრება, მაშინ, ერთსიტყვიან ფორმებთან შედარებით, შესიტყვებები უფრო მოუქნელ და ძნელად სახმარ ტერმინებად მოგვეჩვენება, თუმცა ისიც ცხადია, რომ ამ უკანასკნელთ მეტი გამჭვირვალობა და სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, სიზუსტე ახასიათებთ, უფრო მეტად მოტივირებულნი არიან. ტერმინოლოგიური შესიტყვებები ტერმინოლოგიური იერარქიის გარკვეულ საფეხურს ქმნიან (მათში შემავალი მსაზღვრელი კომპონენტები სახეობით ცნებას გამოხატავენ, ხოლო საზღვრული კომპონენტები - გვარეობითს); ამავე დროს, მეთოდოლოგიურადაც უფრო მოსახერხებელია სინტაგმის მეშვეობით ტერმინთქმნადობა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ტერმინოლოგიური სისტემების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ტერმინოლოგიური შესიტყვებები წარმოადგენენ (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 70).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითთა გარკვეული ნაწილი დღეს იშვიათად დასტურდება ცოცხალ მეტყველებაში, ასევე

---

[17]აქვე წარმოვადგენთ სპეციალური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც ჩვენ მიერ არის ჩაწერილი იმერხევში დიალექტოლოგიურ ექსპედიციაში ყოფნის დროს 2008 წლის ზაფხულში): **ბენჯის აღება** - ყურძნის ან თუთის (// ხილის) ფაფის შესქელება; **ჩინის ჭონა** - სიმინდის ტაროს (მარცვლების) დამწიფება; **გახშმი(ს) ყურწი** - ვახშამზე დასაყოლებელი ტკბილეული, სასუსნავი.

დიალექტურ ტექსტებსა და ლექსიკონებში; ამდენად, თანამედროვე ეტაპზე თვალსაჩინოა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ხალხის სასაუბრო კილოდან მომდინარე ლექსიკური მარაგის შევსებისა და დაზუსტების თვალსაზრისითაც; ანალოგიურია **ხაშაბათი** (იხ. ზემოთ).

ნიკო ნიკოლაძის შენიშვნით, ილიამ "ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყოთ. "საქართველოს მოამბის" შემდეგ ქართულმა მწერლობამ ერთი-ორი ნაბიჯი მაინც წინ წადგა და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც... გამდიდრდა საქართველოს სხვა და სხვა პროვინციალური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში" (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 2; დამოწმ.: შ. ძიძიგური, 1971, გვ. 159). წარმოდგენილი ნაწყვეტი ასევე მეტყველებს ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისზე კილოურ მონაცემთა ტერმინებად ქცევის ლოგიკურ პროცესში.

აკაკი წერეთელმა თავის წერილში: "ზეპირსიტყვიერების გამო" ყურადღება გაამახვილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ენათმეცნიერულ მნიშვნელობაზეც, კერძოდ, ტერმინოლოგიურ ღირებულებაზე. მან მიუთითა, რომ აღნიშნული მასალის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ლექსიკონების შედგენა, "როგორც საზოგადოსი, ისე კერძოთ ზოოლოგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის" და სხვ. (ა. წერეთელი, 1990, გვ. 152).

იაკობ გოგებაშვილის პუბლიკაციაში: "სამი ტერმინი" აშკარად იგრძნობა ქართველური დიალექტებიდან მომდინარე ერთეულების სალიტერატურო ქართულში დამკვიდრების ტენდენცია, რაც გამოწვეულია შესაბამისი ცნების ზედმიწევნით გადმოცემის აუცილებლობით.

წერილის ავტორი განიხილავს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში დადასტურებულ სამ სინონიმურ რუსულ ტერმინს ერთი და იმავე ქართული შესატყვისით: Порог, Водопад, Каскад - **ჩანჩქერი**. "მობაასეთაგან" მოძიებული ათამდე ხალხური ტერმინიდან იაკობი არჩევს შესაბამის ერთეულებს და საზოგადოებას მათ დანერგვას სთავაზობს:

"Водопад - უნდა ითარგმნებოდეს... ტერმინით **ჩანჩალა**, რომელიც იხმარება მთელ ქართლ-კახეთში (ხაზი ჩვენია - ი. ვ.), Порог **ჩანჩქერი** (წყალი მიჩანჩქარებსო, ამბობენ **აქეთ საქართველოში**, როცა მდინარე გადადის ქვებზედ), Каскад **ხანქერი**, რადგან **მათში** ამ სახელს ეძახიან პატარა ნაკადულებს, რომელნიც ზევით მაღლობიდგან ქვემოთ ღელეში პირდაპირ ჩაშხივიან, ჰჩქეფენ. შეიძლება და კარგიც იქნება, თუ მთავარ ტერმინებთან ვიხმართ, როგორც სინონიმებს, **ადგილობრივ ხატყვებსაც** ამ სახით: **ჩანჩალა** ანუ **წყალ-ტეხილი** და სხვანი" (ი. გოგებაშვილი, 1990, გვ. 474-475).

ზემოთ წარმოდგენილი 3 რუსული ტერმინიდან მხოლოდ მეორემ (Водопад) შეინარჩუნა თავდაპირველი მნიშვნელობა - "ჩანჩქერი" (რუსულ-ქართული ლექსიკ., თბ., 1983, გვ. 75), ხოლო პირველი და მესამე ტერმინების შემთხვევაში, მოხდა მნიშვნელობის გადაწევა; შდრ.: Каскад 1. ძვ. ჩანჩქერი; 2. გადატ. ნაკადი, შადრევანი; 3. ტექ. კასკადი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 244); Порог - 1. ზღურბლი; 2. ჰორომი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 542). **ჰორომი**, ქეგლის მიხედვით, არის მდინარის ფსკერზე ამაღლებული ქვის მასივი, რომელიც ქმნის სწრაფ დინებას (ქეგლ-ი, ტ. VIII, თბ., 1964, გვ. 1284).

იაკობ გოგებაშვილის მიერ მოძიებულ ქართულ შესატყვისთაგან სამწიგნობრო ქართულში დარჩა **ჩანჩქერი** (Водопад- ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 291; შდრ.: ი. გოგებაშვილი) და **ჩანჩალა** (1. იგივეა, რაც ჩანჩქერი; 2. პატარა ჩანჩქერი - ქეგლ-ი, თბ., 1964, ტ. VII, გვ. 477).

ხანქერი ქეგლში მითითებულია, როგორც იმერული დიალექტის მონაცემი (ქეგლ-ი, თბ., 1960, ტ. VI, გვ. 900; იხ., ასევე: პ. გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 126; შდრ.: ი. გოგებაშვილი), ხოლო **წყალტეხილი** ჯერჯერობით ვერ დავადასტურეთ სალექსიკონო მასალაში. ეს ტერმინი, "რომელიც სურათულად

ჰხატავს ერთს თვისებას ძირს დაშვებულის წყლისას", იაკობ გოგებაშვილისათვის გიორგი იოსელიანს მიუწოდებია (ი. გოგებაშვილი, 1990, გვ. 473).

სილოვან ხუნდაძის წერილში: "ქართული ლექსიკონი" (რომელიც 1895 წლის "კვალის" მერვე ნომერში დაიბეჭდა), საუბარია ხალხის მეტყველებაში შემონახულ მრავალფეროვან დიალექტურ მასალაზე; მის საფუძველზე ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, ერთი მხრივ - ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში გაჩენილი ხარვეზის შევსება, მეორე მხრივ უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის სიზუსტის დაცვით გადმოთარგმნა. წარმოვადგენთ ნაწყვეტს წერილიდან:

"ვისაც ჩვენ ლექსიკონთან საქმე ჰქონია, ყველა დარწმუნებულია, რომ იმას დიდი შემუშავება და შევსება ჰჭირდება, **ხალხის ცოცხალი სიტყვებით**. განსაკუთრებით ბოტანიკურ-ზოოლოგიური. მათი ნაწილი მეტათ ღარიბია და გამოურკვეველი. ბევრი იმისთანა ცნებათა გამომხატველი სიტყვები არ არის შეტანილი ჩვენს ლექსიკონში, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენივე სათარგმნი ლიტერატურისათვის და რაიცა გაამდიდრებს ჩვენს ენას..."(ს. ხუნდაძე, 1895, გვ. 5).

ანალოგიურად, XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში არაერთგზის დაისვა საკითხი, რომ ტერმინოლოგიური მუშაობის სრულყოფილად წარმართვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ძველ სამეცნიერო ტერმინებთან ერთად, "ხალხური ენის" (დიალექტური მონაცემების) შესწავლას (იხ.: "დროება," 1882, №№ 258, გვ. 2; ასევე: თ. კიკვიძე, 1893, გვ. 14; ს. ხუნდაძე, 1895, გვ. 5; ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

მოწინავე საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, დიალექტური მასალის მოძიება-შესწავლა და რეალიზება დიდხანს ვერ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა კ. გამსახურდიას მსჯელობა 1951 წელს დაბეჭდილ წერილში: "ლექსიკოგრაფიული შენიშვნები"-

"ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა და მის სხვადასხვა დიალექტებში შემორჩენილ იდიომურ სიმდიდრეთა

კლასიფიცირება და აღნუსხვა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დაიწყო. საფუძვლიანად შესასწავლია ზემო და ქვემო იმერული, ლეჩხუმური და რაჭული დიალექტები, მესხური, ზემოქართლური, შიდა და ქვემო ქართლური, მოხევური და გუდამაყრული, თუშური და სხვა დიალექტები. ამ თვალსაზრისიდან დანახული ქართული ხალხური მეტყველება ჯერაც ულევილ საუნჯეებს შეიცავს და ამ სიტყვიერი დოვლათის ერთი მესამედიც არ გახმიანებულა ჯერ ქართულ მწერლობაში" (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 108).

წერილის ავტორმა კილოური ნაკადი განიხილა, როგორც სალიტერატურო ენის გამდიდრების, ისე დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შემავსებელ წყარო და მისი მოძიება-შესწავლა მთავარ ამოცანად დაუსახა ქართულ ლექსიკოგრაფიას [18](კ. გამსახურდია, 1985, გვ. 107-108).

ქართველური დიალექტური მასალის ტერმინოლოგიური დანიშნულებით გააქტიურების მცდელობამ დღის წესრიგში დააყენა სინონიმური მნიშვნელობის ფორმათა დადგენის, ენის ნორმირებისა და საორიენტაციო დიალექტების გამიჯვნის საკითხები.

სინონიმურ ერთეულთა შეჯერების თვალსაზრისით, საყურადღებოა ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები. ამ ენციკლოპედიური მნიშვნელობის წიგნებში ავტორმა დიდი რაოდენობით შეიტანა მოძიებული ფოლკლორული მასალა (ანდაზები, გამოცანები, ლექსები...), აღმოსავლურქართული

---

[18]ცნობისათვის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში 2008 წლის 29 მარტს დაარსდა წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის უშუალო მიზანია ქართველური (მეგრულ-ლაზურ-სვანურ-რაჭულ-იმერული...) დიალექტების მონაცემთაგან სამწიგნობრო ენისათვის სარეკომენდაციო ლექსიკონის მომზადება.

მეტყველების ნიმუშების პარალელურად, დასავლურქართული ვარიანტები მიუთითა და ამ გზით სახელმძღვანელოების ენა თანაბრად გასაგები გახადა სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის (შ. ძიძიგური, 1957, გვ. 58-103). ანალოგიურად, დიდი ქართველი პედაგოგის კურსი განავითარა XX საუკუნის მწერლობამაც (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 52-53).

XIX საუკუნის II ნახევრის პრესა უხვ მასალას იძლევა იმისა, თუ როგორ არის საზოგადოება დაინტერესებული, ერთი მხრივ, ქართველური კილოების სიმდიდრის გამოყენებით, მეორე მხრივ, **სამწიგნობრო ენის მართლწერის მოწესრიგებით**.

ამის მაგალითია გრ. ყიფშიძის წერილი "ქართული მართლწერა", რომელიც გაზეთ "კოლხიდის" თანამშრომელთა საყურადღებოთ" ქუთაისში დაბეჭდილი წიგნის ("ქართული მართლწერა") რეცენზიას წარმოადგენს ("განათლება", 1911, № 8). ავტორი წინააღმდეგია "საყოველთაო ქართულში" გურული, იმერული, რაჭული, კახური და სხვა სიტყვების შემოტანისა, რაც, მისი აზრით, "დაქსაქსულობას" უქადის "ერთიანობას ენასა, ლიტერატურასა და ცხოვრებაში".

გრ. ყიფშიძე ქართლურ კილოს მიიჩნევს სალიტერატურო ენის "ქვაკუთხედად" და უკრიტიკოდ იღებს ნორმად ქართლური დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმას: "ჰქვიან" (შდრ.: "ჰქვია"), როცა ებრძვის დასავლურქართულ დიალექტიზმს: "მოვიდენ" (გრ. ყიფშიძე, 1911, გვ. 499).

აქვე საინტერესოა ს. ხუნდაძის პოზიცია გრ. ყიფშიძის საპასუხო წერილში: "ქართული თუ ქართლური?" ("განათლება", 1911, № 9). პუბლიკაციის ავტორი მიუთითებს, რომ გრამატიკულად სწორ ფორმათა დამკვიდრება შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს; რაც შეეხება ერთიანი სამწერლობო ენის საორიენტაციო დიალექტის განსაზღვრას, წერილის ავტორი აქაც მართებულ პოზიციას ირჩევს:

"ქართველ ერს ყოველგვარს კულტურულ წინსვლაში ნამდვილი ქართველი უნდა მესვეურობდეს, იმერელი იქნება ის, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი, სვანი, ფშავი თუ

ხევსური - სულ ერთია და არა მხოლოდ ქართლელი“ (ს. ხუნდაძე, 1911, გვ. 533).

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოგვიანებით ს. ხუნდაძის თვალსაზრისი განავითარა და ქართული მწერლობის სათავეებიდან შეაფასა კ. გამსახურდიამ: “ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 499). ქართულ დიალექტთა თანაბარ მონაწილეობა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში მწერალმა განსაზღვრა, როგორც “ქართული ენის სინთეტიური ქმედობის პროცესი, რომელიც დიდი ხანია, რაც დაწყებულა“ და სათანადო პასუხისმგებლობას აკისრებს შემოქმედთ (იქვე). ამ პოზიციის ლოგიკურ გაგრძელებად მიგვაჩნია საენათმეცნიერო ლიტერატურაში არგუმენტირებული აზრი, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენა ვერ ჩაითვლება მხოლოდ ქართლ-კახურით საფუძველდებულად; იგი “ყოველთა ქართველთა“ საშინაო-სამეტყველო კოდებით (დიალექტებით) საზრდოობდა“; “ქართველთა სამწიგნობრო ენა საერთოქართველური ენის ბაზაზე შეიქმნა და არა რომელიმე კილოზე“ (ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 49).

გრ. ყიფშიძისა და ს. ხუნდაძის პოლემიკიდან ჩანს, როგორ ყალიბდება მოწინავე საზოგადოების მართებული მიდგომა ერთიანი სამწერლობო ენისა და ქართველური დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხისადმი.

ს. ხუნდაძის საპასუხოდ დაწერილ წერილში, რომელიც “განათლების“ იმავე, 1911 წლის № 9-ში დაიბეჭდა, გრ. ყიფშიძე ასაბუთებს, რომ “ათვალწუნებით“ სრულიადაც არ ეკიდება დასავლურ კილოებს, რომელთა მეშვეობითაც იხსნება სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული არაერთი სიტყვა თუ ფრაზა, მაგალითად: “ჯიბური“, “ჩაქინდვრა თავისა“ და სხვ.

წერილის ავტორი მართებულად მსჯელობს სვანურისა და ლაზურ-მეგრულის მონაცემების მნიშვნელობაზე საერთო-სალიტერატურო ენის ბუნებისა და აგებულების შესწავლის საქმეში (გრ. ყიფშიძე, 1911-ა, გვ. 566). მაგალითისათვის, აქვე დავამატებდით საერთოქართველურ **ⴌⴈⴊⴀⴋ** დღევანდელი **მიწა** მნიშვნელობით, რომელიც სასულიერო მწერლობის ძეგლებმა და მეგრულმა დიალექტმა შემოინახა (**დიხა**); დავიმოწმებთ მაგალითებს "შუშანიკის წამებიდან" და "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან":

"და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია **ⴌⴈⴊⴀⴋⴀⴋ** შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე" (ქართული პროზა, I, 1982, გვ. 15);

"კაცთა ნახჳნი ფერხთანი არაოდეს **ⴌⴈⴊⴀⴋⴀⴍ** ექმნების სლვასა მათსა..."(ქართული პროზა, I, 1982, გვ. 245).

შდრ.: "**დიხა** (**დიხას**) იგივეა, რაც დეხა, - მიწა, ადგილი (ი. ყიფშ., პ. ჭარ.); თიხა" - ო. ქაჯია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I (ა-ვ), თბ., 2001, გვ. 477.

გრ. ყიფშიძეც და ს. ხუნდაძეც, ფაქტობრივად, ამყარებენ ი. ჭავჭავაძის მართებულ პოზიციას სვანური მასალისადმი (იხ. ზემოთ).

XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში აშკარად იგრძნობა მოწინავე საზოგადოების მზარდი ინტერესი "წმინდად შენახული ქართულისადმი", რაც ცალკეული კილოური მეტყველების წინ წამოწევაში გამოიხატება (იქნება ეს იმერული (ს. ხუნდაძე), მოხეური (ვაჟა-ფშაველა), მესხური (პ. მირიანაშვილი) თუ სხვა (შ. ძიძიგური, 1957), მაგრამ ეს ფაქტი სრულიად არ გამორიცხავს ქართველურ დიალექტთა თანაბარ მონაწილეობას ერთიანი სამწერლობო ენის განვითარებაში. სწორედ ასეთი პოზიცია ქმნის საფუძველს ქართველური დიალექტების, როგორც "დიდ რეზერვად" (ჰ. ფოგტი, 1970, გვ. 361), სამწიგნობრო ქართულის მასაზრდოებელ უშრეტ წყაროდ კვალიფიკაციისა და მათგან მომდინარე ლექსიკის სპეციალური მნიშვნელობით ფუნქციონირებისათვის. ამ გზას XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აგრძელებს ივანე ჯავახიშვილი.

დიდი მეცნიერის თაოსნობით წარმართულ კვლევაში თანაბარი ყურადღება ექცევა როგორც ძველ ხელნაწერ ტექსტებში არსებული სამეცნიერო ტერმინების, ისე დიალექტურ მეტყველებაში (იხ. შინამრეწველობის მასალები) შემონახული მრავალდარგოვანი სპეციალური ლექსიკის მოძიებას (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 104-109).

დიალექტებიდან მომდინარე სიტყვათა მარაგის, როგორც საწიგნობრო ენაში არასასურველი ლექსიკური ნასესხობების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე აკად. ქეთევან ლომთათიძის საუბარი რუსულიდან მომდინარე ბარბარიზმების გავრცელებასა და, მათი გავლენით, ენაში მიმდინარე არასასურველ პროცესებზე, რის წინააღმდეგ საბრძოლველადაც ცოცხალი დიალექტური მონაცემების მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელების საკითხი წამოჭრა. მსჯელობის საგანი იყო, რუსულის გავლენით, მაშინდელი თაობების მეტყველებაში გავრცელებული **ბეზრაზმერი** (< რუს. **безразмерный**), აქედან: **ურაზმერი** გარკვეული ტიპის ნაქსოვის აღსანიშნავად.

ქ-ნმა მზექალა შანიძემ აუდიტორიას შესთავაზა თავის მიერ მოფიქრებული გამოსავალი, მე ასეთი შემთხვევისათვის სიტყვა **წელას** ვიყენებ და არცთუ წარუმატებლადო. ქ-ნი ქეთევანი მას შეეკამათა, რა საჭიროა ასეთი მცდელობა, როცა ენაში უკვე არსებობს შესაბამისი შესატყვისიო და ნიმუშად რაჭულ დიალექტში დადასტურებული **მაწევანა** დაასახელა.

2.3.3. ტერმინოლოგიური პრობლემები და ქართული პრესა. როგორც ცნობილია, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია...) ძირითადი დანიშნულებაა, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურისა და სხვა სფეროებში მიმდინარე მოვლენებზე; ამისათვის აქტიურად იყენებს და, შეიძლება ითქვას, ერთგვარ პოპულარიზაციასაც უწევს

სხვადასხვა დარგის სპეციალურ ლექსიკას. შესაბამისად, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ენა ასახავს სიტყვის გარკვეულ ფორმათა ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გაქრობის ან (ზოგჯერ უმართებულოდ) განვითარების **ცოცხალ პროცესს**.

საყურადღებოა XIX საუკუნის II ნახევრის პოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა პოზიცია პრესასთან დაკავშირებით (პ. მირიანაშვილი, 1900, გვ. 2).

ამ დროისათვის საქართველოში ერთადერთ საინფორმაციო საშუალებად პრესა ითვლება. მართლაც განსაკუთრებულია მისი მდგომარეობა. კერძოდ, ანტისახელმწიფოებრივი, გამარუსებელი პოლიტიკისა და მკაცრი ცენზურის პირობებში, ქართულმა პრესამ იტვირთა **საწოგნობრო ენის გადარჩენის საბასუხისმგებლო ფუნქცია**.

ჟურნალ "ცისკრის" პუბლიკაციებზე დაკვირვება მოწმობს, თუ რა დიდი იყო საზოგადოების დაინტერესება ქართული ბეჭდური გამოცემით, რომ "ჩუმნი... ენა" არ დაკარგულიყო და "ადრინდელნი მჭევრ მეტყუმლობა და მშუმნიერ ლექსთ წყობილება აქა იქ მაინც სადმე გამოჩენილიყო" (ე. წერეთელი, 1862, გვ. 301). სწორედ "ცისკრის" ფურცლებიდან გაისმოდა ქართული ენის გულშემატკივართა მოწოდებები:

"ყოველი ქართველი მოვალე არის თავის სამშობლო ენას მისცეს შემწეობა!" ("ცისკარი", 1857, № 10, გვ. 66)

"დარბაისელნო ქართველნო, ნუ ინებებთ გაუშვათ თქუმნი ენა უყურადღებოთ!" ("ცისკარი", 1858, № 3, გვ. 237)

"ვინც გამოჩენით.....იციან ქართული ენა,...ხანდისხან შეიყარნენ ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვის!" ("ცისკარი", 1860, № 6, გვ. 104)

"დრო არის ახლა ჩუმნი ენა წარმატებასა მივცეთ, ვისწავლოთ და სხუასაც ვასწავლოთ და ამ სახით დავიცვათ ის გაუქმებისაგან, თორემ ჩქარა დაეცემა" ("ცისკარი", 1865, № 6, გვ. 47)...

ჟურნალ "ცისკრის" ფუცლებზე 60-იან წლებში გამართულმა პოლემიკამ "მამათა" და "შვილთა" შორის მოწინავე საზოგადოების მსჯელობის საგნად აქცია ენისა და ტერმინოლოგიის აქტუალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც მიეძღვნა მთელი შემდგომი პერიოდის მუშაობა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც გამარუსებელი პოლიტიკის მესვეურები "ქართველებსა და ქართულ ცხოვრებას ყოველ მხრიდან უტევდნენ და სჩაგრავდნენ", ქართული ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობაც მძიმე იყო: "იმას გარდა, რომ ცენზურა ავიწროვებდა და ყოველ სიტყვას გულ-ღვიძლს უშიგნავდა და უჩხრეკავდა, თვით ქართული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობაც, უფრო მცირე იყო, ვიდრე რუსულისა და სომხურისა" (ილია, 1987, გვ. 204).

ი. ჭავჭავაძის თანამედროვის, არტემ ახნაზაროვის მოგონების თანახმად, 1885 წლის სექტემბერში მთავრობამ აკრძალა ქართული გაზეთი "დროება". ამის გამო, ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა, თავისი ყოველთვიური ჟურნალი "ივერია" ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა, რომელმაც 1886 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო გამოსვლა (ილია, 1987, გვ. 204-205). მიუხედავად მთავრობის მხრიდან წინააღმდეგობისა, ქართული ბეჭდური სიტყვა კვლავ რჩებოდა ენისა და ეროვნული ცნობიერებისათვის ბრძოლის საშუალებად.

ქართული პრესა იდგა **სალიტერატურო ენის ხიწმინდის დაცვის სადარაჯოზე**. ამას მოწმობს მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა პუბლიკაციებში მოცემული გამაფრთხილებელი, ზოგჯერ რადიკალური განცხადებები:

ა) ბარბარიზმებზე;

ბ) ენის დემოკრატიზაციის შედეგად, სალიტერატურო ქართულში შემოსულ მრავალრიცხოვან დიალექტიზმებზე, რომელთა კონტროლიც, ფაქტობრივად, მხოლოდ ცალკეულ რედაქტორთა ან გამომცემელთა ხელში იყო (ქართული სამწიგნობრო ენის ნორმალიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა).

უმაღლესი განათლების კერებისა და დარგობრივი სამეცნიერო კრებულების არარსებობის პირობებში, ქართული პრესა წარმოადგენდა არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის საშუალებას, არამედ **სახწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს** მეცნიერებით, ხელოვნებით, მრეწველობით, სოფლის მეურნეობითა და სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული მკითხველისათვის.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის II ნახევარში იწყება უცხოურიდან თარგმნილი სამეცნიერო წერილებისა და ნარკვევების სისტემატურად ბეჭდვა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ("გუთნისდედა", "სასოფლო გაზეთი", "ივერია", "კვალი", "დროება"...); შესაბამისად, **ქართული განათლებისა და ტერმინოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებიც პირველად პრესის ფურცლებზე იბეჭდა**: კერძოდ, აშკარა ხდება, რომ საზოგადოება ჯერ არ არის მზად სამეცნიერო ნაშრომთა ენის გასაგებად. მაგალითისათვის, ვიმოწმებთ გერმანელი ქიმიკოსის ლიბიხის "ღირსეული თხზულების" მიხედვით შემუშავებული ქართული სამეცნიერო სტატიის ავტორის შენიშვნას:

[ნაშრომის] "პირ და პირ გადათარგმნა ქართულს ენაზე შეუძლებელია, რადგანაც უ. ლიბიხი ელაპარაკება თავის წიგნში იმისთანა მკითხველებსა, რომლებსაც უსწავლიათ ხიმია. ჩვენ მოგვიხდება ბევრი ადგილების შეცვლა, ზოგან შემოკლება, ზოგან ახსნა და განმარტება..."("გუთნისდედა", 1863, № 4, გვ. 27-28; იხ., ასევე, ზემოთ).

იგივე პრობლემა იჩენს თავს ორიგინალური ქართული სამეცნიერო თხზულებების გაცნობისას. მაგალითად, 90-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში ("მოამბე", "მეურნე...) იბეჭდება ქართული ქიმიური ენის ფუძემდებლის - პროფ. ვ. პეტრიაშვილის ორიგინალური ნაშრომები მევენახეობა-მეღვინეობისა თუ მრეწველობის აქტუალურ საკითხებზე: "ღვინის დაყენება" (ვ. პეტრიაშვილი, 1894, № 1-12, II განყოფილება), "სითბო და მისი

სარგებლიანად მოხმარება მრეწველობასა და ოჯახში“ (ვ. პეტრიაშვილი, 1895-ა, № 7-10), “ლუი პასტერის ღვაწლი შესახებ ღვინის დაყენებისა“ (ვ. პეტრიაშვილი, 1895-ბ, № 26-30), “რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“ (ვ. პეტრიაშვილი, 1895-გ, № 1-3, II განყოფილება) და სხვ.; ნაშრომების ავტორი თავიდანვე მორიდებულად შეახსენებს მკითხველებს:

“წინადვე ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, თუ ჩემმა წერილებმა... ზოგიერთი არ დააკმაყოფილა ქართული ენისა და ტერმინოლოგიის მხრივ. ჩემის მხრივ, მე შეძლების დაგვარად ვცდილობდი, რომ ჩემი ნათქვამი ადვილად გასაგები ყოფილიყო“ (ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 3).

პრესის საშუალებით იგებს საზოგადოება აქამდე უცნობი ტერმინების შესახებ; არის აზრთა გაზიარებაც და ცხარე კამათიც ქართული სამეცნიერო ენის პრობლემებზე, ამოცანებზე, გეგმებზე (“შრომა“, 1882, № 46, გვ. 3); ამ პროცესში ყალიბდება ტერმინებზე მუშაობის მეთოდოლოგიაც (იხ. ზემოთ, პ. მირიანაშვილი, 1900, გვ. 2; ვ. ღამბაშიძე, 1892, გვ. 10-12...).

პირველად სწორედ ქართული პრესის ფურცლებზე ჩნდება სამეცნიერო ცნებათა ზუსტი შესატყვისების საწარმოებელი “ფორმულა“:

“საზოგადოდ, ტერმინის შექმნისათვის აუცილებლად საჭიროა ორი რამ: 1. უნდა კარგად გვქონდეს შესწავლილი ქიმიური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური ბუნება თვით სხეულისა და 2. ზედ მიწევნით უნდა ვიცოდეთ წმინდა ქართული: ხალხური და მეცნიერული, ძველი და ახალი. სხვა გზით ფონს ვერ გავალთ ვერასდროს“ (“განათლება“, 1914, № 6, გვ. 318 -319).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესა და პერიოდული გამოცემები საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ტერმინოლოგიის ისტორიისათვის. პრესის ფურცლებზე ჩნდება ინფორმაცია ტერმინოლოგიურ სიახლეებზე, იხვეწება სამეცნიერო ცნებათა ზუსტი შესატყვისების საწარმოებელი “ფორმულა“, აქტიურად შუქდება ენის შესახებ მიმდინარე

საეტაპო მნიშვნელობის დისკუსიები; ხდება ზემოქმედება საზოგადოების სწორმეტყველებაზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ეტაპზე, საკომუნიკაციო სივრცის გაფართოებასთან ერთად, კიდევ უფრო მწვავედ დგას ქართულ სწორმეტყველებაზე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით, რადიოსა და ტელევიზიის, ასევე სარეკლამო აფიშების, აბრებისა და წარწერების გავლენის საკითხი. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ქართული ენის გულშემატკივრებს. მიგვაჩნია, რომ პრობლემა მოსაგვარებელია რამდენიმე კუთხით:

I. მცდარ წარმოთქმასთან ბრძოლა. ხშირად გვესმის სხვადასხვა გადაცემისა თუ კონკურსის ორგანიზატორთა, ასევე რადიოსა და ტელევიზიის მოწვეულ სტუმართა მეტყველებაში ქართული წარმოთქმისთვის უჩვეულო ფორმები: **ნიღაბი, ფოლკლორი, აბსოლიტურად**... (შდრ.: "нюль", "фольклор", "абсолютно...) და სხვ.; ვითარებას ასევე ამძიმებს ახალგაზრდა მუსიკალური წამყვანების ინგლისურთან მიახლოებული მეტყველება, სიმღერების დასაწყისებისა და შემსრულებელთა ვინაობის უცხო წარმოთქმით უწყება მსმენელისა თუ მაყურებლისათვის.

მიზეზი გასაგებია: ერთ შემთხვევაში "საბჭოური სივრცის", კერძოდ რუსული ენის გავლენის კვალი, რომელიც "დაურღვეველ ერთა" "ძმურ კავშირზე" ბევრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა (ამ პერიოდს მოსწრებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის), მეორე შემთხვევაში – მსოფლიო ენათა შორის დაწინაურებული ინგლისურის მიმბაძველობა (ძირითადად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებული თაობისათვის), მაგრამ ეს სრულიად ვერ ხსნის პრობლემას.

სალიტერატურო ქართულისათვის ასევე მიუღებელია უცხო სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა გრამატიკული ენის

არმცოდნეთაგან: **რამინაცია,** შდრ.: **რეანიმაცია**; **ექსთეთიკა** შდრ.: **ესთეტიკა**; **გერენალური**, შდრ.: **გენერალური**; **არველოკი,** შდრ.: **ოვერლოკი**...

კარგა ხანს გვჭრიდა თვალს წარწერა სასადილოს შესასვლელზე თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში: "**ლენჩი** და სადილი ყოველდღე"...

II. სწორი გრამატიკული ფორმებით მხჭელობა. სარეკლამო არხებიდან ხშირად გვესმის არასწორად ნაწარმოები ფორმები: **დარეგისტრირება**, **დარეგისტრირდით** (შდრ.: **რეგისტრირდით/გაიარეთ რეგისტრაცია**).

უცხო სიტყვათა ლექსიკონში დასტურდება პარალელური ტერმინები: **რეგისტრაცია** (< ლათ. **registrum** სია), რომელიც სრული სესხების ნიმუშია (უცხო ძირი + უცხო აფიქსი) და შერეული (უცხოურ-ქართული **-ირ+-ება**) აფიქსების კომბინაციით მიღებული **რეგისტრირება** (იქვე, გვ. 427). ამ ფორმაზე **და-** ზმნისწინის დართვა ზედმეტია, რადგან ტერმინი, მის გარეშეც, დამოუკიდებელი ცნების შესატყვის ფორმას წარმოადგენს. ანალოგიურია **რეგულაცია / რეგულირება (<** ლათ. **regulo** ვაწესრიგებ - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 428) და პარალელურად გააქტიურებული უმართებულო ფორმა **დარეგულირება.** სწორია ვითარების **რეგულაცია / რეგულირება** და არა **და-(მო) რეგულირება**.

არასწორი წარმოების ნიმუშებია, ასევე: **პროგრესირება** და **რეგრესირება**; შდრ.: **პროგრესი** (< ლათ. **progressio** წინსვლა), **რეგრესი** (< ლათ. **regressio** უკუსვლა უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 409, 428.

III. ნასესხები ტერმინების გააზრებულად გამოყენება. გაუმართლებელია უცხო ტერმინის სესხება მისი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად. ამის მაგალითია ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის ბოლოს ჟურნალისტის მიმართვა მოწვეული სტუმრებისადმი: "გთხოვთ, მხიარულ **ნოტზე** დავამთავროთ ჩვენი საუბარი!"

ნოტი < ლათ. **nota** [ნიშანი] მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანია, ან თვით ბგერა მუსიკაში, სიმღერაში (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 343); შდრ.: **ნოტა** (იმავე ლათინური სიტყვიდან) ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი (იქვე).

ლოგიკურად გაუმართლებელია მრავლობითის ფორმით დამკვიდრებული **აპლოდისმენტები და ოვაციები**.

შდრ.: **აპლოდისმენტი** < ფრანგ. **applaudissement** ტაშისკვრა, ტაში რისამე მოწონების ნიშნად ან მისალმების გამოსახატავად (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 48); **ოვაცია** < ლათ. **ovatio** - მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 347).

აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიუღებელია სიტყვათშეხამება **მქუხარე ოვაციები/ აპლოდისმენტები**. ანალოგიურ შემთხვევას წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდის ქართველი საზოგადოების მეტყველებაში რუსულის გავლენით გავრცელებული **კურანტები**; მაგალითად, **კრემლის კურანტები**. შდრ.: **კურანტი** < რუს. **куранты** < ფრანგ. **courant** [მიმდინარე] კოშკის ან კედლის ძველებური საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს; ასეთი საათის მუსიკალური მექანიზმი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 267).

სესხება, ბუნებრივია, არ ნიშნავს უცხო სახელწოდების უცხო ორთოგრაფიითვე გადმოტანას ქართულ წარწერაში, როგორც ეს შევნიშნეთ "ვოგის" ფირმის მაღაზიების აბრაზე; შდრ.: **VOGG - ვოგგ**. ვემყარებით სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ დებულებას, რომ უცხო წარმომავლობის სიტყვებში ორი თანხმოვნიდან ერთი უნდა დარჩეს: პრე**ს**ა და არა პრე**სს**ა, შდრ.: რუს. **пресса**, ფრანგ. **presse**... (არნ. ჩიქობავა, 1998, გვ. 17-18; შდრ.: კ. გამსახურდია, 1985, გვ. 264).

IV. ბარბარიზმების ალკვეა. მოსაგვარებელია "შემოჩვეული", ე.წ. **სამუშაო ტერმინების** საკითხი. "იმედის" ფსონის გადაცემებით დაინტერესებულ პირებს, ალბათ, არც გაუკვირდებათ პროფესიული მეტყველების ისეთი "მარგალიტები", როგორიცაა: **ადინ-X**, **დაგრუზული თამაში, ნიჩია არ დაჭდა, უგოლიანი მატჩი ჰყავს**... ასევე ეკონომიზმითა და სისხარტით "გამორჩეული" ფრაზა: **მოიგო გახვლაზე** და სხვ.

როგორც ვხედავთ, დღესაც მნიშვნელოვანია ქართული მეტყველების უცხო ფრაზებისა და კონსტრუქციებისაგან განთავისუფლება. ერთ-ერთი სატელევიზიო არხის სტუმარმა ცხარე კამათში წარმოთქვა: **მე ადარ გავმეორდები**, ანუ აღარ გავიმეორებ ჩემს ნათქვამსო. ანალოგიურია: **ადარ გავიცრცობი** (?!) ასევე ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს ფრაზას: "მე **გარ** საზოგადოებისათვის **ცნობადი**" წინადადებაში აზრი ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი პასიური კონსტრუქციით არის გადმოცემული, როცა იგივე შედეგი უკვე ტრადიციულად მიღწეულია ქართული ობიექტური წყობის ზმნა-შემასმენლით; შდრ.: "მე **მიცნობს** საზოგადოება".

ქართულისათვის ასევე უცხოა: **ბათდენობაში ადარ არის** (შდრ.: **გათავდა**), **ჩემს მოლოდინში არ იყო** (შდრ.: **არ ველოდი**), **დავიწყოთ სანდირება** და სხვ.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხოლოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება ქართული ენისთვის მიუღებელი ფორმებისა და კონსტრუქციების ნაკადი. ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ პრობლემის ურთიერთშეკცევად მხარეებზე, რასთანაც განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ტელე/რადიოწამყვანებსაც და რიგით მოქალაქეებსაც.

2.4. ტერმინთქმნადობა ტრადიციული მოდელების მიხედვით

ტერმინთქმნადობის პროცესში "ყველაზე თავსამტვრევ საგანს" წარმოადგენს სიტყვაწარმოება (ა. შანიძე, 1987), რომელიც, საკმაოდ პროდუქტიული საშუალებაა ახალ ცნებათა ზუსტი შესატყვისების შესამუშავებლად. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო დასკვნების საფუძველს მოგვცემს XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომების დაწვრილებით შესწავლა.

როგორც ცნობილია, "ილია ჭავჭავაძე ქართული ენის მორფოლოგიურ საშუალებებს მაქსიმალურად იყენებდა ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის გასამდიდრებლად" (გ. შალამბერიძე, 1966, გვ. 313); დადგენილია მისი სიტყვაწარმოების დაახლოებით ოცდაათამდე თავისებურება" (იქვე, გვ. 192-312).

ტერმინთსაწარმოებელი მასალა, რომელსაც ილია იყენებს, არაერთგვაროვანია; გამოიყოფა ორი ჯგუფი: ქართული და უცხოენოვანი.

2.4.1. ქართული ფუძით ნაწარმოები ტერმინები. მწერლის პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილია სხვადასხვა ყალიბით ნაწარმოები მრავალდარგოვანი სემანტიკური ჯგუფები. გარკვეულ შემთხვევებში წარმოების ერთი ტიპია გააქტიურებული; ეს ცხადყოფს, რომ ილია დაინტერესებულია სპეციალური ლექსიკის სისტემატიზებით, თუმცა უფრო ხშირია შემთხვევები, როცა იგი მერყეობს ყალიბის შერჩევისას, **ხშირი ცნების ზუსტი შესატყვისის ძიებაშია** - არ კმაყოფილდება მხოლოდ ერთი ტიპის წარმოებით და პარალელურად სინონიმური მნიშვნელობის სხვა ფორმებსაც იყენებს. მაგ.:

ა) ყალიბი სხვადასხვაა, ძირი ერთია:

მშრალობა - სიმშრალე

იეფობა - სიიეფე

ყალბობა - სიყალბე

სველობა - სისველე
ჭარბობა - სიჭარბე
სასტიკობა - სისასტიკე
მეღალე - მოღალე
მესაკუთრე - მოსაკუთრე
ღირებულება - ღირებულობა
ცილება - ცილობა
განკარგულება - განკარგულობა
სასყიდი - სასყიდელი
გადასახადი - გადასახდელი
შემონათვალი - ნათვალევი
კერძოობრივი - კერძოობითი
თემობრივი - თემობითი - სათემო
ზნეობრივი - ზნეობითი
ნამოქმედი - ნამოქმედარი
ნაკეთი - ნაკეთარი - ნაკეთები
ხელთქმნილი - ხელთნაქმარი
ფეხით - ფეხქვეშ (წურვა)

აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო სურათს ქმნის ნაწარმოები ტერმინებისა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა მსაზღვრელი ნაწილების შეპირისპირება:

მსესხებელი - სესხის მიმცემი
მევენახე - ვენახის გამკეთებელი / მომყვანი
მოჭირნახულე - ჭირნახულის მომქმედი

ბ) უალიბი სხვადასხვაა, ძირები ხინონიმებია:

მფლობელობა - კუთვნილება
ერთნაირობა - მსგავსება
მეურნე - მოწარმოე
მექომაგე - მოსარჩლე
ამღები - მრთმეველი
მიმცემი - მძლეველი
მომქმედი - მშრომელი
მკვლევარი - მსწავლული - გამომძიებელი

გამოსარჩენი - სარგებელი
საშინაო - ჩვენებური (ბაზარი)

გ) უალიბი ერთია, ძირები ხანონიმებია:

კანონიერობა - რჯულიერობა
კანონმდებელი - რჯულმდებელი
მეწინააღმდეგე - მეპირდაპირე
მოწარმოე - მოჭირნახულე
მოდავე - მოცილე
ნაამაგევი - ნაჭირნახულევი
ნაკეთები - ნაწარმოები
განაჩენი - დანადგენი
საშროში - საღვაწი
სასამართლო - სამსაჯულო - სამსჯავრო
საგარეო - სამეზობლო (ბაზარი)
საოჯახო - საშინაო (მეურნეობა)
(მიწის) მწარმოებელი - მშრომელი
(ღვინის) მკეთებელი - დამყენებელი
(სოფლის) მეურნეობა - მრეწველობა
გადაჭრილი - გადაკვეთილი (ღალა)
შეურეველი - შეუკეთებელი (ღვინო)

დ) უალიბიც და ძირიც, ფაქტობრივად, ერთია, თუმცა ფორმას ჯერ კიდევ არა აქვს საბოლოო სახე მიღებული; შდრ.:

მევენახეობა - მევენახობა (/ მებაღობა)
არ-ქონება - არ-ქონვა
არ-მყოფობა - არ-ყოფა
მომხმარებელი - მხმარებელი
გასამრჯელო - საგამრჯელო
ნაწევარი - ნაწევრი
გამორჩენა - გამორჩომა
ნაკლებობა - ნაკლებულობა
წესდება - წეს-დებულება
(ღვინის) დაწმინდავება - დაწმენდა

ანალოგიური ვითარება შეინიშნება რუსულენოვანი მასალის გადმოქართულების დროსაც; შდრ.:

Скотоводство პირუტყვთშენება/პირუტყვთმოშენება/ პირუტყვთმოშენეობა;

Земледелие - მიწათმოქმედება/მიწის მოქმედება.

ე) დასტურდება ორმაგად ნაწარმოები ფორმები, სადაც - **ობა** სუფიქსი ზედმეტია (ეს მოვლენა, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ ილია -**ობა** სუფიქსიან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას გარკვეული რიგის ფორმებთან). შდრ.:

თესლეულობა - თესლეული
მარცვლეულობა - მარცვლეული
ბოსტნეულობა - ბოსტნეული
ნერგეულობა - ნერგეული
ხილეულობა - ხილეული
ბამბეულობა - ბამბეული
მამეულობა - მამეული (შდრ.: მამაპაპეული)
სამეულობა - სამეული

ვ) ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარაა ნაწარმოები და მარტივი ფუძეების მონაცვლეობა:

ქომაგი - მექომაგე
სესხი - ნასესხი
ღვაწლი - ნაღვაწლი
დავა - ნადავი
კამათი - კამათობა
მუდარა - მუდარება
ყალბი - გაყალბებული (ღვინო)
ვენახის - ვენახობის (საქმე)

ზემოაღნიშნული მოვლენები კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ილიას ტერმინოლოგია ქმნადობის პროცესშია; დუბლეტებისა და სინონიმური წყვილების არსებობა სპეციალური ლექსიკის ჩამოყალიბების პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

2.4.2. რუსული ტერმინების მიხედვით შექმნილი ქართული ტერმინები. ბუნებრივია, რომ უცხოენოვანი მასალა, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის შემოვიდა სალიტერატურო ქართულში, არ იყო ერთგვაროვანი და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებდა, რომ არ დაემძიმებინა სამწიგნობრო ენა.

ილია ჭავჭავაძემ თეორიულად ჯერ კიდევ "მამათა" და "შვილთა" შორის გამართულ პოლემიკაში დაასაბუთა ენისთვის "საჭირო" და "არასაჭირო" უცხო სიტყვებს შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობა, ხოლო პრაქტიკულად თავის ტერმინოლოგიურ სიტყვათშემოქმედებაში გამოკვეთა მართებული პოზიცია, ერთი მხრივ, რუსულიდან მომდინარე ლექსიკის, მეორე მხრივ, საერთაშორისო ტერმინოლოგიისადმი; კერძოდ:

- **რუსულენოვანი მონაცემების მხოლოდ და მხოლოდ თარგმნა**;

- **საერთაშორისო ტერმინოლოგიის თარგმნა** და **სესხება** (სესხებასთან დაკავშირებით, იხ. ქვემოთ).

უცხოენოვანი მასალის თარგმნისათვის ილია იყენებს ორ მეთოდს:

I. ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან მზა შესატყვისებს იძიებს; მაგალითად: **Цена - ფასი, რენტა - ღალა** (იხ., ზემოთ).

II. ქართული ძირეული მასალისა და სიტყვაწარმოებითი საშუალებების კომბინაციით ქმნის ახალ ტერმინებს.

ბუნებრივია, ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ყველა ილიას შემუშავებული ვერ იქნება, რასაც მოწმობს მწერლის პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული მასალის სხვა წყაროებთან შეპირისპირებაც. ამ მიმართულებით ვვარაუდობთ კვლევის გაგრძელებას, აქ კი დავძენთ, რომ მოცემული სიტყვა-ტერმინებიდან გარკვეული ნაწილი სწორედ ილია ჭავჭავაძის წერილების მეშვეობით გახდა ცნობილი.

საანალიზო მასალა ცხადყოფს, რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს აღნიშნულ პერიოდში ქართული სამეცნიერო ენის ლექსიკური ბაზის შესავსებად. ამ მხრივ, მართლაც სანიმუშოა ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედება. მწერალი ბოლომდე ეძიება მის ხელთ არსებულ წყაროებს, აკვირდება ძველ მწიგნობართაგან გამოყენებულ ტრადიციულ სიტყვაწარმოებით საშუალებებს კონკრეტული სამეცნიერო ცნებისათვის შესარჩევად; ამავე დროს, ეცნობა ქართველ და ევროპელ სწავლულთა გამოკვლევებს სამეცნიერო ცნების სიზუსტის დასაცავად. მაგალითად, მეღვინეობის ეტაპების განხილვისათვის, რამაც წამოჭრა ქიმიური ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხი, ილიამ საგანგებოდ შეისწავლა ფრანგ მკვლევართა ნაშრომები. მსჯელობისას იგი ხშირად შენიშნავს, "როგორც მეცნიერები უწოდებენო," ან იმოწმებს კონკრეტულ ავტორებს. ესენი არიან: "ქიმიკოსი შანტალი", "დოქტორი ლუდვიგ გალი", "გამოჩენილი პასტერი", "გამოჩენილი ქიმიკოსი საფრანგეთისა ჟირარი", "მეცნიერი ღვინის მკეთებელი ტარდანი", "სწავლული რენუ", "მეცნიერნი: პეტერკოფერი, ფორსტერი და ჰილგერი" და სხვანი (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 81, 98, 100, 135, 182...).

პროფ. რ. ნიკოლაძის მოგონებაში: "პროფ. ვ. პეტრიაშვილი და თერგდალეულები" დაცულია ცნობა, რომ ჟურნალ "მოამბეში" ვ. პეტრიაშვილის ნაშრომების ბეჭდვის დროს ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი "ხან ილიასთან, ხან აკაკისთან ერთად არჩევდნენ "ოდესის ბრძენის" (ვ. პეტრიაშვილის - ი.ვ.) ხან ერთ, ხან მეორე ახალ ტერმინს და იგონებდნენ ვ. პეტრიაშვილის მიერ მათთვის მიცემულ დარიგებას სახელების სისტემატიურ შერჩევაზე, სიტყვების შემთხვევითი შეთხზვის ნაცვლად" (რ. ნიკოლაძე, 1950, გვ. 72). მოტანილი ნაწყვეტი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ი. ჭავჭავაძისა და პროფ. ვასილ პეტრიაშვილის შესაძლო ურთიერთობაზეც. ამ ვარაუდს უფრო მეტად ამყარებს მათი ტერმინების სიახლოვე (ი. ვაშაკიძე, 1991, 214-215).

ა) ოფიკური წარმოების ტერმინები:

Кислота - მჟავა

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, "ტერმინი ძმრის მჟავე გემოთია წარმოქმნილი: ლათინურად **acidus** - მჟავე, **acetum** - ძმარი; ბერძნულად **oxys** - მჟავე, **oxos** - ძმარი; აქედან რუსულად **уксус** (რ. ნიკოლაძე, 1950, გვ. 172-173).

შდრ.: "**ძმარი - ღვინო მყვირტლე**", "**მოძმარებული**, ანუ **ქმახი**" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 354, 397); "**მყვირტლე / მყურტლე - გარდარეულება მჟავისა**" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 537). იხ. ასევე: ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 442; დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1620.

მჟავას ილია ჭავჭავაძე იყენებს ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში ან კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად (**ხალიცილის მჟავა**, **ნახშირმჟავა**). გარკვეულ შემთხვევებში მას ანაცვლებს პარალელური ფორმებით: **მჟავე**, **ხიმჟავე**; მაგ.: **ფოსფორ-მჟავე, მჟავე კირი**... (ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 75-76). თითქმის იგივე შესატყვისობები დასტურდება XIX საუკუნის 60-70-იანი წლების პრესაში; მაგ.: **მჟავე** ("გუთნისდედა", 1864, № 4, გვ. 30), **ხიმჟავე** ("გუთნისდედა", 1875, № 1, გვ. 5), **მჟაველი** ("გუთნისდედა", 1862, № 11, გვ. 79), **ძმარა / ქმახი** ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 3, გვ. 4).

ყველა ჩამოთვლილ ტერმინს ერთი საერთო ნაკლი აქვს; კერძოდ,"გამოხატავენ განყენებულ თვისებას და არა ნივთიერების ერთ-ერთ სპეციფიკურ სახეს" (რ. ნიკოლაძე, 1950, გვ. 172-173). ამ ნაკლზე მიუთითებდა ჟურნალი "გუთნისდედაც":

"[მკითხველს]... არ უნდა ეგონოს, ეს **ხიმჟავენი** გემოთიც **მჟავენი** არიან ყოველთვისა. **ხიმჟავეებს** მეცნიერებაში ეტყვიან რამე ნივთეულის [ნივთიერების - ი. ვ.] ნახადს, გადასხვაფერებას, ნახალისევს რისამე" ("გუთნისდედა", 1875, № 13, გვ. 3).

პროფ. რუსუდან ნიკოლაძის მითითებით, **მჟავა** პროფ. ვ. პეტრიაშვილის მიერ შემუშავებული ტერმინის საბოლოო რედაქციას წარმოადგენს, მაგრამ პირველად იგი სწორედ ილია

ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში დასტურდება. -ა სუფიქსს აღნიშნულ ფორმაში მასუბსტანტივებელი ფუნქცია აკისრია, რის გამოც **მჟავა** არ იმეორებს პარელელურ შესატყვისობათა ნაკლს. მიუხედავად აღნიშნული უპირატესობისა, **მჟავა** ვერც XX საუკუნის 10-იან წლებში იქცა ქიმიური ტერმინოლოგიის კუთვნილებად. ამას მოწმობს ილ. ალხაზიშვილის კრიტიკული წერილი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ "განათლების" 1914 წლის მე-5 ნომერში. ერთ-ერთი შენიშვნა წერილის ავტორისა ეხება **მჟავეს** გამოყენებას რუსული **Кислота**-ს შესატყვისად:

"**მჟავე - Кислота.** ჯერ ერთი, რო მჟავე რუსულად არის **кислый**. მეორეც ესა, ვისაც ჩემოდენად უმუშავნია ქიმიური ტერმინების თარგმნაში, ყველა დამეთანხმება, რომ ქიმიური რთული სხეულის აღსანიშნავად აუცილებელი საჭიროებაა ვიხმაროთ ტერმინი **მჟავა**. ეს ტერმინი ქართული ენის ბუნებასაც ეთანხმება და სხეულის ქიმიურ ბუნებასაც" (იქვე, გვ. 400)

ჟურნალის იმავე წლის მე-6 ნომერში ჯერ კიდევ სტუდენტი ვასილ კაკაბაძე თავის სტატიაში: "წყალი და მისი გაწმენდის საშუალებანი" **მჟავეს** იყენებს **მჟავას** ნაცვლად, მაგალითად: **ნახშირმჟავე გაზი, საშუალო ნახშირმჟავე მარილები** ("განათლება", 1914, № 6, გვ. 417-418); იქვე, ე. ალშიბაია წერილში: "ცოტა რამ ქიმიურ ტერმინებზე", იწუნებს რა ტერმინ **ხიმჟავეს,** საჭიროდ თვლის, დაინერგოს ტერმინი **მჟავი** ("განათლება", 1914, № 6, გვ. 467).

ახალი ტერმინისადმი შენივევის ფაქტორთან დაკავშირებით, საინტერესოა პროფ. რ. ნიკოლაძის პოზიცია. იგი **მჟავას**, "ცოტა არ იყოს, არაქართულად გაფორმებულ დასახელებად" მიიჩნევს, თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება ქართული ენის ლექსიკიდან (ჩამოთვლისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ). დღეს ქიმიურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულია **მჟავა.**

Порошок - ფხვნილი

ილია ჭავჭავაძის წერილების მიხედვით, **ფხვნილი** ტერმინოლოგიური შესიტყვების ნაწილია, მაგალითად: **ძვლების ფხვნილი**, **ფხვნილი მარმარილო**... (ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 77). შდრ.: **порошок** - ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 170 .

დ. ჩუბინაშვილთან მითითებულია ანალოგიური წარმოების **ფშუნა-ფშვნილი** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1322). 60-იანი წლების პრესაში, ხოლო მოგვიანებით პროფ. ვ. პეტრიაშვილის ნაშრომებში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ცქვილი**: **ძვლის ცქვილი** ("გუთნისდედა", 1862, № 21, გვ. 136), **ოსტეოლის ცქვილი** (ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 330). ტერმინ **ცქვილს** იყენებს, ასევე, ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის საორიენტაციო ჯგუფის წევრი ვ. კაკაბაძეც (ვ. კაკაბაძე, 1914).

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ აზრის თანახმად, მიმღეობას, ისევე როგორც ზედსართავ სახელს, შეუძლია იტვირთოს ტერმინის ძირითად ფორმის არსებითი სახელის ფუნქცია. **ფხვნილი -ილ** სუფიქსიანი მიმღეობაა (შდრ.: **და-ფხვნ-ილ-ი**), რომლის გასუბსტანტივებაც, ვფიქრობთ, დასრულდებოდა ზმნისწინის, ანუ მადინამიკურებელი (მოქმედების მიმდინარეობაზე მიმანიშნებელი) ელემენტის ჩამოცილებით. ეს ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა ქართულ სიტყვაწარმოებაში, რომლის არაერთი მაგალითიც შეიძლება მოვიძიოთ ქართული ლექსიკიდან.

საერთო-ქართველურს დაშორებულ იმერხეულ დიალექტში დღესაც თავისუფლად შეგვიძლია დავაკვირდეთ მიმღეობური ფორმების ტერმინოლოგიზაციის საფეხურებს; მაგალითად: **მი-თრე(ვ)-ულ-ი** ფხალეულით მომზადებული კერძი (შდრ.: "მხალი ნიგვზიანი" ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 498); **გამი-ჭ-ულ-ი** - პატარა გამოქვაბული; **გა-ბძგარ-ულ-ი** - პატარა ნაპრალი; **გა-მდნ-არ-ი** - ყველითა და კარაქით მომზადებული კერძი; შდრ.: **ფშვნ-ილ-ა** იმერხეული ყველი. პირველი ოთხი მაგალითი სრული მიმღეობური ფორმაა, ბოლო მაგალითი კი საყურადღებოა ტერმინოლოგიზაციისათვის დამახასიათებელი

ორი ნიშნით: 1. ჩამოშორებულია ზმნისწინი (**და-**); 2. ფუძეზე დართულია მასუბსტანტივებელი **-ა** სუფიქსი.

Отвлечённый - წარტოლვილი

არსებული ლექსიკოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ილიამ აწარმოა ახალი ლექსემა. შდრ.: **ლტოლვა გარდახვე(წ)ნა** (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 423); **გაქცევა, გარიდება, გარდახვეწა, бежать, убегать** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 261); **წარლტოლვა - бежать** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1648); **Отвлечённый განუყენებული** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 436).

Сход — სოფლობა

შდრ.: **სოფლობა - სოფელში მცხოვრებნი; обитатели деревни** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1191). ლექსემას ილიასთან ახალი სემანტიკური დატვირთვა აქვს. 70-იანი წლების პრესაში ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება **Мирский сход — სახოფლო კრება** ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 6, გვ. 1), თანამედროვე ტერმინოლოგიით: **სათემო ყრილობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 315). დღეისათვის ეს მნიშვნელობა მოძველებულია. შდრ.: **Сход -** (ძვ.) **ყრილობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 746). იხ. ასევე, ქვემოთ: **სახოფლო თემობა.**

Земство — ერობა;

შდრ.: **ყრილობა** ან **თვისება ერისა, народност, нація** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 496); (ისტ.) **ერობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 496). მონაცემები იდენტურია.

Народность — ეროვნობა

შდრ.: **ეროვნება, თვისება ერისა, Народность** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 496); **ხალხი, ერი, ეროვნება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 345). ილია განსხვავებულად აწარმოებს ფორმას. იგივე ითქმის მომდევნო მაგალითზეც:

Половинчество — მონახევრობა

შდრ.: **მონახევრეობა, ნახევარში წილის ქონება, участіе в половинной дозе** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 826); **Половинчатость - ნახევრულობა, ნახევრობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 531).

Хозяйство — მეურნეობა

მეურნეობა: 1. მოურნეობა, მზრუნველობა, **попеченіе, опека**; 2. "მეურნეობა მიწისა, **сельское хозяйство**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 709-710). თანამედროვე სალექსიკონო მონაცემების მიხედვით, ძირითადია სიტყვის მეორე მნიშვნელობა (ქეგლ-ი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 209-210; რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 821). აღნიშნულ ლექსემაში სწორედ ეს მნიშვნელობა წამოწია ილიამაც.

Самоуправление — თვითმმართველობა

შდრ.: **თვითმმართებლობა** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 561). **-მმართებლობა** მომდინარეობს **-მმართებელისგან (/მთავარ(მ)მართებელი)**, რომელიც მოგვიანებით **მმართველმა** შეცვალა. პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული ფორმა სწორედ ამ ცვლილებას ასახავს. დღეს მიღებულია **თვითმმართველობა** (ქეგლ-ი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 435; რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 567). ილიას შემუშავებული ფორმა თანამედროვე სალექსიკონო მონაცემის იდენტურია. იგივე ითქმის მომდევნო მაგალითზეც:

Отрицание - უარყოფა / უარმყოფელობა

შდრ.: **უარის-ყოფა** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 152); **უარის ყოფა, უარის ქმნა** - განგდება, ხელის აღება, **отвергать, отрекаться** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 382); **უარის ყოფა, უარობა, отрицать, отрицаніе** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1235); **უარყოფა, უარის თქმა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 448).

Замкнутость - კარშეკეტილობა / შინშეკეტილობა

შდრ.: 1. **კარნაკეტილობა,** 2. **გულხათხრობილობა**... (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 186). ლექსემა არ დასტურდება საბასთან, ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან. ილიასეულ წარმოებასა და თანამედროვე სალექსიკონო მონაცემს შორის ნიუანსობრივი განსხვავებაა, **შე-** და **ჩა-** ზმნისწინების სემანტიკიდან გამომდინარე (ა. შანიძე, 1980, გვ. 243-244).

Весь уклад — შინაგან-გარეგნობა

არც ეს სიტყვა დასტურდება აღნიშნული პერიოდის ლექსიკონებში. რუსული ლექსემის შესატყვისად სხვა ფორმებია გამოყენებული: **წყობა, წყობილობა, რიგი, წესი, წესიერება, порядок, - строй, стройность** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1700); შდრ.: **уклад: წყობილება, წყობა, ყაიდა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 788).

Обмен - ალებ-მიცემობა (/ ალებ-მიცემა)

შდრ.: **ალებ-მიცემა გაჭრობა, მოვაჭრულობა, торговля коммерческая, торговый оборот** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 62); **ცვლა, გაცვლა, გამოცვლა, გაცვლა-გამოცვლა**... (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 392).

ილიასა და დ. ჩუბინაშვილის მონაცემები იდენტურია, მაგრამ განსხვავდება თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან. 70-იანი წლების პრესაში დასტურდება სამეცნიერო ენასთან უფრო მისადაგებული შესიტყვება: **Обмен вещей** — ნივთეულთა **ცვლა** ("გუთნისდედა", 1875, № 15, გვ. 2).

Направление - მიმართულება

შდრ.: **მიმართ — მიხკენსავით** (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 482); **მიმართება** პირისპირ მისლვა სწრაფად, **устремлятся, напралятья** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 282); **მიმართებულება** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 736); 1. მიმართვა, წარმართვა, მიბრუნება, გაგზავნა. გადაცემა; 2. **მიმართულება, გზა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 343). ილიასეული წარმოება თანამედროვე სალექსიკონო მონაცემის იდენტურია.

Требование - მოთხოვნილება

შდრ.: **მოთხოვა** - შეკვეთა, თხოვა ბრძანებით, **требовать, потребовать** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 289); **მოთხოვა, -ვნა** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 799); 1.**მოთხოვნა, საჭიროება**; 2. **მოთხოვნილება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 767).

აშკარაა, რომ რუსული ლექსემა ორ განსხვავებულ მნიშვნელობას ითავსებს. ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან მხოლოდ ერთზეა მინიშნება - **მოთხოვ(ნ)ა**; არ არის გათვალისწინებული მეორე მნიშვნელობა, რომელიც განსხვავებული წარმოებით ილიასთან დასტურდება - **მოთხოვნ-ილ-ება**. ამდენად, ილიას მონაცემი საინტერესოა სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისა და ლექსიკოლოგიური მასალის შევსების თვალსაზრისითაც. იგივე ითქმის მომდევნო ფორმაზეც:

Сословие - წოდება

შდრ.: **წოდება** - დაძახება, ხმობა, **призвать, воззвать** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 453); **звание** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1692); 1. **сословие**, 2. **звание**... (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 316).

Право - მართლიერება / რჯულიერება

შდრ.: **სამართალი** - (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 39); სჯა, მიგება ღირსებისაებრ, **суд, право** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 346); **законодательство, право** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1086); 1. ნაირმნიშვ. უფლება; 2. **სამართალი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 556). ილია განსხვავებულად აწარმოებს ფორმას.

Ценность - ღირებულება

შდრ.: **ღირება** - ფასის დადება (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 251); ფასის დადება, ანუ შევაჭრება, შეძლევა (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 411); **ღირებულება - стоимость, ценность** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1362); 1. **ფასი, ღირებულება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 827). მონაცემები იდენტურია.

Верование - რწმუნება

შდრ.: **რწმუნება, რწმენა** - დაჯერება (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 19); **რწმუნება** - დაჯერებინება ანუ შეჯერიება **уверять, уговаривать**; **რწმუნვა** - დაჯერება, **верить, веровать** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 337); **რწმენა - веровать, верить; რწმუნება - уверение, вера** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1047); **Верование, Вера - რწმენა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 62). ილიასეული ვარიანტი განსხვავება თანამედროვე სალექსიკონო მონაცემებისაგან.

Соперничество - ცილება/ცილობა (კონკურენცია)

შდრ.: **ცილება** - ორნი რომელ ირჩოდეს (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 336); ცილობა, შეცილება (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 435); **ცილება/ცილობა - დავა/დავობა, спор** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1594); **მეტოქობა - соперничество;** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 709); **მეტოქეობა, მოცილეობა, მეტოქეობის გაწევა, გაჯიბრება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 714). ილიასეული ვარიანტი განსხვავება თანამედროვე სალექსიკონო მონაცემებისაგან.

Скотоводство ბირუტყვთშენება/ბირუტყვთმოშენება /ბირუტყვთმოშენეობა

შდრ.: **ხაქონლის მოშენება** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1132); **მესაქონლეობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 692). ილიასეული ვარიანტი განსხვავებულია. იგივე ითქმის მომდევნო მაგალითზეც:

Земледелие - მინათმოქმედება / მინათმოქმედობა / მიწის მოქმედება, შდრ.: **მინათმოქმედება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 207).

პროფ. ზ. ჭუმბურიძე ტერმინის ერთ-ერთ შესატყვისად მიიჩნევს **მიწის შემუშავებასაც** (ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 3). ამ უკანასკნელის სინონიმური ფორმებია **მიწის მუშაობა/კეთება**, რომლებიც ხშირად დასტურდება XIX საუკუნის II ნახევრის

პრესაში ("გუთნისდედა", 1862, № 2, გვ. 54; 1963, № 1, გვ. 4; № 15, გვ. 158; "სასოფლო გაზეთი", 1870, № 2, გვ. 6...). აქვე მითითებულია, რომ შესიტყვების რუსული პირველწყაროა **Земледелие** ("დროება," 1867, № 38, გვ. 3).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მოხდა განსხვავებული მნიშვნელობის ტერმინთა აღრევა. დავიმოწმებთ კონტექსტს ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან; კერძოდ, მევენახეობის საკითხებზე მსჯელობისას ილია მიუთითებს:

"**მიწის კეთება** ვენახისათვის - ბარვა და თოხნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა დაწვენა და დამუხლვა ვაზისა" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 79).

ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში დასტურდება მთელი ჯგუფი ტერმინოლოგიური შესიტყვებებისა, რომელთათვისაც საერთოა **მიწის კეთება** და უკავშირდება **მიწის დამუშავებას** (ბარვას მოხვნას...). იგივე შესიტყვება დასტურდება ძველ წერილობით წყაროებსა და დიალექტებში (ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 55-57), რაც მის ტრადიციულობაზე მიუთითებს. ანალოგიური წარმოების მაგალითებია: **ვენახების შემუშავება/მუშაობა** (ივ. ჯავახიშვილი, 1934, გვ. 326), **ვენახების დამუშავება** (ი. ნანობაშვილი, 1960. გვ. 76), **აბრეშუმის შემუშავება** ("სასოფლო გაზეთი", 1872, № 4, გვ. 33)...

მიწის შემუშავება/ მუშაობა/კეთებისაგან განსხვავებით, გაცილებით ფართო მნიშვნელობისაა ტერმინი **მიწათმოქმედება**, რომელიც არამხოლოდ კონკრეტულად მიწის დამუშავებას, არამედ მიწასთან დაკავშირებულ მეურნეობასაც გულისხმობს.

Промышленность, производство - ხელობა-მოქმედება

შდრ.: **ველი-მოქმედება** - "ყრმანი მკურნალთანი **ველი-მოქმედებად** უწოდენ, მკურნალნი რაჲ ჴელსა შეახებდენ სნეულთა" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 436).

მოქმედება - ხელის ქნა (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 509); **წარმოება ხელისა** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 295); **მრეწავი** -

ჯელფასის ამღებელი (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 519); მომგები ხელფასითა, ანუ სამუშაოთი, работник, **промышленник** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 299); **მრეწველობა - Промышленность, წარმოება - производство** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 896, 1651; იხ., ასევე, რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 593, 589). როგორც ჩანს, ილიამ რუსული ტერმინების ქართული შესატყვისი ს.ს. ორბელიანის ერთი მონაცემის მიხედვით შეიმუშავა; თანამედროვე ტერმინოლოგია კი სხვა მონაცემების საფუძველზეა განვითარებული.

Влияние - კეთილმოქმედება / ზედმოქმედება / გავლენა

შდრ.: **გავლენა** - სიტყვის გაყვანა (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 129); შესმენა, აღსრულება, **внять, уважать** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 159); **ზედმოქმედება, გავლენა** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 146); **Влияние - გავლენა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 72). მონაცემები იდენტურია.

Вычитание - გამოთვლა

გამოთვლა "(ვთვლი, ვთვალე), გამოვიანგარიშებ, **вычислять, вычитать**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 170). შდრ.:**Вычитание - გამოკლება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 110). ილიასა და დ. ჩუბინაშვილის მონაცემები იდენტურია, მაგრამ განსხვავდება თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან.

Спрос и предложение - აღება და მიცემა

აღება, როგორც სალექსიკონო მონაცემებიდან ჩანს, პოლისემიური სიტყვაა. შდრ.: "უსულოთ ზე ახმა"; "პირთ ახმა, გინა ვალის აღება, გინა ციხის გამოხმა" (ს.ს. ორბელიანი, 1991, გვ. 76); "აზიდვა, მოსმა ხელის დავლებით, брать, принимать, / გამორთმევა სხუათგან ხელდახელ ანუ გამოგზავნით, взимать, брать, получать/მოგროვება,აკრეფა, брать, сбирать, прибирать, подбирать / აღება პირისა, ე. ი. გაღება, განხმა, отверзать (уста) (ნ.

ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 142); 1. бранис, **აღებანი** ან **აღების დღე ან დამე**, მარხვის შემოსვლის წინა დღე; 2. **აღებ-მიცემა**, ვაჭრობა,მოფარდულობა,**торговля коммерческая,торговый оборот**, **აღებ-მიმცემი**, ვაჭარი, торговец. купец; 3. ავიხვამ, ხელს დავავლებ ასაღებად, გამოვართმევ; ავჰკრეფ; брать, принимать, получать, подымать, подбирать... (დ.ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 62). დ. ჩუბინაშვილისაგან განსხვავებით, **აღებანი** (бранис) ს.ს. ორბელიანთან და ნ. ჩუბინაშვილთან ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი. **აღებმიცემა** ნ. ჩუბინაშვილთან მითითებულია, მაგრამ აუხსნელია (იქვე).

ილია სავაჭრო-ეკონომიკური ცნებისათვის პარალელურად იყენებს ფორმებს: **აღებ-მიცემა** და **აღებმიცემობა**. თანამედროვე ტერმინოლოგია განსხვავებულია.შდრ.: **Спрос и предложение** - **მოთხოვნა და მიწოდება** - რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 725.

Чиновник - მოხელე

მოჯელე - "მნე და ზედამდეგი" (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 516); **მოხელე** - "მნე ან ზედამდეგი, чиновник, приставник, управитель, надсмотрщик" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 298); "მნე ან ზედამდეგი, чиновник, управитель, смотритель" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 889). **მოხელე, მნოვნიკი** - რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 836. ყველა წყარო იდენტურია. იგივე ითქმის მომდევნო სამ მაგალითზეც (**ხიმაგრე, საკომლო, ხაჭონელი**):

Плотность - ხიმაგრე

ხიმაგრე - "მაგარი ადგილი" (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 91); "სიმტკიცე, твёрдость, / ციხე, შენობა გამაგრებული, твёрдыня, крепость" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 364); "სიმტკიცე, ციხე, გამაგრებული შენობა, твёрдость. прочность, крепость,

укрепление" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1173). რუსულ-ქართულ ლექსიკონში მითითებულია ლექსემის 2 მნიშვნელობა: 1. სიმჭიდროვე, მჭიდროობა; 2. სიმკვრივე, სიმტკიცე (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 497).

Надел - ხაკომლი

ხაკომლი - "ერთის კომლის გლეხის სამყოფი მიწა, ანუ გამოსაღები მისი, тягло, подымное" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 344); "ერთი კომლის გლეხის სამყოფი ე.ი. მიწა ან გამოსაღები" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1080). ანალოგიურია ილიასეული განმარტებაც:

"**ხაკომლი** ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 187).

Товар — ხაქონელი

ხაქონელი, ჯერ კიდევ "ვეფხისტყაოსნის" ენის მიხედვით, **ქონებას** ნიშნავს და სინონიმურ წყვილშია **ხაჭურჭლეხთან**:"მაქვს **ხაქონელი** ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები, / მიეც გლახაკთა **ხაჭურჭლე**, ათავისუფლე მონები..."'"უქონელნი წელიწდამდის **ხაქონელხა** დაიდებენ"

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **ხაქონელი** განმარტებულია, როგორც "უსულო ხვასტაგი" (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 63), "ხვასტაგი ეწოდების ყოველსა საქონელსა და საყოლელსა" (იქვე, გვ. 430). საბასთან **ხაქონელი უნჯეხა** და **ხაფახ** სინონიმია: "**ხაფახე - ხაქონელი, უნჯი**" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 61).

აღნიშნულ ლექსემას თანდათან უვითარდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესატყვისი მნიშვნელობა, რაც ასახულია ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში. სიტყვის განმარტება მასთან სამ ნაწილად არის წარმოდგენილი: 1) "მონაგარი ნივთი, ანუ თეთრი, საფასე, **имущество, достаток**; 2) **ხაგაჭრო, ნივთნი განსაყარდველნი, товар; 3)** შინაური ხვასტაგი (ოთხფ.), скот.

животина (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 355). ანალოგიურია დავით ჩუბინაშვილის განმარტებაც: "მონაგარი ნივთი ან თეთრი, საფასე, სავაჭრო, შინაური ხვასტაგი; **имущество, имение, товар, рогатый скот, животина**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1132). საყურადღებოა, როგორ ხსნის თვითონ ილია აღნიშნულ ლექსემას: **ხაქონელი - მოვაჭრებული ხარნი** (ი. ჭავჭავაძე, 1955-ა, გვ. 219).

ლექსემის ტერმინად ჩამოყალიბება სრულდება მოგვიანებით, ეკონომიკის, როგორც სამეცნიერო დარგის განვითარების შემდეგ.: "**ხაქონელი**(2) - (პოლიტ.-ეკონ.) შრომის პროდუქტი, რომელსაც ამზადებენ ბაზარზე გასაყიდად, გასაცვლელად" (ქეგლ-ი, VI ტ., თბ.1960, გვ. 864).

Предположение - ხაეჭვი

ს.ს.ორბელიანთან **ხაეჭუო/ხაეჭვი/ხაეჭო** განმარტებულია, როგორც "ეჭვის საქნელი" (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 28). ამ განმარტებას ეყრდნობიან ნ. და დ. ჩუბინაშვილებიც: **ხაეჭვო, ხაეჭვი** - "ქვემდებარე იჭვისა, сомнительный" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 342); **ხაეჭვი** - "ქვემდებარე იჭვისა, сомнительный, подозрительный" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1066). განსხვავებულია თანამედროვე სალექსიკონო მონაცემები.

შდრ.: **Предположение გარაუდი, განზრახვა, განზრახულობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 559).

Рост - ხამატი

ლექსიკოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ილიამ ახალი ლექსემა აწარმოა. შდრ.: **მატება** - "მომატება, აღმატება, გამომატება" (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 447); "სიდიდის ან რაოდენობის შეძინება; **прибавлять, ся, успевать**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 270); "**прибавление, прибавка**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 678).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ილიასათვის სახელმძღვანელო იყო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მოცემული განმარტება

მსგავსი წარმოების ფორმებზე: **ნაეტანი, ნაეტნავი, ნაეტი** - "ზედ. **ნამატი**, მომატებული, ზომაზედ ჭარბი, **излишек, избыток**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 953). **ნამატისგან** განსხვავებით, **ნამატი** არის ის, რაც მომავალში იქნება "მომატებული, ზომაზედ ჭარბი". შდრ.: "**Рост** "3. ძვ. სარგებელი, ვახში" (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 659).

Недоимка - ნარჩენი

ნარჩენი - "დარჩენილთაგანი" (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 578); "ნაშთი, დანაშთენი, **остаток**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 315); "ნარჩენი, დანარჩენი, **остаток**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 960). შდრ.: **Недоимка გადასახადის ნარჩენი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 358).

Вещество - ნაწევარი / ნაწევრი

აღნიშნული სინონიმური წყვილი ილიამ გამოიყენა როგორც ღვინის შემადგენლობაში ბუნებრივად არსებული, ისე ხელოვნურად ჩამატებული ნივთიერებების აღსანიშნავად (შდრ.: **ნივთიერება / სხეული / ფერმენტი** ვ. პეტრიაშვილი). **ნაწევარი** საბასთან და ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია, როგორც "ნასხამთ შედგმულობა" (ს. ს. ორბელიანი, 1991, გვ. 585; ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 315). დ. ჩუბინაშვილთან ცალ-ცალკეა წარმოდგენილი **ნაწევარი** და **ნაწევრი**. განსხვავებულია **ნაწევრის** განმარტება: **ნაწევრი** - падеж, доля (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 972), იგივეა, რაც "კუთვნილი წილი" სავარაუდოდ, სწორედ ეს განმარტება გამოიყენა ილიამ ახალი ტერმინოლოგიური მნიშვნელობისათვის.შდრ.: **Вещество ნივთიერება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 65).

ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების პრინციპი გამორიცხავს რუსულ ფუძეებზე ქართული აფიქსების დართვას, თუმცა, იშვიათ შემთხვევაში, ილია ბოლომდე ვერ იცავს ამ წესს, რაც ბარბარიზმების გაჩენას იწვევს:

მუეიკობა, ბინოვნიკობა, ხანადელი (ყანა), **ხაკოროლი, ნემეცეური, ფრანციულეი**...

რუსული სპეციალური ლექსიკის გავლენა იგრძნობა მწერლის მსჯელობაში სიტყვა **კომლთან** დაკავშირებით:

"**კომლი** ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამცთუ საზოგადოებრივ სხეულს, არამედ ეკონომიურსაცა. დღესაც ეგრეა, თუმცა სიტყვამ "**надел**"-მა მოედანი დააცლევინა "**ხაკომლოხა**" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 188).

ანალოგიური ვითარებაა შესაბამისი პერიოდის პრესაშიც (იხ. ზემოთ).

ბ) კომპოზიტები: Углекислый газ — ნახშირმეავა

თანამედროვე ქიმიური ტერმინოლოგიით, **ნახშირმეავა** სითხეა, აღნიშნული პერიოდისთვის კი იმ გაზის სახელი იყო, რომელსაც დღეს ეწოდება **ნახშირორეანგი / ნახშირმეავა გაზი**. ანალოგიური მნიშვნელობით მაშინ სხვადასხვა ფორმა გამოიყენებოდა; შდრ.: **ნახშირის მეავე** - "გუთნისდედა", 1864, № 4, გვ. 30; **ნახშირმეავედი** - "გუთნისდედა", 1862, № 10, გვ. 75; **ნახშირძმარა** - "სასოფლო გაზეთი", 1871, 3, გვ. 4; **დუდილის ძალა/ხუნი / დუდილის ძალა და ხუნი / ნახშირის ხიმეავის ხუნი / ნახშირის ხიმეავის ხუნი და ძალა** - ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 80-82; **ნახშირმეავე / ნახშირ(-)მეავე / ნახშირის(-)ხიმეავე** (ვ. პეტრიაშვილი, 1895-ბ, № 8, გვ. 2-3; 1895, გვ. 19; 1895-ა, № 10, გვ. 4).

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ქიმიურ ტერმინთა შემუშავების საკითხში ი. ჭავჭავაძესა და ვ. პეტრიაშვილს მეტი აქვთ საერთო; ამავე დროს, თანამედროვე ტერმინოლოგიასთან ილიასეული ვარიანტი უფრო ახლოსაა, ვიდრე ვ. პეტრიაშვილისა.

Суровая - ბირჟეში

შდრ.: **მოჭუხვილი, მოქურუსებული, угрюмый** (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 330); **თავბირ ჩამოყრილი, მწყრალი,**

упрямый, Суровый (д. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1019). **მკაცრი, უწყალო, კაშტი, ჯაში** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1983, გვ. 744).

Содержание - შეგმდებარეობა / შინაარსი

შდრ.: **შეგამდებარე სიტყვა** - ესე არს სიტყვა სულისა ჩვენისა უკმო, რომელი გონებით ვეზრახებით თავთა ჩვენთა (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 300); **შინა-აზრი, შინა არსი - содержаніе** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1521); 1. შენახვა, რჩენა, ქონა, ყოლა; 2. **შინაარსი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 709).

როგორც ვხედავთ, ილიამ საბასეული **შეგამდებარე სიტყვა** გამოიყენა რუსული ლექსემის თავდაპირველ შესატყვისად, საბოლოოდ კი დ. ჩუბინაშვილისეული განმარტების მიხედვით ჩამოყალიბდა; კერძოდ, დ. ჩუბინაშვილისგან აიღო ლექსიკური მასალა და ერთცნებიანი ტერმინი აწარმოა. შდრ.: **შინა არსი > შინაარსი**.

Гражданин - მამულიშვილი

შდრ.: **მოქალაქე** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1983, გვ. 126). ლექსემა **მამული(ს)შვილი** აქტიურად გამოიყენებოდა 60-იანი წლების მოღვაწეთა, ასევე XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში. დამოწმებულია ქეგლ-ში (ქეგლ-ი, ტ.V, თბ., 1958, გვ. 38). სიტყვა **მამულის** სპეციფიკური მნიშვნელობის გააქტიურებასთან დაკავშირებით, იხ. ზემოთ).

Исполнительный - ხელისუფალი

ხელისუფალი "მქონებელი უფლებისა, ანუ მბრძანებლობისა მოხელეობით, **властитель, волостель**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 465); "**ხელის უფალი, ხელის უფროსი** - განმგებელი რისამე, **управляющий, начальник**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1735).

შდრ.: **Исполнительный აღმასრულებელი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 232).

Основной капитал — ძირით-ფული

ლექსემა არ აღმოჩნდა ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში, მაგრამ დადასტურდა აღნიშნული პერიოდის პრესის ენაში (იხ. ქვემოთ). ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების მიხედვით, სინონიმურ წყვილშია **ძირით-ფული** და **თავნი** ("**ძირით-ფული,** ესე იგი **თავნი**" - ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 28). ილიას არც ეს წყვილი მიაჩნია საკმარისად გაგებინებისათვის და კიდევ ერთი სინონიმს იძიებს **ფულს** (თუმცა ამ უკანასკნელის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა):

"აზრის ადვილად გაგებისათვის სიტყვას "**ფულსა**" ვხმაროთ და არა **თავნსა**" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 328).

თავნი წარმოადგენს სიტყვა **თავის** ნარ-იანი მრავლობითის ფორმას, რომელშიც **-ნ-არ** სუფიქსი სპეციალური სიტყვამაწარმოებელია. ანალოგიური წარმოების ნიმუშია **ალებანი** (იხ. ზემოთ), ასევე **- რვანი** (ყოველკვირეული სატელევიზიო ინტელექტუალური თამაში, რომელშიც მხოლოდ რვა მონაწილეა ჩაბმული, "იმედის" არხზე). წარმოვადგენთ შესაბამის სალექსიკონო მონაცემებს: **სათავნი** - "სასარგებლო" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 31); **თავნი, სათავნი** "თეთრი გარდადებული სამუშავებლად მოგებისათჳს და არა სახარჯოდ" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 228); **თავი, თავნი** - "სათავნო თეთრი, სარგებელის მომგები, **капиталъ**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 539). **თავნი** - "(ძვ.)ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა" (ქეგლ-ი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 266).

Воровство кража - ქურდობა-პარვა

ქართული შესატყვისი, რუსულის მსგავსად, სინონიმურ წყვილს წარმოადგენს, რომელშიც, ვფიქრობთ, მოაზრებულია ს.ს. ორბელიანისეული განმარტება. შდრ.: **ქურდი** "**მპარავი** (გლეხურად)" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 240); "მპარავი, **вор**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 406); (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1351).

Воровство мошенничество — ქურდობა-მოტყუება

შდრ.: **Мошенничество** "გაიძვერობა, თაღლითობა, ყალთაბანდობა" (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 324).

Отношение на влияние

математического отношения - მიქცევ-მოქცევა

შდრ.: **მიქცევ-მოქცევა** მიბრუნ-მობრუნება, **поворот туда и сюда** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 755). **Отношение**(3) - **ფარდობა, შეფარდება, მიმართება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 444).

გ) ტერმინოლოგიური შესიტყვებები:

Двусложные гласные - ორმარცვლოვანი ხმოვნები

შდრ.: **ორ მარცვლოვანი - Двухсложные** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 674); **Двусложные ორმარცვლიანი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 134). როგორც საანალიზო ფორმებიდან ჩანს, ილია დ. ჩუბინაშვილისგან იღებს მზა ლექსიკურ მასალას და ერთცნებიანი ტერმინის ფორმას აწარმოებს (**ორ მარცვლოვანი > ორმარცვლოვანი**).

Сравнительный метод - შედარებითი მეთოდი

Маловажные проступки - წვრილმანი დანაშაულობა

შდრ.: **წვრილმანი - ხაწვრილმანო, ქნინი, უბრალო, мелочь, мелочной** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1678); **დანაშაული, დანაშაულობა - вина, преступление** (იქვე, გვ. 395); **გადაცდომა** - სამართ. სამართლის ნორმის ისეთი დარღვევა, რომელიც იწვევს მცირე სასჯელს, **მცირედი დანაშაული** (ქეგლ-ი, ტ. III, თბ., 1951, გვ. 354).

Местное самоуправление - ადგილობრივი თვითმმართველობა

შდრ.: **თვითმმართებლობა** (დ. ჩუბინაშვილი), იხ. ზემოთ.

Волостное управление - ხალხო მმართველობა

შდრ.: **მმართებლობა - გამგეობა, управление** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 776).

Всеселовная волость - ხახოელი თემობა

შდრ.: **თემობა;** "ერთი თემის ხალხნი, **мир, обитатели какой либо волости**" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 557); "იგივეა, რაც თემი / თემის კრება, თავყრილობა" (ქეგლ-ი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 375). **Волость** - (ისტ.) **თემი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 79). როგორც მონაცემებიდან ჩანს, ილიასთან **სახოფლო თემობა / სოფლობა** (იხ. ზემოთ) სპეციალური მნიშვნელობის მქონე სინონიმური წყვილია თემის / სოფლის **ურიერობებ** აღსანიშნავად; დ. ჩუბინაშვილთან **თემობა / სოფლობა** თემის / სოფლის **მაცხოვრებლებს** აღნიშნავს.

Мировой посредник - მოშრიგებელი შუამდგომელი

შდრ.: **დამაზავებელი შუაკაცი** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1528); **მოშრიგებელი შუამავალი** - ისტ. საგანგებო მოხელე, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ აწესრიგებდა სადავო საკითხებს გლეხებსა და მემამულეთა შორის (ქეგლ-ი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 798).

Естественная справедливость - ბუნებრივი სამართლე

შდრ.: **სამართლე - правда, истина; справедливость**... (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1173); **სამართლიანობა - законность, право;** იქვე, გვ. 1087. **Справедливость სამართლიანობა** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 724). **Право** - 1. **უფლება**, 2. **სამართალი**, იქვე, გვ. 555-556.

Драматический шёпот - დრამატებური ყურში ლაპარაკი

შდრ.: **ჩურჩული - ყურში ლაპარაკი** (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 323); "უხმოდ ლაპარაკი ყურში, **шептать**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 432); **шептание** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1583); **шёпот - ჩურჩული** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 297). **-ებურ** ფორმანტთან დაკავშირებით იხ. ზემოთ).

Внутреннее правление - შინაგანი მმართველობა

Народная школа - ხალხო სკოლა

Шдр.:**Народная - ხახალხო** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 214).

Святые места - წმინდა ადგილები

Свободная кислота - თავისუფალი ხიმჟავე (იხ. ზემოთ).

Серная кислота — გოგირდის მჟავე

Шдр.: **გოგირდის ხიმჟავე** (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 17-18; ვ. პეტრიაშვილი, 1894, გვ. 66); **გოგირდეული ხიმჟავე** ("გუთნისდედა", 1862, № 21, გვ. 3; 1873, № 16, გვ. 5; "სასოფლო გაზეთი", 1871, № 5, გვ...). თანამედროვე ტერმინოლოგიაში მიღებულია **გოგირდმჟავა** (ქიმ.) - რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 683 და **გოგირდის მჟავა** (ტექ.) - ქეგლ-ი, ტ. II. თბ., 1951, გვ.1466.

Землемер - მიწის მზომავი;

Шдр.: **მიწის მზომელი** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 763);

მიწისმზომავი / მიწისმზომელი - (ქეგლ-ი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 510); **მიწისმზომელი** (ორთოგრ. ლექს., თბ., 1998, გვ. 355).

Земельний - მიწის სამოქმედო კრედიტი

Земские учреждения - ხიფლობის დაწესებულებანი

Шдр.: **Земский** (ისტ.) **ხიროობი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 207).

Денежный рынок - ფულის ბაზარი

Свойство рыночного товара - ხაბაზრო ხაქონლის თვისება

Юрев день - ეურის დღე

Родительская власть - შობლის უფლება

Шдр.: **Власть** - 1. **ხელისუფლება, ძალაუფლება**; 2. **ძალა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 72).

Женский вопрос - დედაბა უფლების საქმე

Шдр.: **ქალთა საკითხი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 164).

Суд присяжных - ნაფიცთა მსაჯულობა

შდრ.: **სამართალი ნივთებისა** - (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 964); (ისტ.) **ნივთ მსჯულთა სასამართლო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 742).

Управление государственными имуществами — სახელმწიფო ქონების გამგეობა

შდრ.: **Управление - სამმართველო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 797); **Имущество - ქონება** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 224).

Городское строительное отделение - ქალაქის შენობათა განყოფილება

შდრ.: **Строительное - სამშენებლო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 739).

Уездный по крестянскому вопросу надзор - გლეხთა მმართველობის სამაზრო ზედამხედველობა

Губериское по крестянским делам управление - გლეხთა ქონების საგუბერნიო გამგეობა

Состоящие в запасе - შინ დათხოვნილ ჯარისკაცად შერაცხულნი

შდრ.: **Запас** (სამხ.) **თადარიგი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 189).

ტერმინოლოგიური შესიტყვების აგებისას ილია, არაიშვიათად, იყენებს მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებულ რიგს, რაც დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობთ, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის. ცალკეულ შემთხვევებში აშკარაა რუსული ფრაზის გავლენა:

Государственный подземельный налог სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულის

შდრ.: **სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადი**

Подземельный налог земного сбора — ხარკის გადასახადი ადგილ-მამულის

შდრ.: **ხარკის საადგილმამულო გადასახადი**

Обращение товаров — ქცევა საქონლისა

შდრ.: **საქონლის მიმოქცევა**; **Обращение - (4) მიმოქცევა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 399).

Подоходный налог — გადასახადი შემოსავლისა

შდრ.: **საშემოსავლო გადასახადი**; **Подоходный საშემოსავლო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 515).

Губернское податное присутствие — საგუბერნიო კრებული გადასახადისა

Уездное податное присутствие საოლქო კრებული გადასახადისა

შდრ.: **საგუბერნიო / საოლქო საგამოხადებო საკრებულო**; **Податное** - (ისტ.) **საგამოხადებო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 505-506); **Присутствие** - (ძვ.) **საკრებულო** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 579).

Всеобщая покупательная сила — საყოველთაო ძალი ყიდვისა

შდრ.: **Покупательная - მყიდველობითი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 527).

Завязка — ნახკვი ბეჭისა

შდრ.: **Завязка** (პიესის) **კვანძი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 172).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება თვალსაჩინოდ ასახავს მწერლის დაინტერესებას ქართული სპეციალური ლექსიკის განვითარებით. ტერმინთა საწარმოებლად ილია აქტიურად იყენებს სამწიგნობრო ენაში დამკვიდრებულ ტრადიციულ ყალიბებს. მისი მთავარი წყაროა კლასიკური ლექსიკოგრაფიული მონაცემები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენად თანხვდება ილია ჭავჭავაძის მიგნება, ერთი მხრივ, მისი თანამედროვე ლექსიკოგრაფის - დ. ჩუბინაშვილის მონაცემებს, ხოლო, მეორე

მხრივ დღევანდელ ტერმინოლოგიას. ცნობილია, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, ნაწილ-ნაწილ გამოცემის გამო, ცოტა დაგვიანებულიც აღმოჩნდა და სრულყოფილად ვერ ასახავდა ენის ლექსიკაში მიმდინარე ცვლილებებს (იხ. ზემოთ); ილია ჭავჭავაძე კი აქტიური სიტყვაწარმოების პროცესში იყო ჩართული და, ბუნებრივია, არჩევანის გაკეთება უხდებოდა ამა თუ იმ წარმოების შერჩევისას. მწერლის მიერ შემუშავებული ფორმების თანამედროვე ტერმინოლოგიასთან შეპირისპირება დაგვჭირდა მათ "სიცოცხლისუნარიანობაზე" დასაკვირვებლად.

საანალიზო მასალის განხილვის საფუძველზე დავრწმუნდით, რომ ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული სიტყვა-ტერმინების გარკვეული ნაწილი:

1. ემთხვევა დ. ჩუბინაშვილის მონაცემებს, მაგრამ განსხვავდება თანამედროვე სპეციალური ლექსიკისაგან: **გამოთვლა, ადება და მიცემა, ადებ-მიცემობა, აღმასრულებელი**... აქედან გამომდინარე, ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები საყურადღებოა ცალკეულ ლექსემათა ტერმინოლოგიური მნიშვნელობის ცვლის თვალსაზრისითაც;

2. განსხვავდება დ. ჩუბინაშვილის მონაცემებისაგან წარმოებით (**მომართულება, თვითმართველობა**), მნიშვნელობით (**წოდება**), წარმოებით და მნიშვნელობით (**მოთხოვნილება**), მაგრამ თანამედროვე სპეციალური ლექსიკის იდენტურია ან უფრო მიახლოებულია მასთან (**ნარჩენი, მომრიგებელი შუამდგომელი, ნაფიცთა მსაჯულობა**...);

3. წარმოების წესით განსხვავდება როგორც დ. ჩუბინაშვილის, ისე თანამედროვე სალექსიკონო მონაცემებისაგან: **ეროვნობა, მონაცვეობა, ბირუტყვთმოშენება, მიწის მზომავი**...

4. იდენტურია დ. ჩუბინაშვილისა და თანამედროვე სპეციალური ლექსიკისა: **ერობა, მეურნეობა, დირებულება, უარყოფა, გავლენა, მახელე, ხიმაგრე, ხაკომლო, ხაქონელი** ...

5. ქართული ლექსიკოგრაფიული მასალის საფუძველზე დამოუკიდებლად არის შემუშავებული: **კარშეკეტილობა, მიქცევ-მოქცევა, შინაგან-გარეგანობა, ხამატი, წარტოლვილი, მამულიშვილი, წვრილმანი დანაშაულობა, ბუნებრივი ხიმართლე,** (დრამატებური) **ყურში ლაპარაკი**... ან მზა ლექსიკოგრაფიული მონაცემის მიხედვით არის ნაწარმოები: **შიგა მდებარე ხიტყვა > შიგმდებარეობა; შინა არხი > შინაარხი, ორ მარცვლოვანი > ორმარცვლოვანი**...

6. ქართული წყაროებიდან არის მოძიებული და, როგორც რუსულ ლექსემათა შესატყვისებს, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული; შდრ.:

Промышленность, производство - ხელთოქმედება

Вещество - ნაწევარი / ნაწევრი

Отношение на влияние

математического отношения - მიქცევ-მოქცევა...

7. პირველადაა იმ სახით წარმოდგენილი, რა ფორმითაც დღეს არის მიღებული სამეცნიერო ენაში: **მეავა, ფხვნილი, ნახშირმეავა** მართალია, ილია მეცნიერი ქიმიკოსი არ ყოფილა, მაგრამ როგორც ენობრივი ალღოს მქონემ, ლოგიკურად სწორი პოზიცია აირჩია.

8. წარმოადგენს ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებების მაქსიმალურად გამოვლენის ცდას: **მართლიერება**; ანალოგიურია **უორგანიული** (იხ. ქვემოთ)...

9. დასტურდება სინონიმური ვარიანტების სახით, რაც ბუნებრივად დამახასიათებელია ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პერიოდისათვის:

პირუტყვთშენება/პირუტყვთმოშენება
/პირუტყვთმოშენეობა
მინათმოქმედება / მინათმოქმედობა / მინისმოქმედება

კეთილმოქმედება / ზედმოქმედება / გავლენა ფოხტორ-შეცდე / ფოხტორის სიმეცდე ...

10. განიცდის ბარბარიზმების გავლენას: **მუეიკობა, ნემეცური**...

ანალოგიურად, XIX საუკუნის II ნახევრის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რუსული სამეცნიერო ლიტერატურიდან მომდინარე ტერმინების თარგმნა-შემუშავებას. ამის არაერთი მაგალითი დასტურდება აღნიშნული პერიოდის პრესაში:

Парник - ტფილი ბოხტანი ("გუთნისდედა", 1862, № 18, გვ. 126); შდრ.: **Парник - კვალხათბური** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 462)

Застрахование - კეხრულობა ("გუთნისდედა", 1864, № 23, გვ. 166); შდრ.: **Застраховать - დაზღვევა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 197)

Земство - ერობა ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 18, გვ. 1); დასტურდება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებშიც (იხ. ზემოთ).

Матрос - ხომალდის მოსამსახურე ("სასოფლო გაზეთი", 1872, № 14, გვ. 3); შდრ.: **Матрос - მატროსი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 305), **მეზღვური** (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 149).

Переходный период გადაბოჭებითი პერიოდი ("სასოფლო გაზეთი", 1870, № 14, გვ. 4); შდრ.: **Переходный - გარდამავალი** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 486).

Закладные листы - საგირო ფურცლები ("სასოფლო გაზეთი", 1872, № 13, გვ. 7).

Производтельная сила - მაწარმოებელი ძალა ("გუთნისდედა", 1875, № 7, გვ. 1).

Обмен вещей - ნივთეულთა ცვლა ("გუთნისდედა", 1875, № 15, გვ. 2) .

Мирский сход - სასოფლო კრება ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 6, გვ. 1); შდრ.: **საერთო კრებულობა** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 315).

Основной капитал - ძირი-თავნი ("სასოფლო გაზეთი", 1872, № 13, გვ. 6); დასტურდება ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებშიც (იხ. ზემოთ)...

ქართული ენისა და ტერმინთშემოქმედებისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის გამო, საზოგადოება კონტროლს ვერ უწევს რუსულის გზით შემოსულ სპეციალურ ლექსიკას; ეს იწვევს სამწიგნობრო ენის ბარბარიზმებით დამძიმების საშიშროებას, რაც გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მძაფრი კრიტიკის საგანი ხდება. აღნიშნულ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით (იხ. ზემოთ: 1.5. ქართული სამეცნიერო ენის ზოგადი თავისებურებანი XIX საუკუნის II ნახევარში).

რუსული სპეციალური სიტყვებისათვის ქართული ეკვივალენტების შემუშავების ფონზე(პროცესის არასაყოველთაო ხასიათიდან გამომდინარე), იკვეთება XIX საუკუნის II ნახევრის ტერმინთშემოქმედებისათვის დამახასიათებელი თავისებურება:

ტერმინოლოგიის სფეროში მომუშავენი არ იცნობენ ერთმანეთის მიგნებებს. სწორედ ამიტომ მათ უწევთ ტერმინოლოგიური ძიებების ისევ თავიდან დაწყება, წინამორბედთა კვლევის შედეგების გაუთვალისწინებლად. ამას მოწმობს პროფ. რ. ნიკოლაძის, ილ. ალხაზიშვილისა და სხვათა შენიშვნებიც. ბუნებრივია, ტერმინთშემოქმედების პროცესს აფერხებს ლექსიკონების ნაკლებად ხელმისაწვდომობაც (იხ. ზემოთ, მსჯელობა ნიკო და დავით ჩუბინაშვილთა ლექსიკონების გამოცემასთან დაკავშირებით).

2.4.3. საერთაშორისო ტერმინების ბაზაზე წარმოებული ქართული ტერმინები. ილია საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ძირებს (რუსული ლექსიკისაგან განსხვავებით) შეუზღუდავად აქცევს ქართული სიტყვაწარმოების ყალიბში. უცხო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების შესამუშავებლად იგი ასევე აქტიურად

იყენებს კლასიკურ ლექსიკოგრაფიულ მონაცემებს. მისი დამოკიდებულება დასამუშავებელი მასალისადმი ორგვარია:

2.4.3.1. თარგმნის უცხო ტერმინის ფუძეს

ა) ადეკვატური წარმოების მაგალითები

Аристократия - დიდკაცობა

შდრ.: **დიდკაცობა** - "უფროსობა" (ს.ს. ორბელიანი, 1990, გვ. 220); "боярство" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 205); იხ. ასევე, დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 477.

Процент - სარგებელი

შდრ.: **სარგებელი**: "რგების მომცემი" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 52); "მოგება ვაჭრობისგან, барыш; ნამთავნი, სათავნოს ვახში, სარგო, **проценты**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 350); "შესამატი, მოგება ვაჭრობაში; ნამთავნი, სათავნოს ვახში, სარგო; **выгода, процент**... " (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1107).

სარგებელი ქართული მწერლობიდან ცნობილი ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ტერმინია ("დიდვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ..." - რუსთ.). ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში მითითებულია მისი საერთაშორისო ეკვივალენტიც. ილია უპირატესობას ქართულ ტერმინს ანიჭებს.

Риск — საფრთხილებელი

შდრ.: **საფრთხილი** - "გასაკრძალავი" (ს.ს. ორბელიანი, 1966, გვ. 62); **საფრთხილებელი, საფრთხილი** მოსარიდებელი, **предостерегательный** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1128). ილიასთან დადასტურებული ფორმა განსხვავდება სალექსიკონო მონაცემებისაგან. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ როგორი კრიტიკულია ილიას დამოკიდებულება საწარმოებელი მასალისადმი (ანალოგიური მაგალითები ჩვენ რუსული ლექსემებისათვის ქართული ეკვივალენტების წარმოებაშიც დავადასტურეთ: **მართლიერება, მონახევრობა**... იხ. ზემოთ).

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში, მაგალითად, პოლიტიკურ თემებზე მსჯელობის დროს აქტიურად გამოიყენება **ხაფხეები (ხახკები)**.

Центральная (личноть) – **ხაშუაგული** (კაცი)

შდრ.: შუა-გული, შუა ადგილი, **средина, центр** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1528). დღეს მიღებულია **ცენტრალური.**

Канцелярские (пошлины) – **ხამწერლო** (მასალები)

შდრ.: **ხამწერლო** - "მწერალთ სახლი, **канцелярия**" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 348; დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1098). დღეს მიღებულია **კანცელარული, ხაკანცელარით.**

Идейская (жизнь) – **მოაზრე** (ცხოვრება)

შდრ.: **მოაზრე** – "ფიქრად მქონი, предполагающий, думающий" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 778). დღეს მიღებულია **იდეური** .

Практическая (жизнь) – **მოხაქმე** (ცხოვრება)

შდრ.: **მოხაქმე** - "საქმის გამკეთებელი; მოხელე, მოსარჩლე, ვექილი, სხვის საქმის გამრიგებელი" (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 840). დღეს მიღებულია **პრაქტიკული**

ბ) კომპოზიტი:

ტემპერატურა - ხითბო-ხიცივე / ხითბო-ხიგრილე

შდრ.: **თერმომეტრი - "ხითბო-ხიცივის მაჩვენებელი"** (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 557).

გ) ტერმინოლოგიური შეხატყვებები:

ბურეკაზია - შუა წიდება

суперфосфат - მეოთე კირი;

შდრ.: თანამედროვე ქიმიურ ტერმინოლოგიაში ფუნქციონირებს ორივე ტერმინი: **სუპერფოსფატიც** და **მეოთე კირიც**, ოღონდ მათი მნიშვნელობები განსხვავებულია (აქ ვემყარებით პროფ. გურამ სუპატაშვილის მონაცემებს).

სპირტი / ალკოჰოლი - გადაწმენდილი არაყი

შდრ.: ტერმინი **ხმირტი** მითითებულია დ. ჩუბინაშვილთან; ლ. ჯორჯაძე მას იყენებს სინონიმურ წყვილში **ხიმაგრესთან** (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 29). **ალკოჰოლი** არ დასტურდება შესაბამისი პერიოდის ლექსიკონებში. ლ. ჯორჯაძე და ვ. პეტრიაშვილი იყენებენ რუსულის გავლენით გავრცელებულ ფორმას: **ალკოგოლი** (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 101; ვ. პეტრიაშვილი, 1894, № 8, გვ. 51).

იბლიგაცია - გირავნობის ფურცელი

შდრ.: აღნიშნული პერიოდის პრესაში ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება რუსული ფრაზის მიხედვით შემუშავებული **ხაგირაო ფურცლები - Закладные листы** (იხ. ზემოთ).

ბროტჩხიდი (carbonate) - შენარევი ტყვიისა

უცხო ტერმინი, რომლის ეკვივალენტადაც ილიამ შესიტყვება შეიმუშავა, ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ აღნიშნული პერიოდის ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში. არ ფუნქციონირებს თანამედროვე ქიმიურ ტერმინოლოგიაშიც.

კრემორტარტარი მარილები ტარტარისა / ღვინის მარილი

ღვინის მარილი ასევე დასტურდება აღნიშნული პერიოდის 60-იანი წლების პრესაში. წარმოვადგენთ ვრცელ კონტექსტს, რადგან მიგვაჩნია, რომ საინტერესოა, პრესის საშუალებით როგორ მიეწოდება ქართველ მკითხველს ინფორმაცია უცხო ტერმინის წარმომავლობაზე:

"წიგნებში სწერია... **კრემორტარტარი** ლათინური სიტყვები იყოს; **კრემორ** ნაღებია, და **ტარტარ** - ჯოჯოხეთი, ესე იგი **ჯოჯოხეთის ნაღები**... ალხიმიკებს ღვინისათვის ჯოჯოხეთი დაურქმევიათ, ვითამც იმისათვისაო, რომ გადაჭარბებული ნასვამი კაცი ეშმაკს ემსგავსებაო და **ღვინის მარილი**, სითეთრის გამო, ნაღებათ უწოდებიათ" ("გუთნისდედა", 1865, № 1, გვ. 89).

ღვინის მარილი დღეს საყოფაცხოვრებო ტერმინია, ისევე როგორც **ხუფრის მარილი** (ნატრიუმ ქლორი **NaCL2**).

თანამედროვე ტერმინოლოგიით, მას **ღვინის მჟავა მარილი** ეწოდება (**CuH5O6**). რაც შეეხება **კრემორტარტარს**, დასტურდება "ქიმიის ტერმინოლოგიაში" (თბ., 1970, გვ. 90), მაგრამ დღეს იშვიათად გამოიყენება. უფრო მიღებულია **კალიუმის მჟავა ტარტრატი** ან მოკლედ: **კალიუმის ტარტრატები.**

Platrage - თაბაშირით ნაკეთობა

ტერმინი ვერ მოვიძიეთ წყაროებში.

ილიას თანამედროვე გამოცემებში დასტურდება საერთაშორისო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების ანალოგიურად წარმოების მაგალითები; კერძოდ:

ტერმინ **გაზის/დაზის** შესატყვისად **ჰაეროვანი** („გუთნისდედა", 1862, № 20, გვ. 127-128), **ჰაერი / ჰაერგვარი** („სასოფლო გაზეთი", 1870, № 9, გვ. 4);

ტერმინ **ოქსიგენის** პარალელურად **მჟავის მშობი** („გუთნისდედა", 1864, № 7, გვ. 50), **ჟანგმბადი** (ვ. პეტრიაშვილი, 1895-ა, № 10, გვ. 4; 1895-ბ, № 28, გვ. 4), **მჟავბადი** (ი. ალხაზიშვილი, 1914, გვ. 78; ვ. კაკაბაძე, 1914, გვ. 419), **ჟანგმბადე / ჟანგმანი** (ე. ალშიბაია, 1914, გვ. 468)... ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, დამკვიდრდა პროფ. ვასილ პეტრიაშვილის შემუშავებული ტერმინი **ჟანგ(ვ)ბადი**.

აღნიშნული ტიპის წარმოებასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობას ასახავს XIX საუკუნის 80-90-იანი და მომდევნო წლების პრესა. საგაზეთო პუბლიკაციების ავტორები, მკითხველისთვის სამეცნიერო ცნებების უკეთ გაგებინების მიზნით, წარმოადგენენ საერთაშორისო ტერმინთა სავარაუდო ქართულ შესატყვისებს და მკითხველებს ანდობენ არჩევანს. მაგალითად, "სასოფლო გაზეთის" 1870 წლის № 9-ში ვკითხულობთ:

"ამისთანა **ჰაერებს** სწავლულები ეძახიან **გაზებსა**, ჩვენ დავუძახოთ **ჰაერგვარი.** ამ ორ სახელში მკითხველმა ის დაიხსომოს, რომელიც ეადვილება" (გვ. 3).

მოგვიანებით ტერმინი **ჰაერგვარი** გამოიყენა ვ. რცხილაძემ პროფ. როსკოს "ქიმიის" ქართულ თარგმანში, რომელიც პირველად 1891 წელს გამოიცა, ხოლო მეორედ - 1907 წელს. ამ ტერმინთან დაკავშირებით, ვ. რცხილაძეს სამართლიანი შენიშვნა მისცა ილ. ალხაზიშვილმა:

"სიტყვა **გაზი** თქვენის თარგმანით არის **ჰაერგვარი**. ტყუილა გარჯილხართ, სრულებით მეტი შრომა მიგიღიათ. **გაზი** ქართულადაც **გაზია**. ამ ტერმინს მთლად განათლებული საზოგადოება ხმარობს და სულაც არ მიაჩნიათ სათაკილოდ ლათინებიდან და ბერძნებიდან ისესხონ, შემოიღონ ის, რაც თითონ არა აქვთ. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ასახსნელად ვსთქვათ, რომ **გაზი** არის ჰაერგვარი სხეული. ხოლო ტერმინად, ტექსტში სახმარებლად სიტყვა **ჰაერგვარი** სრულებით უხერხული და უვარგისია" (ილ. ალხაზიშვილი, 1914, გვ. 71).

შენიშვნა: ამავე პოზიციას გამოხატავს მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდია, როდესაც სიტყვა **მგრძნობიერებასთან** შედარებით, უპირატესობას **სანტიმენტალობას** ანიჭებს (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 412).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, საერთაშორისო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების წარმოების ზემოაღნიშნული ტიპი, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს (**შავი კარი, დვინის მარილი, განგბადი**...), ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა მოწინავე საზოგადოების დაინტერესება ქართული სამწიგნობრო ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენით.

2.4.3.2. ქართულ ყალიბში უცვლელად გადმოაქვს უცხო ტერმინის ფუძე (ამ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ **ნაწილობრივი ხესხებაც**; იხ. ქვემოთ).

ა) ადიქსური წარმოების ტერმინები:

განსაკუთრებთ პროდუქტიულია აფიქსური, კერძოდ: **-ობა**, **-ურ**/**-ულ** სუფიქსებიანი და **ხა-ო** კონფიქსიანი წარმოება. ჩვენს მონოგრაფიაში: "ილია ჭავჭავაძე - ტერმინთშემოქმედი" (თბ., 2005) შევეცადეთ სრულყოფილად წარმოგვედგინა მწერლის მიერ გააქტიურებული სიტყვაწარმოებითი მოდელები. ამჯერად მაგალითების დეტალური წარმოდგენისაგან თავს შევიკავებთ და ძირითად თავისებურებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუ როგორი აზრთა სხვადასხვაობა იყო მოწინავე საზოგადოებაში უცხო ძირებისათვის ქართული ყალიბის შერჩევასთან დაკავშირებით. მაგალითისათვის, საკმარისია, გავიხსენოთ პეტრე მირიანაშვილის პარიზიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია გაზეთ "ივერიის" რედაქციისადმი და ამ უკანასკნელის გამოხმაურება (იხ. ზემოთ: 1.4.3. სალიტერატურო ქართულის პრაქტიკული საკითხები).

აღნიშნული საკითხი, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან დიდი მცდელობისა, მეთოდურად კვლავ დაუმუშავებული რჩებოდა, რასაც მოწმობს ინტერნაციონალიზმთა ქართული ეკვივალენტების წარმოებაში პრაქტიკული ჩვევებისა და ორთოგრაფიული ნორმების არარსებობა. ანალოგიური შეფასების საფუძველს იძლევა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული მასალაც; კერძოდ:

1. ილია მერყეობს ინტერნაციონალური ფუძეებისათვის ქართული ყალიბების შერჩევისას. მიმართავს პარალელურ წარმოებას; აქაც, ისევე როგორც ქართულ ძირეულ მასალაზე მუშაობის შემთხვევაში, (იხ. ზემოთ), სხვადასხვა ფორმას იმარჯვებს ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად. ასეთია, მაგალითად, ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში **-ურ**(**-ულ**) სუფიქსიანი და **ხა-ო** კონფიქსიანი, ცალკეულ შემთხვევაში, **ბრუნვის ნიშნით** წარმოების მონაცვლეობა. შდრ.:

სა-პროვინციალ-ო - პროვინციალ-ურ-ი
სა-პოლიტიკ-ო - პოლიტიკ-ურ-ი
სა-სპეციალ-ო - სპეციალ-ურ-ი
სა-სტატისტიკ-ო - სტატისტიკ-ურ-ი

სა-ეკონომი-ო - ეკონომი-ურ-ი

სა-ცენტრალ-ო - ცენტრალ-ურ-ი

სა-სტატისტიკ-ო - სტატისტიკ-ურ-ი - სტატისტიკ-ის...

ზემოაღნიშნული ყალიბებით, ბუნებრივია, შესაძლებელია სინონიმური მნიშვნელობის ფორმათა წარმოება, რაც მისაღებია სალიტერატურო ქართულისათვის, მაგრამ სპეციალურ ენაში გამოიწვევს სამეცნიერო ცნებების გაბუნდოვანებას.

2. ანალოგიური წარმოების ფორმებში ილია ვერ იცავს ერთ პრინციპს; კერძოდ:

- დარგის, გარკვეული მიმართულებისა თუ აბსტრაქტული ცნების გამომხატველ ტერმინთა საწარმოებლად უცხო **-იზმ** სუფიქსს ქართული **-ობა** სუფიქსით ანაცვლებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში, ერთმანეთის გვერდიგვერდ ტოვებს ორივე მაწარმოებელს (უცხოურსა და ქართულს), ან ორივეს გამორიცხავს:

ნაციონალ-იზმ-ი - ნაციონალ-ობა

ფეოდალ-იზმ-ი - ფეოდალ-ობა

ჰუმან-იზმ-ი - ჰუმან-ობა

მილიტარ-იზმ-ი - მილიტარ-ობა...

შდრ.: ბუდ-იზმ-ი - ბუდ-იზმ-ობა ან:

ზოროასტრ-იზმ-ი - ზოროასტრ-ი

ზოგჯერ დარღვეულია უცხო ფუძეზე **-ურ** სუფიქსის დართვის პრინციპიც:

ფორმალ-ურ-ი, ლიბერალ-ურ-ი, მუსიკალ-ურ-ი...

შდრ.: ფიგურალ-ი (ლექსი)

ბოლომდე არ არის დახვეწილი ქართული ყალიბი; მაგალითად: **-ობა** თუ **-ურ/ულ-ობა**?

ბურჟუაზი-ულ-ობა, ფინანსი-ურ-ობა...

შდრ.: სოციალ-ობა, სერიოზ-ობა, არა-სერიოზ-ობა

3. არათანმიმდევრულობას იჩენს ქართული ყალიბისათვის უცხო ენის ზედსართავის ფუძის გამოყოფისას; კერძოდ, ბოლომდე ვერ წყვეტს, ძირს შეზრდილი უცხო სუფიქსი სრულად

დატოვოს, ნაწილობრივ შეკვეცოს თუ საერთოდ გამორიცხოს? აქვე შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჭარბობს პირველი და შედარებით მცირეა მესამე რიგის ფორმები. შდრ.:

დიდაქტ-იკ-ურ-ი, სქოლასტ-იკ-ურ-ი, ესთეტ-იკ-ურ-ი, პოეტ-იკ-ურ-ი, სტატისტ-იკ-ურ-ი, თეორეტ-იკ-ულ-ი...

დიდაქტ-ი-ურ-ი, სქოლასტ-ი-ურ-ი, ესთეტ-ი-ურ-ი...

ფონეტ-ურ-ი, მექან-ურ-ი...

დიდაქტ-ი-ურ-ი ტიპის ფორმები აიხსნება რუსულ ეკვივალენტებში ფუძისეული **კ**-ს უმართებულოდ რუსულ დაბოლოებაში (**-ческий**) ჩარიცხვით: **-ческий** ("ч უმეტესად **к**-ს ფონეტიკური სახეცვლილებაა: человек человеческий..." (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, გვ. 125).

წარმოების პრინციპების შეუმუშავებლობაზე ასევე მეტყველებს: **პროვინცი-ულ-ი** და **პროვინცი-ალ-ურ-ი ტიპის** ფორმების პარალელურად გამოყენება.

როგორც ცნობილია, ნასესხებ ძირთან შეზრდილი უცხო სუფიქსების საკითხი საკამათო აღმოჩნდა არა მარტო აღნიშნული პერიოდისათვის, არამედ XX საუკუნის 60-იან წლებშიც; კერძოდ, კ. გამსახურდია თავის წერილში: "ისევ ქართული მართლწერის გამო" წინააღმდეგია ნასესხებ ფუძეებში უცხო **-al** და **-ik** სუფიქსების გამოყენებისა და მართებულად მიაჩნია შემდეგი ფორმები: **ლირიული, ეპიური, სანტიმენტური... მომენტური** და სხვ. როგორც თავად შენიშნავს, ამ საკითხში მხარი მხოლოდ აკადემიკოსმა გ. წერეთელმა დაუჭირა (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 260). თანამედროვე ეტაპზე პრობლემა გადაჭრილია (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, გვ. 125-130).

ბ) კომპოზიტები:

შედარებით მცირეა ინტერნაციონალური ფუძის კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად გამოყენების შემთხვევები:

პუშპიტალეტარი

ცრუკლასიციზმი

ფოსფორ-მჟავე / ფოსფორის ხიმჟავე < Фосфорная кислота

შდრ.: **ფოსფორული ხიმჟავე** ("გუთნისდედა", 1862, № 21. გვ. 136). იგივე ფორმები დასტურდება ლ. ჯორჯაძესთან და ვ. პეტრიაშვილთან (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 17-18; ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 57).

დღეს მიღებულია (ქიმ.) **ფოსფორმჟავა, ფოსფორის მჟავა** (ქეგლ-ი, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 157).

ძალადმარქსიტი...

გ) ტერმინოლოგიური შეხედულებები

Органическая кислота - ორგანული ხიმჟავე

Неорганическая кислота - უორგანული

შდრ.: **არაორგანული მჟავა.** 60-70-იანი წლების პრესაში რუსული ყალიბით ნაწარმოები **Неорганическая**-ს შესატყვისად დასტურდება **არა** ნაწილაკითა და **უ-ი** კონფიქსით ნაწარმოები პარალელური ფორმები, მაგალითად: **არაორგანული / უ-ორგან-ი / უ-ორდან-ი** ("გუთნისდედა", 1864, № 12, გვ. 84; 1875, № 15, გვ. 1; "სასოფლო გაზეთი", 1870, № 12, გვ. 6; № 13, გვ. 6).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, **უ-ი** კონფიქსი ძველ ქართულშივე უკუთვნითი შინაარსის სახელთა პროდუქტიული მაწარმოებელი იყო, მაგრამ ამ ტიპის ანტონიმები, მაგალითად: **უ-დედ-ი, უ-ბაზვრ-ი**... გამოხატავდნენ საგნის ან მოვლენის რაიმე თვისების უქონლობას და არა თვით ამ საგანს ან მოვლენას (**ბაზვარი, დედი**...); ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ძირეულის ანტონიმური სახელის საწარმოებლად გამოიყენებოდა **არა** ნაწილაკი: **ხეირი არასწორი**; შდრ.: **უხეირო** (დ. მელიქიშვილი, 1988, გვ. 176).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ **უ-ი** კონფიქსიანი წარმოება (**უ-ორგან-ი /უორდანი**), როგორც საგნის თვისების აღმნიშვნელი, შეუსაბამო იყო ტერმინისათვის:

Неорганическая. ილიამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპირატესობა **უ-** პრეფიქსიან წარმოებას მიანიჭა (**უორგანოული**), განსხვავებით **არა** ნაწილაკისაგან, რომელსაც აქტიურად იყენებს სხვა შემთხვევაში, მაგალითად, საწყისურ ფორმებთან: **არ-თვისებობა, არ-გონივრობა, არ-გაყოდვა, არ-ჩაბარება, არჭონება/არჭონვა, არ-სხენება, არ-უოფა/არ-მუოფობა, არ-გაცემა, არ-ცოდნა, არ-დევნა** და სხვ. (ა. შანიძის მითითებით, ილიამ "რუსთაველის გავლენით გააცოცხლა უარყოფითი **არ** ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად" - ა. შანიძე, 1987, გვ. 127).

გარკვეულ პერიოდში ტერმინ **არაორგანულის** მნიშვნელობით გამოიყენებოდა **მინერალური**. მაგ.: "ღვინოში ორგვარი სიმჟავენი არიან: 1. **ორგანული** სიმჟავენი და 2. **მინერალური** სიმჟავენი" (ვ. პეტრიაშვილი, 1894, № 8, გვ. 47).

დღეისათვის **მინერალური** (**მინერალური ქიმია**) უკვე მოძველებულია (შდრ.: **მინერალები**); მის ნაცვლად იხმარება **არაორგანული** (**არაორგანული ქიმია**).

ეკსტრაქტული ნაწევარი

შდრ.: **ეკსტრაქტული ნივთიერება** (ვ. პეტრიაშვილი, 1895-გ, № 1-2, გვ. 52)

ხალიცილის მჟავა/მჟაგე; შდრ.: **ხალიცილის სიმჟაგე** (ვ. პეტრიაშვილი, 1895, № 3, გვ. 97)

რეომეტრის თერმომეტრი

აღნიშნული ტერმინოლოგიური შესიტყვება დასტურდება ვ. პეტრიაშვილთანაც (ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 3). XIX საუკუნის პრესაში, რუსულის გავლენით, დასტურდება **ტერმომეტრი** ("გუთნისდედა", 1863, № 7, გვ. 102; შენიშვნა). ანალოგიურად, გავრცელებულია **თერმომეტრის** რუსული ეკვივალენტის უმართებულო ფორმა **გრადუსნიკი**; შდრ.: **ცელსის გრადუსნიკი** - ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 140.

- **რეომეტრის თერმომეტრი** - თერმომეტრი, რომელსაც ყინულის დნობისა და წყლის დუღილის წერტილებს შორის 80-

გრადუსიანი სკალა აქვს [ფრანგი ბუნებისმეტყველის **Reaumur**-ის (1683-1757 წწ.) სახელის მიხედვით] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 435;

- **ცელსიუსის თერმომეტრი** - თერმომეტრი, რომელსაც ყინულის დნობისა და წყლის დუღილის წერტილებს შორის 100-გრადუსიანი სკალა აქვს [შვედი **ასტრონომისა და ფიზიკოსის - Celsius-ის** (1701-1744 წწ.) გვარის მიხედვით] - იქვე, გვ. 553.

Доисторический период - ისტორიის წინადუოდელი დრო; შდრ.:**Доисторический ისტორიამდელი, წინარეისტორიული** (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 147).

მაგნეზია რკინია და შავი ქვია

შდრ.: **მაგნეზია, რკინის ვანგი და შავი ქვა** (ვ. პეტრიაშვილი, 1894, № 1, გვ. 79). მოგვიანებით **შავი ქვის** პარალელურად დასტურდება **მარგანეცის ოქსიდი** (ე. ალშიბაია, 1914, გვ. 467).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი (რ. ღამბაშიძე, 1986), **მარგანეცი** წარმოადგენს **მანგანუმის** უმართებულო ფორმას, რომელიც რუსულის გავლენით გავრცელდა ქართულში [რუს. **марганец** < გერმ. **Manganerz**] - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 295.

-მანგანუმ-ი - [ლათ. **Manganum**] ქიმიური ელემენტი, ძნელდნობადი მოვერცხლისფრო ლითონი; იყენებენ მეტალურგიაში (სხვა ლითონებში შესადნობად), სოფლის მეურნეობაში (სასუქად), მედიცინაში და სხვ. - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 292.

ფუჭხინი დარიშხანი
ხლორი კალციი

შდრ.: **კალციუმი** - ლათ. **Calx(calcis)** - რუს. **Калций** (უცხო სიტყვათა ლექს., 1989, გვ. 213); **ქლორი** - ბერძ.. **Chloros** - რუს. **Хлор** (იქვე, გვ. 540). აშკარაა რუსული წარმოთქმის გავლენა ქართულ სპეციალურ ლექსიკაზე.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა საერთაშორისო ტერმინების შუალობითი (კონკრეტულ შემთხვევაში, რუსულის გზით) სესხების არასასურველ შედეგებზე, რისი მაგალითებიც საკმაოდ დასტურდება აღნიშნული პერიოდის პრესაში, ასევე სხვადასხვა სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო ნაშრომში (იხ. ზემოთ). როგორც ვხედავთ, ამ უხერხულობას ვერც ილიამ აარიდა თავი.

ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილი მასალის ანალიზმა მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

I. ილია სათანადო ყურადღებას უთმობს ინტერნაციონალიზმთა ქართული ეკვივალენტების შემუშავებას; საერთაშორისო ტერმინის ფუძეს, რუსული სპეციალური ლექსიკისაგან განსხვავებით, აქტიურად იყენებს ტრადიციული ყალიბებით წარმოებისათვის. იგი მუშაობას ორი ძირითადი მიმართულებით წარმართავს; კერძოდ:

- **თარგმნის უცხო ტერმინის ფუძეს** ან
- **უცვლელად გადმოაქვს ქართულ ყალიბში**.

პირველი რიგის მაგალითები ცოტაა; ერთეული შემთხვევების გარდა (**მგავე კირი**, **დვინის მარილი, ფანგბადი**...), ნასესხობის სახით დასტურდება თანამედროვე ქართულში (შდრ.: **საფრთხილებელი - რიხკა; სიმბო-ხიციე - ტემპერატურა; შუა წოდება - ბურჟუაზია**...). მიუხედავად აღნიშნულისა, ტერმინთშემოქმედების ეს მიმართულება საყურადღებოა ქართული ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის თვალსაზრისით.

გაცილებით ჭარბობს მეორე რიგის ფორმები. პროდუქტიულია აფიქსური, კერძოდ: **-ობა**, **-ურ/-ულ** სუფიქსებიანი და **ხა-ო** კონფიქსიანი წარმოება, რის ფონზეც თავს იჩენს ტერმინოლოგიურ სიტყვათშემოქმედებასთან დაკავშირებული სირთულეები; კერძოდ: მეთოდოლოგიურად დაუმუშავებულია ინტერნაციონალიზმთა ქართული ეკვივალენტების წარმოება, რასაც მოწმობს პრაქტიკული ჩვევებისა და შესაბამისი ორთოგრაფიული ნორმების არარსებობა. ილია:

ა) მერყეობს ინტერნაციონალური ფუძეებისათვის ქართული ყალიბების შერჩევისას, რაც იწვევს პარალელური ფორმების გაჩენას (**ს-პროვინციალ-ი - პროვინციალ-ურ-ი; ს-პოლიტიკ-ი - პოლიტიკ-ურ-ი; ს-სტატისტიკ-ი - სტატისტიკ-ურ-ი - სტატისტიკ-ის**...);

ბ) ანალოგიური წარმოების მაგალითებში ვერ იცავს ერთ პრინციპს (შდრ.: **ბუმან-ობა - ბედ-ობ-ობა - ზორ-ობ-ობ-ა**; **ლიბერალ-ურ-ი - ფეოდალ-ი**...);

გ) არათანმიმდევრულობას იჩენს ქართული ყალიბისათვის უცხო ტერმინის ფუძის გამოყოფისას, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, რუსულის გავლენით არის გამოწვეული (შდრ.: **დიდაქტ-იკ-ურ-ი - სკოლასტ-ი-ურ-ი - მექან-ურ-ი**...).

II. ი. ჭავჭავაძის წერილებიდან მოძიებული მასალის ანალიზი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების თავისებურებებზე; კერძოდ:

ა) სპეციალური ენისთვის აქტუალურია საერთაშორისო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების შექმნა, მაგრამ ტრადიციული ყალიბების ფონზე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი სამეცნიერო ცნებების ზუსტად ამსახველი წარმოება. სპეციალურ ენას ამძიმებს სინონიმური წყვილები;

ბ) ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების გადაუჭრელ ამოცანად რჩება ქართული ორთოგრაფიული ნორმების შემუშავება და არასასურველი ენობრივი გავლენისაგან განთავისუფლება (**ცელსის გრადუსნიკი, ხლორი კალციუმ**...).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, ჩამოყალიბების შემდეგ (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე) დადგინდა ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებითი მოდელების მწყობრი სისტემა, რომელიც იყენებს სალიტერატურო ენაში არსებულ ყველა გრამატიკულ საშუალებას და, ამავე დროს, შეიმუშავებს საკუთარ,

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ "მეცნიერების ენა... თავისებურად ეპყრობა ენობრივ მასალას, ანაწილებს და ზოგჯერ ფუნქციებს უცვლის ტრადიციულ სიტყვაწარმოებას ან სიტყვათა მაწარმოებელ აფიქსებს, ხელოვნურად აგებს ტერმინთა მოდელებს, მთელ სისტემებს" (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 139). ამ უკანასკნელში სპეციალისტთაგან წინასწარ მკაცრად არის განსაზღვრული ამა თუ იმ ტერმინის მისაღები წარმოება, როცა სალიტერატურო ენაში ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მკვიდრდება რომელიმე სიტყვა-ფორმისათვის შესაფერისი ყალიბი.

სამეცნიერო ტერმინის ხელოვნურ წარმოებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხშირად, სალიტერატურო ქართულის კუთვნილი სიტყვისაგან განსხვავებით, ცნობილია მისი ავტორი და ასაკიც. მაგალითად, საყოველთაოდ გაზიარებული აზრის თანახმად, იოანე პეტრიწის შექმნილია ტერმინები: **გონიერი, წირი, უპირატესი,** ეფრემ მცირისაა: **არსი, მეცნიერება,** დიმიტრი უზნაძემ **აქმა, განწყობა;** გიორგი ნიკოლაძემ **ტანვარჯიში, მხატვრობა, მთახვლელობა** (< მთამსვლელობა); ალექსანდრე ჯანელიძემ **ახანთი;** ნიკო მუსხელიშვილმა - **განტოლება**; ვუკოლ ბერიძემ - **შეებულება**; ნიკო ნიკოლაძემ **ლიანდაგი**; ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა - **ორთქლმავალი;** ვასილ პეტრიაშვილმა - **ვანგბადი;** ანდრია რაზმაძემ - **შეთანასწორება** (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 139; თ. გამყრელიძე, გვ. 395), ასევე, სტეფანე მენთეშაშვილმა **სამაროვანი** (იქვე, XV, გვ. 374), კონსტანტინე გამსახურდიამ - **ქვემეხი** (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 55) და სხვ.

ილია ჭავჭავაძის შესახებ აღნიშნულია, რომ მან შეიმუშავა: **მიმართულება, დირებულება, ხინამდვილე, უარყოფა, შინაარსი** (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 139; თ. გამყრელიძე, 2003, გვ. 395); ამ ჩამონათვალს დავამატებთ

ჩვენ მიერ შესწავლილ ტერმინებსაც: **მუაგა, ფხვნილი, ნახშირმჟავა, მოთხოვნილება**. ასევე, დავძენთ, რომ თავს შევიკავებთ ტერმინზე: **დირებულება**, რამდენადაც ის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც დასტურდება (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1362).

სამეცნიერო ენის სიტყვაწარმოებითი ქვესისტემის განსხვავებულობა გამოიხატება სალიტერატურო ენაში ნაკლებად პროდუქტიული ყალიბების გააქტიურებაში.

ქვემოთ წარმოვადგენთ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის ცნობილი ტერმინოლოგიური მოდელების არასრულ ჩამონათვალს. მაგალითები ამოღებულია რ. ღამბაშიძის წიგნიდან (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 131-136):

ხი–ე: სიდიდე, სიბრტყე, სიმძლავრე, სიჩქარე

–ობა/–ება: ტელე/რადიომაუწყებლობა, მდნარობა, შეფასება, შეგრძნება

–ად–ობა: გამოსხივებადობა, ტევადობა, წევადობა, მდგრადობა

–ურ/–ულ–ობა: ზღვრულობა, ბმულობა, ხანდაზმულობა

–ილ–ობა: წყვეტილობა, გრეხილობა

–ოს(ა)ნ–ობა: ნაოსნობა, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა

–ად–: ანთებადი, აალებადი, შეხებადი, რყევადი, კუმშვადი

–ით–: შრომითი, კითხვითი, შედეგობითი, გაცვლითი

–ის–: საწყისი, შუაკედლისი, საკაწრისი, საჭრისი, საცეცხლისი

–ობ: ფერდობი, ტაფობი, ნავთობი, ფართობი, მაღლობი

–ედ: კარედი, სამკუთხედი, უჯრედი, გრძედი, განედი

–აკ: ლილვაკი, სხეულაკი, თვალაკი, ბაგირაკი

–უკ: ულვაშუკა, მწვანუკები, ლომუკები

–ურ/–ულ: ზღვაური, სტადიური, დიალექტური, მართული

–ევ: განივი, მუდმივი, წრფივი

–ებრ/–ობრ–ივ: შრეებრივი, ფაქტობრივი, მასალობრივი

–იან: ხარისხიანი, თანასწორუფლებიანი, მომგებიანი

–ერი: ერთჟამიერი

–ოვან: წიწვოვანი, ფოთლოვანი, ბოჭკოვანი

–ხან: რქოსანი, ფეხოსანი, ფრთოსანი, ჩქაროსანი

–ა: მტვრიანა, ლორწოვანა, ჯვაროსანა, წკირულა

გან–: განმუხტვა, განბაჟება, განღრუება, განწებება

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ცალკეული დარგობრივი ტერმინთსისტემებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ტიპის სიტყვაწარმოებითი მოდელები; მაგალითად: **–ება, –იანება, –იანი, –ოვანი, –ხანი, –ებრი, –ნაირი, –მაგვარი, –მსგავსი** და სხვ. სპეციფიკურია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში: **ძუძუმწოვრება, ხორთუმიანება, ორლებნიანი, ციტრუსოვანი, ტუჩოხანი, ციყვისებრი, რძიანასხაირი, ქერისმაგვარი, დორჯოხმსგავსი**... (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 137-138); **–იტ, –ოზ** სუფიქსები - სამედიცინო სისტემაში დაავადებათა აღსანიშნავად: **ართრიტი, ართროზი, ნევრიტი, ნევროზი**... (თ. გამყრელიძე, 2003, გვ. 397) და სხვ.

სამეცნიერო ენას სალიტერატურო ენისაგან პრინციპულად განასხვავებს **აფიქსოიდები** ნაწარმოები რთული სიტყვები.

აფიქსოიდები (< **აფიქსი** + ბერძ. **ეიდოს** - აფიქსის მსგავსი, აფიქსისნაირი) ძირითადად ბერძნულ-ლათინური ენებიდან მზამზარეულად შემოტანილი სტრუქტურული ელემენტებია. მსესხებელ ენაში აფიქსოიდი შეიძლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იყოს, მაგრამ კომპოზიტის შემადგენლობაში, სადაც იგი სრული ან შეკვეცილი სახით შედის, სიტყვამაწარმოებელი აფიქსის ფუნქციას ასრულებს. ადგილის მიხედვით, გამოყოფილია აფიქსოიდთა ორი ჯგუფი:

1. **პრეფიქსოიდები:** - **აერო-** (აერობიკა, აეროფლოტი), **აგრო-** (აგროსამრეწველო, აგროტექნიკა), **ავტო-** (ავტომატი, ავტოფარეხი), **ბიო-** (ბიოსფერო, ბიოდენები), **გეო-**

(გეოპოლიტიკა, გეოდეზია), **ინტერ-** (ინტერდისციპლინარული, ინტერნაციონალური), **კონტრ-** (კონტრშეტევა, კონტრარგუმენტი), **ნევრო-** (ნევროლოგია, ნევროპათოლოგი), **ტელე-** (ტელეარხი, ტელეგადაცემა)...

2. **ხუფიქსოიდები: -გრაფი** (ფოტოგრაფი, პარაგრაფი), **-თეკა** (ბიბლიოთეკა, კარტოთეკა), **-ლოგი** (ფილოლოგი, რუსთველოლოგი), **-მეტრი** (პარამეტრი, სანტიმეტრი), **-სკოპი** (ფონენდოსკოპი, ტელესკოპი), **-ნავტი** (კოსმონავტი, აერონავტი), **-პლანი** (დელტაპლანი, აეროპლანი), **-ტრონი** (ნეიტრონი, ლოტოტრონი), **-ფონი** (მაგნიტოფონი, ფოტოფონი), და სხვა.

როგორც ზემოთ, ფრჩხილებში წარმოდგენილი მაგალითებიდანაც ჩანს, თავისუფლად შესაძლებელია აფიქსოიდების კომბინაცია როგორც უცხოურ, ისე ქართულ ძირებთან; მაგ., შდრ.:

ავტომატი - ავტოფარეხი
აგროტექნიკა - აგროსამრეწველო
ტელეფონი - ტელეარხი
ბიოსფერო - ბიოდენი
კონტრარგუმენტი - კონტრშეტევა...

ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში აქტიური მონაწილეობის შედეგად, შესაძლებელია, აფიქსოიდმა თავდაპირველი მნიშვნელობისაგან მეტნაკლებად განსხვავებული სპეციალიზებული შინაარსიც შეიძინოს. ასეთ მაგალითებად სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: **ეკოლოგია** (< ბერძნ. **oikos** - სახლი და **logos** - მოძღვრება) - ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას; **ანტითეზი** (ბერძ.: **antithesis** - დაპირისპირება; შდრ.: ამოსავალი დებულების საწინააღმდეგო დებულება), **ინტერპოლაცია** (ლათ.: **interpolatio** - განახლება, შეცვლა; შდრ.: ნაწარმოების ტექსტში გვიანი, არაავტორისეული ჩანართი) და სხვა (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 145).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვების კვალიფიკაცია (**ინტერნაციონალურ კომპოზიტებად** ჩაითვალოს, **ნაწარმოებ სიტყვებად** თუ **გარდამავალ ხატებურად** ამ ორ ჯგუფს შორის?) მაგრამ ფაქტი ერთია: აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინები ხასიათდება ლაკონურობით, სემანტიკური გამჭვირვალობითა და სისტემურობით, რაც ნიშანდობლივია სამეცნიერო ენისათვის.

საერთაშორისო ტერმინ-ელემენტების ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკუთრივ ქართული ენობრივი მასალა, მაგალითად: ზედსართავი სახელები, მიმღეობები და ზმნიზედები სრული ან შეკვეცილი სახით (რ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 150-164).

პრეფიქსოიდები:

გადამეტ-: გადამეტაგზნება, გადამეტგრეხა, გადამეტბრუნვა
კვლავ-: კვლავწარმოება, კვლავჭედვა, კვლავვულკანიზაცია
კმა-: კმადატენიანება, კმამუხტვა, კმაბურღვა
უკმარ-: უკმარმოჭერა, უკმარზომა, უკმარბურღილი
თბო-: თბომავალი, თბოუნარი, თბოქსელი
ზე-: ზეაჩქარებული, ზემსუბუქი, ზესადგამი
ქვე-: ქვევარიანტი, ქვესადგური, ქვეშენაერთი
უკუ-: უკუძალა, უკუმოქმედი, უკუწნევა
წინაღ-: წინაღზამბარა, წინაღქანჩი, წინაღტვირთი
თვით-: თვითმფრინავი, თვითგანმუხტვა, თვითმჟანგავი
დაბალ-: დაბალელასტიკური, დაბალტონიანი, დაბალძაბვიანი
მაღალ-/დიდ-/
უხვ-: მაღალაქტიური, დიდპლასტიკური, უხვთიხამიწოვანი
მცირე-/
ნაკლებ-: მცირესიმძლავრიანი, მცირემწარმოებლური, ნაკლებპლასტიკური...
ნელა-/ხუხტ-: ნელამჭიდი, ნელაშლადი, სუსტდენიანი
სწრაფ-: სწრაფბრუნვა, სწრაფდენადი, სწრაფცვლადი
ცრუ-: ცრუშემთხვევითი, ცრუმოწმე, ცრუპატრიოტი
ნახევარ-/

ნახევრად- ნახევარგამტარი, ნახევარკბილანა, ნახევრადვულკანიზებული
მსხვილ- მსხვილმასშტაბიანი, მსხვილსერიული, მსხვილფირფიტოვანი
წვრილ- წვრილმალოვანი, წვრილძარღვი, წვრილნიჟარისებური
მაკრო- /
მსხვილ- მაკროკოსმოსი, მაკროეკონომიკა, მსხვილკრისტალური
მიკრო- /
წვრილ- მიკრომარცვლოვანი, მიკროფორებიანი, წვრილმარცვლოვანი
სუფიქსოიდები:
-ხანინაღმ ამიაკსაწინაღო, ატომსაწინაღო, მეხსაწინაღო
-გამტარი ნახევარგამტარი, დენგამტარი, ხმაგამტარი
-ხატარი ტალღასატარი, წყალსატარი, ჰაერსატარი
-ხაჭერი ქარსაჭერი, მტვერსაჭერი, მუხლუხსაჭერი
-მავალი თბომავალი, სწრაფმავალი, ატომმავალი
-ხაზიდი ბეტონსაზიდი, კაბელსაზიდი, აირსაზიდი
-ხაზომი ტალღასაზომი, ტენსაზომი, ხარჯსაზომი
-ხამწერი ხარჯჩამწერი, ხმაჩამწერი, კვლავჩამწერი
-მედეგი ტემპერატურამედეგი, წყალმედეგი, თბომედეგი
-მდგრადი თბომდგრადი, ულტრამდგრადი, მჟავამდგრადი
-გამძლე ცეცხლგამძლე, აფეთქებაგამძლე, თანაბარგამძლე
-ხატყორცნი ნაღმსატყორცნი, ცეცხლსატყორცნი, ლოდსატყორცნი
-შეღწევადი წყალშეღწევადი, ჰაერშეღწევადი, შუქშეღწევადი...
-შეუღწევადი ორთქლშეუღწევადი, ბენზინშეუღწევადი,შუქშეუღწევადი
-ხარიდი /
-ამრიდი წვიმასარიდი, მტვერამრიდი, ყინულამრიდი
-შორიხი ოპერაციათშორისი, ლითონთშორისი, ღერძთშორისი
-ზედა ჰიქურზედა, ფერდობზედა, დგუშზედა
-ქვეშა წყალქვეშა, ცხაურქვეშა, ამწისქვეშა

-ელი: ბაგისმიერი, ხორხისმიერი, კბილისმიერი
-ბადი: ნახშირბადი, ნახშირწყალბადი, კაჟბადი
-ნაგი: ქვანაგი, შუანაგი, ფიცარნაგი
-ილმა: კათოლმიღმა, ურანმიღმა, ზღვისმიღმა და სხვ.

ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს **აბრევიატურა,** როგორც გრძელი დასახელებების გადმოცემის მოქნილი და მოხერხებული საშუალება. აბრევიატურა ორი ან მეტი სიტყვის შემოკლებით მიიღება, კერძოდ, შემადგენელ სიტყვათა დასაწყისი ბგერებისა ან მარცვლების შეერთებით.

XX საუკუნიდან განსაკუთრებით პროდუქტიული ხდება აბრევიატურული გამოთქმების წარმოება. რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან:

დოსააფი - [რუს. **ДОСААФ** (შემოკლ.) < **Добровольное общество содействия армии, авиации и флоту** არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება... (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 141);

ლავსანი - [< რუს. **лавсан** (შემოკლ.) < **Лаборатория высокомолекулярных соединений Академии наук** - მეცნიერებათა აკადემიის მაღალმოლეკულური ნაერთების ლაბორატორია] - ხელოვნური ბოჭკო, რომელსაც იღებენ ნავთობის გადამუშავების პროდუქტებისგან; იყენებენ ქსოვილების, სატრიკოტაჟო ნაწარმის და მისთ. დასამზადებლად (იქვე, გვ. 270);

ლაზერი - [ინგლ. **Lazer** (შემოკლ.) < **Light amplification by stimulated emission of radiation** სინათლის გაძლიერება ინდუცირებული გამოსხივების საშუალებით] - ხელსაწყო მონოქრომატული სინათლის არაჩვეულებრივად ინტენსიური და ვიწრო კონის მისაღებად; გამოიგონეს 1960 წ.; დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო გამოკვლევებში და სხვ. (იქვე, გვ. 270);

მაზერი - [ინგლ. **mazer** (შემოკლ.) < **microwave amplification by stimulated emission of radiation** მიკროტალღების გაძლიერება ინდუცირებული გამოსხივების საშუალებით] ხელსაწყო ზეჩქარული სიხშირის ელექტრომაგნიტურ რხევათა წარმოსაქმნელად; მოლეკულური გენერატორი (იქვე, გვ. 289);

ნატო - [ინგლ. **HATO** (შემოკლ.) < **North Atlantic Treaty Organization** ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია] - ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი... (იქვე, გვ. 332)...

აქვე წარმოვადგენთ ქართული ყოფის მიხედვით სხვადასხვა დროს შექმნილ აბრევიატურებს:

თემქა - თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა

თხუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თხსუ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ცსკო - ცენტრალური საარჩევნო კომისია

აღმასკომი - აღმასრულებელი კომიტეტი

სახელგამი - სახელმწიფო გამომცემლობა

სახკომი სახელმწიფო კომისარიატი

ფინგანი - ფინანსური განყოფილება

უაზტრანსგაზი, გარკვეთილაირი, საჭრკინგზა ...

აბრევიატურული გამოთქმების წარმოება უნდა მოხდეს სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სალიტერატურო ენის სიწმინდეს საფრთხე დაემუქრება. სწორედ ამაზე ამახვილებდა თავის დროზე ყურადღებას კ. გამსახურდია, როდესაც მიუთითებდა საკავშირო დაწესებულებათა ფილიალების აბრებზე "პირდაპირ გადაუთარგმნელად", ქართული ასოებით დაწერილ რუსულ სიტყვათა შემოკლებებზე: "გლავუგოლ", "გლავნეფტ", "გლავკონსერვტრესტ" და სხვ. (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 97).

თანამედროვე ეტაპზე, მართალია, ვითარება შეიცვალა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინგლისური ენის არასაჭირო გავლენისაგან თავიდან არიდება, მით უმეტეს, რომ ძალიან გახშირდა ინგლისურენოვანი წარწერები და ამის რეალური საფრთხე ნამდვილად არსებობს.

გასათვალისწინებელია ქართველი მწერლის მეორე შენიშვნაც, რომელიც ეხება აბრევიატურული გამოთქმების, როგორც სხარტი და დროის მიხედვით უფრო ეკონომიური წარმოების მეორე მხარეს: "...შეკვეცების გამომგონებელი მათი დაწერისას იგებს დროს, სამაგიეროდ, მათი წამკითხველი ორგზის მეტს ხარჯავს მათი ამოკითხვისა და გაგებამდის" (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 97).

წარმოდგენილი ნაწყვეტი, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია აბრევიატურული ფორმების ზომიერი რაოდენობით განსაზღვრის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ აბრევიატურის შედგენის დროს, მოსალოდნელი გაუგებრობისა და დამთხვევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ცალ-ცალკე გაიმიჯნოს დარგობრივი ტერმინოლოგიური სისტემები.

დღეს, გლობალური საკომუნიკაციო სივრცის გაფართოებასთან ერთად, გამოვლინდა აღნიშნული წარმოების ახალი შესაძლებლობებიც, კერძოდ - საკომუნიკაციო ფუნქცია, რამაც ინტერნეტ-სივრცის მეტყველებაზე მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთა ყურადღება მიიქცია (ნ. ფუტკარაძე, ნ. ამაღლობელი, „არავერბალური და ვერბალური „ხატულების" მორფო-სემანტიკური ანალიზი", კონფერენცია "ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები", მასალები, თბ. 2009 (გადაცემულია დასაბეჭდად); ნ. ფუტკარაძე, "ქართული „ინტერნეტ-ენის" განვითარების ტენდენციები", 14 აპრილისადმი მიძღვნილი კრებული „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს", თბ. 2009...).

აბრევიატურის კვალდაკვალ, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების საკმაოდ გააქტიურებულ საშუალებას

წარმოადგენს **სიმბოლურია,** კერძოდ, ასოებით, ციფრებით, სქემებით, ნახატებით... გადმოცემული სახელწოდებანი, რომელთაც სულ უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ აბრებზე, სარეკლამო არხებსა თუ ვებგვერდებზე. მაგალითისათვის მოვიყვანთ „თი-ბი-სი" ბანკის ადმინისტრაციის მიერ საკუთარი კლიენტებისთვის 2009 წლის 13 თებერვალს დაგზავნილ მოკლე-ტექსტურ შეტყობინებას: **„გაი2მაგე** და **გაი4მაგე** მოგების შანსი", შდრ., ქართული ინტერნეტ-დისკუსიიდან ამოღებული მაგალითი: **ნიმნა** (იგულისხმება „ნირვანა", (იხ. http://www.smiley.clan.su).

2.5. სესხება

ქართულ სამწიგნობრო ენაში ჩამოყალიბდა უცხო სიტყვათა სესხების ტრადიციული მექანიზმი, რომელიც განვითარების ახალ სახეს იღებს XIX საუკუნის II ნახევრის ტერმინთშემოქმედებაში.

2.5.1. ორიენტაცია მკითველის განათლების დონეზე. ქართველი მწიგნობრების მთავარი ამოცანაა, უცხო ტერმინი **გასაგები** იყოს წამკითხველისთვის; ამისთვის აუცილებელია, ის გამოყენებისთანავე აიხსნას, ან წარმოდგენილ იქნას ქართული შესატყვისის პარალელურად.

ვიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს იოანე პეტრიწის შრომიდან (დ. მელიქიშვილი, 1975, გვ. 206):

„**ხუმბერაზმაჲ,** რომელ არს თანგასავალი";

„**ხქიმაიცა** დავდვა, რომელ არს ნაკვეთი";

„**პროვლიმაჲ** ანუ წინჩამოსაგდებელი სიტყუაჲ";

„**კატახკევი**, ანუ დაკაზმვაჲ"

ანალოგიურია ილია ჭავჭავაძის მიდგომაც ნასესხები ტერმინებისადმი, რომელთაც დიდი რაოდენობით იყენებს თავის პუბლიცისტურ წერილებში (ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 39); კერძოდ:

ა) კონტექსტშივე ხსნის, განმარტავს უცხო ტერმინს:

„**ავტორიტეტი** მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი" (ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 108);

„**ლორდებმა** კი, ესე იგი სხვილმა მებატონეთა, ზედა პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევანით" (ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 16);

„აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „**შანტაჟს**" ეძახიან" (ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 272);

„აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ **კონსტრუქცია**" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 19);

„**დიქცია**, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა, ბ-ნი საფაროვისა შეუდარებელია"(ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 113);

„მეცნიერებას ხელოვნებისას, რომელსაც **ესტეტიკას** ეძახიან, შენიშნული აქვს ზოგადი თვისებანი ხელოვნებისა"(ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 110);

„ასე რომ იყოს, მისი თხზულება ხომ **პამფლეტი** იქნება, თუ ძაგებაა, და **რეკლამა** - თუ ქებაა..."(ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 169);

„მომხიბლავი ცდუნება სცენისა, რომელსაც **ილუზიას** ეძახიან..."(ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 104);

„საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც კი ღვინოში **ფალსიფიკაციას** ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 86);

„**ხაბაიზმი**... ჰქვიან მნათობთა თაყვანისცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცდომილებისას" (ი. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 108).

ზოგჯერ უცხო ტერმინის განმარტება სცილდება ერთი წინადადების ფარგლებს და ვრცელი კონტექსტით გადმოიცემა:

„**მაორატობა** - უფროსთმფლობელობად თუ ითარგმნება ქართულად. სახლში. უფროსი მარტო დაირჩენს მამულს, სხვა მემკვიდრეებს ფულით, თუ სხვა რამით შეიჯერებს.

მაიორატობაში ჩავარდნილი მამული ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება, ვერც უფროს შვილს ჩამოერთმევა" (ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 17);

"**ლენი** ერთგვარი მიწისმფლობელობა იყო საშუალ საუკუნეებში. **ლენი** იმისთანა მამულს ერქვა, რომელიც ბოძებული იყო მეფეთა და კოროლთაგან საშვილისშვილოდ, თითქმის საკუთრებად, იმ პირობით კი, რომ ზოგიერთი სამსახური გაეწია იმ მეფისათვის (სუზერენი), რომლისაგანაც ბოძებული ჰქონდათ" (ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 24);

"**უაიტბოი** ქართულად "თეთრი ბალღია" ამას იმიტომ ეძახდნენ "უაიტბოი"-ებს, რომ გარედამ თეთრს პერანგებს ატარებდნენ" (ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 24).

XIX საუკუნის II ნახევრის პერიოდულ გამოცემებშიც, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ეთმობა უცხო ტერმინთა ახსნას:

„**მიკროხკობი** მინაა, რომელიც იმდონათ გაადიდებს... თვალით დაუნახავ საგნებს... რომ ჩვენ შეგვიძლია იმათი დანახვა და გაშინჯვა" („სასოფლო გაზეთი", 1869, № 22, გვ. 7);

„**ხიფონაი** რკინის მილი, შუაში ძალიან გაღუნული, რომლითაც ამაასხმენ ხოლმე წყალს ყოველნაირ ჭურჭელში" ("სასოფლო გაზეთი", 1870, № 4, გვ. 5);

„**ანალიზი** არის ხიმიურ საქმეში გარჩევა... სხვა და სხვა ნივთებისა, რომლიდანაც არის შეზავებული გასარჩევი ნივთი" („გუთნისდედა", 1864, № 15, გვ. 92);

„**მინერალები** ნივთი იმასა ჰქვიან საზოგადოდ, რომელიც არის გამოსული მიწისაგან და არა ხისა, ბალახისა და ცხოველისაგან" („გუთნისდედა", 1864, № 12, გვ. 82).

ბ) უცხო სიტყვას წარმოადგენს ქართული ან ქართულში მკვიდრი ლექსიკური შესატყვისის პარალელურად, ფრჩხილებში თუ სქოლიოში:

ბაქანი (**ტერასა**); თავში (**კაპიტალი**); სამეული (**ტრიადა**); ხმოვანი (**ფონეტური**) ანბანი; დრამის ამბავი, არაკი (**ფაბულა**);

ასლი (**კოპია**); ხლართი (**ინტრიგა**); თავნი (**კაპიტალი**); აღზრდა (**სკოლა**); დედა-აზრი (**პრინციპი**); მეფე (**სუზერენი**); წესიერება (**დისციპლინა**); საქაჯავი (**press**); **ობლიგაცია** (გირავნობის ფურცელი); **კონვენცია** (ხელშეკრულება)... (საერთაშორისო ტერმინებისათვის დაძებნილი ქართული შესატყვისების თავისებურებაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ., ასევე, ი. ვაშაკიძე, 2005, გვ. 18-19, 43). შდრ., სხვა ავტორების მასალა:

მანუფაქტურა - ხელსაქნარობა („სასოფლო გაზეთი", 1870, № 13, გვ. 4); **სპეციალისტი** ხელქუმთობით მცოდინარე („გუთნისდედა", 1862, № 2, გვ. 27); **კრისტალი** - გაყინული სხეული („სასოფლო გაზეთი", 1870, № 11, გვ. 7); **აკლიმატიზაცია** - ჰავის შეჩვევა („გუთნისდედა", 1878, № 12, გვ.).

გარკვეულ შემთხვევებში, ილია საერთაშორისო ტერმინების მსგავსად ექცევა რომელიმე უცხო ენის კუთვნილ ლექსემებს: კონტექსტით განმარტავს, ან მოკლედ, ქართულ შესატყვისთან ერთად წარმოადგენს ფრჩხილებში თუ სინონიმურ წყვილში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ერთნაირად ექცევა არაერთგვარ უცხოენოვან მასალას. მაგ.:

განმარტავს რუსულ ლექსემებს

„... ამისათვის ერთადერთი ღონეა „**ტამოჟნა**", ესე იგი, საბაჟო" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 322);

„**ჩეტვერტი**, ორთაშუა რიცხვით რომ ვსთქვათ, ათი ფუთი მაინც გამოვა" (ი. ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 210)...

ქართული შესატყვისების პარალელურად, ფრჩხილებში ან სინონიმურ წყვილში წარმოადგენს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ლექსემებს:

აზატნი მემამულენი (socmen) - ი. ჭავჭავაძე, 1957, გვ. 13;

მონანი (servi) - ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 13;

შუაკაცი (midleman) - ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 30;

გლეხი (bauern) - ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 49-50;

მოქალაქე (burgern) - ი. ჭავჭავაძე, 1956, გვ. 49-50;

მეფე და კორიფე - ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 24;

შდრ.: **მეფე (ხუნერები)** - ი. ჭავჭავაძე, 1957-ა, გვ. 24.

აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელია ენაში შემოსული უცხო ლექსიკა, სათანადო კვალიფიკაცია არ ეძლევა, ერთი მხრივ საერთაშორისო, მეორე მხრივ საკუთრივ რომელიმე უცხო ენის ლექსემებს. ანალოგიურ ვითარებას ასახავს 50-60-იან წლებში დაბეჭდილი პუბლიკაციებიც, კერძოდ, ი. ლორთქიფანიძის წერილი: "ჰსჯა", ბ. ჯორჯაძის შენიშვნა ი. ჭავჭავაძის "ორიოდ სიტყვასთან" დაკავშირებით და სხვ.

"მამათა" თაობის წარმომადგენლებთან გამართულ პოლემიკაში ილია მართებულ პოზიციას იკავებს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდანაც ჩანს, ბოლომდე თავადაც ვერ იცავს თანმიმდევრულობას.

2.5.2. ინტერნაციონალიზმების რაოდენობის ნორმირება. ქართველმა მწიგნობრებმა ტერმინთშემოქმედების მთავარ პრინციპად აქციეს უცხო ნასესხობათა **ზომიერი რაოდენობით შემოტანა** სამწიგნობრო ენაში; ამ მიზნით, მაქსიმალურად აამოქმედეს ენის ლექსიკური ფონდი და სიტყვაწარმოებითი საშუალებები (დ. მელიქიშვილი, 1988, გვ. 158).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის II ნახევარში წარმართული ტერმინოლოგიური მუშაობის ფონზე, აშკარად იკვეთება მოწინავე საზოგადოების მართებული პოზიცია ძველ ხელნაწერებში გაბნეული სპეციალური სიტყვების მოძიება-დადგენისა და უცხო ტერმინებთან გათანაბრების საკითხში.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ტერმინთშემოქმედი, რიგ შემთხვევებში **ქართული იკვივალენტით ანაცვლებს საერთაშორისო ტერმინს**; კერძოდ:

ა) **ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან არჩევს უცხო ტერმინის ქართულ შესატყვისს (ანალიზი ჰაშნეკი;** (იხ. ზემოთ);

ბ) **ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების გამოყენებით ქმნის საერთაშორისო სიტყვა-ტერმინის ქართულ ეკვივალენტს (ბურჟუაზია — შუა წოდება** (იხ. ზემოთ).

მოწინავე საზოგადოების ნაწილი, დაინტერესებულია რა სამწიგნობრო ენის სიწმინდის დაცვით, ზოგ შემთხვევაში სახელდახელოდ დაძებნილ ლექსიკურ შესატყვისს ან წარმოებას ანიჭებს უპირატესობას, უცხო ტერმინთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ჟურნალ "კვალის" 1893 წლის № 30-ში დაბეჭდილი პუბლიკაციის ავტორის, ფსევდონიმით "ბუნების მეტყველების მოყვარის" პოზიცია; კერძოდ, იგი უწუნებს ვ. აღნიაშვილს, ტერმინ **ებიდერმიხის** ნაცვლად, არც თუ ისე მოხერხებული ქართული შესატყვისის **ფერფლის** გამოყენებას თავისავე შედგენილ სახელმძღვანელოში და შენიშნავს:

"არიან იმ გვარი ტერმინები, რომლების თარგმნაც ყოვლად შეუძლებელია. თითქმის ყველა სამეცნიერო ტერმინები ლათინურს და ბერძნულს ენებს ეკუთვნიან და თუკი ჩვენზედ განათლებული ევროპის ერი არ დაერიდა ამ უცხო ენების ტერმინებს, მაშ ჩვენთვის რაღა სასირცხვილოა?" (იქვე, გვ. 15).

საერთაშორისო ტერმინების სესხებასთან დაკავშირებით, მართებულ პოზიციაზე დგანან: რ. ერისთავი, ა. ნანეიშვილი და სხვები. მაგალითად, რ. ერისთავი წერს:

"...თუ კი უცხო ენებიდგან იმ გვარი სიტყვების შემოტანა დაგვჭირდა, რომლებიც ქართულში სრულიად არ მოიპოვებიან, მაშინ ჩვენც ვისარგებლოთ იმ სიტყვებით, რომლების სესხებასაც არ თაკილობენ ჩვენზედ უფრო დაწინაურებულნი და განათლებულნი ხალხნი" (რ. ერისთავი, 1884, გვ. 2).

აქვე წარმოვადგენთ ნაწყვეტს ა. ნანეიშვილის პუბლიკაციიდან, რომელიც "ივერიის" 1887 წლის № 226-ში დაიბეჭდა:

"...ჩვენს ენასაც ეჭირვება უცხო ენათა დახმარება და შეწევნა... არ მოიპოვება არც ერთი ენა, რომელსაც უცხო ელემენტები არ შეეთვისებინოს..." წერილის ავტორი განაგრძობს, რომ "საყოველთაო [საერთაშორისო] სიტყვების არ მიღება" და "მათ მაგიერ ხელახლად სიტყვების შექმნა", სწორედ რომ უქმი შრომა იქნებოდა (გვ. 1).

სავსებით ლოგიკურია, რომ, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, XIX საუკუნის II ნახევრის სამეცნიერო ენაში ფართოდ ეხსნება გზა ნასესხობებს, რაც, შესაბამისად, ახალი ძალით ააქტიურებს სამწიგნობრო ქართულის ნორმალიზაციის საკითხებსაც.

გადაჭარბებული სესხება ისევე მიუღებელია, როგორც ყველაფრის თარგმნა. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1920 წელს საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცემული "რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)", რომლის მეორე, შევსებული გამოცემა 1921 წელს გამოვიდა. ლექსიკონს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირველ ცდას ტექნიკური ტერმინოლოგიის დადგენისა, მაგრამ ჰქონდა ნაკლიც, უაღრესად პურისტული ტენდენციების გამო: შემდგენლებმა მიზნად დაისახეს ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა, რის გამოც სიტყვარს, ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურობის კვალი ეტყობა (უფრო დაწვრილებით, იხ. რ. ღამბაშიძე, 1986, გვ.101-103).

ნასესხობებისადმი დამოკიდებულების საკითხი, არაერთგზის განხილვის მიუხედავად, თითქმის მთელი საუკუნის ამოცანად იქცა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი მომენტი XX საუკუნის 40-იან წლებში გაბართული პოლემიკიდან; კერძოდ, მწერალი კ. გამსახურდია, იმ "გულუბრყვილოთა" პასუხად, რომლებიც მას (1923 წელს მწერალთა კონფერენციაზე წარმოთქმული "მოკლე სიტყვის" მიხედვით) აბრალებდნენ, თითქოს გიორგი მერჩულის ენის აღდგენა ჰქონდა მიზნად დასახული, მიუთითებს, რომ ქართული ენის "გასოფლურების საშიშროების" თავიდან ასაცილებლად, "თამამად შემოუშვა თანადროულ ქართულში ბერძნულ-

ლათინური ძირის სიტყვები“ (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 50-51). “ამ კატეგორიის ბარბარიზმებისადმი“ თავისი პოზიციის გასამყარებლად მწერალი მოგვიანებით შენიშნავს:

“ჩვენ, ქართველებს, დიდი ვალი გვაქვს ბერძნულისა და ლათინური ენების წინაშე. ამ ორმა ბრწყინვალე ენამ მრავალი ევროპული ენა გაამდიდრა ნასესხები ლექსიკით. ცხადია, მერმისშიაც ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ ამას“ (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 260). ცხადია, რომ კ. გამსახურდია ლოგიკურად აგრძელებს XIX საუკუნის მოწინავე საზოგადოების მიერ არჩეულ კურსს სალიტერატურო ენის ნასესხობებით გამდიდრების საკითხში. აქვე, იგი იმოწმებს მაგალითს ინგლისური ენისა, რომელსაც “უამრავი სიტყვები აქვს ნასესხები კელტურიდან, გერმანულიდან, ლათინურიდან, მაგრამ ჯერ არავის განუზრახავს ამ სიტყვათა გაძევება“ (იქვე).

მწერალი არ იზიარებს 1914-18 წლებში გერმანელი ნაციონალისტების ცდას, “მთელი ურბანისტული ინვენტარი შეეცვალათ ნაციონალურ-გერმანულით“, თუმცა “სასაცილი ნოვატორობა“ გამოუვიდათ: გააძევეს ენიდან “სეზონი“, “ტელეფონი“, “კულტურა“, “მოდა“ და სხვა.“ კ. გამსახურდიას ინტერნაციონალიზმებისათვის “ნაძალადევად შექმნილ ეკვივალენტებად“ მიაჩნია: **ელხმენი** (შდრ.: **ტელეფონი**), **ჰაეროტი** (შდრ.:**ბინოკლი**), **ფილაქანი** (შდრ.: **ტროტუარი**), **ბოლაზი** (შდრ.: **ბორტი**), **რიონდა** (შდრ.: **ვაგონი**), **რონები** (შდრ.: **რელსი**), **გამზირი** (შდრ.: **პროსპექტი**) და სხვ. როგორც თავად შენიშნავს, არასოდეს ყოფილა “უტოპისტი“, “თუნდაც ერთხელ წარმოედგინა“, თითქოს ძველქართულის სიტყვიერი ინვენტარი იკმარებდა თანადროული... ცნებათა კომპლექსის შესაჯერებლად“ (კ. გამსახურდია, 1985, გვ. 40, 50-51). აქედან გამომდინარე, მწერალს “დათვური სამსახურის“ გამწევად მიაჩნია “ის, ვინც ჩვენი ენიდან საერთაშორისო ყღერადობის სიტყვის გაძევებას აპირებს...”(კ. გამსახურდია, 1985, გვ. 262).

კ. გამსახურდიას ენობრივ კონცეფციაზე სიტყვა გაგვიგრძელდა იმის ნათელსაყოფად, რომ, პირველ რიგში, მწერალი გრძნობს, შინაგანი კარნახით, ენის განვითარების რეალურ პერსპექტივას. XIX საუკუნის II ნახევრის ვითარების ფონზე ამის თვალსაჩინო მაგალითია ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა.

2.5.3. ინტერნაციონალიზმთა რუსულის გზით სესხების შედეგები. ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ შუალობითი სესხების შედეგებზე სამწიგნობრო ენაში.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული სამეცნიერო ენა წარმოადგენს, ერთი მხრივ, ორთოგრაფიულად გამართული, მეორე მხრივ, უმართებულო ფორმების ამსახველ სურათს.

ი. ჭავჭავაძის ტერმინოლოგია, სხვა წყაროებისაგან განსხვავებით, უფრო დახვეწილია. ენობრივ მონაცემთა შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ილიას გრამატიკული სიზუსტითა და ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით გადმოაქვს რიგი საერთაშორისო ტერმინებისა. მაგალითად, შდრ.: **ალკოჰოლი - ალკოგოლი** (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 101; ვ.პეტრიაშვილი, 1894, № 8, გვ. 51);

პექტინი - Пектинь (ლ. ჯორჯაძე, 1876, გვ. 21, 29); **პეკტინი, პეკტოზა** (ვ. პეტრიაშვილი, 1894, № 8, გვ. 46);

ელექტრონი - ელეკტრონი ("სასოფლო გაზეთი", 1871, № 20, გვ. 8);

ფოსფორი - ფოსფორი ("გუთნისდედა", 1864, № 4, გვ. 31);

თერმომეტრი - ტერმომეტრი ("სასოფლო გაზეთი", 1869, № 21, გვ. 7);

ფილოქსერა - ფილლოქსერა, philloxera ("სასოფლო გაზეთი",1875, № 7, გვ. 4)...

აქვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, გარკვეულ შემთხვევებში ვერც ილიამ აარიდა თავი რუსულის გავლენას. ქართულისთვის არაბუნებრივი წარმოთქმით ხასიათდება მის პუბლიცისტურ წერილებში დადასტურებული შემდეგი ფორმები:

ეფირი, ხიხი, ხორო, ხსნილი, ესტეტიკა, ეტნოგრაფი, ეპიპეია, კანცელიარული, ტიურნიურები, ბრიოშურა, კომიკი, ბრიზიკა, კლახსიკები ... [19]

რუსულენოვანი ინტერნაციონალიზმების გვერდით, დასტურდება რიგითი რუსული ლექსემებიც; შდრ.:

პორუნიკა, პოდპორუნიკა, ბრაპორ(შ)იკი ...

ბრიგა, აპელსინი, კრიფლიანკა, იარშუკა, ხეკრეტარი ...

წარმოდგენილი მასალა მეტყველებს ტერმინოლოგიური მუშაობის სირთულეებზე აღნიშნულ პერიოდში. საერთაშორისო ტერმინთა რუსულის გზით შემოტანა განაპირობებდა სამწიგნობრო ქართულის არასაჭირო ენობრივი გავლენით დამძიმების საფრთხეს, რაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ქვეშ აყენებდა ტერმინთშემოქმედების პროცესში ჩართულ მოღვაწეებს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ილია ჭავჭავაძის ტერმინთშემოქმედებაში გრძელდება და განვითარების ახალ სახეს იღებს სესხების მექანიზმის ძირითადი მომენტები; კერძოდ, ილია:

1. დაინტერესებულია, უცხო ტერმინი გასაგებად მიაწოდოს წამკითხველს, რისთვისაც იყენებს ტრადიციულ მეთოდს:

ა) უცხო ტერმინს კონტექსტშივე ხსნის, განმარტავს (“**დიჭცია**, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა...) ან

ბ) წარმოადგენს ქართულში მკვიდრი ლექსიკური შესატყვისის პარალელურად, ფრჩხილებში თუ სქოლიოში: **ბაჭანი (ტერასა); თავნი (კაბიტალი**...

2. ნასესხობათა ზომიერ რაოდენობამდე განსაზღვრის მიზნით, ცდილობს საერთაშორისო ტერმინი ქართული ეკვივალენტით შეცვალოს; ამისათვის:

---

